

114.  
1956/4

  
ქართული  
ანტიკვარია

# მეტეოროლოგია

12

გეოგრაფია



1956

1956/4

# მ ნ ა თ მ რ ი



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უწყისი

წელიწადი 3-ე

№ 12

დეკემბერი, 1956 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

7382

## შ ი ნ ა ა რ ს ი

დექანდრე ვომიაშვილი — აღგილის დედა, ლექსი	38-3
აკაკი ბელიაშვილი — ქიათურა, ნაჩკვევი	4
ნვლელოზ ტბოროვი — ტუსთავი, ლექსი. თარგმანი ხარიტონ ვარლამაშვილის	31
ფრლამ ეურელი — ლექსები	32
აკაკი ვაწაძე — ლექსები	33
სოლომონ თვაძე — შინადირის დღიურიდან, მოთხრობები	36
ფსტორ მაღაზონია — ნაზიმ ჰაქიმთს, ლექსი	55
ქარმენ ლორია — აბალი უფროსი, მოთხრობა. შინისტრა, ნაჩკვევი	56
ფრიდონ ხაღვაში — შინდორში იღვა პატარა სახლი, ლექსი	64
შოთა როყვა — ოლეგის დედა ბიონეკუბთან, ლექსი	64
ანა გვარიაშვილი — დამაზი იყავ, ლექსი	64
ელენ რურუა — მეზღერე-ნაოზრობა	65
დევიან გელაძე — გიორინდი, გულო, ლექსი	70
აკაკი მელია — გამოუთქმელი წუხილი, ლექსი	70
დექანდრე ჩხაიძე — ქარიშხლის შარკები, სატირული მოთხრობა	71
ჰამია ვარშანიძე — მარადილი, ლექსი	78
ბერგი ეხინი — ანა სნეგინა, ნაწვევი პოემოდან. თარგმანი გიორგი სალუქვაძისა	79
ირიდიონ ქაფეარაძე — საოცნებო ხეხელა, მოთხრობა	83
გრიგოლ ცეცხლაძე — ლექსები	87
პოლი აბრამია — ლექსები	88
ოთარ შალამბერიძე — ლექსები	89
ფანტანე გოლოლაშვილი — ლექსები	90
ჰაინრიხ შანი — საბარლო ტონიეტა, ნოველა. თარგმანი გერმანულიდან ნოდარ რუხაძისა	91
ბორის პასტერნაკი — დამოიანები და გარემოებანი, დასასრული. თარგმანი გ. მარჯველა-შვილისა	97

### ქიტიკა და კუზლიცისტიკა

გიორგი ვახტაძე — პლენარის ესტეტიკური იდეალები	111
ნ. ბერძენიშვილი — პ. ინგოროვას წიგნის — „გიორგი მერჩულეს“ გამო	125
ქეთ. ლომთაძე — აფხაზთა ეინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ	132
გურამ ასათიანი — ლირიული პოეზიის ზოგიერთი საკითხი	140
ალ. ჩაველიშვილი — ნაკლებგავრცელებულის ტიპიურობის საკითხისათვის	145
იხ. მე-2 გვ.	





ნოდარ კაკაბაძე — სტეფან ცეგოვი . . . . .	89-148
გიორგი ჩაველიშვილი — საქართველოს სოფლის მეურნეობა მეექვსე ხუთწლედში . . . . .	151
გელა ბანძელაძე — შრომითი და გონებრივი აღზრდის ზოგიერთი საკითხის შესახებ . . . . .	156

**ლიბერატორული მიმავიდროება**

აკაკი შანიძე — ვეფხის-ტყაოსნის ენის საკითხები . . . . .	164
---	-----

**ხელშეწყობის საკითხები**

ბენო გორდუშვილი — მხატვარი დავით ქუთათელაძე . . . . .	168
---	-----

**კულტურა**

პეტრე ზედაძე — გამოუცხვენებელი წერილი (კულტურა და შენიშვნები ლეილა ბერძენიშვილისა) . . . . .	178
--	-----

**წიგნების მიმოხილვა**

მ. კვარაცხელია — შამია ასათიანის მოთხრობები . . . . .	179
შალვა ამისულაშვილი — მირზა გელაშვილის ლექსები . . . . .	181
ვლ. შაქარაიანი — ანეტ ვიდალის წიგნი ანრი ბარბიუსზე . . . . .	183
ი. ფეიქრიშვილი — ბიოგრაფიული ნარკვევი სერგო ორჯონიძეზე . . . . .	186
შოთა ძიჭიგური — ახალი ნაშრომი ზოგადი ფონეტიკის დარგში . . . . .	188
ვლ. სიქინავა — წიგნი რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობაზე . . . . .	190
ახალი წიგნები . . . . .	გარეკანის მესამე გვერდზე

რედაქტორი **ს. ჩიქოვანი**

ს ა რ ე დ ა ქ ე ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), კ. ლორთქიფანიძე, პ. რატაიანი,  
ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 6, ტელეფონი 3-23-42.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XII-56 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12.  
№ 00005. ანაწყობის ზომა 7¼ × 12½. ქაღალდის ზომა 70 × 108. ტერაჟი 6.000. შეჯ. № 722.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკამოწყობის  
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.



ადექსანდრა გომიანვილი



ადგილის დედა

იქ, სადაც ჩემი ადგილის დედა  
მამა-პაპათა კერაზე სახლობს, —  
სტეფანწმინდაში, მყინვარის ახლო,  
მომავონდები შენ, ჩემო სახლო.

შენ, ჩემო სახლო, ღრუბლების მალლა  
ჩემი ბავშვობის გსახავ ბალნარად, —  
დავხუტავ თვალებს და მესმის ახლაც  
დედის ნანა და მამის ნალარა.

აი, მე ისევ ძველ სახლში ვწევარ,  
თავზე მადგია შუქი მზიური  
და მესმის აკვნის საამო რწევა  
და იაენანა ტბილმშობლიური.

ისევ თბილია კალთა დედისა,  
თბილია კერა ნაპერწკლიანი  
და მეზმანება აკვნის რწევაში  
ცხენის ნალების შორი წყრიალი.

ვხედავ, რომ ძმები ცელავენ სათიბს  
და მამაჩემიც ისევ მხნედ არი, —  
დედის ნანაში საშობლოსათვის  
კადვე იზრდება ერთი მხედარი.

მყინვარის ქიშხე ანათებს მთვარე,  
ნამგალა მთვარე — თეთრი საყურე —

და მყინვარწვერიც დარიალის მთებს  
პატარძალივით ზედ გადაჰყურებს.

ამ ხეობაში ჰყვოდა მაშინ  
ჩემი ბავშვობა, სიმღერით საესე,  
და მტკივა გული, რომ ორბას ფრთაში  
სიმღერა იგი ვერ მოვათავსე.

ახლა სად არის ის სიყმაწვილე,  
შენ რომ გებარა, ადგილის დედავ?!  
დაუკეცნია ფრთები არწივებს  
და ძველი სახლის ერდოზე სხედან.

გაჰქრა ზმანება, დავხურე კარი.  
ძველი სახლიდან წასულა ყველა...  
მხოლოდ ჭერბოში გრიალებს ქარი  
და აკვანს არწევს ვით საქანელას.

აქ აღარ დადის მოხუცი მამა,  
დედაც აკვანთან მხედება აღარა,  
აღარ გაისმის ტბილმშობლიური  
დედის ნანა და მამის ნალარა.

ღვას სიჩუმეში, მყინვარის ახლო,  
ის ძველი სახლი ახლების ბედად  
და ლადარივით კერაზე სახლობს  
ჩემი ბავშვობის ადგილის დედა.



პ ი ა თ უ რ ა \*

ჭიათურა ჩემი მშობლიური ქალაქია და იგი, ცხადია, ყველაზე ნაცნობი კუთხეა ჩემთვის. მე აქ დავინახე და შევეგრძენი პირველად სამყარო. ეს სამყარო მაშინ დიდად მიმზიდველ სანახაობას არ წარმოადგენდა. ყველაზე აღრინდელი შთაბეჭდილება, რაც ჩემს მეხსიერებაშია ჩარჩენილი, ესაა ცამდე ამართულა, შავი ქვის მტვერით შემურული, ჭიპიანი კლდეება.

არავინ იცის, საიდან ან როდის წარმოიშვა ეს უცნაური სახელი — ჭიათურა! მე ყოველთვის მაინტერესებდა ამ სიტყვის წარმოშობა. სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში აქვს სიტყვა ქეო, რაც ნიშნავს კლდის ნაწყობს. ქეოდ-ჭეოდ — ნაწყობ-ნაწყობად. იქნება ეს სახელწოდება სწორედ აქედან წარმოდგება და იგი პირველად გამოითქმებოდა, როგორც ქეოთურა, რომელიც შემდეგ ჭიათურად გადაკეთდა. ან შეიძლება, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, იგი წარმოდგება სიტყვა ჭიადან, რაც ძველ ქართულში ერთგვარ მადან ნიშნავდა, მეტალურგიაში რომ ხმარობდნენ და სიტყვა ჭიაფერიც აქედან უნდა წარმოდგებოდეს. იქნებ ამ სახელს კავშირი აქვს ჭიქასთან. საბო ორბელიანის განმარტებით, ჭიქა კეთთა მიერ გამოდნობილი ქურქელია, ხოლო ჭიათურის მიდამოები, მე მახსოვს, საესე იყო კეთით. შესაძლებელია ძველად ჭიქის დნობის ტექნოლოგიაში მარგანციც იყო გამოყენებული და ამიტომ ამ ადგილს, სადაც ეს ორივე მადნეული მოიპოვებოდა, ან, შესაძლებელია, აქვე ჭიქის წარმოებაც იყო, ჭიათურა ერქვა და იგი ჭიათურად გადაკეთდა. აქვე უნდა

დავძინოთ ისიც, რომ ჭიათურის ახლო ერთ ადგილს, ჭქვია ჭიქაურა. ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში, ამ სახელწოდების სწორი განმარტება ჯერ დადგენილი არა გვაქვს და მომავალში, იმედია უნდა ვიქნინოთ, ჩვენი ენათმეცნიერები ამასაც აგვიხსნიან.

ძნელია იმის დადგენაც, თუ როდის დაერქვა ეს სახელი ამ მიდამოს, შემდეგში რომ იგი ახლად დაბადებულმა ქალაქმა მიისაკუთრა. საგულისხმოა, რომ ასეთივე სახელწოდების ადგილი თუ ნაოფლარი მე ვნახე ძველ ტაოგრაფიულ რუკაზე აღნიშნული ხევის რაიონში. არც ვახუშტის გეოგრაფიულ აღწერილობაში, არც სხვა რომელიმე ისტორიულ საბუთებში ეს სახელწოდება მე დღემდე არ შემხვედრია. იგი მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნედან იხსენიება.

ვერტიკალური მაღალი კლდეებით გარშემორტყმული ჭიათურა გიგანტურ თუჯის ქვაბს გვაგონებს. ამ ქვაბის ფსკერზე და გამოფიტულ კლდოვან ფერდობებზე გაშენდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სრულიად ახალი ქალაქი. ჩემი ბავშვობის ხანაში ეს ქალაქი მოუკირწყლავი, ოღორჩოლო, ქვიანი ქუჩებით, უწყალსადენო, უკანალიზაციო, უფრო ბინძურ ორმოს წაავადდა, ვიდრე ნამდვილ თანამედროვე კეთილმოწყობილ ქალაქს. ყოველი მოსახლე, რომელსაც აქ ფიცრული ქოხი აეშენებინა, თვლიდა, რომ ის დროებით იყო მოსული, ფულის მოსახვეჭად, რომ შემდეგ ან თავის მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდებოდა ან უფრო უკეთესი ადგილი აერჩია მუდმივ სამოსახლოდ. ფიცრული ღუქნები, ქუჩაში მიმავალი ჩალვადრები, მეურმეები, ყველაფერი და ყველა შემურული და შეღებილი იყო

\* ნარკვევების ციკლიდან: „ნიცნობი ადგილები“

შავად. მარგანეცს ეზიდებოდნენ ცხენებით და ურმებით. კლდეებზე ჩამოკეცილ და ხეობაში ჩაკლავილ ვიწრო საურმე გზებზე მუხლამდე იდგა ხრილივით წმინდად დაფქვილი შავი მტვერი. წამოუბერავდა ქარი და მზის ჩახურებულ ამ კლდოვან გიგანტურ დერეფნებში რაღაც ჯოჯოხეთური ბორიაცი ტრალვდა. მარგანეცის საზიდი გზა ბაზრის ვიწრო შუკებშიაც კი გადიოდა. შავი ქვით გამურული ფიცრული დუქნები, ხარაზების სახელოსნოები, სამჭედლოები, ბერძნული ყავახანები, სამორინეები და ბინძური სამიკიტნოები ერთმანეთს ისე მიჰკროდნენ, თითქოს ხორუმის თამაშს აპირებდნენო. დილიდან საღამომდე იყო გაუთავებელი ჩხუბი, აყალბაყალი, კეტების ხათქუნი, რევოლვერების სროლა, მთერალი ხალხის ღრიანცელი, უშეერი გინება, ხანჯლეების ტრიალი. მიკიტნები თამბაქოზე და წიწკაზე აყენებდნენ ღვინოს და ასეთი სააპო სასმელით უმასპანძლდებოდნენ ყოველი კუთხიდან მოხეტებულ ბედისმაძიებლებს. ვის არ ნახავდით აქ. საქართველოს ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ ღარიბნი და უმიწაყლონი, რომ მალაროში ემუშავათ, მაგრამ უფრო მეტი უცხო ქვეყნებიდან მოემურებოდა სიმდიდრის მოსაპოვებლად, კისერჩასუქებული ფრანგი, ყანჩასავით აწოწილი ინგლისელი, ტახივით ნასუქი გერმანელი, ინდაურივით გაფხორილი თურქი, ყბედი ბერძენი, წითელწვერა სპარსელი, კიკინებმოზრდილი ტანსაცმელშემოფლეთილი ებრაელი და ყოველი ჯუარის, ყოველი სარწმუნოების ბედის მადიებელი მოისწრაფვოდა კვათურისაკენ, რათა მუშათა მიერ სიმწრით მოპოვებული ზელფასისთვის ყოველი ფეხის ნაბიჯზე მახე დაეგო. ბევრჯერ მინახავს სამიკიტნოდან გამოსული და თავისი სოფლისაკენ ბარბაციით მიმავალი მთერალი მუშა. თავით ფეხებამდე მარგანეციით ზანგივით შავად შემურულს, დაფლეთილ დაძინილ ტანსაცმელიანს მარტო კბილები უჩანდა თეთრად. ერთი კვირის განმავლობაში ათჯერ და ასჯერ

გაძარცულს (მას ატყუებდნენ მოიჯროდრენი, მწონაეები, ამზომი ტექნიკოსები, არტელის მეთაური, კანტორის მოხელენი) ის ორიოდ გროში, რაც კი შერჩენოდა, მიკიტნისათვის დაეტოვებინა და „გამზიარულეული“ იმ საზიზლარი სასმელით, რომელსაც კვათურელი მიკიტნები ღვინოს ეძახდნენ და ნამდვილად საწამლაეი იყო, სიმღერით მიფრატუნებდა ბინისაკენ, აღმართში, და ხან კლდეს ეხეთქებოდა ხან თრიმლის ბუჩქებს.

მუშის ბინას ყველაზე ხშირად წარმოადგენდა ღია ცის ქვეშ გვირაბის პირას მიწაზე წაფენილი ტომრის ნაგლეჯი ზაფხულობით, ხოლო ზამთარობით პირდაპირ გვირაბი. მართალია, ასეთი ბინა ცოტა საფრთხილო იყო, რადგან გვირაბს ბიგებით იშვიათად თუ ვინმე ამაგრებდა, მაგრამ მაინც ეს სჯობდა თოვლში ან წვიმაში ღია ცის ქვეშ წოლას. იქ ოდნავ მაინც სიმშრალე იყო და გარედანაც სუფთა ჰაერი შემოდიოდა. ლაბირინტივით მიხვეულ-მოხვეულ გვირაბებში ბნელოდა და ნესტიანი შეხუთული ჰაერი იდგა. მარგანეცს მტშები წერაქვებით ჰრიდნენ და გარეთ ზელით საგორებელი ურიკებით ან, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ტაქებით“ ეზიდებოდნენ. სანგრევთა გასანათებლად მუშას ეძლეოდა ნავთის ჰრაქი, რომელიც ისეთ ბოლს აყენებდა, რომ ბნელ გვირაბს კიდევ უფრო აბნელებდა.



ძნელად შეიძლება ადამიანმა წარმოადგინოს ისეთი თავისებური ადგილი კვათურის მიდამოებში, როგორცაა ყვირილის ხეობა. ეს ხეობა წარმოადგენს კლდოვან დერეფანს, რომელსაც მარცხნიდან და მარჯვნიდან ასეთივე დერეფნები უერთდება.

ზავშვობის დროს, ტომ სოიერის თავგადასავლით გაბრუებულს, არაფერი არ მიზიდავდა ისე, როგორც ის მიუვალი გამოქვაბულები, რომელნიც ამ კლდეთა შვეულ კლდეებშია გამოკვეთილი. ეს

გამოქვაბულები დღესაც მიზიდავს თავისი წარსული საიდუმლოებით, რადგან მიუვალობის გამო არც ერთი მათგანი ჯერ კიდევ მეცნიერულად გამოკვლეული არ არის.

„...ამ ყვირილას იქით და აქეთ კიდენი არს ფრიად მაღალი კლდე და არაან მას შინა ქვაბნი მრავალნი, გამოკვეთილნი სახიზრათ და შეუვალი მტრისაგან, და საკურველი ვითარ უქნიათ. და დადგა ესენიცა ეამთა ყრუსასა...“ (ვახუშტი გვ. 156).

„...თემურ ხელმწიფემ... ბარდას იხამთრა და გაზაფხულისას დიდის ლაშქრით იმერეთს მეფეს გიორგიზედ გაილაშქრა... იმერეთი აყარა და ქვაბთა და ციხესა მაგარს მთებში შეიხიზნა. და თურქთ მეომარნი კილობნებში ჩასხეს და საცა ქვაბებში ხიზანი იყო, იმის კარებზე საბლით ჩაპკიდეს და შიგნიდან ქართველნი და გარედან თურქნი, დაუწყეს ერთმანეთს ცემა და სროლა, ზოგს საბელი გაუწყვიტეს და კილობნიანთ ჩაიმტვრივნეს, დაიხოცნეს და ზოგან ძველძველნი შეაყარეს ნეთით დასველებული და ცეცხლი შეუკეთეს და რომელსაც ქვაბს კომლის გასასვლელი გზა არ ჰქონდა დაირჩენეს და რომელსაც კომლის გასასვლელი გზა ჰქონდა ვერა აწყინეს რა და ზოგან შიგნიდან ძალი მოატანეს და ძველძველი წაართვეს, ვერცარა ამით აწყინეს და რომელსაც საკომლე არა ჰქონდათ და ვერც ძველძველი წაართვეს ისინი კომლმა დაახრჩო და ქვაბი აიღეს და თუ რამ შიგ იყო წაიღეს და იმ ერთის გზობით თხუთმეტე ციხე და ქვაბი აიღეს და ვინც დაიჭირეს, თუ გაათათრდეს გაუშვეს, თუ არ გაათათრდნენ, დახოცეს...“ (ფარსადან გორგჯანიძე, „სასიტ. მოამბე“, გვ. 302)

ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ გამოქვაბულში ჰიათურელმა მოსწავლეებმა მოახერხეს შესვლა და იქ აღმოაჩინეს ფოლადის წვერიანი ისრები. ეშვი არ არის, რომ ეს ისრები თემურლენგის მეომრების მიერ არის ნასროლი, როდესაც ქართველი მოსახლეობა გამოქვაბულში აფარებდა თავს. ზოგი-

ერთებს ეს ისრები საეარჯიშო ჰგონიათ, რადგან ისინი ხისაგანაა დამზადებული და მხოლოდ წვეტი აქეთ ფოლადისა. მათი აზრით, ისარი მთლიანად ლითონისა უნდა იყოს. ეს, ცხადია, სწორი არ არის. ისრები რომ ძველად ხისაგან მზადდებოდა, ამის დამამტკიცებელი ძალიან ბევრი საბუთი მოგვეპოვება და ერთი მათგანი თუნდაც ის ძველი იგავია, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ დაუმტკიცა მეფემ შვილებს ერთობის ძალა, როდესაც მათ გადასატეხად გაუწოდა ისრის კონა, რომელიც ვერც ერთმა ვერ მოდრიკა, ხოლო სათითაოდ ყოველი მათგანი ადვილად გატეხეს.

ეს გამოქვაბულები მოინახულა აგრეთვე ინჟინერმა მშვენიერაძემ. მან კიდევაც აგეგმა ყოველი მათგანი და ამ თავის გამოკვლევას რამდენიმე სტატიაც კი მიუძღვნა, იმის შემდეგ კიდევ იყენებ იქ ჰიათურელი ალპინისტები, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმეოდ ძნელ ასვლებს მხოლოდ სპორტული ხასიათი ჰქონდა და მასში მონაწილეობა არ მიუღია არქეოლოგს. საქმე ისაა, რომ ეს გამოქვაბულები გაცილებით ძველია, ვიდრე ეს ზოგიერთს ჰგონია, და იგი, უქველად, თუ პალეოლითის არა, ნეოლითის ხანას უნდა ეკუთვნოდეს. მართალია, იგი შესაძლებელია გამოყენებული იყო უახლოეს, ქრისტიანობის ხანაშიაც, მაგრამ იქ აუცილებლად უნდა იყოს შენახული უძველესი, ქვის ხანის კვალი ეგრეთწოდებულ „კულტურულ ფენაში“, იატაკის მიწაზე, რასაც სპეციალისტის ხელით შესწავლა და გამოკვლევა უსაზროვბაა. შესასწავლია აგრეთვე გამოქვაბულის გასწვრივ, კლდის ძირას ნაყარი მიწა, სადაც ბევრი უნდა იყოს სხვადასხვა სახის მიკროლიტები. ბავშვობის დროს ჩვენ იქ ძალიან ხშირად ვპოულობდით კაყის ნაშხვრეკებს. ეს იმ დროს, როდესაც მთელი ის მიდამოები მხოლოდდა მხოლოდ კირქვის ზოლს წარმოადგენს. მომავალში, როდესაც ჰიათურის კლდეებში გამოკვეთილი ქვაბები შესწავლილი იქნება, მკვლევარები აღ-

ბათ ზუსტად აღადგენენ საინტერესო ისტორიულ მოვლენებს და თვალწინ გადაგვიშლიან წარსულის სურათებს.



როგორც ცნობილია, კიათურის საბადოები ჩვენმა გენიალურმა პოეტმა აკაკი წერეთელმა აღმოაჩინა. პირველად მან მოაქცია ყურადღება საჩხერიდან ქუთაისისკენ მგზავრობის დროს იმ ქვაგუნდას, რომელიც უხვად ეყარა გზაზე. მან ამ ქვის ნიმუში უჩვენა თბილისში იმ დროს მომუშავე ცნობილ რუს გეოლოგს სიმანოვიჩს. მეცნიერმა გეოლოგმა განუმარტა პოეტს, რომ ეს არის ლითონი მანგანუმი და პოეტის შეკითხვაზე, გამოსადგვია რამეში ეს ლითონი თუ არაო, უპასუხა: მგონი დასავლეთ ევროპაში ამ ლითონს მეტალურგიულ მრეწველობაში უნდა იყენებდნენო.

ამის შემდეგ პოეტი ამ მადნეულის ერთუზიასტი გახდა. ის დაინებით ურჩევდა ყოველ შეძლებულ ადამიანს, ხელი მოეკიდა მარგანეცის მადნის დამუშავებისთვის, მაგრამ როგორც თვითონ პოეტი იგონებს, მას არათუ თანაუგრძნობდა ვინმე, პირიქით, ყველა დასცინოდა და ამასხარაებდა. მაშინ პოეტმა გადაწყვიტა, თვითონ მოეკიდა ხელი, იშოვნა ცოტაოდენი ფული და შეუდგა ამ საქმეს, მაგრამ იგი მაშინ არცთუ ადვილი იყო. ჩვენს დიდებულ პოეტს არ ჰყავდა სამთო საქმეში დახელოვნებული არც მუშა და არც ტექნიკოსი. ამოღებული მადანი უნდა დაეტვირთა ცხენებზე, რადგან, საცხენოსნო ბილიკის გარდა, კიათურიდან ზესტაფონამდე მეტი გზა არ იყო და ორმოცდაათი კილომეტრი ასე უნდა ეზიდა რკინიგზამდე. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მან მოახერხა პირველი პარტია მარგანეცისა გავზავნა რუსეთში და საზღვარგარეთ. პოეტმა მიზანს მიადგინა, მან შეძლო დაინტერესებულ პირთა ყურადღება მიექცია კიათურის მარგანეცისათვის, თუმცა თვითონ ჯილდოდ ის მიიღო, რომ დასაწყისშივე გაკოტრდა და მოვალე-

ებისაგან ძლივს დაიხსნა თავი. სამაგიეროდ, კიათურას საკრამენტოსკავით გუგარდა სახელი და ყოველივე მისი დაიძრნენ ბედის მაძიებელნი. სულ მალე იმ ადგილას, სადაც თრიმლის ბუჩქების, ძვლებივით გამოფიტულ და უცნაურად დაჩვრეტლ კირკვებზე დასკუპებული მუშტისოდენა ლოკოკინების, მზისგულზე სანადიროდ გამოსული ხვლიკებისა და ასრიალებული უნასების მეტი არა იყო რა, სწრაფად გაშენდა ახალი ქალაქი, რომელსაც კიათურა ეწოდა.



მე არ მახსოვს 1905 წლის რევოლუციონური ამბები, რადგან მაშინ ორი წლისაც არ ვიყავი, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში ჩარჩა ერთი მომენტი. ეს იყო რეაქციის წლებში. ჩვენ მაშინ რკინიგზის სადგურის უკან დაქირავებულ ოთახში ვცხოვრობდით, დაახლოებით იმ ადგილზე, სადაც ახლა ქალაქკომის შენობაა. დედაჩემი ხელსაქმით იყო გართული, დეიდაჩემი თუნუქის ქურას უქეთებდა, მე კი ოთახში დავბოდი, როდესაც მომესმა ქუზილივით სროლის ხმა. ჯერ რამდენჯერმე დაიქექა. შემდეგ კი ატყდა ყურისწამლები ბათქაბუთქი. ჩვენს კარებს ეილაცა მოაწყდა და თავგამეტებით დაუწყო ბრაზენი. უცნობი გვემუდარებოდა, დამშალეთო. დედაჩემმა კარი გაუღო და ჩვენს ოთახში შემოვიდა ყელშებვეული ახალგაზრდა მუშა. ის თურმე საავადმყოფოდან გამოწერილიყო და შემთხვევით წასტეხოდა ამ ალიაქოთს. მე ტახტის ქვეშედან ვუცქეროდი უცნობ მაშაკაცს. მთელი ეს ამბავი უცნაური სიცხადით ჩარჩა ჩემს მეხსიერებას, მას შემდეგ ორმოცდაათმა წელმა განვლო და ახლაც ცხელად ვხედავ იმ ჩვენს პატარა ოთახს, კარებთან ტაბურეტზე ჩამოძვლარ ფერმერთაღსა და ტანმოკრილ მუშას, რომელიც გაქირავებით ლაპარაკობდა (მას, მგონი, ხუნაგი მოეხადა). შემდეგში, როდესაც წამოვიზარდე, ცხადია, დაწვრი-



ლებით ვაგიგე, თუ რა მოხდა იმ დღეს. ტერორისტები თავს დასხმოდნენ ქუთაისის პოლიცემისტერს ლავრენტი მახარაძეს.

მახსოვს ის სახლიც, სადაც ჩვენ ამის შემდეგ ვცხოვრობდით და სადაც ბოლშევიკური არალეგალური სტამბა იყო მოწყობილი. მამაჩემი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი იყო და ბოლშევიკურ ფრაქციას ეკუთვნოდა. მე, ცხადია, მაშინ ისე პატარა ვიყავი, რომ არც ის მინახავს, როგორ მოიტანეს ჩვენს სალორეში სტამბა და არც ის, როგორ გაიტანეს იქიდან. მხოლოდ ის პატარა სახლი თავის ფიცრული პარამლით, ოჩაფებზე შედგმული პატარა სახლი, კარგად მახსოვს.

ერთხელ, ბავშვებთან თვალდახუჭუნას თამაშის დროს, სალორეში შევეჭერი. იქ სილას რომ ფეხი წავკარი, რაღაც ლითონის ჩხირები დავიწახე. მოვქექე სილა და ეს ჩხირები ავკრიფე. გამოვიტანე გარეთ და, როდესაც შევათვალიერე, ეს რა კარგი სათამაშო ვიპოვე-მეთქი, დედასთან ვავიქეცი და ვაჩვენე.

დედაჩემმა ერთი კი იკივლა, ეს ვინ მოგვყო, გამომგლიჯა ხელიდან და სად გააქრო, არ ვიცი. მე კი ერთი-ორჯერ წამითაქა და სალორეში ძრომა სასტიკად ამიკრძალა. საქმე ისაა, რომ, როდესაც სტამბა ჩვენი სალორიდან გადაეტანათ, მიწიან იატაკზე შრიფტი დაბნეოდათ. მართალია, უმეტესობა აეკრიფათ, მაგრამ რაკი ძალიან ჩქარობდნენ, პოლიცია რომ აწლოვდებოდა, ამ ჩაბნეული ასოების მთლიანად მოჭენის თავი აღარა ჰქონდათ. დედაჩემს ესლა მოესწრო, რომ სოხანე ცოცხით მიესწორ-მოესწორებინა და ზემოდან მტვრად ქცეული მიწა წაეფარებინა.

მე კი ავკრიფე ეს ასოები, მათ ჩემი კუთხით აგურები დავარქვი და ხუხულას აშენებას ვაპირებდი, კიდევ კარგი, რომ თვალი არავის მოუქრავს, რაც ხელში მეჭირა, თორემ კარგი დღე არ დაგვადგებოდა.

შემდეგში ჩემს მეხსიერებაში განსაკუთრებით აღიბეჭდა ათას ცხრაას ცა-

მეტი წელი. მაშინ მე უკვე ათი წლის ბიჭუნა ვიყავი და ვემზადებოდი ქუთაისის რეალურ სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად. მამაჩემის ოცნება იყო, ინიენერი გამოვსულიყავი. ქიათურაში მაშინ მხოლოდ ერთი ოთხკლასიანი „გოროდის კლასი“ იყო. ეს წელიწადი მე იმიტომ დამამახსოვრდა, რომ მაშინ არაჩვეულებრივი გაცხოველებული მუშაობა წარმოებდა ქიათურაში. არათუ დღისით, არამედ ღამითაც განუწყვეტლად ეზიდებოდნენ ურმებით მადანს ქიათურის საწყობებზე და ასევე განუწყვეტლად იტვირთებოდა რკინიგზის ვაგონები. დღედაღამ იდგა ყურისწამლები ხმაური. სადაც არ უნდა წასულიყავი, ყველგან ისმოდა მეურმეების ყაყანი, დახურულ ღარებში წამოსული მადნის რაბარუხი, სარეცხი ქარხნების ჩახჩახი, ძრავების ბათქაბუთქი, ორთქლმავალის სტვენა, მარგანეცი დატვირთული მატარებლების ტაბიტუხი. მეორე წელს კი ომი დაიწყო და ქიათურის წარმოება უცბათ ჩაქრა. მიჩუმდა ყველაფერი: გორებად ამართულ მარგანეცის ზეინებზე ძურწა ბალახი აბიბინდა. წვიმებმა შავქვიანი მტვერი ჩამორეცხეს ყველაფერს, აქამდე ჩინური ტუშვიით შავი, მღვრიე ყვირილა დაიწმინდა და საბანაო მორევეებში მხიარულად ადგაფუნდნენ ბავშვები. ჩვენთვის ეს ნამდვილი დღეობა იყო, რადგან დილიდან საღამომდე წყალში ვჭყუშმალობდით. მცხოვრებთა უმრავლესობა იძულებული იყო სხვაგან ეძებნა სამუშაო. ვაჭრები დაღვრემილნი ისხდნენ თავიანთ დაცარიელებულ ღუქნებში. ხანდახან უცბად მოისმოდა ტყვიამტრქვევისებრი რახრახი და კლდეებიც ბანს გამოსცემდნენ. ეს ერთ-ერთი მაღაზიის მეპატრონე და ველოსპორტის მოყვარული ჩიხელიძე თავის მოტოციკლს ამუშავებდა. საერთოდ, ქიათურაში არ არსებობდა არავითარი გზა, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყო არათუ მოტოციკლით, თუნდაც ველოსიპედით გავლა. მაშინდელ საურმე გზებზე იმერულ ფრჩხ-

ლებიან ურემებს მხოლოდ ერთი მიმართულებით შეეძლოთ მოძრაობა და ორი ურემი ერთმანეთს გვერდს ვერ შეუვლიდა. მაგრამ, გარდა ამისა, ეს გზა ისეთი ოღორაოღორი იყო და ალაგ-ალაგაც ისეთი აღმართდაღმართი, რომ ამგვარ გზაზე, ცხადია, მოტოციკლეტის ტარება ასევე შეუძლებელი იყო, როგორც კამეჩთან ფოქსტროტის ცეკვა. ჩიხელიძე მოტოციკლეტით სეირნობის სურვილს იმით იკლავდა, რომ წელიწადში ერთჯერ ან ორჯერ თავის დუქნის წინ გამოიტანდა ამ მექანიკურ ბედაურს და კარგახნის ჩხიკინის შემდეგ ამუშავებდა. მანქანას ხმის სახშობი მოხსნილი ჰქონდა და იმისთანა ბათქაბუთქი ატყდებოდა, მთებიც ისეთ ბანა აძლევდნენ, კაცი იფიქრებდა, ერთი ოცდაათი ტყვიამფრქვევი ისვრისო.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ფრანტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა ჭიათურაში სხვა იარაღებთან ტყვიამფრქვევებზეც ჩამოიტანეს და რომ აუყვნენ პერევენის აღმართს, რომელიც ჭიათურას დაჰყურებს, ტყვიამფრქვევები კლდეს დაუშინეს. ხალხს არ სჯეროდა და ეგონა, ჩიხელიძემ ისევ ამუშავა თავისი უძრავი მოტოციკლიო.

არ დამავიწყდება აგრეთვე საჩინო ვაშაძის დამბაჩა. ეს საჩინო ბრმა იყო და ქალაქში პატარა ბიჭს დაჰყავდა ხოლმე. ყოველ წელიწადს, ნათლილება დღეს, ჭიათურის შუა ხიდთან (ქალაქს ოთხი ხიდი ჰქონდა — ორი საურმე და ორიც საცალფეხო) იორდანე იმართებოდა და წყლის კურთხევის შემდეგ როგორც კი ჩაუშვებდნენ ჯვარს წყალში, ატყდებოდა ტრადიციული სროლა, ისროდნენ ყველანი, პოლიციელებიც, კერძო მოქალაქეებიც, საერთოდ, ვისაც კი იარაღი ჰქონდა. მაგრამ ყველაზე საოცარი საჩინოს დამბაჩა იყო. ამ პატარა და ძველებურ იარაღს ისეთი ხმა ჰქონდა, რომ რომელი ზარბაზანი შეედრებოდა. ისე დაიქუხებდა, რომ მთელ ქალაქში ფანჯრებს ზრიალი გაჰქონდა და მის ხმასთან მაუზრების ხმა ბავშვის პისტონიებიან თუნუქის რევოლვერების წკაპუნს

წაგავდა. დატენიდა პატარა ბიჭი დამბაჩას, მიაწოდებდა მოხუცს, გამოუსვამდა ეს ბერიკაცი თითს სასტრელს და... გვეგონებოდა, ეს მაღალი ვლადებენ წამოვიდა და ქვეყანა იქცევაო.

ბევრი საინტერესო და თავისებური ტიპი ჰყავდა ჭიათურას, მაგრამ ჩემს მენსიერებაში განსაკუთრებით ჩარჩნენ უბედური აღამიანები. ვერსად ვერ ნახავდით ბედისაგან განწირულ იმდენ არსებას, რამდენსაც ამ ქალაქში. ზოგიერთი მათგანი გამწარებით ებლაუქებოდა ხავსს და ცდილობდა იმ ნაპირზე გასულყოყო, სადაც ბედნიერნი სიმდიდრის წალკოტში განასვენებდნენ. უმეტესობა კი შეგუებოდა თავის არსებობას და სწორედ ამისთანებზე იყო ზედგამოტროლი პუშკინის სიტყვები:

Привычка свыше нам дана,  
Замена счастья она.



ქალაქ ჭიათურის რკინიგზის სადგურზე, რომელიც ახლაც კი ერთ-ერთ მთავარ სასეირნო ადგილს წარმოადგენს ჭიათურელებისათვის, ამ ბოლო ხანამდე კიდევ ნახავდით ერთ ახოვან, საკმაოდ ხანში შესულ მოხუც კაცს შილიფად ჩაცმულ გაცრეცილი ჩოხით და მელოტ თავზე ჩამოფხატული სვანურ ყაიდაზე შეკერილი ტილოს ქუდით. ის მუდამ პირქუშად დააბიჯებდა სადგურის ბაქანზე, რაღაცაზე გულმოსული. ხანდახან ხელით შეისწორებდა თავზე საცოდავად ჩამომკნარ ქუდს და თვალით ნაცნობებს დაეძებდა. თუკი ასეთს ვინმეს მოჰკრავდა თვალს, თუნდაც პატარა ბავშვი ყოფილიყო, საოცარი თავაზიანი ღმილით გაეშურებოდა მისკენ, გამოაჩენდა თავის ჩამავებულ და ჩამსხვრეულ ორიოდე კბილს, დიდი მოწიწებით ჩამოართმევდა ხელს და ჩვეულებრივი მისალმება მოკითხვის შემდეგ აუცილებლად იტყოდა:

— ზეგ ირჩევა საქმე, სულებნი პრისუსტვიაში! ო, მაგ ღორი გიგო...

და თუ ნაცნობი ღროზე არ გაეცლება, მოხუცი მოულოდნელად შეიპყრებოდა აკვიტებულ აზრების მორევში, დაიწყებდა ყვირილს, მუქარას, ღრენას და მუშტების ტრიალს:

— ო, მაგ ღორი გიგო სამხელიძე... მე მაგას... მე მაგას, კაცი არ ვიყო თუ... მე მაგას...

ეს მოხუცი ნავარძელი ღარიბი აზნაური იყო. ჭიათურელი ბიჭები მას „მიხა ყვავს“ ეძახდნენ, რადგან თავისი გარეგნობით, ფორიალა ჩოხის კალთებით, მუდამ გაუბარსავი წვერით, სიარულით და მიხვრა-მოხვრით, აქით-იქით სწრაფი მიმოხედვით და თავისი მჩხავანა ხმით მართლა ყვავს გაგონებდათ.

სოფელი ნავარძეთი ჭიათურიდან, მართალია, ძალზე ახლოა, მაგრამ იქ მარგანეცის საბადოები არ მოიპოვება. როდესაც ჭიათურის მიდამოებში მარგანეცის წარმოება დაიწყო, ყოველი მიწის მებატონე, გლეხი იყო ის თუ აზნაური, თუკი მისი მიწის ნაკვეთის ქვეშ მარგანეცი მოიპოვებოდა, გამდიდრების სურვილმა შეიპყრო. ზოგი იჯარით აძლევდა მრეწველს თავის მამულებს მადნის გამოსაღებად, ზოგი თვითონ ჭრიდა გვირაბებს, ზოგი მთლიანად ყიდდა საბადოს და მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე იყო გაუთავებელი ვაჭრობა, ზღმუკრულებების წერა, სასამართლოებში დავა და ჩხუბი. ძმა ძმას ეკიდებოდა მტრად, მამა — შეილს, მეზობელი — მეზობელს და, ვინ მოთელის, რამდენა უბედურება, რამდენი თოფის სროლა და ხანჯლების ტრიალი მოჰყოლია გამდიდრების ციებცხელებით შეპყრობილ ადამიანთა ამ დაეპყრობას.

ნავარძელელებს მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, რომ შორიდან ეცქირათ რგანელთა, მღვიმეველთა, შუქრუთელთა და ითხვიხელთა ამ ორომტრიალისთვის და ისევე თავიანთი მწირი მიწების იმედად ყოფილიყვნენ. მიხაც მათ რიგებში უკრია. მხოლოდ მას თვითონ ჭიათურაში, რგანისკენ მიმავალი ხეობის დასაწყის-

ში, ლელის პირად, ეკუთვნოდა ერთი სრულიად უსარგებლო ემეწის ნაკვეთი, თუკი შესაძლებელია ასეთი სასჯელის ვეწოდოთ გამოფიტულ კირქვის კლდოვან ოღრთიღრთ ფერდობს, რომლის, ცხადია, არც დახენა შეიძლებოდა და არც დაბარვა. იგი აღაგ-ალაგ დაფარული იყო ძურწა ბალახით და მხოლოდ ორ თუ სამ ადგილას ამოზრდილიყო თრიშლის საცოდავი ბუჩქი. ეს მიწის ანუ, უფრო სწორად, კლდის ღორღის ნაკვეთი, ქვედა მხრით გზას ებჯინებოდა, ხოლო ზედა მხრით — ფრიალო კლდეც. ცხადია, ასეთ ქარაფზე არც რაიმე დაითესებოდა და არც დაირგებოდა ოდესმე, მაგრამ როდესაც ქალაქმა ჭიათურამ გაშენება დაიწყო, ამ ადგილსაც დაედო ფასი. ვინაიდან ამ ჩვეს ღარიბ აზნაურს ჭიათურის მიდამოებში ამის მეტი არაფერი არ გააჩნდა, იფიქრა იქნება ამით მაინც მოვითბო ხელი და დაფუკურდა.

იმ ხანებში სახელგანთქმულმა შავიქვის პირველმა მრეწველმა, ყოფილმა მქედელმა და შემდეგში დიდმა სოფელგარმა გედევან ჩუბინიძემ ეს ადგილი მიხასაგან იჯარით აიღო, მგონი, თხუთმეტი თუ ოცი წლის ვადით და ზედ თავის კანტორისთვის ევროპულ ყაიდაზე ააგო მშვენიერი ორსართულიანი თლილი ქვის შენობა, თუნუქით დახურული, კოხტა ბიწვებით, კრიალა ოთახებით, შედებილი იატაკებით და კეთილმოწყობილი სათავსოებით. ააგო და მიხას შემპირდა, საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ ამ შენობას შენ დაგიტოვებო. (მიხა მგონი, შორეული ნათესავიც კი იყო ჩუბინიძის).

ეს თლილი ქვით ნაგები ორსართულიანი სახლი მაშინ განსაკუთრებულად გამოირჩეოდა მთელ ჭიათურაში იმ ფარღალალა ფიცრულ ქოხებს შორის, რომლებითაც მოფენილი იყო ამ ახალი ქალაქის კლდოვანი ფერდობები და იმერელი ღარიბი აზნაურებისათვის იგი ვერსალის ან ზამთრის სასახლეზე უფრო გრანდიოზულ შენობას წარმოადგენდა.

წლების განმავლობაში ელოლიავე-ბოლა ჩვენი მიხა ყვაევი საოცნებო აზრს, რომ ოდესმე ამ შენობის მფლობელი გახდებოდა. წლების განმავლობაში ყოველ დღე შინიდან ჭიათურისკენ მომავალი ჩაუვლიდა ამ სახლს, შეხედავდა, სინარულით აუტოკდებოდა გული, რომ იგი საბოლოოდ მისი იქნებოდა, საღამოობით კი, შინისკენ დაბრუნებული, ისევე შეხედავდა ამ სახლს და გულისფანქვლით ითვლიდა დღეებს და საათებს, რათა თავის სანუკვარ ოცნებას დაახლოებოდა.

ასე მიდიოდა წლები, ნელა ახლოვდებოდა ის სანეტარო უკანასკნელი წელიც, მაგრამ ბედმა მოულოდნელად უშუბთლა მიხას და ყველაფერი უკუღმა დატრიალდა.

ჩუბინიძეს სავაჭრო საქმეები ცუდად წაუვიდა და ეს თავის კანტორის შენობა ბანკში დააგირავა. როდესაც პირველი იმპერიალისტური ომი დაიწყო, მარგანეციის წარმოება სრულიად შეწყდა, ჩუბინიძეს უკვე სახსრები არ ჰქონდა, საბანკო ვალები დაეფარა და კანტორის შენობა ბანკმა საჯარო ვაჭრობით მიპყიდა მეორე მრეწველს გიგო სამხელიძეს.

ჩვენს მიხას კი პირში ჩალა გამოევილო.

ახალმა მებატრონემ შუამავლები მიუგზავნა მიხას, ეს ადგილი, რაზედაც ეს შენობა დგას ან მომყიდვ ან საიჯარო ხელშეკრულება განმიახლეო.

მიხამ მოციქულები კინალამ ხანჯლით გამოფატრა. ჩემი ადგილის გაყიდვა რომ მდომოდა, გედევან ჩუბინიძეს თავიდანვე მივყიდდიო. ადგილი ჩემია, დამიბრუნოს, ხოლო ეგ სახლი, სადაც უნდა, იქ წაიღოსო.

იცოდა მიხამ, რომ ქვიტკირის შენობის გადატანა შეუძლებელია და რაკი ადგილის ნაკვეთის ურყევი მებატრონე იყო, ეგონა, სამართალი ჩემს მხარეზე იქნება და სახლის ახალ მფლობელს თავის ნებით ავალბინებ ხელს ამ შენობაზეო.

სამხელიძემ, ცხადია, სახლი ვერსად წაიღო, ხოლო მიხამ სასამართლოს მიმართა და, გაწიწმატებულმა, მართლაც ადგილი ჩემია, იჯარით გაცემას აღარ ვაპირებ და მოპასუხემ თავისი სახლი სასწრაფოდ მომამოროსო.

წააგო საქმე მიხამ.

აეარდა და დაეარდა. დაკრა ფეხი და ქუთაისში გადაიტანა საქმე. იქაც წააგო. ამასობაში რევოლუცია მოხდა და მეფის მთავრობა დაემხო.

მაშინ კი დაიკაპიწა სახელოები მიხამ.

— მიყუროს ახლა გიგომ... ის ღორი... ის... ჭრთამებით რომ აკეთებდა საქმეს და სუდიებს ჯიბეში რო უტენიდა ფულს... ვევეერა... აღარ გაუვა... მაკალოს ახლა... ვალრიალებ დასაკლავი ბურვაკით.

მაგრამ ვერც თებერვლის რევოლუციამ უშველა მიხას საქმეს. მართალია, პირველ ხანებში მიწის საკუთრება კიდევ არსებობდა და ახალი სასამართლო საესებით კანონიერად სცნობდა ამ შემომამერელი აზნაურის უფლებებს მიწის ნაკვეთზე, მაგრამ მეორე მხარის უფლებებიც კანონიერად მიაჩნდა და ვინაიდან ქვიტკირის შენობის გადატანა შეუძლებელი იყო, ამიტომ მხარეებს შორაგება შესთავაზეს. სამხელიძე თანახმა იყო, ან ეყიდა მიხასგან ეს ადგილი ან სანაცვლოდ სხვაგან მიეცა მისთვის გაცილებით უკეთესი მიწის ნაკვეთი.

— რას ჰქვია, ჩემი ადგილი გაყი-დო, — აღრიალდა მიხა — გაყიდვა რომ მდომოდა, ჩუბინიძე შენზე ნაკლები ბიჭი იყო, ახლობელი, იმას ველარ მივყიდდი? სხვა ნაკვეთს რომ მთავაზობს, მე მაგას მასხარა ხომ არ ვგონივარ, ვითამ, თავის ჭკუით რომ მამბრიყვებს. ადგილს თუ იყიდის სხვაგან, რალას უცდის, იყიდოს და ეს სახლი გადაიტანოს.

— რადერ გადაიტანოს, ქვიტკირის სახლის გადატანა ვის გაუფონია — ეუბნებოდა მოსამართლე მიხას — მაგას ახალი ააშენოს ჯობია...

— არ ვიცი მე. ადგილი ჩემია, დამი-

ბრუნოს, არ დამიბრუნებს და ღორივით გამოვთვინავ...

— კაცო, მაგ სახლი თითონ ხომ არ აუშენებია, საიჯარო ვაქრობით მისცა ბანკმა.

— როცა ყიდულობდა მაშინ რატომ არ ფიქრობდა, ვის მიწაზე იდგა სახლი. მაგის მეტმა კაცმა არ ისურვა საიჯარო ვაქრობაში მონაწილეობა მიეღო, მარტო მაგ მიძინაძალა, მაგ ღღორი...

— იყიდე ეგ სახლი მისგან, არ უნდა, ნახევარ ფასში მოგცემს, ოღონდ შენს შარს გადაარჩეს. — არ ეშვებოდა მოსამართლე.

— ვიყილო? ვი-ყი-ლო? ჩემი სახლი მევე ვიყილო რა სინდისით მეუბნება მაგას. ეგ სახლი ჩემი იყო, ჩუბინიძეს პირობა ჰქონდა მოცემული საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ სახლი მე მრჩებოდა. პირობა დაწერილი ჰქონდა ნოტარიუსში. აბა რაღა გეგონათ თქვენ. იყიდეთ! უ, მაგ ღღორი... მაგ მომაცილებთ არ დამანახოთ, თორემ ჩადეჭვი მაგის ცოლ-შვილის ცოდვაში. ზვალ თუ არ დაუყენებია მუშები, სახლზე, დასანგრევად, ეს უღვაში აპარსეთ მიხა ქეშელიძეს თუ ამ ხანჯლით საიდგომო ღორივით არ დაეკლა...

ყვიროდა და ქაქანებდა უბედური, მაგრამ სასამართლომ ვერც მაშინ გაუმართლა იმედი.

კიდევ შეიცვალა პოლიტიკური ვითარება, დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და, თუმცა მიწის საკუთრება საერთოდ გაუქმდა, მიხამ კვლავ განაახლა თავისი საჩივარი. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა კერძო წარმოება და შავიქვის მრეწველებმა გააჩაღეს საქმიანობა, მიხა ისევ შეუდგა საჩივრისთვის ზრუნვას და ყოველ ნაცნობს შეხვედრის დროს აუცილებლად ეტყოდა:

— მმ, ზვალ ირჩევა საქმე, სუდეზნი პალატაში, მა-აგას კი მოვეუგრებ კისერს... მაგ ღღორს...

ასე დადიოდა ყოველ დღე მიხა თავის სოფლიდან ქიათურაში, ჩამოუვლიდა ამ თლილი ქვით ნაგებ შენობას, აემღვრე-

ოდა გული და გონება, გავიდოდა სადგურის უკან ქუჩაზე, სადაც სასამართლოს შენობა და საანტიკარნიკანტორია იყო მოთავსებული და სადაც მთელი დღის განმავლობაში სკასავით ზუზუნებდა ხალხი, იტრიალებდა ერთხანს მომჩივანთა და მოპასუხეთა შორის. თუ ვინმეს ხელში ჩაიგდებდა და მოასწრებდა თავის გულის კაეშანის გადაშლას, ხომ კარგი, და თუ არა, მაინც კმაყოფილი იყო. ხანდახან რომელიმე მათგანი სამიკიტნოშიც წაიყვანდა და გაუმასპინლდებოდა და ასეთი ბედნიერი დღე მას ძალიან ხშირად ჰქონდა, რადგან საქვეყნოდაა ცნობილი ქიათურელთა პურმარილობა.

სალამოს კი, შინისაკენ მიმავალი, ისევ აუვლიდა ამ სახლს, ისევ აემღვრეოდა გული და გონება...

სხვათაშორის, იმ კლდის თავზე, რომლის ძირასაც ეს სახლი იყო მიდგმული, მილიციის შენობისაკენ მიმავალი გზა მიუყვებოდა. იმდენად ახლო იყო სახლი მიდგმული კლდესთან, საკმარისი იყო ამ ბილიკიდან ერთი ნაბიჯი გადაგედგათ და უქვე სახლის სახურავზე იდგომებოდი.

ერთხელ, როდესაც მიხას ძალზე აეშალა კაეშანი, დაავლო ნაჯახს ხელი, შეეარდა ამ სახლის სახურავზე და თავის ქუთით შეუდგა ამ შენობის დანგრევას, დასცხო და დასცხო თუნუქს ნაჯახი. თან უშვერი სიტყვებით ლანძღავდა სახლის მეპატრონეს. ზემოდან გამოცვივდნენ მილიციელები, მკვიდნენ მოხუცთან, ნაჯახა წაართვეს, მოეფერნენ, უთხრეს, წამოდი, ბიძია, და მაგას ჩვენ თვითონ ვაგებინებთ პასუხს სასამართლოში.

— ზვალ ირჩევა საქმე. — უთხრა მათ გახარებულმა მიხამ, — ზვალ ირჩევა... მმაგ ბლენძს... მაგ ღღორს...

— პოდა, მით უკეთესი. წამობრძანდი, ბიძია, თორემ შარს მოგვდებს და პირიქით გვიჩივლებს... ზვალ თუ ირჩევა, ჩვენ მოწმებად დაგიდგებით...

ასე გაიტყუეს მოხუცი და გაუშვეს

იმ იმედით აღსაეს, რომ იგი ხვალ უე-  
ჭველათ მოიგებდა საქმეს.

გავიდა წლები. მას შემდეგ ჩვენი ხალ-  
ხის ცხოვრებაში დიდი ცვლილებები  
მოხდა, გაუქმდა კერძო საკუთრება მი-  
წაზე, საწარმოებებზე, წარმოების იარა-  
ღებზე, დიდ მრეწველებს და დიდ ქო-  
ნების პატრონებს ჩამოერთვით ქარხნე-  
ბი, მღარაობი და მთელი რიგი შენობე-  
ბი. ასევე ჩამოერთვა ეს შენობა გიგო  
სამხელიძესაც და იგი საზოგადოებრივ  
საკუთრებათ იქცა.

ხოლო მიხა...

ზუსტად აღარ მახსოვს, უკანასკნელად  
როდის შეეხვედი მას, ომის დაწყების წინ  
თუ უფრო ადრე, ეს კია, რომ მას შეე-  
ხვდი ამ დიდი სოციალური ცვლილებე-  
ბის შემდეგ, გახურებული ხუთწლედე-  
ბის ეპოქაში. ის გულმოსულივით დაა-  
ბიჯებდა ქიათურის სადგურის ბაქანზე.  
დამინახა თუ არა, მცინო, თავისი უკბი-  
ლო პირი ღიმილის გამოსახატავად ფარ-  
თოდ გააღო, დიდი დარაზებით ჩამოშარ-  
თვა ხელი და მხიარულად მომესალმა:

— აა, ვახლავარ, როგორ ბრძანდე-  
ბით, ხომ მშვილობით მყავს თქვენი თა-  
ვი? ხვალ ირჩევა საქმე. კი ბატონო,  
ხვალ. ო... ის ღლორი... გიგო...



საღამოობით ქიათურის სადგურზე  
მოსიერნებებს ადამიანი გვერდს ვერ შე-  
უვლიდა. აქ იყვნენ უმეტესად მოსწავ-  
ლე ახალგაზრდობა, შავიქვეს სამრეწ-  
ველო კანტორის მოსამსახურენი, თვი-  
თონ მრეწველები, ადმინისტრაციის  
წარმომადგენელი, დიდი და პატარა,  
ქალი და კაცი; სადგურის ბაქანიდან მო-  
სიერნენი დასავლეთისაკენ ღიანდაგს  
დაუყვებოდნენ იმ მოსახვედამდე, სადაც  
ქლდეებზე დაკიდული ჩანჩქერთა ნაწინა-  
ვები ხიბლავდნენ თვალს და სადაც შეი-  
ძლებოდა დაგვეჩიფა მინდვრის ყვავი-  
ლები ან მეგობრებთან გაგება საუბარი  
საინტერესო საკითხებზე.

მოსიერნენი უმეტესად წყვილ-წყვი-  
ლად მიდიოდნენ, იშვიათად — ჯგუფ-

ჯგუფად. იყვნენ მარტოხელებიც. ვინმე  
მოსუცებული მანდილოსანი ან ზღვრე-  
რად დამქნარი გასათხოვარი: ქალია...

მაგრამ ყოველი ჯურის მოსიერნეთა  
შორის გამოირჩეოდა ერთი შავწვერა,  
ოდნავ ბეჭებში მოხრილი მამაკაცი,  
ბრწყვილა ფოლაქებით შემკული ძვე-  
ლებური ჩინოვნიკური სურთუკით და  
კაკარდიანი ქუდიო. მას ხელში მუდამ  
ეჭირა კოხტად გათლილი ტროსტი. იგი  
ხან ილიაში ჰქონდა ამოჩრილი, ხან  
ბეჯენით მოატარებდა, ხან უკან გაწყო-  
ბილ ხელებში ეჭირა და თითებში ატრი-  
ალებდა.

ეს მამაკაცი სხვებისგან იმით გამოირ-  
ჩეოდა, რომ ყოველთვის მარტოდ მარ-  
ტო დადიოდა, ყველას პირს არიდებდა  
და, თუ ამჩნევდა, რომ მას არავინ უცქე-  
როდა, მაშინვე გააბავდა საუბარს არარ-  
სებულ, მარტო მის გონებაში წარ-  
მოსახულ თანამგზავრთან. გააბამდა სა-  
უბარს, მერე დაიწყებდა კამათს, და-  
ვას, გაკვირვებით შლიდა ხელებს, ხან-  
დახან გულში მუშტს ჩაიბრაგუნებდა,  
დასამტყიცებლად „მოსაუბრეს“ თითებს  
მიუთვლიდა, ჯიბიდან საათს ამოიღებ-  
და, დროს დაანახებდა, მერე ერთ წუთს  
შედგებოდა, გულზე ხელს დაიდებდა  
გაკვირვების ნიშნად, ჩაიცინებდა, ხელს  
ჩაიქნევდა, ზხას განაგრძობდა და რსევ  
„თანამოსაუბრეს“ მოუბრუნდებოდა,  
რათა მისთვის კიდევ რაღაც ახალი მო-  
საზრება დაემტყიცებინა.

თუ ამ დროს მოულოდნელად წინ  
ვინმე შეეჩხებოდა, იგი, ოდნავ შემკრ-  
თალი, მაშინვე შეწყვეტდა თავის არარ-  
სებულ მოსაუბრესთან კამათს, მოლუ-  
შული და, ცოტა არ იყოს, შერცხვენილი  
ჩაუვლიდა უცნობს გვერდს და, რო-  
გორც კი თავს მარტოდმარტო დაიგუ-  
ლებდა, მაშინვე განაახლებდა თავის  
„თანამგზავრთან“ საუბარს.

ასეთი იყო ეს უცნაური ადამიანი,  
სრულიად უწყინარი, ჩუმი და, თანაც,  
ძალზე თავაზიანი. ქიათურელები მას  
უჩვეულო პატივისცემით ეპყრობოდნენ,  
ცდილობდნენ, არ შეემჩნიათ მისი ეს

აგადმოყოფური თვისება და ყოველთვის თვალს არიდებდნენ.

მე უნებურად მივაქციე მას ყურადღება, როდესაც ერთ ზაფხულს არდადეგებზე ჩამოვედი და იგი სადგურზე დავინახე.

შინ რომ მივედი, მამაჩემს ვუამბუნახელი და ვკითხე, ვინ არის იგი-მეთქი.

— ის, შვილო, ჩემი სკოლის ამხანაგია. სასულიერო სასწავლებელში ერთად ვსწავლობდით. ახლა აგრე გამოსულელებული დადის და ეშმაკებს ესაუბრება. ჩუქნებამ გააგიჟა.

— ახლა გცნობს, მამა?

— როგორ არა. გუშინ გვერდით ჩამიარა და — გამარჯვება, იონაო, მითხრა. კარგი თვალსაჩინო სახელმძღვანელოა ჩვენი ახალგაზრდობისთვის.

— ახლა ვინ უვლის, ვინ არის მაგის ბატრონი?

— მოხუცი დედა უვლის, შვილო. მრეცხაობს და მაგ უბედურს თავს ევლება. ეგ ძველი სურათი შემორჩა, სანამ გაგიდებოდა ფოსტაში მსახურებდა თუ ხაზინაში, კარგად აღარ მახსოვს, იქიდან აქვს ეგ თითბრის ლილებიანი სურათი და კოკარდიანი ქუდი.

რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველ ზაფხულს ვხედავდი მას ჭიათურის სადგურზე. ის კვლავ დადროდა ბაქანზე, ახლა უკვე აღარ ეძებდა განმარტოებას, აღარ ერიდებოდა ხალხს უა თავისუფლად განაგრძობდა საუბარს და კამათს თავის წარმოსახულ „მეგობართან“ გაკვირვებით გადახედავდა, ხანდახან გულმოსულადაც კი შეყრიდა წარბებს და მისი ყესტები გამოხატავდა კითხვებს: „რას ლაპარაკობ, რას?“ „კარგი, ერთი, თუ ძმა ხარ, ვინ თქვა მაგ? „შენც ერთი რტყვი, რალა!“ „ძმობას გეფიცებო, ტყუილია“. „ვინ, მე? ვინ, კაცო, ვინ? მე?“

უნებურად ვადევნებდი თვალს ამ უბედურს და, როდესაც ვადარებდი მის ცხოვრებას გარშემო მხიარულად მოფუსფუსე ადამიანთა ბედ-იღბალს, უნებურად მივიდიოდი იმ დასკვნამდე, რომ იგი კველაზე ბედნიერი ადამიანი უნდა

ყოფილიყო მთელ ქვეყანაზე. მას განუყრელად ახლდა უძვირფასესი მეგობარი, უახლოესი გულის მესაიდუმლე, რომელთანაც ის განუწყვეტელ საუბრით იყო გართული, მსჯელობდა, ეკამათებოდა, უზიარებდა თავის გულის კაეშანს, ლებულობდა მისგან რჩევა დარიგებას და მასთან ერთად წყევტდა მსოფლიო პრობლემებს. უწყინარი იყო ეს მისი „მეგობარი“, მშვიდი, დინჯი, არასოდეს არ აწყენინებდა, უეჭველად დიდბუნებოვანი, მაგრამ ჩემთვის ბოლომდე გაურკვეველი იყო, ვინ იყო იგი, ამ უბედურს ეს „მოსაუბრე“ ქალი თუ კაცი. მშვენიებით აღსავსე სატრფო გულისა თუ რომელიმე თავდადებული ავთანდილი ან შერმადინი.

ერთ ზაფხულს მე ეს ადამიანი სადგურზე აღარ დამინახავს. მხოლოდ ჭიათურიდან გამგზავრების წინა დღით მომავონდა რგი და დედაჩემს ვკითხე, ხომ არ გაგიგონია, ის თავის თავთან მოსაუბრე მოხუცი რატომ არა ჩანს სადგურზე-მეთქი.

— ვაი, მართლა იმ უბედურს, შვილო, დედა მოუცედა და დარჩა ის საწყალი უპატრონოდ. აღარც მარჩენალი ჰყავს, აღარც მომვლელი. ამას წინათ ბაზარში დავინახე საბრალო, სამათხოვროდ გამოსულიყო. უწინ რომ გაკრიალეულ-გასუფთავებული გამოდიოდა სადგურზე, რას ნიშნავს დედის ხელი, ახლა უნდა გენახა! ღმერთმა ამოროს ყოველ დედას შვილის ასეთი უბედურება...

მე განზე გავიხედე, რომ თვალეზე მომდგარი ცრემლები დედაჩემისათვის არ დამენახებინა და, ცოტა არ იყოს, გულიც კი მომივიდა ჩემს გულჩვილობაზე, რადგან მაშინ იმ ასაკში ვიყავი, როდესაც ახალგაზრდას ვაეკაცობის ღირსების დაცემად მიიჩნია ცრემლის გამოჩენა.

• •

შავი ქვის წარმოების ჩასახვისთანავე ჭიათურაში გასული საუკუნის მეორე ნახევარში ყველაზე მტკიცედ, ცხადია,



სიმდიდრის ძველმა ბერძნულმა ღმერთ-მა მამონამ დაიდგა თავისი ტახტი და უამრავი მსახური გაიჩინა. მაგრამ მას არც მეორე ღმერთი მხიარულებს, დროსტარების და ქეიფის ღვთაება ბახუსი ჩამორჩა და მანაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი ამ კუთხეში. თუ პირველი მათგანის მსახურებათ მაღალი წრის წარმომადგენლები, მსხვილი ვაჭრები, სოცდაგრები და მრეწველები იყვნენ, რომელნიც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თავიანთი უღმობელი და მტაცებლური თვისებებით, მეორე ღმერთს უმთავრესად დაბალი ფენების და საშუალო წოდების ადამიანები ემსახურებოდნენ. ამიტომ იყო, რომ თუკი, ერთი მხრით, ყოველი მდიდრის ან უმდიდრე ადამიანის სახელი დიდის მოწიწებით იხსენებოდა ქიათურლებში, არა ნაკლებ მოწიწებით და დიდი პატივისცემით იხსენებოდა პურმარლიანი კაცის სახელი, ესე იგი ისეთი ადამიანისა, რომელიც სულაც არ ფიქრობდა სიმდიდრას მოხვეჭაზე და რასაც შოულობდა მეგობრებისა და ამხანაგების პატივისცემაზე ხარჯავდა. ამიტომ კაცზე რომ იტყოდნენ, პურმარლიანიო, ის ერთგვარად წმინდანით ითვლებოდა და ადამიანის ყველა კეთილშობილ თვისებას გულსმზობდა, შეიძლებოდა ნდობოდი ყველა საქმეში, არ გრალატებდა, ხელგაშლილი მოგებმარებოდა და თავის პირად ინტერესებზე მაღლა მეგობრის ინტერესებს აყენებდა.

და აი, ამ პურმარლიანი ხალხის თანამესუფრედ და თითქმის უანგარო მსახურად ქიათურლებს მოევლინათ ერთი არატრის გამკეთებელი და არატრის მქონე ახალგაზრდა კაცი დათა ლაბაძე, ცნობილი ყაჩაღის სერგო ლაბაძის ძმა. დათას მუდამ დაქონდა პატარა დაირა და ჩოხის ჯიბეში ჩვენებური სალამური. დაინახავდა რომელიმე რესტორანში სუფრას შემომსხდარ მოქიფეებს, ხოლო მათი ნახვა ქიათურაში შეიძლებოდა წლის ყოველ დროს დღისით და ღამით, დათაც აქვე იყო. შეათამაშებდა დაირას და მამინევე წამოიწყებდა:

„არასოდეს არ ცხონდება ბოროტი და პურად ძეირი, თუ ასეთი კაცი ცხონდეს, სამოთხეში შევა გიბი“.

დათამ ბევრი სიბრძნით აღსავსე სიმღერა იცოდა და თვითონაც სულ აფორიზმებით უყვარდა ლაპარაკი. სადღეგრძლოებსაც ლექსივით ამბობდა.

„მე მიყვარხარ იმისათვის რომ თუთრი ხარ შავი არა...“

ეს მიმართვა — თუთრი ხარ, შავი არაო — ამოჩემებული ჰქონდა. მას ხან სიმღერით ამბობდა, ხან ღვეკლამაცით, ხან ორატორული პათოსით.

დაირა და სალამური კი მისი განუყრელი მეგობრები იყვნენ. შემოპკრავდა ხელს დაირას და აღუყობდა ხმას თავისი მხიარული ტენორით. მეტე დაირას განზე გადადებდა და სალამურს მომარჯვებდა. ხანდახან სალამურს ღვინიან კიქაში ჩააყოფნებდა თავს, დაასველებდა და ისე უკრავდა, სალამურიც უნდა დათერესო. თუ ცეკვა გაჩაღდებოდა, წამოხტებოდა, მოცეკვავის ფეხებთან ჩაიჩოქებდა და სალამურს მის გასმულ ფეხის წვერებთან ალიკოცებდა. ძალიან ნანობდა დათა, რომ ერთსა და იმავე დროს არ შეეძლო დაირაც და სალამურიც ერთად დაეკრა. ოთხი ხელი რომ მოეცა ჩემთვის ღმერთს, ჩემზე უკეთესი კაცი არ იქნებოდათ, ამბობდა ხოლმე ის.

ასე იყო დათა წელიწადი და თორმეტი თვე. არც ხნავდა, არც თესავდა, დაეხეტებოდა სამიკატნოებში, ოჯახებში, დღეობებში, ქორწილში და ყველგან, მართალია, დაუპატიებელი, მაგრამ სასურველი სტუმარი იყო. თვითონაც ილხენდა და სხვებსაც ალხენდა. არასოდეს არ მოშივდებოდა, რადგან ქიათურაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეგულებოდა პურმარლის ადამიანი და რომელ სამიკატნოშიც არ უნდა შეეხედა, ნაცნობს აუცილებლად დაინახავდა, დაუკითხავად მოუჯდებოდა სუფრაზე და თამამად მოითხოვდა კერძს.



და აი, ბაბუსის ეს დაუღალავი ქურუ-  
მი ათას ცხრაას ოცდაორ წელს დრამა-  
ტულად დაიღუპა. ის, საკმაოდ შეზარ-  
ხოშებული, მხიარული ღიღანით ბრუნ-  
დებოდა დილით დიდი ქერფიდან და  
ჭიათურის ბაზრის ქუჩის ერთ-ერთ და-  
რბასთან თოფიან ყარაულს წააწყდა.  
ყარაულმა უბრძანა, ტროტუარიდან ქუ-  
ჩაში გადასულიყო. დათასთვის კი ქვეყ-  
ნად არც ყარაული არსებობდა, არც კა-  
ნონი, არც სამართალი, არც დიდი არც  
პატარა, მას მიაჩნდა, რომ ყველა მისი  
მეგობარი იყო და ნაცნობი. მან ყარაუ-  
ლის შეძახილს ყურადღება არ მიაქცია  
და ბარბაცით წავიდა მისკენ, თან ეუ-  
ბნებოდა:

„შე მიყვარხარ იმისათვის  
რომ თეთრი ხარ შავი არა...“

ყარაული ახალგაზრდა ბიჭი იყო. მას  
ასწავლეს, რომ შენ სამხედრო გულშაგი  
ხარ, თუ ვინმე მოგიახლოვდეს, სამჯერ  
გააფრთხილე და მერე ესროლეო. მან  
დათას შაშხანა მიუშვირა და უბრძანა:

— გადადი, თორემ გესერი.

შეზარხოშებულმა დათამ ყოველივე  
ეს ხუმრობათ მიიჩნია და გზა განაგრძო,  
მაგრამ ამ დროს დაიქექა თოფმა და  
გულგანგმირული დათა ძირს დაეცა.  
ამბობენ, რომ წაქცეულმა კიდევ გაი-  
მეორა თავისი ეს დიფირაბი — თეთრი  
ხარ, შავი არაო — და ისე აღმოხდა  
თურმე სული.

— : —

**მესაფლავე:** (მღერის) უქედურობამ უფიცობამ  
კლანჭი მაგრად ჩაგვიღაო,  
უცნობ მხარეს გადმოტყუორცნა,  
უცნობ ხეზე დაგვიღაო.  
(ამთავლებს თავის ქალს).

**ჰამლეტ:** ვინაა ეს თავი?

**მესაფლავე:** მეფის კარის მასხარის იორიკასი.

**ჰამლეტ:** საბრალო იორიკ, შე მასხავს ოგი  
პორაიკო...

მისი მახვილობანი და ხუმრობები...

სადღაა ახლა შენი ნაკვესები?

შენი სიმღერა? შადრევანი

მოსწრებული სიტყვებისა, ისე

რომ ახარხარებდა

მთელ ხალხს...

მე მუდამ მაგონდებოდა ეს ეპიზოდი

„ჰამლეტდან“, როდესაც ჭიათურის ბა-  
ზრის შუაგულს თვალს მოვკარგდით. ხალ-  
მე სერიის საყურებლად შეგვარჩილი  
ხალხის შუაგულში ჩამდგარ იორიკას.  
ყველანი მას მარტოდმარტო ამ სახელით  
იცნობდნენ. არც იმისი გვარი, არც ის,  
თუ საიდან მოსულიყო ეს უთვისტომო  
ბერძენი და ჭიათურაში დასახლებული-  
ყო. (თუ შეიძლება, დასახლება ვუწო-  
დოთ ვინმეს სარდაფის კუნძულში სა-  
მოწყალოდ ცხოვრებას). იგი მედღექნე-  
ების ყუთების მზიდავი მუშა იყო, ხან-  
დახან თუ წინასწარ დიბარებდით, ბარგ-  
საც წაგიღებდათ სადგურზე. ეს იყო და  
ეს. დანარჩენ დროს დიდიდან საღამომ-  
დე ღვინით გაბრუნული იორიკა ჭიათუ-  
რის ქუჩებში იდგა და თავისი ოინბაზო-  
ბით მანქვა-გრებით და გაუთავებელი  
სიმღერა-ღრიალით ჭიათურლების ტაკი-  
მასხარად გადაქცეულიყო. ევროპელი-  
ვით წვერულვანშაგაპარსულს, მას ტანზე  
მუდამ ეცვა ვინმეს გამონაცვალი საკმა-  
ოდ სუფთა კოსტუმი. ხელპირიც ყო-  
ველთვის დაბანილი ჰქონდა და ამიტომ  
ის სრულიადაც არ ტოვებდა ბოგანო  
აღამიანის ან მაწანწალას შთაბეჭდილე-  
ბას. რაც მთავარია, ზედმიწევნით იყო-  
და პურმარილის ყადრი და, თუ თქვენთან  
სუფრაზე ერთი ჭიქა უფინდა დაეღია, მე-  
რე მორჩა, თქვენი უდიდესი პატრივის-  
მცემელი იყო და, რაც უნდა გაღვწილი  
შეგხვედრებოდა, აუცილებლად მოწიწე-  
ბით მოგვეგებებოდა და საღამს მოგვემ-  
და. ჭიათურლებიც ხომ საქვეყნოდ ცნო-  
ბილნი იყვნენ პურმარილით და იორიკას  
თუნდაც მთელი წლის განმავლობაში  
შაურიც კი არ ჰქონოდა, მაინც გაიტან-  
და თავს. რომელ რესტორანშიაც არ უნ-  
და შეეხედა, არ შეიძლებოდა, რომ ის  
მაგიდასთან არ მიეწვიათ. კარგად გაუ-  
მასპინძლდებოდნენ, ახუმრებდნენ, თვი-  
თონაც იხუმრებდნენ და კმაყოფილი  
დაიშლებოდნენ. განსაკუთრებით მისი  
სიმღერა მოსწონდათ. იორიკას სძინა  
სრულიად არ ჰქონდა, მაგრამ დიდიდან  
საღამომდე ჭიათურაში მისი ღრიალი  
ისმოდა. გამოდგებოდა შუა ქუჩაში და  
სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

„მე... დივარ, მო... დივარ დუუნდუს  
ბაღზე...  
მოლა, გოგო, მაკონიე მაგ ქუყუნა თვალზე“.

თანაც ქართულ სიტყვებს თავისი ბერძნული აქცენტით სასაცილოდ ამახინჯებდა და ამ თავისებურ ხალხურ სიმღერას ათასგვარი ვარიაციებით წარმოქმნიდა.

ხანდახან თუკი რომელიმე პურადღვირ მრეწველს ან მოიჯარადრეს მოპკრავდა თვალს, მოწიწებით მიესალმებოდა და ეტყობოდა:

— კალიმერა (გამარჯვება), ბატონო ჩემო. ამბობენ, გასპარას პური გაძვირებულა...

და როდესაც სეირის მსაყურებელთა თავშეუკავებელი ხარხარით ოდნავ გაგულისებული პურადღვირი კაცი უხმოდ ჩაუვლიდა და გაშორდებოდა, იორიკა შორიდან ვინებასავით მიიძახებდა:

— ჰაი, ჰაი, ნიკროკოს!

ქიათურლები ამბობდნენ, ეს სიტყვა ბერძნულად ვინებას ნიშნავსო, მაგრამ როდესაც შევემოწმე, ბერძნებმა გაკვირვებით გაიქნიეს თავი. ჩვენ პირველად გვესმისო. მე მგონია, რომ იგი ან თვითონ იორიკას მიერ იყო მოგონილი ან რომელიმე კუთხის, ტრაპეზონდის, სტამბოლის ან ათენელი ბერძნების ნაძირალების ქარგონულ სიტყვას წარმოადგენდა და მათ ენაზე მართლაც რაიმეს ნიშნავდა, ჩვენში კი მისი მნიშვნელობა, მგონი, მართო იორიკას ესმოდა და თავის ხუმრობებში დიდ სამსახურს უწევდა. იგი თავთავიანთ ადგილას ვინებაც იყო, დაცივაც, აღტაცებაც, დასტურიც და, თუნდაც, სიყვარულის ახსნაც. იმისდამიხედვით, თუ როგორი კილოთი იქნებოდა წარმოთქმული.

და აი, დროგამოშვებთ, ხან შუახიდთან, ქუჩების გზაჯვარედინზე, ხან სადგურის ბაქანზე ხან რგანის აღმართის დასაწყისში ხან ბაზრის თავში ხან ბოლოში ისმოდა ხოლმე იორიკას მხიარული ყვირილი, ოინბაზობა და ქიათურლების თავშეუკავებელი ხარხარი.

— იორიკა მასხრობს, — ისმოდა აქეთ-

იქით შეძახილები და სეირის მსაყურებელი მიიჩქაროდნენ მისე ოინბაზობის სანახავად. იქიდან მომავალი კოსტოვლით იქაქებოდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

— ოჰ, ეგ დაღუპული რას მოიგონებს!

— რაო, რაო? — ეკითხებოდნენ ცნობისმოყვარენი.

რას არ გაიგონებდით მათგან ან რას არ ნახავდით საკუთარი თვლით, თუკი მიუსწრებდით ადგილზე. ხან ბაზრისკენ მომავალ სოფლის დედაკაცებს დახვდებოდა, გასაყიდ ქათმებს ჩამოართმევდა და ცდილობდა გამოერკვია, ეს ქათმები კვერცხის მადებარი იყვნენ თუ არა, ხან რომელიმე ათვალსწუნებულ მრეწველს გზას გადაუღობავდა და თავისი უნივერსალური სიტყვით შეამკობდა, ხან ქუჩის დარბევბასაც მოჰყვებოდა და ბანქოს რომელიმე მოყვარულს აუხიარდებოდა:

— რათ თამაშობ კარტი, შენი ცოლი თირის, შენი დედა თირის, თირის შენი მამა... ბოდიში, შენი მამა აცხონოს ღმერთმა, შენ რათ ნიკროკოს...

მაგრამ ყოველივე ამას ის მხოლოდ სიმთვრალის დროს ჩადიოდა. ფხიზელი ის იშვიათად ამოიღებდა ხმას, ღიმილით ესალმებოდა ნაცნობებს და, შუბლზე ღვითქმოდენილი, დათარევედა მძიმე ყუთებს ან ჩემოდნებით დატვირთული მიძინძულლებდა სადგურისაკენ. მაგრამ არასოდეს არ უნახავთ იორიკა, რომ ვინმეს ქირაში შევაჭრებოდეს ან აშარებოდეს.

— ა, ჩემო იორიკა, ეს ორი მანათი, მეტი არ მაქვს. — ეტყობდა ვინმე ხანში შესული მანდილოსანი, როდესაც თავის ბარგს ვაგონის თაროზე კოხტად დაწყობილს შეხედავდა და იორიკაც მადლობით ჩამოართმევდა ფულს.

იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ სულაც არ აძლებდა ქირას.

— არა, დედი, არ არის საჩირო. შენი ქმარის პურმარილიც მეყოფა. — და მისთვის ფული ძალით რომ არ ჩაეჩარათ, აწყვეტილივით გარბოდა.

საოცარი ის იყო, რომ თუ საქმეს დე-

ავალეზი, რაგინდ მთვრალიც არ უნდა ყოფილიყო, რანაირ ლხინშიც არ უნდა მჯდარიყო, არაფრით არ დააეიწყებოდა და ავალეზა და დანიშნულ დროზე საქმის ადგილზე გაჩნდებოდა. მოიკიდებდა ტვირთს უხმოდ, მიიტანდა დანიშნულ მდებარეობაზე და მერე მოჰყვებოდა თავის არეულ-დარეულ სიმღერას და მხიარულ მასლაათს.

და აი, ეს იორიკა, ათეული წლების მანძილზე რომ ამხიარულებდა ჭიათურლებს და დღედაღამ თავშეუკავებლად რომ ახარხარებდა ყველას, საოცრად ტრაგიკულად დაიღუპა.

შინ, თავისთვის საკმელს ამზადებდა, ნავთქურა აუფეთქდა, სცადა დაქრობა და თვითონ მოედო ცეცხლი. მთელი სახე, ხელები, გულ-მკერდი საშინლად დაეწვა და უბედურს საავადმყოფოში აუტანელ წამებაში აღმოხდა სული.

თითქმის მთელი ჭიათურა დაესწრო მის დაკრძალვას. ჭიათურელმა დარდიმანდმა ბიჭებმა რგი ხელი-ხელ გაასვენეს, გვირგვინებით შეამკეს, სასულე ორკესტრი მოჰგვარეს და ძველებური წესით ქელეხიც კი გამართეს.



ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, რომელი წელი იყო, მგონი, ათას ცხრაას ოცდასამი, გახურებული ნების ემს, ქალაქ ჭიათურაში ვმუშაობდი მაღაროს ტექნიკოსად ერთ-ერთ კერძო სამრეწველო ფირმაში. ბრნად თვითონ ჭიათურაში ვცხოვრობდი, საკუთარ სახლში და ყოველდღე სოფელ რგანში მიხდებოდა მაღაროში სიარული, დაახლოებით ექვსი თუ შვიდი კილომეტრის მანძილზე. ჩემს ამ სამუშაოს და ამ სიშორეზე ფეხით სიარულს ერთი უპირატესობა ჰქონდა. დილით სულ აღმართზე უნდა მეელო, სანამ მარგანეცის ბუდობის ზეგანზე ავიდოდი, ხოლო საღამოს, მუშაობით დაღლილი, თავდაღმართში მოვიდოდა, და ესეც დიდი შეღავათი იყო ჩემთვის. მაშინ მაღაროების აგებმას ვაწარმოებდი, დავგამდი ხოლმე თეოდოლიტს სამფეხზე, ერთ მუშას ავკიდებდი ლარ-

ტყებს და ფოლადის ბაფთებს და გავუდგებოდი გზას. იმ ხანებში მარგანეცის საბადოები ნაციონალიზებული იყო მაგრამ შავი ქვის იმ მრეწველებს, რომელთაც მარგანეცის გამაუხვეველი ფაბრიკები ჰქონდათ და შეეძლოთ უახლოეს ხანში ეს ფაბრიკები აემუშავებინათ, მთავრობა ცალკე გამოუყოფდა იჯარით საბადოს განსაკუთრებულ ნაკვეთს, საექსპლოატაციოდ. საჭირო იყო ამ ნაკვეთის აგეგმვა, ესენი ხშირად არ აღმატებოდნენ რამდენიმე ათეულ ჰექტარს, მაგრამ აგეგმვა მაინც დიდ შრომას მოითხოვდა და დიდიდან საღამომდე ველზე მიხდებოდა ყოფნა. მაღაროს მეპატრონე ცდილობდა ყოველთვის ისეთი მუშა მოეცა დამხმარედ, რომელსაც ადვილად შეეღოდა. ამიტომ მაღაროში ჩემთან მუდამ მუშაობდა ათისთავი მაქსიმე ტაბატაძე. მას ერთსა და იმავე დროს შეეძლო ეს ორი საქმე გაეკეთებინა, ჩემთანაც გაეწია საზომი ბაფთა და მუშაობისთვისაც თვალყური ედევნებინა.

მაღე მაღაროებიდან ზედაპირზე გადავედი სამუშაოდ, აქ კი მაქსიმე ველად დამხმარებოდა და ერთი ორი დღე ხან ვის სტაცეს ხელი და ხან ვის, მაგრამ ვერაეინ ვერ ნახეს ჩემთვის შესადერი მუშა. მაშინ გადავწყვიტე, სინამ მუშას მოძებნიდნენ, კანტორაში გამოთვლებს შევედგომოდი და ორი კვირა მაღაროებში არ ავსულეარ. ბოლოს ქარხნის პატრონმა მრეწველმა მითხრა, მუშას მომცემდნენ, და მეორე დღეს დილით მეც გავემართე მაღაროში.

იქ რომ ავედი, გვირგვინის წინ გამართულ ფარდულში, სადაც სასწორი იდგა და ვაგონებებით გამოგორებულ მანქანებს წინიდნენ, ერთი ლამაზი, ინტელიგენტური გარეგნობის ახალგაზრდა კაცი დამიხვდა. მას ზედვე ეტყობოდა, რომ აქაური არ იყო, ჯერ-ერთი იმის გამო რომ თეთრი, ქათქათა ბლუზა ეცვა და კარგად გაუთოებული შარვალი. თავზედაც თეთრი ქუდი ეხურა, სამხედრო ყიდიისა. მე ქუთისელებს ერთი შეხედვით ვიცნობ და, როდესაც ვკითხე,



თქვენ ქუთაისელი ხომ არა ხართ-მეთქი, მაშინვე დამიდასტურა:

— ქუთაისელი გახლავართ. როგორ მიხვდით?

— შე ქუთაისში დავამთავრე გიმნაზია და იქაურებს ერთი შეხედვით ვიცნობ. რა გვარი ბრძანდებით?

— ბერიანიძე.

— აქ რაზე მოსულხართ?

— შე აქ ვმუშაობ. ყარაული ვარ. თქვენ ვინ ბრძანდებით?

— შე ტექნიკოსი ვარ. მეც აქ ვმუშაობ. აქამდე რატომ არ მიწახავხართ?

— ერთი კვირაა, რაც მოვედი. აღმასხან პეტროვიჩი ჩემი ნათესავია, სამსახურს მოგცემო, მითხრა და მოვედი.

— ჰოო, სასიამოვნოა. — ვუთხარი შე და მიმოვიხედე, — მაქსიმე სადაა, მუშა უნდა მომცეს.

— მაგი შე დამავალეს, მიბრძანეთ რა უნდა გავაკეთო.

უნდა მოგახსენოთ, რომ, ცოტა არ იყოს, შეეწუხდი. ეს ახალგაზრდა კაცი ისეთი თავაზიანი და მომზიბლავი იყო, თანაც სუფთად ჩაცმული, ისე ფაქიზად გამოიყურებოდა, მე ძალზე მეუხერხულა მისი წაყვანა ლარტყის მუშად. მაგრამ რა გაეწყობოდა. დავდგი თეოდოლიტი სამფეხზე, გავრდევი მხარზე, მას კი ლარტყაზე მივეუთითე, წამოიღე-მეთქი, და გავსწიე.

— მამე, ბატონო, მაგასაც მე წამოვიღებ. — მითხრა მან და თეოდოლიტს მისწვდა.

— არა, შენ ეგ დანარჩენი ხარახურა წამოიღე, — ვუთხარი მე და გზას გავუღვექი.

მან დახვია ხელი ლარტყას, ბაფთას, ნაჯახს, პალოებს და დამედევნა.

— შენი სახელი? — ვკითხე მას.

— ანდრო.

— შე კი აკაკი მქვია. წავიდით, ჩემო ანდრო, არც ისე მძიმე სამუშაო მაქვს, თუ სურვილი გაქვს, აგვამკასაც კი გასწავლი.

მან რაღაც ნაღვლიანად გარღმა.

— ამას რომ ვისწავლი, მეტი არაა ჩემი შტერი! — მითხრა მან.

— რატომ, შე კაცო.

— რაღა დროს ჩემი სწავლა აგერ მალე ოცდაათი წლის გავხდები და გამიკვირდა. იგი გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურებოდა.

მალე საქმეს შევეუდექით. ის უსიტყვოდ ასრულებდა ჩემს განკარგულებებს, თლიდა და ასობდა პალოებს, გადაჰქონდა ადგილიდან ადგილზე ლარტყა? ჰქმავდა ბაფთას. ერთი-ორჯერ ცნობის-მოყვარეობამ წასძლია, თეოდოლიტი თავაზიანად შეათვალეერა, მიღში გახედვაც სცადა, მაგრამ ვერაფერი ვერ დაინახა და თავი გაანება.

ჩვენ ძალიან დავმეგობრდით. არიან ხოლმე ისეთი მიმზიდველი აღამიანები, რომელთაც პირველ შეხვედრისთანავე დაუმეგობრდები და ყოველთვის გსიამოვნებს მათთან შეხვედრა, საუბარი. მით უმეტეს, თუ ასეთ აღამიანებთან კიდევაც შრომობ, მაშინ ხომ კიდევ უფრო უახლოვდები მას.

ასე ვმუშაობდით ერთად. ნელ-ნელა მიცვებოდი პოლიგონს, ავედით თხემზე, სადაც ჩამოუყვება მთებიდან მომავალი საურამე გზა. ერთ ადგილზე ანდრო პოლიგონის წერტების აღსანიშნავ პალოს ასობდა, გარშემო მიმოიხედა და მითხრა:

— რა კარგი საყაჩაღო ადგილია! სამი კაცი კმარა. აქ ორი ჩაუჯდება. მესამე გადაიყვანს ქვემოთ მგზავრს, დააყრევინებს, თუ რამე გაჩნია და გაუშვებს ქვემოთ.

შე უნებურად მიმოვაველე თვალი მიდამოს. ადგილი მართლა მიყრუებულ იყო და მიეარდნილი.

— ამას წინათ სამ კაცს გაუძარცვავს სოფლის ჯარობაზე მიმავალი ხალხი. — ვუთხარი მე, — არ გაგვგონია?

— რას მეუბნები?

— ჩასადრებიან და, ვინც მოდიოდა თურმე, ააწვეინებდნენ ხელებს, გადაიყვანდნენ გზაზე, გაძარცვავდნენ და იქვე აცდევინებდნენ. საღამოზე ყველა გაუშვეს თურმე.

— შეურაცხყოფა ხომ არავისთვის მიუყენებიათ ნეტავი?

— არა, რას ამბობ. იმისთანა ზრდი-

ლობინი ბიჭები ჯერ არ გვინახავსო, ამბობდნენ თურმე გაძარცვულები.

— ბევრი თუ წაიღეს? — ანდრომე პალო დაასო და ლარტყას მისწვდა.

— რა უნდა წაელოთ. ჯარობაზე მიმავალ ხალხს რა ექნებოდათ ჯიბეში.

— მაგეც ქვა მართალი. არა, ისე რო თქვას კაცმა, ყაჩაღი კაცი ვასაშვები არაა ამ ქვეყანაზე. რო ხვდები ამ გზაზე ხალხს, რას ერაჩი. მიდის კაცი თავისთვის, ჯარობაზე მიუხარია, იქნება ქალის სანახავად მიდის, ერთი ორი კაპიცი უღვეს ჯიბეში, თავი უნდა მოაწონოს, შენ ხვდები გზაზე, ართმევ ფულს. მაგი რა კაცობაა.

— სწორი ხარ, მაგრამ რა იცი, რამ აიძულა გზაზე გასულიყო. ყველაფერს თავის გამომწვევი მიზეზი აქვს. აი, ის მიზეზი უნდა მოისპოს.

— რა მიზეზი?

— ზოგს გაკირვება აიძულებს, ზოგს ტული აღზრდა გამოუმუშავებს ყაჩაღობის ხასიათს, ზოგს შურისძიება ერეკება, ზოგს, რა ვიცი, კიდევ რა. მიზეზი ათასია.

ანდრომე არ მიპასუხა, ლარტყა მხრებზე გაიღო და ნაჩვენები გორაკისაკენ გაემართა.

ჩვენი გაცნობის მეორე თუ მესამე დღეს, როდესაც დაქანცულები ერთი მოსახლის ახლოს გზისპირად დაესხედით დასასვენებლად, ანდრომე დაახვია ფოლადის ბაფთა, გზაზე მოაგდო და მიტხრა:

— რა ჩემი საქმეა ეს ბაფთა და ეს ლარტყა, მე მომეცო ხელში მალურბერი და დამაყენე გზაზე საყაჩაღოდ.

— როგორ საყაჩაღოდ? — გაკვირვებით შევხედე მას.

— მე ყაჩაღი ვარ, ჩემო აკაკი, — მიტხრა მან, შერე ხეზოდან გამოსულ გოგონას მოჰკრა თვალი და დაუძახა: — მოდი აქ, გოგო.

გოგონა მოგვიახლოვდა და ანდროს შეაკერდა. მან კი ამოიღო ფული ჯიბიდან და გაუწოდა:

— ა, ბიძიკო, ეს ფული შენ, გაიჭეცი ახლა, ერთი ქათამი დაკალი, დააკარით

კეცზე, გამომიცხვე ქადები, ერთი დოქი ღვინოც აგვიგეს და მოგვიტანე.

უნდა გითხრათ, ისე თავისუფლად შეუკვეთა ამ გოგონას სადილი ანდრომე, თითქოს რესტორანში ყოფილიყოს. ყოველი ჩვენგანი ცხოვრების თავისებური პირობების გამო ისეა შეჩვეული გარემო სამყაროს, რომ ვერც კი წარმოუდგენია სხვაგვარად მიუღვებს დადგენილ წესებს. მაგალითად, ასე სადილის შეკვეთა, ჩემი წარმოდგენით, შესაძლებელი იყო მხოლოდ რესტორანში. რამდენჯერ ვყოფილვარ სოფლებში, მაგრამ იქ მე არასდროს არ მომსვლია აზრად, რომ რომელიმე მოსახლეს კარზე შეიდგომოდი და მეთქვა, პა ფული და სადილი გამიკეთე-მეთქი. მშვიერს ან ნაცნობი ოჯახი უნდა მეძებნა ან კიდევ დაედგომოდი გზას და, სანამ სასადილოს არ მივადგებოდი, მოთმინებით ამეტანა შიმშილი. ანდრომე კი ისე თავისუფლად დაუძახა გოგონას და ისეთი ჩვეული დამაჯერებლობით შეუკვეთა სადილი, თითქოს მის წინაშე რესტორანის ოფციანტი ყოფილიყოს.

გოგონამ უხმოდ ჩამოართვა ფული და გაემართა დავალების შესასრულებლად. ანდრომე მე მომიბრუნდა:

— ნამეტანი მომშვიდა. შენ არ მოგვივდა, აკაკი? ჰოდა, წელან რომ გითხარო, ყაჩაღი ვარ-მეთქი, კი არ გეხუმრე. მართლა ყაჩაღი ვარ. გოჯა რო იყო ქუთაისში, ყაჩაღი, მორჩაძე, ლომინაძე, ხო გაგიგონია ისინი?

— როგორ არა.

— იმათი ამხანაგი ვარ მეც. ამას წინათ რომ ჯარობაზე მიმავალი ხალხი გაძარცვეს...

— რომელი ამბავი? მე რომ გაამბე? ორასი კაცი რომ დაატყვევა სამმა ყაჩაღმა?

— ო, სწორედ ეგ. ის საქმე ჩემი მოწყობილი იყო. ჩავჯექით ორი გზაზე, ვინც მოდიოდა ავაწვევინებდით ხელს, გადაიყვანდა ერთი გზიდან მივარდნილში, ის ადგილი განგებ მოვნახეთ ისე მოფარებული, დაუცლიდა ჯიბეებს და დაუტოვებდა იმ მესამეს საყარაულად,

თითონ მოვიდოდა ჩემთან და ახლა მეორე მსხვერპლს ვუტყდილით. ასე გაეწმინდეთ ორასი, არა, ტყუილი იქნება, ასე, ოთხმოც კაცამდე კი. ერთი ორას თუმნამდე მოვაგროვეთ.

— ვერავენ ვერ გიცნოთ?

— რას გვცნობდნენ, პირი ახვეული გეჰქონდა სამივეს. ლეჩხუმის გზაზედაც გაეკეთეთ ასეთი საქმე, მერე სენაკისკენაც წავედით. ერთი საქმე ვერ წაგვივიდა კარგად და ახლა აქეთ შევაფარე თავი. პატარა ხანს მინდა ვიყო აქ, ხანამ გადაიარდეს ამბები, თორემ აქ რა ვამაჩერებს. რა ყოფილა ეს მარგანეცი. რასაც ხელი მოვკიდე, მელანევით მომეცხო ხელზე, რას ვაგს ეს ხალხი, რათი მუშაობენ ამ ჯოჯოხეთში? არა, ძმავო, არც პურის ქამა მინდა და არც ამისთანა დაღუპულ ადგილას მუშაობა. გვირახში რათი შედიან, ის მაკვირვებს, ერთხელ შევედი და კინალამ ჰქუა დაგვარგე. ცოცხლად რაზე დაემარხო თავი-თქვა და მაშინვე გარეთ გამოვეარდი. ამხელა მთა გამოუგულიათ და პატარა ჩხირივით ბოძი შეუყუდებიათ. ის ბოძი დაიჭერს იმ მთას? მეტი არაა შენი მტერი. რას შერება ადამიანი პურის ქამის გულისთვის. რო ვუყურებ, პირდაპირ ჰქუას ვკარგავ. თხუნელასავით შემძვრალა ამ მიწაში, უბაყუნებს კირკას მთელი დღე, რომ ცხრა აბაზი აიღოს დღეში...

— აბა, შენსავით რომ ყველა ყაჩაღად გავარდეს, რაღას ემგვანება ეს ქვეყანა.

— ეგ მართალია, მაგრამ ყველა რომ წართმევაზეა, ჩემო აკაკი, ესეც ხომ სწორია. ტყუილია, არავენ დაიტრახოს ის, რომ სხვისი ნაშრომისკენ ხელი არ მიუბრუნდეს; გინდ ნასწავლი იყოს, გინდა უსწავლელი. ვინც წართმევაზეა, იმას ყოველთვის ყველაფერი ჰქონია და კიდევაც ექნება, თორემ პატროსანი კაცი პატროსნად კვდება, მშვიერი და გაკვირვებული. ქუთაისში, დათეშიძეებს ხეტყის ქარხანაში ვმსახურებდი, იქ ერთი ყაჩაღი იყო მოხუცებული. არავენ არ ყავდა, რო მოკვდა, კუბოს ფული ჩვენ მოვაგროვეთ, ბიჭებმა, ვუყიდეთ და ისე

დაემარხეთ. კინალამ ჰქუაზე შევიშალე, ასე რო მოვკვდე და დასამარხი ფული არავის ექნეს, ხო მომეჭრა თავი-თქვა. ავღეჭი და შეეუკვეთე კარგი კაკლის ხის კუბო, დაეხატევი შიგ შიშველი ქალეზი, ზურნა, გაშლილი სუფრა და მივიტანე სახლში. ჩემმა ცოლმა ჯერ ქე იძივლა და შიშით ვერ ეკარებოდა, ახლა ქვილს და ლობიოს ინახავს შიგ. მიეჩვია.

სანამ ჩვენ ამ მუსაფით ვიყავით გართული, გოგონამ მოგვიტანა თეთრ ხელსახოცში გახვეული მქადები, კეცზე შემწვარი ქათამი, ჰყინტლი ყველი და დოქით ღვინო. ანდრომ გაკვირვებით შეხედა ქალიშვილს:

— გოგო, ასე უცხად რაფერ მოიტანე ყველაფერი. ყოჩად, შენისთანა მარჯვე ქალს არ დაეწუნებდი რძლად. აბა, აკაკი, მოდი, ამ ბუნების წიაღში მოვილხინოთ. — მერე გოგონას მიუბრუნდა და უთხრა: — შენ წადი ახლა, ბიძიკო, და მერე დაგიძახებთ.

გოგონა წაერდა, ანდრომ თვალი გააყოლა.

— კაი დედამამიშვილია, ეტყობა. მიყვარს მარჯვე ადამიანი. რა ხელათ მოგვიტანა. ხომ გაგიგონია არსენა ყაჩაღის ლექსი, ქეიფი, იმას უყვარდა გზაზე სუფრის გაფენაო, სწორედ ჩვენისთანა ყაჩაღებზეა ნათქვამი. ასე პურისქამა გზაზე, სულიერ ადამიანთან, სულ ერთია, ნაცნობი იქნება ის თუ უცნობი, როგორც რომ წყალი მოგწყურდეს ადამიანს, ისე მომწყურდება ხოლმე.

ხელსახოცი მოღზე გაფინა, ცხელი ქადები დაამტვრია, ქათამი დაგლიჯა და ჩაის ჰქია ვარდისფერი ფუჩხუნა ღვინით აავსო.

— მოდი, ეს ღმერთმა ყოველ კაცი კაცს გაუმარჯოს. — მოთხრა მან, — ვისაც ნამდვილი ძმობა შეუძლია, ვინც არ გილალატებს და შენთვის თავს დადებს, იმას გაუმარჯოს. ბევრი კი არაა ამ ქვეყანაზე იმისთანა კაცი, მაგრამ თითო-ოროლა მაინც არი და ასეთები რომ არ იყოს ამ ქვეყანაზე, ცხოვრება შაური არ ეღირებოდა.

— გაუმარჯოს. — ვუთხარი მე.

ასე შეეყვით. ის ქათამი, ყველი და მკადები მივახვიეთ, ის დოქი დავწრუპეთ, მშობლები, ცოცხლები ვადღეგრძელეთ, გარდაცვლილთ საუკუნე ხსენება ვესტრვეთ, ძველი ქალაქური სადღეგრძელოები წარმოვთქვით და შეზარხოშებული დავბრუნდით უკან.

ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მოვაწყვეთ ასეთი პურმარილობა, ხან მართო ჩვენ ორმა, ხან ათისთავ მაქსიმესთან ერთად, რომელიც ძალიან მხიარული და საამო თანამესუფრე გამოდგა.

მუშაობით კი მაინც გულმოდგინედ ვმუშაობდით და მე ათიოდე დღეში დავამთავრე პოლიგონის შეკვრა.

ერთხელ სამუშაოს დამთავრების შემდეგ ანდრო ფოლადის ბაფთას ახვევდა. მან მოულოდნელად მკითხა:

— აკაკი, ინტერესი ხომ არავისი გაქვს?

— როგორ? — ვერ გავიგე მე.

— არა, ისე. თუ ვისაშე ინტერესი გაქვს, მითხარი და ხელად გავაფრენ თავიანთ წინაპრებთან საიქიოში.

მე გამეცინა და ვუთხარი, რომ ჩემს დღეში არავის წინააღმდეგ არ ვყოფილვარ განწყობილი-მეთქი. თან მიკვირდა და ვერ გამეგო, რით დავიმსახურე ამ კაცის თვალში ამდენი ნდობა, რომ თავისი უდიდესი საიდუმლოება გამანდოდა ახლა მზად არის თავისი თავი სასიკვდილო საფრთხეში ჩააგდოს-მეთქი. იქნებ იმის გამო, რომ მე მას განსაკუთრებული თავაზიანობით ვეპყრობოდი? ხოლო როდესაც მისი ყაჩაღობის ამბავი გავიგე, არც გამეკვირებოდა, არც შემიცხადებოდა და არც ჰკუთის დარიგება დამიწყია. უბრალოდ მივიღე ეს ამბავი და არც მასთან მოპყრობა შემეცვლია. იმავე მეგობრული განწყობილებით ვუხმობდი ხოლმე სამუშაოდ, ვაგზავნიდი ლარტყით ხან ერთ გორაკზე, ხან მეორეზე, ვასწავლე სამეფის სწორად დადგმა და თეოდოლიტის თარაზობებზე დაყენება. ის იციანოდა და მეუბნებოდა:

— ამის არაფერი მესმის. შენ იარაღი მომიკითხე, მაუზერი, პარაბელუმი, ბრაუნინგი, ნაგანა, დაიღუპა მისი მომ-

გონი, სტეიერი, ვითოფერი, ბურღუკა (ვითომ ბულდოგის სისტემის რევივოლვერი), სმეტაისონი, ლეზო, კოლტი, ვებლესკოტი, დამსია... მაგნი მომკითხე, დაშლა, აწყობა სროლა, მაგი კი ვიცა, კაცი ვერ მაჯობებს.

— კარგად შეგისწავლია.

— კაცი რა ხელობისაც ხარ, შენი ხელობა ხუთი თითივით უნდა იცოდე, აბა, ისე რისი მაქნისი ხარ. აბა, ყაჩაღი იყო და იარაღის ხმარება არ იცოდე, ხომ მოგეკრა თავი.

როდესაც ავეგმვა დავამთავრე, მთელი თვე აღარ ავსულვარ მაღაროებში. კანტორაში ვმუშაობდი, გამოთვლებს ვაწარმოებდი და გეგმას ვხაზავდი. ერთ საღამოს თვალი მოვკარი, რომ ჩვენი კანტორის ბუხპალტერი და მწე რაღაცას ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს.

— რა მოხდა? — ცნობისმოყვარეობით ვკითხე მე.

— ჩვენ რომ ღამის ყარაული გვყავდა მაღაროში, ბერიანიძე, ის შეუპყრობი მილიციას.

— ოჰ, რატომ? — გავიკვირე მე.

— რატომ და ყაჩაღობა განუზრახავს. ჩვენს მუშას, ზურიკო გუდაძეს, განდობია და უთქვამს, მოდი, გელზენიკრხენის ფირმის მაღაროს მუშების ხელფასს რომ მოიტანენ, თავზე დავესხათ და გავიტაცოთო. იმას კიდევ მილიციისთვის უცნობებოდა. მილიცია ჩასაფრებია და გაუმაგრავეთ.

— კაცო, ის თუ ყაჩაღი იყო, მაგან როგორ წარმოვიდგენდით, — წამოიძახა მწემ. — რომ შეგეხედა, მისდღეში არ იფიქრებდი, ის ასეთი კაცი იქნებოდა. ან იჩენიერიო იტყობი ან ექიმი. მაი ჩვენი ხაზინის დერდაშვილია, ხო იცი შენ. ძალიან კი გამეკვირდა, ღამის ყარაულად რო დადგა.

— ბიჭო, ღამის ყარაულად სწორედ მაგსთანაა კარგი, თუ მართლა პატროსნად მოეკიდა საქმეს, მე შენ გეტყვი და ვინმე რამეს წაართმევს, მარა ვერ მოიშალა მისი და ჩავარდა ასე ტყულუბრალოდ. — დანანებით თქვა ბუხპალტერმა და თავის დავთრებს დაუბრუნდა.

მეორე თუ მესამე დღეს საღამო ეამს ჰიათურლების სასეირნო ადგილზე, სადგურის ბაქანზე ვსეირნობდი თანატოლებთან ერთად. მატარებელი შორაპნისაკენ წასასვლელად უკვე გამზადებული იყო. უეცრად ჩოჩქოლი შეიქნა. მოჰყავთ, მოჰყავთო. მეც უნებურად გავიხედე და დავინახე ხეთი მილიციელით გარშემორტყმული ანდრო ბერიანიძე. რუხი ფერის უქამრო ტოლსტოკვა ეცვა. სახეზე წვერი შემოზრდოდა. თავდახრით გაიარა ბაქანი და მილიციელების თანხლებით სწრაფად შევიდა ვაგონში.

მას შემდეგ იმის შესახებ არაფერი მსმენია, და, არ ვიცი, რა მოუვიდა, რა გზას დაადგა, ისევე ყაჩაღობა განაგრძო თუ პატიოსან შრომას შეუდგა, ცოცხალია იგი თუ თავისივე შეკვეთილ კუბოში განისვენებს. ან იქნებ არც კი ეღირსა იმ კაკლის კუბოში განსვენება, რომელიც, მისივე სიტყვით, შიგნით ისე მშვენიერად მოუხატავინებია. ვინ იცის, სად მოკლეს და სად ჩააგდეს მიწაში. ან იქნებ შეძლო მან ცხოვრებრს დიდ გზაზე გადმოებოჯებინა, იქნებ გაიღვიძა მის არსებაში დიადი შრომის წყურვილმა და დღესაც ცოცხალია, თუმცა მას შემდეგ ოცდაათმა წელიწადმა განვლო უკვე, და ახლა იგი სამოცი წლის მოხუცი უნდა იყოს. იქნებ კიდევაც გადიოქობოს ეს სტრიქონები და მოიგონოს ას დღე, როდესაც ორივენი გაზაფხულის ერთ ჩახჩახა დღეს რგანში, მწვანე გორაკზე ვსხედით და ჩაის ჰქიქებით კაიბიკების სადღეგრძელოს ვსვამდით.

ნეტავ მართლაც აგრე იქნებოდეს.

\* \* \*

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. ბევრმა კოკა წყალმა ჩაიპრა ჩვენი ცხოვრების მანძილზე. დიდზე დიდმა ისტორიულმა მოვლენებმა გაგვხადეს თავისი მოწმე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს განვლილი წლები მოვლენათა გრანდიოზულობით რამდენიმე საუკუნეს უღრის და იტყვს.

და აი ამდენი ხნის შემდეგ მე კვლავ მივემგზავრები ჰიათურისაკენ. ამ ხნის განმავლობაში, ცხადია, ბევრჯერ მომი-

ხდა ამ ჩემს ბატარა სამშობლო ქალაქში ყოფნა, მაგრამ ახლა, როდესაც ჩემს თმებზე, თუმცა ადრიაანად, მწვრამსაკმყოლ ჩამოთოვა, სულ სხვაგვარ განწყობილებით მივიღივარ ამ შვიქვით შემტრული თავისებური კუთხისაკენ.

ლამის სამ საათზე შორაპანში ვარ. აქ უჩვეულო ფუსფუსი და ხმაურობაა. სადგურის მეორე მხარეს (შორაპნის სადგურს ორი ბაქანი აქვს) მოძრავი ამწევი კრანები მუშაობენ. მთელ დასტა ხის მორებს ერთი აქნევით ტვირთავენ ვაგონებში. ზემოთ, გადახურული ბაქნებიდან რახრახით ცლიან ვიწროლიანდაგის ვაგონებიდან მარგანეცს ფოთის საბარგო ვაგონებზე დადგმულ ფოლადის კოდებში. ისმის მეისრეთა ხრიალა სასტყენების ხმა, ორთქლმავლების ხენეშა და ხრინწარევი კივილი. მართალია, იანუარია, მაგრამ თითქმის არც კი ცივა. მე კარგა ხანს დავყიალებ ბაქანზე და თვალყურს ვადევნებ ახალგაზრდა მუშების ფუსფუსს.

ბევრი ღამეები გამიტარებია მატარებლის მოლოდინში აი აქ, ამ შორაპნის ბაქანზე, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სადგურზე ხმოანი ეანდარებები დადიოდნენ და ჰიათურის მატარებლის ობერკონდუქტორი ყველაზე დიდი კაცი მეგონა ამ ქვეყანაზე. ყოველ არდადეგებზე ქუთაისიდან ჰიათურისკენ მივიჩქაროდი, რომ დასვენების დღეებში ჩემს ეზოში რიკტაფელა მეთამაშა, ან ჩემს თანატოლებთან ერთად ყორეებზე სათამაშო საბაგირო გზა მოგვეწყო და უფროსები გაგვეკვირებინა. ჩვენი ეზოები საფეხურებრს მაგვარ ტერასებს წარმოადგენდა. დავასობდით ერთი ეზოს ყორის პირად ორ პალოს, მათ შორის გავამაგრებდით ლურსმანზე წამოცმულ კოქას, ჩაეჭიმავდით ქვემო ეზოში ამ პალოებზე დამაგრებულ ორ თოკს, დავკიდებდით თოკებზე ბაინდუროვის ტკბილეულობის დუქანში ნაყიდ ორ, პატარა, ღვინის ჰქიქის ოდენა, ვედროს, — ამ ვედროებით კამფეტები აყიდებოდა, — გამოვბამდით ამ თავისებურ ბადიებს მავთულის რკალში წამყვან ძაფს, და, ამ-



გვარად, საპაერო-საბაგრო გზა მზად იყო. ჩავყრიდით მიწას ზედა ვედროში, ის მაშინვე დაცურდებოდა ძირს და მეორე ცარიელი ვედრო კი თავისით გარბოდა ზემოთ. ვაკეთებდით ელექტრონის ზარებს, ნამდვილ ტელეფონებს, საკმაოდ მოზრდილ ჰაეროსტატებს და ვოცნებობდით, რომ გაგვეკეთებინა ნამდვილი თვითმფრინავი. ამისთვის საჭირო იყო გვეშოვნა ბენზინის მსუბუქი მოტორი, მაგრამ ეს უკვე ჩვენს შესაძლებლობას აღემატებოდა. კიდევ იღბალი, რომ ვერ ვიშოვნეთ, თორემ ალბათ სადმე კისერს მოვიმტვრევდით.

ჰოდა, რა გამაჩერებდა ქუთაისში არდადეგებზე, როდესაც ქიათურაში ასეთი მიმზიდველი გასართობები მიმელოდა. მეც მოუთმენლად მივიჩქაროდი ქიათურისაკენ და შემოდგომის ან ზამთრის ბევრი სუსხიანი ღამით საათობით მიცდილი ამ სადგურში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ცდა რიონის სადგურშიაც მიხდებოდა, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რომ ეს წასვლა წამოსვლა არცთუ ისე სასიამოვნო უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაშინ ყოველ დღე რომ შემხედდროდა ასეთი მგზავრობა, უარს არ ვიტყოდი.

კარგად გათენდა, როდესაც პატარა მატარებელი ერთი ხენეშით და ვიშვიშით შეუდგა აღმართს. ჩემ თვალწინ დაიწყო წალმა-უკულმა ტრიალი ნაცნობმა მთავორებმა და საოცრად დაკლავნილმა ხეობამ. თოვლი სრულიად არ არის და კლდეებზე ალაგ-ალაგ მუდმივად მწვანე წყავის, სუროს, ჭანგის ფათალოს და სხვა ამგვარი მცენარეების ხალიჩებია გადაფენილი. ერთიერთმანეთს ცვლიან ნაცნობი სადგურები, რომელთა შორის ყველაზე საგულისხმოა რკვია, სადაც ბავშვებს ზაფხულობით მუდამ გამოაქვთ გასასყიდლად ხილი და სახელოვანთქმული ზემომიერული ნიყვი. შემდეგ სადგური სალიეთია თავისი ცნობილი წითელი მარმარილოს კლდეებით. ამ სალიეთის მარმარილოთუ მრავალ ადგილასაა მოპირკეთებული მოსკოვის მეტროპოლიტენი და მთელი რი-

გი ახალი ნაგებობანი. სალიეთისა და ქიათურას შუა, სადგურ თირთან, ყვირილის პირად, მოჩანს ცნობილი ნავარძეთის ციხის ნანგრევები. ეს ციხე გიორგი მეექვსის დროს ხელთ ეპყრა აბაშიძეს. გიორგი მეფემ მას ალყა შემოარტყა, მაგრამ ვინაიდან ლიპარტიანის წინააღმდეგ მოუხდა გალაშქრება, ციხის აღება ქველ წერეთელს მიანდო. ქველმა აიღო ნავარძეთი და ამ ციხის ზარბაზნები გაგზავნა კაცს.

იქვე, ყვირილის პირად არის პატარა ძველებური ეკლესია და კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბულები კედელში დატანებული ხვრელებით და სარკმლებით. სადგურ თირიდან იწყება ყვირილის ხეობის შევეული კლდეები და ეს კლდეობანი დერეფანი საჩხერემდე გრძელდება. მრავალჯერ მომივლია ფეხით ეს ხეობა თირიდან საჩხერემდე. ბავშვობის დროს მოვინახულე ნავარძეთის ციხის ნანგრევებიც და მღვიმევის მონასტერიც. დავათვალიერე ყველა ის გამოქვაბული, სადაც შესვლა შედარებით არ წარმოადგენდა სიძინელს და მაშინ აღმოვაჩინე, რომ შევეულ კლდეთა შუაგულში გამოკვეთილ ქებაბულებს ძელქვის აივნის კოჭები და რიკულები კიდევ შერჩენოდათ. ისინი შორიდან არ ჩანან, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეამჩნევ, თუ კედლის ძირად მიხვალ ან ქვემოდან აიხედავ. მაშინ ცას ფონზე დაინახავ კლდეში შერჭობილ მარჯილებს და ამ მარჯილებზე დამაგრებულ რიკულებს.

შორიდან ქიათურამდე, ამ მთებში შეზღუდულ ვიწრო და ღამაზ ხეობაში, თვალს იტაცებს კლდეებზე მოჩუხჩუხე ჩანჩქერები. ისინი ხან ძაფებივით დაკიდულან, ხან ქაფის ქსოვილებს ქარგავენ, მელოტი თავებივით მოტვლეპილ ლოდებზე ციციცივით ჩამორბიან და პეშვებივით ჩაღრმავებულ გუბებში ქინკვილების სანავარდო მორეეებათ დაგუბებულან. ალაგ-ალაგ ციციბო კლდეზე ჩამოკლავნილ ღრანტეში, ბაციკუქუთა მსგავსად, რიგრიგობით ჩამოსკუპულან პატარა წისკვილები. მობუტბუტებს მალლა ზეგანზე პატარა მდინარე, რომე-

ლიც არც მდინარეა, მაგრამ არც ისე მცირეა, რომ რუ ვუწოდოთ, უფრო მოზრდილი ნაკადულია. გადმოეშვება უცბად ეს ნაკადული ციციბო ფერდობზე და მაშინვე ღარში მოექცევა, გასაოცარი სისწრაფით დასრიალდება ამ ძველის ძველ ღარში, რომელსაც წყლის ბაღაბი გულზე ფაჩუნეირ ბალანივით ამოზრდია, გამეტებულად მიენარცხება ძველსა და ოდნავ მოშვალ ჩარხის ფრთებს, ციბრუტივით აატრიალებს, თვითონ ქაფად და შეხფებად ქცეული იქვე პატარა მორევში ჩაიქცევა, ოდნავ დამწვინებული წისქვილს ლაგებში გაუძვრება, ბრძენივით ჩაფიქრებულ თავმოტვლებილ ლოდს სადღაც გვერდრიდან შემოურბენს, დაღმართს ჩაიციუნცულებს, ლორღებში გაძვრება, თითქოს გაპარვას აპირებდეს, მაგრამ ახლა შევარე ღარში ან კოდში მოექცევა, იქიდან ჩარხის ფრთებს ისე დაეტყავება, თითქოს პატარა ბავშვს ეშხაპუნებოდეს პირისახეში და არ აცლიდეს თვალებში გამოხედვას. აქაც დაუსხლტება ამ თამაშობას, ხვინკებში წარგავს თავს, ვითომ სულ გაქრება, მაგრამ ახლა მესამე ღარს წააწყდება, და, გაბრაზებული ფინიასავით, სულ ღრენითა და ქაფქაფით დაეძგერება ამქამად უფრო მოზრდილ ჩარხის ფრთებს. ამასაც აატრიალებს, მაგრამ გზაში მას შეოთხე, მეხუთე, და ხშირად შეათე წისქვილიც კი ელოდება.

თვით ჭიათურის მიდამოებში, რგანის, მღვიმევის, ჯარბელის, ან ჭიქაურის ხეობაში, ასეთი ნაკადულები წინათ მარგანეცის სარეცხად იყო ხოლმე გამოყენებული და ისინი საგანგებოდ აგებულ ან კლდეში გაჭრილ ღარებში ტალღატალღა შეე ტყლაპოდ მოედინებოდნენ.



მატარებელი ვაქცაცური რახრახით უახლოვდება ჭიათურის სადგურს. მე თვალს ვავლებ მიდამოს და, ერთი შეხედვით, როდესაც ახლანდელ ჭიათურას ვადარებ იმ ძველსა და შავად გამურულ ქონმახებიან ქალაქს, ცხადია, წარმოუდგენელ განსხვავებას ვხედავ. ძველად ასეთი განსხვავების აღსანიშნავად აუცი-

ლებლად იტყოდნენ, რომ ჭიათურა ნამდვილი პატარა ევროპული ქალაქიაო. ახლა ჩვენმა ბიჭებმა, სანამაქვლეთვის განმავლობაში, ევროპის მრავალი კუთხე მოიარეს და ვეჭვობ, რომ პატარა ქალაქებში მათ ასე კეთილმოწყობილი ქალაქი ენახათ. არა, ადვილი შესაძლებელია, თუკი ჩვენ კეთილმოწყობაში ვიგულისხმებთ სამორიანებს ანუ კაზინოებს, საროსკიპოებს, სამიკიტნოებს და სხვა ასეთ დაწესებულებებს, მაშინ ჭიათურა, ცხადია, ყველაზე ჩამორჩენილი ქალაქი იქნებოდა მთელ მსოფლიოში. თავას დროზე კაპიტალისტური მრეწველობის პერიოდში ყოველივე ეს ამშვენებდა მის ბინძურ ქუჩებსაც, მაგრამ ახლა საუკუნო დაიწყოებას მიეცა ყოველივე. ახლა მას თეატრის ისეთი მშვენიერი შენობა ამშვენებს, რომლის მსგავსი დედაქალაქისათვისაც არ შეეძლო ეოცნება თვით აკაკი წერეთელსაც კი, ახლა რომ ამ თეატრის ახალი შენობის მაღალი კამარის ქვეშ ბრინჯაოს ქანდაკებად დაბრძანებულა და ჩაფიქრებული გაქურის საშევარდნო კლდეს. ჭიათურელებმა ძველად თეატრი ყვირილის. მარჯვენა ნაბირას, მგონი ვაქარ ბაინდუროვის სარდაფში მოაწყვეს. ბავშვობის დროს მე ყყოფილვარ ამ თეატრში. აქ წარმოდგენებს მართავდნენ ჭიათურელი სცენისმოყვარენი: მემანქანე გიორგი ნუცუბიძე, მეჩქმე პეტრე პეტრიაშვილი, დიასახლისი ნატალია სიხარულიძე, კანტორის მოსამსახურე შაქრო ვაშაძე და სხვანი ქართული სცენის ისეთ დიდ ოსტატებთან ერთად, როგორიც იყვნენ ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ვალ. გუნია, ნუცა ჩხეიძე და ალ. იმედაშვილი. სარდაფი ძალზე პატარა იყო და იქ ასამდე მაყურებელი თუ დაეტეოდა, სცენაც, ცხადია, დარბაზის შესაფერისი. მაღალი ტანის მსახიობს თავი ფრთხილად უნდა დაეკირა, თუ არ უნდოდა ზედ კოპები დაჯდომოდა. ეს თეატრი ამ ოცდაათი წლის წინათ წყალდიდობამ წახვეტა სხვა დუქნებთან ერთად.

ისიც მახსოვს, თუ როგორ ოცნებობდნენ ჭიათურელი ინტელიგენტები და

ფილანტროპები, რომ მათ ქალაქში აშენებულიყო სახალხო სახლი, მსგავსი ზუბალაშვილის სახალხო სახლისა. ამანვე ოცნებობდა ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ზღანოვიჩი, მაგრამ ოცნება განუხორციელებელი რჩებოდა. ინტელიგენციას სახსრები არ გააჩნდა, ფილანტროპი კაპიტალისტები ფულს ვერ იმეტებდნენ, მრეწველთა საბჭო კი ძლივს ახერხებდა მარჯანციის საზიდი საურმე გზები შეეკეთებინა. მათ იმის სახსრებიც კი არ გააჩნდათ, რომ ქალაქის ქუჩები მოეკირწყლათ, ხეირიანი წყალსადენი გაეყვანათ, ხოლო კანალიზაციაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ქიათურის ქუჩებსაც სანამუსოდ ერქვა ეს სახელი, თორემ ქვა-ლორლით დაფარულ ვიწრო ბილიკებს პაროდული მნიშვნელობით თუ ვუწოდებდით ქუჩებს.

შემდეგში თეატრი გადაიტანეს საღვურის უკან, კერძო შენობაში, რომელიც რამდენჯერმე იქნა გადაკეთებული ჩვენს დროში, მაგრამ იგი მაინც ვერ იყო ისეთი, როგორც ქიათურას ეკადრებოდა. იქ ხშირად ვყოფილვარ, რადგან მე ბავშვობიდან მიზიდავდა თეატრის კულისები და იქ მოხვედრა იყო ჩემი სანუკვარი ოცნება. მსურდა ახლო დამენახა ის ადამიანები, რომლებსაც სცენაზე ასე აღელვებული ვადევნებდი თვალს. მსახიობი ჩემთვის რაღაც ზებუნებრივი, განსაკუთრებული ადამიანი იყო და მეც მათი უდიდესი თავყანისმცემელი ვიყავი. მართალია, ბავშვობიდანვე ლიტერატურული საქმიანობა მიტაცებდა, მაგრამ ხელოვნებისადმი სიყვარული და პატივისცემა თეატრში მაგრძნობინა. ამიტომ იყო, რომ წლების მანძილზე მუდამ ახლო ვიდექი თეატრთან და ბევრ მათგანს ალბათ კარგად ვახსოვარ, ქიათურის თეატრში და თბილისის მოზარდ მსაყურებლის თეატრშიაც, სადაც ხან ვსუფლიორობდი, ხან ზოგიერთი პიესის ტექსტს ვამუშავებდი, ხან ვსცენარიულობდი, ბოლოს, დრამატურგობასაც მოვიკიდე ხელი, მაგრამ შემდეგ კინოსცენარებზე მუშაობამ გა-

მიტაცა და ამ საქმიანობას თავი მივანებე.

უნდა ითქვას, რომ დიდად მიმზიდველი არ იყო ქიათურის თეატრის მაშინდელი კულისები. ისეთი ნესტი იდგა და ისე ციოდა, რომ ძვლებში ატანდა, ანეგლოტური იყო სცენის სახურავიც. მგონია, როდესაც არ წვიმდა, მაშინაც კი წყალი ჩამოდიოდა და არაფერი მის შეკეთებას არ ეშველა. რამდენჯერ ახლად გადახურეს და მაინც აწყაპუნებდა ზემოდან. ბოლოს, მგონი, ის მოიფიქრეს, რომ კერქვეშ, იმ ადგილზე, საიდანაც წვეთავდა, თუნუქის კოლოფები მიაციდეს. აივანებოდა ეს კოლოფები, წყალს გადაღვრიდნენ და ასევე მიაციდებდნენ. მიუხედავად ასეთი ნესტისა და სიცივისა, მე არასოდეს არ მიგრძენია ისეთი სულიერი სითბო, როგორც ამ თეატრის კულისებში.

ძნელი წარმოსადგენია ის უდიდესი ენთუზიაზმი და ხალისი, რომლითაც ქიათურელი სცენისმოყვარენი მართავდნენ წარმოდგენებს. არც ერთი მათგანი არ ჩამოუვარდებოდა პროფესიონალურ მსახიობს და იმ ხანებში ქიათურის სამიკიტნობისა, ყვავახანებისა და სამოარი-ნეების ფონზე, ეს თეატრი უეჭველად უდიდესი კერა იყო კულტურისა. ამიტომ მიყვარდა თეატრი და ხშირი სტუმარი ვიყავი მისი. მაგრამ სხვაა, როდესაც პარტერიდან უცქერია სცენას და სულ სხვაა თეატრის კულისები, ის სამყარო, სადაც მზადდება წარმოდგენა, თავისი საკრიშო საპირფარეშოებით, ერთმანეთზე მიხევაებული დეკორაციებით, ძველებური ავეჯეულობით, გრიშის საღებავებისა და წვერის დასაყრავი ლაკის სურნელით, საიდუმლოებით მოცული კუნძულებიდან გამონათებული სინათლით, და, რაც მთავარია, მუდამ მხიარული მსახიობებით.

ამიტომ, როდესაც ქიათურის ახლად აგებულ შესანიშნავ თეატრში პირველად მოვხვდი, როდესაც დავათვალიერე მისი ბრწყინვალე დარბაზი, ფოიე, მოხატულ-მოჩუქურთმებული კედლები და მხატვარ სტურუას მიერ მოხატული

პლაფონი, ყოველი ამის შემდეგ ახლაც წარმოდგენელმა სურვილმა შემიპყრო დაშველო ამ ახალი თეატრის სცენა, კულისები და ისევ შემეგრძნო გრიმისა და ლაქის თავისებური სურნელება. რეჟისორი ს. ცომაია წამიძლეა თავის ამ საამაყო ტაძარში, დამთავალიერებინა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი სცენა მბრუნავი ფართი, კოლოსალური სადგეორაციო „ჯიბეებით“ და მსახიობთა ჩასაცემელი ოთახებით. ერთ-ერთ ოთახში მაშინვე თავი მოიყარა ამ თეატრის მსახიობთა აქტივმა და მათთან ათი-თხუთმეტი წუთის საუბარმა კვლავ გამახსენა ის სანეტარო შემოქმედებითი განწყობილება, რომელიც მუდამ ჩქეფდა ჭიათურის სცენის მუშათა კოლექტივში.

ამ კოლექტივში გაიზარდნენ ისეთი შესანიშნავი მსახიობები, როგორიც არიან მ. ვაშაძე და გ. ტყაბლაძე.



გავცქერი დეკორაციებით ამართულ ჭიათურის კირქვიან კლდეებს და ბევრი რამ მაგონდება ჩემი ბავშვობის დროიდან.

სადგურიდან ვხედავ კრამიტით დახურულ ჩემს ყოფილ სახლს თავისი გრძელი შუშაბანდით, სადაც გაეატარე ბავშვობის წლები, სადაც ვიგრძენი უდიდესი სითბო იმ დაუვიწყარი მშობლაური ბუდისა, რომელსაც ჩემი დედა და მამა ისეთი გულმოდგინებით აკეთებდნენ და აწყობდნენ.

მამაჩემი ოცდაათ წელზე მეტია, რაც მალობზე გამართულ და ახლა უკვე გაუქმებულ სასაფლაოზე განისვენებს. იგი ძალზე ახალგაზრდა გარდაიცვალა, რომოცდახუთი წლისა. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ამ ქალაქში გაატარა. პროფესიით სამთო ტექნიკოსი იყო. უყვარდა მწერლობა, წერდა ლექსებს, მოთხრობებს, საგაზეთო წერილებს, თანამშრომლობდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში. იყო საოცრად მკვირცხლი, ხალისიანი ადამიანი, ზნეობის და პატიოსნების ნამდვილი განსახიერება. ამაყობდა იმით, რომ გავარდნილი ჰქონდა პურ-მარილიანი კაცის სახელი, და ეს სახელი

მას საკმაოდ ძვირი უჯდებოდა. ვერ აღიოდა სამიქიტნობის ნრსიების გადახდას. პლბათ ვერასოდეს ვერ მოახერხებდა იმ ეზო-მიდამოს მოწყობასაც რომ მამაჩემის ამ ხელგაშლილობას დედაჩემის მომპირნეობა და ოჯახზე განუწყვეტელი ზრუნვა არ გადალობებოდა წინ. სწორედ დედაჩემზე, ქორეთელ გლების ქალზეა შედგამოქრილი ჩვენებური თქმა: „ისეთი ქალია, ცივ ქვაზე დაასახლებს ადამიანს“. მართლაც, იმ მიშველ კლდე-ლორღზე დედაჩემისთანა ენერჯული და თავდადებული ადამიანი თუ მოახერხებდა მოეწყო ისეთი შესანიშნავი ეზო-გარემო, როგორიც ჩვენი სახლ-კარი იყო.

მაგრამ ცხოვრება სულ სხვაგვარად წარმართავს ხოლმე ადამიანის გზებს და ამ გზებმა მთელი ჩვენი ოჯახი სამუდამოდ დაგვაშორა ასეთი გულმოდგინებით და სიყვარულით ნაკეთებ ეზო-გარემოს. იგი ახლა სხვებს ეკუთვნის, იმ ეზოში უკვე მეორე და მესამე თაობის ბავშვები დარბიან და განიცდიან ცხოვრების პირველ სიხარულს, თამაშობენ რიკტაფელას, ისვრიან კაკალს ნიშანში, აგებენ თეთმფრინავის მოდელს, აბამენ ძაფის ტელეფონს და კონწიალობენ ხის ტრეტებზე.

ვაკვირდები სადგურიდან და ვამჩნევ, რომ ის დიდი კაკალი, რომელიც მამაჩემმა დარგო და მთელ ეზოზე ბატონობდა, უკვე აღარ არის.

ვაკვირდები მამიჩემის დარგულ ნაძვს და ვხედავ, რომ ის ჯერ კიდევ ცოცხალია, მალა აზრდულა, დაეაყვაცებულა და მე შორიდან ვესიყვარულები მას მახსოვს, როგორ გამეხარდა, როდესაც მან პირველად გამოიბა სათესლე ჯალღუბები. მახსოვს, როგორ გადატეხა ეს ძნელად გასაპარებელი ხე ზედ შუა წელზე ერთმა ცელქმა ბავშვმა, ამის დამნაბავი როგორ ვტიროდი გულამომჯდარი.

მერე მოვიდა მამაჩემი, ფრთხილად ააყენა გადატეხილი ნაძვი და ვინაიდან კანი მთლიანად გაწყვეტილი არ იყო, იმედი გამოიქვა, რომ მას გააცოცხლებ-

და. ოსტატურად ჩადგა ერთმანეთში დამჩხრილი გადატეხილი ნაწილები ხისა, გარშემო ცვილით შემოგლისა, ჩერები შემოახვია და მაგრად შეკრა.

ყოველდღე გულგახეთქილი ვამოწმებდი — აბა, გაიხარა ხემ, თუ გახმა და იწყებენ თუ არა ცვენას წიწვები-მთქა.

გაიხარა ხემ მთელი ჩვენი ოჯახის გულის გასახარებლად. გაიხარა და წავიდა მაღლა.

აი იმ ნაძვის ხეს ვუთვალთვალე სადგურის ბაქნიდან და თუ არ გავრბივარ მის სანახავად, მხოლოდ იმიტომ, რომ... მეშინია, ვართუ თვალი მატყუებდეს და ის ნაძვი თავის ადგილზე აღარ დამიხვდეს... აღარ დამიხვდეს ის უნაბიცი, კომშიცი, თხილის ბუჩქებიცი, ნამყენი ზღმარტლიცი, გრგანტური ლელვის ხეცი, ხელის-გულის ოდენა ნაყოფს რომ ისხამდა, ვაზებიცი, ჩემი მშობლები რომ ისე გულმოდგინედ ამენებდნენ, უვლიდნენ და ახარებდნენ.

რა არ დაურგავს მამაჩემს იმ პატარა ეზოში.

ერთხანს ალუბლის ხეივანით დაამშვენა თავისი ბაღია. ყოველ გაზაფხულს ჩვენი ეზო საარაკო სანახავი იყო. მართლაცდა, განა შეიძლება თვალმა იხილოს აყვავებულ ალუბლის ხეზე უმშვენიერესი რამე? ამას წინათ ქურნალ „ოგონიოკში“ ვკითხულობდი ა. საფრონოვის ნარკვევს იაპონიაში მოგზაურობის შესახებ. ავტორი, სხვათაშორის, იაპონურ ხილზე ლაპარაკობს და განსაკუთრებით აქებს იქაურ ატმებს და ალუბალს.

„როდესაც რომელიღაც ჩვენგანმა უთხრა ერთ-ერთ ჩვენს მოსაუბრეს, — წერს საფრონოვი, — თუ რამდენად შესანიშნავია იაპონური ალუბალი, მან ხართიანად ჩაახველა და შენიშნა:

— დიახ, მართლაც შესანიშნავია. ჩვენ იმდენად გვყვარს მისი მოვარდისფერო, თეთრი, საოცრად ნაზი ფერი, რომ არ შეგვიძლია უფლება მივცეთ ჩვენს თავს, შევაქოთ იგი მისი გემოვნური თვისებების გამო.

ფრაზა ცოტა ბუნდოვანია, მოგვიანებით გამოვარკვეით, რომ იაპონიაში

ალუბალი საკმელად თითქმის არ იხმარება.

ახლა ვიგონებ და ვხვდები, რატომ იწვევდა ჩემში ამდენ სიხარულს ჩვენს ეზოში ალუბლის აყვავება. არათუ ჩემში, ვინც არ უნდა მოსულიყო ჩვენთან მაშინ — გლეხი იყო ის, მაღაროს მუშა, მდიდარი თუ ღარიბი — არ შეიძლება ჩვენი აყვავებული ალუბლების დანახვაზე, თეთრკაბიანი ქალიშვილებივით რომ ჩამწყრივებულიყვნენ გზის ორივე მხარეს, არ გამოეთქვა ალტაცება.

თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ეზოს ალუბალი გემოთიც სანაქებო იყო და დედაჩემი მისგან საუცხოო მურაბებს ადუღებდა.

ერთხელ დაფენიცი გააშენა მამაჩემმა. მოიტანა საიდანღაც ნერგები, გააბლარები-ეზოში და მწყრივებად დარგო. გაიზარდნენ ჯერ ბუჩქები, მერე ხეები, მთელი ეზო მოიარეს და ვინაიდან თურმე ოჯახისთვის ერთი ძირიცი თავზე საყრელი ყოფილა, მერე იმათ გადაშენებას მოუენდით. გადავჭრიდით ძირში, დაიძახებდა და ისე ამოიყრიდა გეგონებოდა, ამ ერთ ძირზე მთელმა შადრევანმა ამოხეთქაო.

ვიგონებ ყოველივე ამას და ისევ გავცქერი შორიდან ჩემს მშობლიურ ეზო-გარემოს.

ძნელი ყოფილა მცროვება და შეუძლებელი დაიწყოება იმ კუთხისა, სადაც აიდგი აღამიანმა ფეხი და სადაც ყოველი კენჭიცი კი საკუთარ მეგობრად მიგაჩნია.

ისევ სჯობს ახალ ჭიათურას დავხედო და გავიხარო იმით, რაც გაკეთებულა ამ ქალაქში და ჩემი ბავშვობის დროს მხოლოდ ოცნებას რომ წარმოადგენდა ჩემთვის.

მე ვოცნებობდი, რომ ჭიათურაში ფართო ქუჩები ყოფილიყო.

ახლა იქ მრავალი ქუჩაა ასფალტით მოფენილი, რომელზედაც ავტომანქანები დაქრიაან.

უნდა გაეამხილო, რომ ჭიათურაში ავტომანქანის გავლა ჩემს ოცნებას აღემატებოდა. ყველაზე უდიდესი, რასაც ვნა-

ტრობდი, იყო ჩვეულებრივი ფაეტონი, ორცხენიანი, ქუთაისში რომ დარბოდნენ, ისეთი.

მთის ფერდობებზე გაყვანილ ქუჩებს ბევრ ადგილს ბეტონის ან თლილი ქვის მოაჯირები ამშვენებს. ყვირილის ნაპირებზე ჩაყოლებულია მხატვრული გემოვნებით ნაგები სანაპირო ხეივნები. ტროტუარების გასწვრივ ღვივიან თეთრი ლამპიონები.

ქუჩებში, გრანდიოზული კინოთეატრის წინ, დრამატულ თეატრთან, სადგურის ბაქანთან მუდამ ირევა სუფთად ჩაცმული ხალხი. ეს განსაკუთრებით იმიტომ მცემს თვალში, რომ კიათურაში წინათ უფრო ხშირად შავი ქვის მტვერსა და ტალახში ამოგანგულ ხალხს თუ ნახავდით, ვიდრე სუფთად ჩაცმულ ადამიანს.

— თითქმის მთლიანად დანგრეულია და აღებული ძველი ბაზრის ფარალალა დუქნები და მათ ნაცვლად აგებულია მრავალსართულიანი ლამაზი სახლები. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მარგანეცის ტრესტის სამმართველოს შენობა.

კიათურლების სიამაყეს შეადგენს პერვეისის ზეგანზე აკიშული საპაერო საბაგრო გზა, რომელზედაც დაკიდულია საკმაოდ დიდი სამგზავრო ორი ვაგონი. ერთი — ქვემოთ, ერთი — ზემოთ. თვითულ მათგანში შეიძლება თორმეტი კაცი ჩაჯდეს. ფართო სარკმლებიდან მოჩანს მთელი კიათურა და ეს მყუდრო ვაგონი ისე მშვიდად მიცურავს მაღლა, ბავშვივით გელვიძება სურვილი, წალმანუკულმა განუწყვეტლად ისეირნო.

შეიდი ასეთი საპაერო სამგზავრო გზა გაკეთდება კიათურაში მეექვსე ხუთწლედის დამლევს და ეს პატარა ქალაქი პირველი იქნება არა მარტო სამჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში, სადაც ამდენი რაოდენობის საპაერო მარშრუტები იარსებებს შგზაერთა გადასაყვანად.

რაც შეეხება მარგანეცის გადასაზიდ საპაერო-საბაგრო გზებს, მათი დათვლა კი შეუძლებელია.

კიათურის თვალუწვდენელი კლდევანი ღერეფები თავიდან ბოლომდე დახლართულია საპაერო გზების ბავჯირებით. ყველგან მოჩანს მკლავებგაშლილი ფოლადის ანძები და ბაგირებზე დაკიდული წალმანუკულმა მოძრავი ვაგონები. სახვე ვაგონები დინჯად მოცურავენ დაბლა, გვერდს უვლიან ველოსაპედის თვლების მავგარ გიგანტურ ბორბლებს, ავტომატურად იცლებიან ფოლადის ბეიმირებში და ასევე დინჯად მეორე ბაგირით მისრიალებენ მაღლა. ზოგან ხვამირების ნაცვლად მადანი პირდაპირ იცლება ღია ბაქნებზე. გორებად დაზვიენულ მადანს ესკავატორები ტვირთავენ რკინიგზის ვაგონებში. მანქანებს შორის ესკავატორი ყველაზე სასეირო რამ არის. თავისი მძიმე მიმოხვრით, ხორთუმის და ციციხვის სასაცილო მოძრაობით. ხან თითქო ენას რომ ატყლაპუნებს ხან კიდვე დინჯით მიწას რომ ჩიჩქნას, თავისი ღრუჭუნ ხრუტუნით ის ცოცხალ არსებასა ჰგავს, რაღაც საერთო აქვს სპილოსა და განედიკრებულ ტახთახ. ერთსაც წააგავს და მეორესაც. უფრო სპილოსა ჰგავს, მხოლოდ იმაზე უფრო მკვირცხლი და მოქნილი.

ძველი ქარხნებიდან კიათურას მხოლოდ თითოთროლა ქარხანა დარჩა, ისინიც ძირფესვიანად არიან გადაკეთებულნი და გაუმჯობესებულნი. ძირითადად ამეამად მარგანეცის პროდუქციის გაუხვევა ანუ, ძველებურად რომ ვთქვათ, გარეცხვა, წარმოებს რამდენიმე მძლავრ ქარხანაში. ეს ქარხნები ხუთწლედების პერიოდში აშენდა და ისინი წარმოადგენენ ტექნიკის უყანასკნელ სიტყვას. მე დავათვალთვინებ ახლად აგებული უდიდესი ქარხანა, რომლის მძლავრი აგრეგატები ელექტროენერგიით მუშაობენ და ნახევრად ავტომატიზებულნი არიან. სართულებში დაზგებთან ან, უფრო სწორად, აგრეგატებთან მორიგობენ თითოთროლა ახალგაზრდა მუშა და მუშა ქალი, რომლებსაც უფრო მეთვალყურეობა აკისრია და ისინი თავისი სუფთა ტანსაცმელით, სუფთა სახით, თეთრი ხელებით

სრულიად არ გვიანან ძველებური სარეცხი ქარხნის მუშებს, რომლებიც თავიდან ფეხებამდე მელანში ამოვლებულს ჰგავდნენ და მათ მხოლოდ თვალის გუგები უელავდათ თეთრად.

ქარხნიდან საავტომობილო გზა კლდოვან ფერდობზე მიიკლავება და ახლოს უვლის იმ ზეგანს, სადაც მუშათა საცხოვრებელი კოტეჯებია აგებული. საკუთარ ბინებში მუშებს არა მარტო განათება, არამედ აბაზანები და მუდმივად ცხელი წყალიც კი აქვთ.

საწავრო საბაგირო გზა მაღაროებთან მთავრდება (თუმცა ეს დასაწყისად უნდა ჩაითვალოს) ბეტონის თალიანი მთავარი გვირაბი მეტროსა ჰგავს. პატარა ელმავლები იქით-აქეთ დაარბენინებენ რკინის ვაგონების გრძელ მატარებლებს, გამოაქვთ მაღანი და ცარიელი უკანვე ბრუნდებიან. საგვ ევაგონები ავტომატურად იცლება ბუნკერებში. ახალგაზრდა პირტიტველა მუშა შევაგორებს ვაგონს მბრუნავ წრეში, დააჭერს გვერდზე ფოლაქს თითს, წრე შეტრიალდება და საესე ვაგონს ბუნკერში ჩაცლის. (რას ავიჩემე ეს ბუნკერი, მას ხომ ქართულად ხეიმიერა ვივია).

ღარკით გაჭიმული მთავარი გვირაბი ელექტროლაშებიტთაა გაჩაღებული. ის რამდენიმე კილომეტრის სიგრძისაა. შიგნით მაღარო ნამდვილ ლაბირინტს წარმოადგენს. მაღანის ამოღება მთლიანად მექანიზებულია და ძველებური სახელწოდება „მნგრეველი“ დღეს მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ მაღაროელს. კარგა ხანია, რაც დავიწყებას მივცა მაღანის წერაქვით მონგრევა. ახლა მაღაროელები შპურებს ელექტროპერფორატორებით ბურღავენ, აფეთქებენ და მონგრეულ მაღანის აწმენდას სხვადასხვა სახის ამწმენდი მანქანებით (სკრაპერებით) აწარმოებენ. ძველებური ნაეთის ქრაქის ნაცვლად, მაღაროელებს გზას ელექტროლაშებიტ უნათებს. ყოველ მუშას თავზე ატურია ელექტროლაშებიანი მუზარადი, რომლის საშუალებით ლაგების ან შტრეკების ყოველ კუნჭულში შეუძლია შეიხედოს და იმუშა-

ოს ისე, რომ ყოველთვის განათებული ჰქონდეს სამუშაო ადგილი.

ყოველ მაღაროს აქვს თავისი კლუბი, სადაც კიათურის დასი შართავს სანქტაკლებს და იქვე უჩვენებენ კინოფილმსაც. რადიო ხომ ისე გახშირდა მუშათა შორის, რომ ახლა საკვირველი უკვე ისაა, თუ იგი ვინმეს ოთახში არ უდგას.

კიათურის მაღაროს მუშები ჩვენი დროის მოწინავე ადამიანები არიან მოწინავე ტექნიკური ცოდნით აღჭურვილნი. მათ შესახებ მომავალში მექნება ლაპარაკი, როდესაც საგანგებოთ მთელი წლით ჩავალ კიათურაში და დეტალურად შევისწავლი მათ ყოფა-ცხოვრებას. ჩემთვის იგი ჯერჯერობით სრულიად უცნობი ახალი მასალაა. თუ რამდენად წინ წავიდა კიათურის წარმოება და თვით კიათურელი მემღაროელი, ამის დამადასტურებელია ისიც, რომ 1920 წელს კიათურის მაღაროებში სულ ამოღებულ იქნა თორმეტი ათასი ტონა მარგანეცი, ესე იგი იმდენი, რამდენსაც ახლა ყოველწლიურად სათითაოდ იღებს ყოველი კიათურელი მოწინავე მუშა.

ახლა, როდესაც ეს სტრიქონები იწერება, უკვე დამთავრდა კიათურის ფართოლიანდაგის გზის გაყვანა. ბუბერსა და სახსრებში მორყეულ ორთქლმავლებს, დღემდე რომ ვაეკაცურად დაარბენინებდნენ შორაპან-კიათურას შორის მარგანეცი დატვირთულ ტყვიასავით მძიმე მატარებლებს, შეცვლის მძლავრი ელმავლები. უამრავი გვირაბის გაჭრა დასჭირდათ გზის მშენებლებს, რომ ხეობაში ჩაკლავილი მიხვეულ-მოხვეული ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ნაცვლად გაყვანათ ცოტად თუ ბევრად სწორი ხაზი ფართო ლიანდაგისათვის. მანძილი ახლა, თუ არა ვცდები, თერთმეტი კილომეტრით მცირდება.

ეს ხაზი ჯერ დარკვეთამდე მივა, ხოლო შემდეგში საჩხერემდისაც მიიღწევს და ვინ იცის, იქნება კერათხებზე გავლით ქართლშიც გადავიდეს.

ჩვენში უკვე შეუძლებელი აღარაფერი არ არის.

რ უ ს თ ა ვ ი

ხროკ ვაკეზე, სად ქვიშნარში  
ვერ ხარობს მოლი,  
სად საუკუნეთ შეუტყნობი  
ნამსხვრევენი დუშან,  
ჩამრჩა ხსოვნაში სამუდამოდ  
გულის გამჭოლი  
საყვირთა სტვენა, მანქანების  
გრგვინვა ძალუმაღ.

რკინა ეღერს, კედლებს სიმკვრივე-აქვთ,  
ნაკვეთი ტინის,  
და ორთქლმავლების ლურჯი ბოლი  
ზეცამდე სწვდება.  
ეს საქართველო ლითონისა,  
დუღაბის, რკინის —  
აშენებს რუსთავს, იზრდება და  
ძლიერი ხდება.

რადიოანძებს გაუშლიათ  
ზეცისკენ მხრები  
და გასცქერიან მუქ სივრცეებს  
შორეულ მხარის.  
ყურძნის მხარეში, სად სიმწვანით  
ჭშვენთან მთები,  
დღეს მე მარტენთა სილუეტებს  
შევაფლუ თვალი!

წითელ კრამიტით გარდაქმნაზე  
ქალაქი მღერის  
და იმოსება მისი მიწა  
მცენარეულით,  
ირგვლივ გაისმის რკინის ხართა  
ქშენა ძლიერი,  
მაისის წვიმა მტკვარს აელეებს,  
ციდან ფრქვეული.

მწამს, აღსრულდება მალე, რასაც  
განიცდის გული:  
ფოლადის ღვარი აქ ცეცხლისფრად  
შეღებავს სივრცეს,  
შოფერი ეტყვის უცხო მგზავრებს,  
ვახარებულნი:

— ბრწყინავს რუსთავი, შეხეთ! — და  
ხელს

ვით ჯარისკაცი, ომის ალში  
ნაწრობი ძმები,  
შეგროვდებიან, იგონებენ  
დღეებს ქარცეცხლის,  
აქაც მოსულან და იბრძვიან  
ვეტერანები —  
აღმშენებელნი ტყვარჩელისა  
და რიონჰესის.

აქაც იბრძვიან შემბორკავნი  
ხრამის მგელისა,  
გზის მშენებელნი, ოსტატები  
ელმავთულებას.  
მოსულან გმირნი საქართველოს  
განსაცდელის ეამს  
დარიალოს კარს შემმუსვრელნი  
დღეშმან-თულების.  
ხალხთა დიადი მეგობრობით  
აქ ბრწყინავს ბარი,  
სასწაულს ახდენს დღე-ღამ შრომა  
თავგამებტებით,  
ქართველ ოსტატებს გვერდს უშვებენს  
ურალის მხარის  
ჩელიაბინსკსა და ტაგილში  
ნაბრძოლი ძმები.

დაე, მაისის წვიმა ცრიდეს  
ფირუზ ცის თალით,  
ჩვენ კი გვახსოვდეს ყაზახ ძმების  
თქმულება ბრძნული:  
«თუ გსურს დევგმირი დედამ შობოს  
ვეება, ლალი, —  
არ დაიშურო ჩერებისათვის  
თვით ფარჩეული!»

და ახლა, როცა მძლე მანქანებს  
გააქვთ გრიალი,  
ლურჯი მაისის ყვავილებით  
მიღამო ჰშვენის,  
ჩვენ შენთანა ვართ, რუსთავო, და  
ვამბობთ სიამით:  
იყოს კეთილი, ბუმბერაზო,  
გაჩენა შენა!



## პირველი თავი



### ოპერის ბაღში

ოპერის ბაღში სძინავს იაღონს  
და ის ატირებს დღესაც ეთერის.  
ნახავ საფლავს და ხავსიც გიაგობს —  
ვანოს ცათამღე ძეგლი შეფერის.

როცა სიკვდილი ტეხდა სალამურს,  
მას „თავო ჩემო“ არ უმღერია.  
მიწას, ეთერის ცრემლით დანამულს,  
ბალახში ჩვენი ცრემლიც ერია.

მამულს რა უნდა დიდების გარდა!  
სარაჯიშვილის ტოლის გაჩენა.  
უკრავს მუსიკა, იწვევა ფარდა,  
ვნატრობთ: ნეტავი ვანო გვაჩვენა!

ურხევს ნიაგი გულ-მეგრდზე სუმბულს,  
ველარ აღვიძებს მაროს ტირილი.  
იქვე, აკაკის, — ქართველთა ბულბულს,  
შუქს ფენს მაისი ვარდით, გვირილით.

აქ ისე გვიპყრობს სიმების ელერა,  
როგორც დურულჯის შხულილი მთებში.  
მარჯანიშვილმაც აქ პოვა კერა  
მერცხლებით მოსულ აპრილის თვეში.

ფერფლად მოტანილ ჯადოქარ მხატვარს  
ურნასთან ედგა ლაურენსიაც.  
ის ასრულებდა ესპანელთ ნატვრას,  
გმირს გასაქირში არ უკენესია.

ოპერის ბაღში სამი ძმა არის,  
სამივეს უბრის ქაღარი ტოტებს.  
ხემ როგორ უთხრას სხვა სამძიმარი  
საყვარელ ვანოს, ზაქროს და კოტეს.

ღრმა დუმლიშოია სამი საფლაგი,  
ტბილად უკრავენ მაინც არფები:  
ისმის ეთერს ხმა გულსაკლავი,  
წვიმს და... მუსიკის ხმას ვეწაფები.

### მუსმენ სალამურს

რა ლამაზია გვერტის აფრენა,  
ყანიდან ხოხბის ამოფთქება.  
ყანა ნახატი სხვადასხვაფერად  
მოსაგონებლად მუდამ მექნება.

დილიდან უმზერს მზეს მზესუმზირა,  
ვალერაება სხივს საღამომდის.  
მე კი საღამოს კალოს ვუზივარ,  
გულისკარიდან ლექსი ამომდის.

ვფიქრობ, ყაყაჩო თვალს თუ გამორჩა,  
სტრიქონში მაინც ჩავსვამ ყაყაჩოს!

ყაყაჩო ლექსში ისე არ მოჩანს,  
როგორც სიწითლით ყანას დარაჯობს.

ღამეს ვათენებ ბერმუხის ძირას,  
სიმღერას რქერს მინდვრიდან ყური.  
მუსმენ სალამურს,  
ნიავეს არ სძინავს,  
ვარსკვლავების ქვეშ ბიბინებს პური.

მრვა, იღვევა მკათათვის ღამე,  
გვერტებს აღვიძებს ცა მოკაშკაშე.



## მღერის ბუხარი

მღერის ბუხარი...

ზეცა ტირის წვიმის წვეთებით...

მომწყინდა წვიმა,

კიდევ უფრო — შინ უქმად ჯდომა.

წვიმა არ იყოს, ჩვენს ძველ ჭიშკარს შევაკეთებდი,

თავი შეურცხვეს ატირებულ ცივ შემოდგომას.

ტყეს აკანკალებს.

გალუმაული წვიანან ველები.

ქარი ედება, როგორც მთვრალი, ღობეს და ყორეს.

პაპა ბუხართან ცას აყრუებს ხშირი ხველებით.

მაღე დაგეტოვებს...

ეპ, ეტყობა, ეტყობა სწორედ.

ბებია უზის ჩუქურთმებით მოხატულ აკვანს,

ჩვილი ლოყებზე უცაცუნებს ფუნჩულა ხელებს.

— ცოტაც მაცაღე, ჭინკის ერთო, მოგართმევ კაკას,

რატომ გაგლოჯე არტახები, შენ შემოგველე?

მღერის ბუხარი...

ნაკვერჩხლებად იბნევა კუნძი...

მღერის ბუხარი და გლეხ-კაცებს შეტი რა გვინდა?

თმადაკირხლული შემოდგომა თბილ ბუხარს უზის,

გაზაფხული კი,

აი, უკვე დგება აკვნიდან.

## თოვლი, ნაძვი და კატარა ჩიტი

ცა გაწყრა ბევრი ცოდვის ჩამდენძ,  
თოვლი მთაბარზე მოამთაბარა.

ნეტაც სად ჰქონდა თოვლი ამდენი  
ან ასე მალე როგორ დაყარა.

ნაძვს აქვე, ჩემი ფანჯრის წინ  
დამდგარს,

ვეება ტვირთი აპკიდა ზეცამ.

ხე ქედდახრილი წარუდგა ზამთარს  
და თითქოს მუხლიც ჩამოეკეცა.

ნაძვს აეკრდა ზამთარი მკაცრი,  
თოვლით კინაღამ დღე დაუღამა

და შემებრალა ხე, როგორც კაცი,  
ვეება ტვირთქვეშ მოხრილი სამად.

ამ დღით სულაც არ ჩანდა ქარი,  
მზეს არ ელოდა ხეხილი თრთოლვით  
და იყო მხოლოდ დუმილი მყარი,  
ფაფუკი თოვლ, თოვლი და თოვლი.

თეთრი საბნის ქვეშ მძინარ სოფლიდან  
ჯერ არც ისმოდა ვინმეს ძახილი...  
უცებ პატარა ჩიტი მოფრინდა  
და ნაძვის წვერზე დაჯდა დაღლილი.

შექანდა ჩიტი, ტოტიც შექანდა,  
ტოტიდან მცირე თოვლი დაცვივდა  
და შემდეგ, თითქოს ვინმე ფერთხავდა,  
დაიგრილა თოვლმა ნაძვიდან.

დამფრთხალი ჩიტი გაფრინდა სადღაც,  
თოვლის შეავისგან სოცოცხლე იხსნა.  
ხე კი ნაგვეში კაცივით ადგა  
და თავს იქნევდა მადლობის ნაშნად.

ვინ იცის ახლა ქედმოხრილ რამდენ  
ხეს გაახარებს ჩიტი კეთილი,  
მერმე კი, ალბათ, ჩაკვდება სადმე,  
თოვლის გრილით გულგახეთქილი.

წავა და... ცივად დარჩება კერა,  
ვერ ეღირსება ბარტყების ტიტინს...  
ხეებს ხომ თოვლი ვერ მოჰკლავს, ვერა,  
მე მეტოდება საბრალო ჩიტი.

## გულში კეთილი ცეცხლი ამენთო

ქარბუქი გზაზე რალაცას როშავს,  
შორით ხმა ისმის ხევთა გოდებრს.  
თოვლს მაყრის ქარი, მაქეროლებს,  
ითოშავს,  
კვლავ ვდგავარ მაინც და ველოდები.

ყინულქვეშ წევს და ლულულებს  
ლეღე,  
გზის პირს კანკალებს უკვე კაკალიც.  
უბეში ვითბობ გაყინულ ხელებს  
და კაკალივით მეც მაკანკალებს.

ზამთრის წინაშე უკვე ქედს ვიხრი,  
თოვლში ჩამდგარი და დაზაფრული...

და, აი, ვისაც ველოდი, იგი  
გზაზე გამოჩნდა ვით გაზაფხული.  
მის წინ აპრილმა გაშალა აფრა,  
ხოლო ხეებმა მხნედ გაიცინეს  
და ჩემს გარშემო უმაღლე გაქრა  
ქარბუქი,  
თოვლი,  
ყინვა,  
სიცივე.

უცებ გამიჩნდა ტკბილი ხანძარი,  
გულშიც კეთილი ცეცხლი ამენთო  
და დამავიწყდა, ცივი ზამთარი  
თუ არსებობდა ქვეყნად საერთოდ.

## არ გუშინიათ, ხეებო, ზამთრის?

თეთრწვერიანი მოდის ზამთარი,  
მეფობა ისევ ყინვას ეღირსა.  
შემოდგომა კი წევს ცოცხალ-მკვდარი:  
ეჰ, აღარ არის ამა ქვეყნისა.

თუმც უკვე სცივათ ზეინებს და ვაზებს,  
ლაშლაშით დარბის ქარი ავბირი,  
ყინვის ნალებით დაქედოლ გზაზე.  
გოგონა მოდის როგორც აპრილი.

მოდის, მოლუშულ გზას ახალისებს,  
მისი თვლები ცას უცინიან...  
ერთს შემოგხედავს და დაგავიწყებს  
ქვეყნად ოდესმე თუ შეგცოცნია.

მხარზე შეუდგამს მოზრდილი კოკა,  
აქვს ნაწინავები ყარყუმის ფერი,  
მის წინ, შარაზე ფოთლები როკავს,  
ხოლო შორს, სადღაც კუბუკი მღერის:

თებრონე მიდის წყალზედა,  
კოკა უდგია მხარზედა,  
კობტა გოგოვ, გენაცვალე,  
ხეე-ხეე თებრონეო...

თებრონე გქვია? არ ვიცი, არა.  
არც ის, ვინაა შენი მშობელი.  
მეგრამ ვინცა ხარ, იხარე მარად,  
ცამ გიღლეგრძელოს წუთისოფელი.  
ნაფეხურები გიჩანს ვარდებად,  
უკვადევაა შენი სახელი.

მწამს, მზე დაესწრო შენს დაბადებას  
და დაგანათლა თავის ნათელი.  
ირგვლივ ქარი ქრის იმ მთის და ამ მთის  
და თოვლი ელჩებს აგზავნის ბარად.

— არ გეშინია, გოგონა ზამთრის?  
თვალეზი მზისებრ კაშკაშებს: — არა  
ევ მზე ჩემს გულსაც ერგო მცირედი,  
თვალეზმზიანო ქალო — მერცხალო,

შენ ხომ მთა-ბარსაც მიეც იმედი,  
ქვეყნად იმედი არ მოგეშალოს.  
შარაზე ზამთრის დესპანი დაჰქრის,  
ქარი მირეკავს ფოთლების ფარას.  
— არ გეშინიათ, ხეებო, ზამთრის?  
ხეები თავებს აქნევენ: — არა!



## მონადირის ღლიურიდან

• ცინოდეს, ყმაწვილობდეს,  
საყვარლად და კარგად ზმიდეს...

შ. რუსთაველი

I

### შ ი შ ი

მიწით შელესილი სახლი ორ თვალად იყო გადატიხრული. ერთში, ცხელი ღუმელის ირგვლივ, ოთხი მონადირე დასაძინებლად ეწყობოდა; მეორეში კი მათი მსპინძელი — ქერიმ ალიევი ცხოვრობდა თავისი ცოლშვილით.

გარეთ ყინვა იყო და ქარი ზუზუნებდა. წინაგარდში ვეება ბანჯგვლიანი ძაღლი შეიყუფებდა ხოლმე, მაგრამ მის ხმას ქარი რტაცებდა.

ილიკომ და ანდრომ თავიანთი ძაღლები გვერდით მიიწვინეს, ქურთუკები გადაიხურეს და ჩანთაზე თავი მისდეს. გაიოხსა და ყველაზე უმცროს მონადირეს — ალექსის ძაღლი არა ჰყავდათ. გაიოხს ირლანდიური სეტერი წინა კვირაში მოჰპარეს, ხოლო ალექსი იმ წელს გაიტაცა ნადირობამ, ჯერ გამოუცდელი იყო და მოუწყობელი.

— ეჰ, რა არის კაცის სიცოცხლე! — ჩაილაპარაკა ანდრომ, — სადაა ახლა ნიკა! სიცილით მუცელზე კანს არ შეგვარჩენდა.

— მაინც რა უაზროდ დასახიჩრდა უბედურნი!

— აბა, შიშს თვითონაც წაასაკრა თავი და ამხანაგსაც სიცოცხლე მოუწამლა.

— რა უბედურებამ გამოიყვანა იმ დროს საფარიდან?

— მისიენ გაქცეულ დაქრილ ტახს რომ ესროლა და დააცილა, იფიქრა, გამგლეჯსო და წამოვარდა. ამ დროს მოხვდა ამხანაგის ტყვია.

— ძნელია კაცს თუ შიშმა მოუსწრო, უთუოდ გააფუჭებს.

— ეს მე მკითხე. — წამოიძახა ანდრომ, — ერთხელ პარაშუტისტებს გავყევი თორმეტადგილიან თვითმფრინავში. მღეროდნენ, მეც ხმას ვაყოლებდი. აღტაცებული ვიყავით. დაიწყო გადახტომა. ბოლოს ხელმძღვანელიც რომ გადაეშვა, ღია კართან მუცლით დავწევი, თავი გადავიდე და თვალი გავაყოლე. ამ დროს პილოტმა ვირაჟი გააკეთა, თვითმფრინავი წამსვე გადაფრდდა და მე დავცურდი. ბეწვზე გადავჩიი. ხელი კედელს მოვჭიდე და თავი შევიკავე... როცა მიწაზე ჩამოვედი, მაშინ ჩავუყვირდი და გამაყრეოლა: ნათლად წარმოვიდგინე ჩემი თავი ათასი მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდნილი და მიწაზე კვერცხივით გამსკდარი. იქ, თვითმფრინავში რომ ასე შემშინებოდა, ამ შემჯავებელ გრძნობას რომ მაშინ მოესწრო, როცა კართან გადაწოლილი ვიყავი, მორჩა, უთუოდ დავიღუპებოდი.

— საოცარია, შიში თითქოს თავდაცვის ინსტიქტია, მაგრამ მშინშარა ყოველთვის უფრო ადრე იღუპება.

— ნადირიც ასეა. კურდღელი შიშისაგან გონებას კარგავს. გაქცევაა მისი ერთადერთი იარაღი. თუ შემოგვეფთო, გაშეშდება. აი, მეღიას კი დიდი ნებისყოფა აქვს. არ აჩქარდება. ჯერ აუცილებლად მიმოიხედავს, ნელა მიძვრება,

საფარს ეძებს, სამშვიდობოს რომ გავა, მაშინ მოკურცხლავს.

— ჰო, ნებისყოფაა მთავარი...

— გეყოფათ ახლა! დამაძინეთ! — ჩაიბუნღუნა გაიოზმა და მოიკრუნჩხა, ქურთუკი პირზე გადაიფარა.

დუმილი ჩამოვარდა.

დუმელი ჯერ კიდევ თბილი იყო, ოთახშიაც სითბო იდგა. უფროსებს ჩაეძინათ. ალექსის კი ძილი გაუტყდა. ხვალინდელ ნადირობაზე ფიქრმა გაიტაცა. ფიქრი ოცნებად გადაექცა...

თოვს. ყოველი მხრიდან მოდის იხვების გუნდი. მაინც რამდენია! თითო სროლაზე ორი ვარდება ძირს. სულ ახლოს ეცემიან. ჰკრეფს, იჭერს. ამხანაგებს ამის მეთხედვიც არ ეჭნებათ მოკლული...

აგერ მოშრიალებს ერთი გუნდი. ცა დაიფარა. სამი ჩამოავდო. ვაზნები გამოცვალა და ორი სროლა კიდევ მოასწრო...

მამლებმა იყივლეს. შუალამეა. ალექსი კვლავ ოცნებობს. მოათავეებს ნადირობას და ისევ თავიდან იწყებს. თანაც ძალიან უნდა დაიძინოს. გაუგონია, ასეთ დროს თვლა არისო კარგი. ითვლოს, მაგრამ გამოდის, რომ ჩასაძინებლად კი არა თვლის, მოკლულ იხვეებს ანგარიშობს...

უცებ უცნაურმა ხმამ შეაკრთო.

მგონი კარი გაკრიალდა.

ყური მიუვდო.

ქარი ჩამდგარა. არავითარი ბაიბური არ ისმის.

გარეთ გავლა მოეხასიათა. ფრთხილად წამოდგა, ქურთუკი ჩაიკცა.

ძაღლებმა გაიგეს, კარი რომ გააღო და გავიდა.

ისეთი სიბნელეა, თითქოს ცა და დედამიწა გაერთიანებულა, წყვილიდს ჩაუნთქაეს ყველაფერი.

ალექსის მოეჩვენა, რომ ამ უკუნეთმა სადღაც დროისა და სივრცის მიღმა გაანაპირა.

მარტოობის გრძნობამ შეიპყრო. ბრმა სავით გაჰყვა კედელს, ნაბიჯსაც ბრმა სავით დგამდა.

სახლის კუთხეში შეუხვია.

ანაზღად ორმა ანთებულმა წერტილმა შეაკრთო, თითქოს მიწის სიბნლეებს, ჰაერში ნაკვერცხლები ღვივისო. გული შეეკუმშა, კედელს მიეყრდნო ზურგით.

ეს უთუოდ მასპინძლის ვეება ძაღლია, საცაა ისკუბებს და ალექსის ებღღვენება.

თავისთავად, ინსტიქტურად გაიშვირა ხელები, რომ თავი დაეცვა.

გარს შემოგვდო ეს განუჭკვრეტელი ღამე. საითაც არ უნდა გადადგას ფეხი, უთუოდ დაიღუპება.

აგერ ისევ ანთო ძაღლის თვალები, გაღვივდა, გაფართოვდა.

ლანდივით გაჰყვა ალექსი. აღდოთი მიაგნო შესასვლელი, ზღურბლზე გადახტა და, კარი რომ მიიხურა, სული ისე მოითქვა, თითქოს სასრკვდილოდ მოქნეული ხმალი აეცილებინოს.

ძლივს მოისაზრა თავისი საწოლი. ქურთუკი თავზე გადაიხურა. ცახცახმა აიტანა. მთელი სხეული უთრთოდა. იცოდა, რომ საფრთხეს თავი დააღწია, მაგრამ ბუდიდან ამოგარდნილი გული მაინც ვერ დაიშვიდა.

ილიკოს ლავერაკმა იგრძნო მისი გასაკვირო; მივიდა, თავზე დაადგა და ყნოსვა დაუწყო. თანაც ცალი თათი მოუსვა ფრთხილად.

საოცრად ეამა ალექსის ძაღლის თათის შეზება, თითქოს უსახო სიღრმეში დაქანებულმა მტკიცე დასაყრდენი იპოვაო. შუბლზე სიმწრის ოფლი მოიწმინდა, მოეშვა...

ჩუმად წამოეპარა ძილი.

დილას ყველაზე გვიან გამოეღვიძა. ამხანაგები უკვე პირდაბანილი იყვნენ და საუხმეს შლიდნენ.

— მალე, ბიჭო, გვაგვიანდება! — აჩქარებდნენ ისინი და ფუსფუსებდნენ, როგორც მონადირეებს სჩვევიათ ხოლმე სანადიროდ გასვლის წინ.

რუს მაზარიანი, წოწოლა ბობოხიანი, ცხვირმაღალი ქერიმიც მათთან იყო. ხან მუნჯურად ანიშნებდა, ხან დამტკრეული რუსულით ელაპარაკებოდა თავის სტუმრებს, რომლებმაც აზერბაიჯანული არ იცოდნენ.

არაყი გადაჰკრა ქერძმა, თვალები გაუბრწყინდა, ალტაცებით წამოიძახა:

— თქვენ ჩემი მეგობრები ხართ!

მოეწყენენ. მკვირცხლად გავიდნენ გარედ. ძაღლებმა ეზოში გაინავარდეს.

ღრუბლიანი დილა იყო. თოვას აპირებდა. შეყინული მრწა ფეხქვეშ ჩხრიალებდა. ჰაერში მაინც თითქოს საამო სითბო იდგა.

ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ. მათ გასწვრივ ყალხზე ამდგარ ტალღებივით დაგრაგნილ გორებს ყომრალი ღრუბლები დასწოლოდნენ.

ხეში ჩაუხვიეს. მდინარეს ორთქლი ასდიოდა. ამ მდინარის ერთი ნაჟადი მთის ძირას ტბას ერთვოდა.

გაიოზი ტბისაკენ გაემართა. ალექსიც მას მიჰყვა. რამდენჯერმე წამოუფრინდათ იხვის გუნდი, მაგრამ შორს იყო, თოფი ვერ მიწვდებოდა.

გალმა ილიკომ და ანდრომ ასტეხეს სროლა. აშრიალდნენ ჰაერში იხვები.

ალექსიმ იფიქრა, მეც რომ გალმა ვყოფილიყავი, აუცილებლად რამდენიმე იხვი მექნებოდაო მოკლული. საყვედურით მიუხედა გაიოზს: აქეთ სად წამომიყვანეო.

არ გასულა ხანი, რომ გაიოზს იხვებმა სათოფეზე გადაუფრინეს. ჯერ რხვი მოწყდა ჰაერში და მერე გაისმა სროლის ხმა.

უნებლიეთ აღძრული შურით ადევნებდა ალექსი თვალს, როცა გაიოზმა იხვი აიღო და თასმაკავზე ჩამოიკადა. ხმა არ დაუძარავს, მომდურავესავით შებრუნდა და ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა მდინარის პირს...

ხრამს გადაადგა. სულ იმაზე ფიქრობდა, სხვებს რომ იხვები ეკიდათ და თვითონ ცარიელი იყო. მოუთმენლობამ შეიპყრო.

ამ დროს ძალიან ახლოს, ხრამისპირად იგრიალეს იხვებმა. შეერთა, ხელები შეუტოკდა. პირველი გასროლა იქვე წყალში აბუცბუცდა ლალმივით, ვერც მერე დანუშნა. იხვები კი ჯერ ისევ ოციოდე მეტრის მანძილზე მიაჩრდევდნენ ჰაერს.

კბილები დაახრქიალა და ჩაჯდა, თითქოს მუხლები მოეკვეთათ, შურით გაჰყურებდა იხვებს, ღრუბლებსაკენ რომ შეინავარდეს, ორ ჯგუფად გაიყვნენ და ცისიერში მიიმალნენ.

ამ დროს ზედიზედ გაეარდა. ეს უთუოდ გაიოზი. ალექსი ვერ ხედავდა მას, მაგრამ მაინც ნათლად ედგა თვალწინ, გაიოზი რომ დაიხარა და იხვი აიღო. ისეთი გრძნობით წამოდგა, თითქოს ამხანაგებმა უღალატეს მას და ობლად დატოვეს ამ უცნობ მიდამოში.

გონებაგაფანტულად მიდიოდა გულჯავრჩანი.

მდინარის პირად რიყეზე კურდღელი წამოუხტა. გაშლილ ადგილზე იყო, სულ ახლოს. ორჯერვე დააცილა.

— თფუ! ეს რა მომდის დღეს! — ჩილაპარაკა, ფალასკიდან ვაზნა ამოიღო, ხელში შეატრიალა, ახედ-დახედა. ვინ იცის, როგორაა ვატენილი, — გაივლო გუნებაში. ის ვაზნა კვლავ ფალასკაში ჩაღო, წინა ნადირობიდან დარჩენილი ამოიღო. ამით ცოტა იმედი მოეცა. უთუოდ ვაზნების ბრაღია. ახლა ადარა აცდენს. ნეტავი კიდევ შეხვდებოდეს ასე ახლოს კურდღელი. რა ჯარგი იყო, ერთხელ დაძინებულნი რომ ნახა. თავში ესროლა. კურდღელი არც კი განძრეულა. ამხანაგებთან კი დაიტრახაზა: გაქცეულს თავში მოეპარტყიო.

გამოცდილმა მონადირემ იცის: კურდღელს ერთს რომ ნახავ, იმ ახლომანლო მეორეც არის ხოლმე მოსალოდნელი. ალექსის კი ეგონა: აქ თოფი გავისროლე, არაფერი იქნებაო. სწორედ ამ დროს გვერდით წამოუხტა კურდღელი. სწრაფად შებრუნდა ალექსი. სულმოუთქმელად ესროლა ზედიზედ გულძახვრებულმა. პირი დახოლო. გაშტერდა. თოფი უქირავს ხელში თუ ბავშვობის დროინდელი სათამაშო?! სამბეჭდიანი ზაუერი მაინც არ ერქვაას...

ზევიდან გაიოზმა ჩამოუხვია. სამი იხვი ეკიდა თასმაკავზე. ერთი კურდღელი ჩანთაზე მიეკრა. დამძიმებული მოდიოდა, ტანადი, ახოვანი.

ერთხანს უცქირა ალექსიმ და მერე ხახე აარიდა. გულკეთილი, უბოროტო ყმაწვილი იყო, მაგრამ ახლა ისეთი გრძნობა დაეხატა, თითქოს გაიოხს მიუძღოდა წილი მის უიღბლობაში.

— რა ქენი, ალექსი, ვერაფერი მოკალი?

ალექსიმ სქელი წარბები შეიკუმუნა და აღმოცერად მიაპყრო თავისი ფართო თვალები ორ დედალ და ერთ მამალ იხეს, რომლებიც გაიოხს მუხლებამდის წვდებოდნენ. მამალს ყვითელი ნისკარტი ჰქონდა, ფირუზისფერი ყელი და თეთრი არშია მხრების ძირთან.

გაიოხს არ გამოეპარა ახალგაზრდა ამხანაგის უხერხულობა; გამამხნევებელი ხმით გაეხუმრა, მერე ჩანთაზე კურდღელი შრიხსნა და ისე მიმართა ალექსის, თითქოს საჩუქარს კი არ აძლევსო, დახმარებას სთხოვს.

— თუ ბიჭი ხარ, შე ამის ტარება არ შემიძლია, შენ აიკიდე. ეს დედალი იხვიც მიუმატე. თანაბრად ვიქნებით.

თვითონაც არ იცოდა ალექსიმ, თუ რისი შერცხვა. უარი კი ვერ უთხრა. კურდღელი ჩანთაზე მიიკრა, იხვი დაიკიდა და თავი დამშვენებულად იგრძნო. ამჩატდა, ნაბიჯიც შეუმსუბუქდა. უმაღვე წარმოიდგინა, შინ რომ შემოეხვევოდნენ გახარებულნი...

ამას კიდევ გაიოხის დამამიდებელი სიტყვები დაერთო:

— ნუ გეშინია, ნადირობა აწი იწყება...

იმ ადგილას მივიდნენ, სადაც ტბას მდინარე ერთვოდა. ლელიანში გაიკეთეს საფრები. ხელმარჯვნივ ტბის ნაპირები კარგა მანძილზე გაყინული იყო, სარკესავით პრიალებდა.

— ნუ აჩქარდები, დაუმინე და ისე ესროლე. — დაარცვა გაიოხმა ალექსი და თავის საფრისაკენ გაემართა.

ჯერ აქა-იქ დატრიალდა ჰაერში თოვლის ფანტელები, მერე წვრილად დაიწყო თოვა.

ტყვისფრად შებურვილმა ცამ დაბლა დაიწია, სიერცე აიძვრა.

ხოშაკალივით ცვივოდნენ თეთრი

ბურთულები, ლელის ღეროებზე სხლტებოდნენ, გაყინულ მწიფე-სიყვარულს და გორაობდნენ.

იდუმალად შრიალებდა მთელი გარემო.

გაიოხმა ალექსისაკენ გაიხედა, ძლივს გაარჩია მისი საფარი ტბის სიახლოეს.

სამი იხვი მოწყვეტით დაემგა და შუა ადგილას ჩაჯდა. შეტბორებული წყალი ალექსისაკენ მილივლეებდა, მაგრამ იხვები მდინარებას არ გაჰყვენენ, ზედიზედ ჩაჰკრეს ნისკარტი წყალში, ფრთები შეაფარფატეს და გაიოხისაკენ გასცურეს.

გაიოხმა თავი ჩალუნა, ლელში გააპარა მზერა და გარინდდა. ფრთხილად სუნთქავდა, მისკენ მიმავალ იხვებს თვალს არ აშორებდა, მანძილს ზომავდა. მოლოდინი ყელში მოაწვა, დახველება მოუნდა. ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, ღრმად ისუნთქა, ამგერებულ გული ოდნავ დაიოკა.

მამალი იხვი დაწინაურდა. კიდევ რამდენიმე მეტრი და...

ამ დროს გაეარდა თოფი. ეს ალექსი იყო. თავზე გუნდმა გადაუარა.

გულდაწყვეტილმა გაიოხმა ამოდამართა თოფი; მიხვდა, რომ აფრენილი იხვები შორს იყვნენ. ალექსისაკენ გაიხედა.

იხვი გაყრულ ტბაზე დავარდნილა, ფართქალობს. ალექსი მეთხილამურესავით მისრიალებს მისკენ.

— შეჩერდი! სად მიდიხარ! — მიაყვირა ზარდაცემულმა გაიოხმა.

გახარებულ ალექსის გაიოხის ხმა არ გაუგონია. ის იყო მიწვედა იხეს და ყინულიც ჩაიმტვრა. ალექსი მყისვე წყალში ჩაყურყუმალავდა.

უაზროდ მიმოიხედა გაიოხმა. ერთ წამს ისეთი უმწეობა იგრძნო, თითქოს ცა მოსკდა და თავზე დაემხო. შეიხუთა მთელი ქვეყნიერება. სიცოცხლემ მაჯისციემა შეწყვეტა. ან კი რათ უნდა გაიოხს სიცოცხლე, თუ ამხანაგი თვალწინ დაეღუპა...

კვლავ მიმოიხედა. ჭოკს მოჰკრა თვალი. ქურთუკი გაიძრო, ფალასკა შეიხსნა. ჭოკთან მიიბრძინა, ხელში მოსინჯა



და წყალში შესტობა. წყალი თბილი ეჩვენა გამწარებულს...

მიუახლოვდა, ატივტივებული ყინულები, გაარღვია. წყალი ყელამდის სწვდებოდა. ძლივს დაითრია მჩვარად ქცეული ალექსი.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ფეხი დაუცდა, ორმოში ჩაიძირა. ქოკმა უშველა. ზევით ავობტა. მთელი ძალღონე მოიკრიბა. ალექსის ხელი არ შეუშვა... მონადირის ღინმა შეიპყრო, იხვს ქოკით მიწვდა, არ დაჯარგა...

ნაპირზე რომ გამოვიდნენ, გაიოხს მოეჩვენა, თითქოს ჩამოშვავებული ზეცა თავის ადგილას აღმართულიყოს და ქვეყნიერებას თავისი ელფერი მიეღოს.

ცივ ნაკადად შემოესხურა გადარჩენილი სიცოცხლის ზვირთები და გააქროლა, მთელი სხეული ატყანკალდა.

მყისვე მიხვდა: ამ შიშს რომ ათიოდე წუთით აღრე მოეწრო, უთუოდ თრევენი დაილტვებოდნენ.

## II

## კვიზაბი დე

ხვალ დასასვენებელი დღეა და ტელეფონს უკვე მოსვენება აღარა აქვს, ხან თენგიზს ეძახიან, ხან შოთას, ხან მე.

— როგორაა, ბიჭო, საქმე? მივდივართ?

— მივდივართ, ჯანუბ, მივდივართ! ოღონდ ვაზნები წაშლივ ბლომად, ამხანაგი ენაზე, ლიაკში ყოფილა. იმდენი იხვი მოსულა, რომ ტბები და ველები სულ დაფარულია თურმე.

— მართლა? მამ გაკეთებულა ჩვენი საქმე! — იძახის დიომიდე და ხმაში აღფრთოვანება ეტყობა. საერთოდ მეტად დანჯი კაცია დიომიდე, მეცნიერი მუსაყია, იშვიათად აჩქარდება, მაგრამ როცა ნადირობაზე მიდგება საქმე, უჩვეულოდ გამოცოცხლდება; მისი განუყრელი სათვალეებიც ვერ ჰფარავს მის თაფლისფერ თვალებში ანთებულ სიხარულს. ნადირობიდან ხელდაშინებულნი არასოდეს არ დაბრუნებულა, მაგრამ ეს გულს ვერ უტეხს. მთელ სეზონში ერთი კურდღელიც რომ მოკლას, ესეც დიდი მიღწევაა მისთვის.

ისევ წკრიალებს ტელეფონი, ისევ გვეძახიან. თანამშრომლები ღიმილით გვაღვენებენ თვალს: იციან, თუ რა გადაუდებელ საქმეზე გვიხმობენ ასე ხშირად ტელეფონთან.

ხანდახან გაიმართება დიალოგი:

— მუდამ ასე აწრიალებული არიან

ესენი სანადიროდ წასვლის წინ, მაგრამ მაგათი ჩამოტანილი ჯერ არაფერი გვიხანხავს.

— როგორ არა, ხანდახან მოაქვთ ხოლმე, ბაზარზე გამოვილიან, კურდღელს ან იხვს იყიდიან, თავმომწონედ ჩამოიკიდებენ და ცოლშვილს თვალს უბრმავენ.

— უკაცრავად, მასეთი მონადირე ჩვენ არ ვახლავართ! — გულმოსულივით შეესიტყვება მათ შოთა და ამოდ ცდილობს თავის მუდამ მომღიძარ სახეზე კუშტი გამომეტყველება აღიბეჭდოს. შოთას დიდრონი თვალეები აქვს, სწორი, ოდნავ კეხიანი ცხვირი, სავსე, შეფაკლული ღაწვები და ღიმშეუმშრალი ტუჩები. მოწყენილიც რომ იყოს, მის სახეში მაინც ხალისიანი ჯგავარი გამოსჭვივის. შუახნის კაცია, თავზე კი ერთი ღერი თმა არა აქვს, თავის კანც გატყევილი ლოყებივით უღაფლაეებს, ამიტომ სიმელოტე სრულიად არ აუშნობებს, არც ხანდაზმულობის იერსა ჰფენს.

სალამოს რვა საათზე მივედით სადგურში. მატარებელი ათის ნახევარზე გადის. ვრცელ დარბაზში მგზავრები ირევიან. სალაროსთან ქედგაა. მონადირეები ჯგუფჯგუფად დგანან, საუბრობენ; ყველას ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს სალაშქროდ მიდიანო.

— სად ხართ, კაცო, თქვენ ამდენ ხანს? — საყვედურით შემოგვეგება მე და თენგიზს შოთა. — ასე იცით თქვენ, მუდამ იგვიანებთ. — ბუზღუნებს შოთა, სახე კი უცინის.

— დიომიდე არ მოსულა?

— ეე, ნახეთ ერთი თქვენც რაღა! თითო ხურჯინი რომ არ ამკიდონ, არ შეიძლება! — კვლავ ჯავრობს ვითომ შოთა. — სად ვათრიო ხვალ მე ის? მაგრამ არაფერია, იხვი თუ არ იქნა, კურდღელი ხომ ბევრია, ერთს ავკიდებ სამადლოდ.

ამ დროს დიომიდეც მოვიდა. გრძელი, შავი პალტო ეცვა.

შოთამ ირიბად შეათვალიერა დიომიდე და ირონიული ხმით უთხრა:

— თუ ძმა ხარ, ხვალ ამ პალტოთი ჩემ სიახლოვეს არ გაიარო, იხვს კი არა, ხესაც კი დააფრთხობ.

დიომიდეს მკრთალი სახე წამოუწითლდა და პალტოზე დამნაშავესავით დაიხედა. მერე სათვალე შემოგვანათა და თავისებური სკეპტიკური ღიმილით გვიოთხრა:

— არა, თქვენ ხელს არ შეგიშლით, ცალკე ვივლო... ეს ოხერი, არ იქნა, ვერ მოვეწყვე ჯერ სანადიროდ.

თქვა ესა და ჩვენ თითქოს შურით შეგვათვალა. თენგიზსა და შოთას ნაცრისფერი ულტობი შარვლები ჩექმებში ჰქონდათ ჩატანილი, მოკლე, დაბავზულ სათბურებზე ასეთივე ნაცრისფერი ლაბადები ჰქონდათ გადაცმული, ხოლო მე შემხმარი ბალახისფერი ქურთუკი მეცვა.

დიომიდე მონადირეს მხოლოდ იმით ჰგავდა, რომ მხარზე უბოხჩო თოფი ეკრდა და ზურგზე სანოვაგით სავსე ალპური ჩანთა ჰქონდა მოდებული. ისედაც მაღალი იყო, მაგრამ ეს გრძელი პალტო და ზეალმართული თოფი კიდევ უფრო ამალღებდა.

ბაქანზე აღრე გავედით. ჩამოდგა მატარებელი. თენგიზი კონდუქტორ ქალს ისე ტკბილად გავსაუბრა, თითქოს ძველი ნაცნობი. მყისვე მოიგო მისი გული და ვაგონში აღრე შევედით, რომ

დასაწოლი ადგილები გვემოვნა. უკანასკნელ გადატიხრულში მხოლოდ ერთი საწოლი იყო დაკავებული. მე მანძილზე და თაროზე ავედი. შოთამ სიცილი დამაყარა:

— მალე, მალე, არავინ მიგასწროს! მონახა თავისი ადგილი. რბილ ვაგონში რომ შეიყვანო, იქაც ზევით დაიწყებს ცქერას!

ნადირობის წინ გამოძინებამ დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მივიწვევ ზევით, ვცდილობ განემარტოვდე.

მხოლოდ თენგიზი ვერ იცავს ამ წესს. განთიადის მოახლოებამდის არ დაეძინება. ვინმეს უთუოდ მონახავს და გამართავს მასთან ხანგრძლივ საუბარს. ხოლო თუ ქალი ნახა და ისიც თვალში მოეწონა, მაშინ უსახლცროდ აღტაცებულია, დარბაისელი, ტკბილად მოუბარია, თანაც გაბედული, მოუკრძალებელი. იშვიათად იქნება ისეთი ქალი, მის მოალერსე ხმას, მის მღიმარ თვალებს, მის რაინდულ კეთილშობილებას არ გაეთანაზიაროს.

გარეგნობაც ხელს უწყობს თენგიზს: ეშხიანი, ხორბლისფერი სახე, დიდრონი, მუქი თაფლსფერი თვალები, ფართო შუბლი, უკან გადავარცხნალი, სულ მცირედ შემეჩხრებული შავი თმა, კონტად შეჭრილი პაწია ულვაშები, ოდნავ მოგრძო ცხვირი. მის პირქვე გამოხედვაშიაც ღიმილი გამოკრთის.

ვაგონში სხვა მონადირეებიც შემოვიდნენ. თენგიზი თითქმის ყველას იცნობს, ხან ერთს ართმევს ხელს და ხან მეორეს, თანაც ეტყვის ხოლმე:

— ოჰ, რომელი ხარ, კაცო, შენ?..

მატარებელი დაიძრა. მე უკვე დასაძინებლად ვეწყობი. ჩემ გასწვრივ შოთამ იკადრა თავისი ჩანთისა და თოფის შემოდება. თავისუფალ საწოლზე დიომიდე მოთავსდა. თენგიზისათვის არც ჩვენ ვწუხვართ და არც თვითონ დაეძებს საწოლს, სულ ერთია, ნაშუალამედ არ დაეძინება. საქმე ისაა, ვინ ეყოლება ამალამ მოსაუბრე. მგზავრებში რატომღაც მანდილოსნები ცოტანი არიან, ისიც სულ თავებაშეხვეული აზერბაი-

ჯანელი დედა-ქალებია. თათრული რომ იცოდეს, ერთ-ერთს აუცილებლად დაუმეგობრდება თენგიზი.

შევეჯგუფდით. სხვა მონადირეებიც მოვიწვიეთ... გარდაბანს გავსცოდით, სადღეგრძელოები და მხიარული საუბარი კვლავ გრძელდებოდა.

ბოლოს ჩვენს ადგილებზე მოვეწვივეთ. ვაგონში ხმაურობამ აკლო.

შოთას, როგორც კი თავს მიდებს, უმაღვე ჩაეძინება, მხოლოდ ჯერჯიღად სასათუმალს კარგად გაიკეთებდეს, თენგიზს დაჰყურებს და ელოდება, თანაც თვალთ მანჩნებს — შეხედე, ჩვენი თენგიზი რა დღეშიაო.

თენგიზი ფანჯარასთან იდგა, ჩაფიქრებული იყო. ხანდახან ისე დახედავდა უცნობ ქალს, თითქოს მის გამოვლიძებას ელისო.

ქალი შეიშმუშნა. თენგიზი წამსვე მიბრუნდა და რუსულად შეეკითხა:

— რა, არ გეძინებათ, ქალიშვილო? თავაზიანად და ტკბილად ეღერდა თენგიზის ხმა.

ქალმა თავი კედლისაკენ მისწია, თითქოს შეკრთაო. ისედაც ბნელში იყო, ახლა კი მისი სახის ლანდიც აღარ სჩანდა.

— ალბათ, შორს მიემგზავრებით. — შემპარავად დაიწყო თენგიზმა. ვინ იქნებოდა ისეთი, რომ თენგიზის საუბრის მეგობრულ კვლოს არ აპყოლოდა. ის უცნობი ქალიც გამოელაპარაკა. ნაზი, მიმხიდეელი ხმა ჰქონდა ქალს. ამ ხმის პატრონი უთუოდ ჰაეროვანი არსება უნდა იყოს, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე.

თენგიზმა შინაურულად პალტო გაუსწორა, თანაც მიელაცია; ხანგრძლივი საუბრის თემა გამონახა. მერე ბუფეტში წავიდა, ლიმონათი მოიტანა, ჭიქაში დაუსხა და მოკრძალებით მიართვა. ქალი თავს კედელს არ ამოარებდა, თითქოს სინათლის ეშინიაო. თენგიზს არც ესაჭიროებოდა ახლა მისი სახის დანახვა, ისედაც ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ახალგაზრდა ქალის მომხიბლავი თვალები, მისი ვარდივით გაფურჩქნე-

ლი ლაწვეები და მარწყვივით მოელვარე ტუჩები.

ნანასავით მესმოდა მათი ხმაშეწყობილი ჭუჭქუკი და ბორბლების გაბმული რაწყენი... ჩამეძინა.

ჩვეულებისამებრ კიროვებადში გამოველვიძა. ყურძნის ყიდვა ვიცოდი ხოლმე აქ.

ქალს ეძინა. თენგიზი ახალმიწოლილი იყო ქვედა სკამლოგინზე.

ველახამდის ერთი წაძინება კიდევ მოვასწარი.

მატარებელი ხილზე აგრიალდა; სწრაფად წამოვხტი, ჩანთა და თოფი ძირს ჩავიტანე. შოთა და დიომიდე გავაღვიძემოვეწვივეთ, ბოლჩიდან თოფები ამოვიღეთ, ავაწყვეთ. საუზმეც გავშალეთ. გვეცოდება, მაგრამ რა გზაა, გამოუძახებელი თენგიზიც უნდა გავაღვიძოთ.

— ცოტა მაცალეთ, თქვე ოხრებო. — ბუზუნებს თენგიზი და თვალებს იფლემს, ძლივს დგება.

ამ დროს ის უცნობი ქალი საწოლს მიადგა. ყველანი ერთად მივაშტერდით მას. ნუთუ ეს იყო თენგიზის დულციანია?! რამ დახატა ასეთი?! წითური, ქორფლიანი, ფულუსავით წვრილი თვალები აქვს და... ასე ორმოცდაათი წლის მაინც იქნება.

თენგიზი ხანგრძლივად მიაცქერდა მას და წარბები შეკმუნხა, მერე საწოლზე აიხედა, — ის მშვენიერი არსება ხომ აქ არისო. საწოლზე ნაცნობი პალტო იყო მხოლოდ. ისევ იმ წითურ ქალს მიაპყრო მზერა და უმაღვე პირი მიბრუნდა, ერთ ხანს იყო გაჩინდებული, შემდეგ უცებ წამოხტა... ასე სწრაფად არასოდეს არ მოწყობილა.

შოთას სიცილი წასკდა და კარისაკენ გაიქცა. მე და დიომიდეც ვფხუჯუნებდით ჩუმჩუმად.

თენგიზმა იხტიბარი არ გაიტეხა, თითქოს არაფერიც არ მომხდარყო. ქალს ტკბილად გაესაუბრა, საწოლზე ასვლისას უშველა. საუზმეს რომ შევუდგეით, ქალს მეგობრულად შეეპატოეა, არაყი და ხაჭაპურის ნაჭერი მიართვა. ქალმა მადლობა გადაუხადა, — არაყს არ გიახ-

ლებითო. მისი ხმა კვლავ ნახად და კეკ-  
ლუცად ეღერდა.

ვაგონიდან რომ ჩავედით, შოთას ხარ-  
ხარი ცას წვდებოდა. ჩვენც გულიანად  
ვიცანოდით.

— ეს იყო, ბიჭო, შენი მზეთუნახავი?  
ამისათვის ტეხე მთელი ღამე? — ხმა-  
მაღლა იძახოდა შოთა და მუცელზე  
ხელს იჭერდა.

— გეყოფათ ახლა! — ოდნე ნაწყენი  
ხმით ჩაილაპარაკა თენგიზმა და დაწინა-  
ურდა.

განთიადი მოახლოვებული იყო, სად-  
გურიდან რკინიგზის ლიანდაგს რომ გავ-  
ყევით. თებერვალი იყო, მაგრამ არ ცი-  
ოდა, ცისკრის ვარსკვლავი ღრუბლიან  
ცაზე მხოლოდ ხანგამომშვებით გამოკრ-  
თებოდა.

სიმღერა წამოვიწყეთ.

„ეს სოფელი საზოგადოთ. — ნანავ  
ღელია“..

მონადირის დღია, მკვრაცხლი და სი-  
ხარულით აღსავსე! ნადირობის მთელი  
რომანტიკა აქ არის. თითქმის თვით ბუ-  
ნება შლის შენთან ერთად მძლავრ  
ფრთებს, რომ მზის ამოსვლას შეეგე-  
ბოს.

— ჩუ! გესმის!

ხელმარცხნივ მაღალღელიანი ვრცე-  
ლი ჭაობია. ლელს ალიონის სიო აშრია-  
ლებს. სადღაც იხემა იხეს გასძახა.

— გესმის, რამდენია? ავშენდით...  
ვანხები თუ გვეყრ...  
ჯერ კიდევ ბურუსიან სიბნელეში

ორიოდე ნაბიჯს იქით არაფერი მოჩანს.  
საღლაც რამდენიმე დამფრთხალმა იხემა  
გადაიჭროდა. ჩვენ უკვე გული გვიჩ-  
ქროლავს: ნათლად ვხედავთ მშუილით  
ძირს წამოსულ იხეს, ერთს კი არა, რამ-  
დენიმეს, მრავალს...

კედელჩამონგრეულ საყარაულოსთან  
გადავუხვიეთ, ზვინულს ფრთხილად  
ჩავეყვით, ჭანჭრობში შევედით, წყალი  
კოჭებამდის გვწვდება. დიომიდე უკან  
მოგვეყვება.

სულ ნელი შრიალი მომესმა. ლანდათ  
მოკვარი თვალი გამართული ჯაჭვივით  
ჩამწყრივებულ ბატებს.

— ბატი, ბატი! — დაეძახებთ უნებ-  
ლით, არ გვისვრია: სიბნელეში მოგვა-  
ტყუა, ძლიერ მაღლა გვეგონა. ამ დროს  
გავარდა თოფი. ეს დიომიდე იყო. კვლავ  
ლანდათ მოკვარი თვალი: ერთი ბატი  
მწყრივს მოწყუდა და რკინიგზის ლიან-  
დაგისაკენ დაეშვა.

— ყოჩაღ, დიომიდე! გასწი, არ და-  
კარგო! — მივაძახებთ და ნაბიჯს ავუჩქა-  
რეთ. გადაფრენის დაწყებამდის ჯერ კი-  
დეც კარგა მანძილი გვქონდა გასა-  
ვლელი.

სმენა და მხედველობა, ეს ორი  
გრძნობა უაღრესად გამძაფრებულია.  
ლაქაში შრიალებს, ბუჩქებიან ყამირზე,  
აფუებულ მიწაში წყალი ბუზბუზებს,  
ათასი ხმა ირევა განთიადისას, მაგრამ  
მონადირე ფრინველის ფრთების შრი-  
აღს უმაღვე შეიცნობს.

აგერ ჭანჭრობიდან რამდენიმე იხვი  
აფრინდა. არ ჩანს, შორსაა. შოთამ  
მაინც ესროლა. გააბზარა, ახმანდა გა-  
ნუჭკრეტელი ბურუსით დამძიმებულო  
სივრცე... აი, უკვე გამოინაცთნენ აბ-  
ლობელი ხეები, ქუფრად ტოტებგაშ-  
ლილნი. გადაფრენა დაიწყო. ყოველი  
მხრიდან ისმის ახლა შრიალი, მშუილი,  
სისინი, ხანდახან სულ ახლოს ელვასა-  
ვით ჩაიჭროლებს გუნდს მოშორებული  
იხვი.

გავახშირეთ სროლა, ხან კენტად, ხან  
წყვილად...

გათენდა. მზე ამოვიდა. თავი მოვიყა-  
რეთ, სამივე ცარიელი ვიყავით.

— მოგსწრიათ ასეთი რამე! — ჯავ-  
რობს შოთა, — დიომიდეს უზარმაზარი  
ბატი ყავდეს ჩამოკიდებული და შოთა  
ხელცარიელი იყოს! დადის ახლა თავ-  
მომშონედ რკინიგზის პირად, ფეხსაც  
არ ისევლებს. ვინ იცის, იქნება იხვიც  
მოკლა. საფანტს მეტი ჭკუა კი არ ეკი-  
თხებია...

არსზე გავედით. ვრცელ ჭაობს სხვა-  
დასხვა მხრიდან შემოვუარეთ. ალაგ-  
ალაგ ერთობ მაღალი ლელია. იხვი რომ  
ავიფრინდეს, მაინც ვერ დაინახავ. ზო-  
გან ღრმა ტბორია.

აგერ ბუჩქებამდის მივალწიეთ. იქვე ახლოს, კარგა მანძილზე ტიალი ადგილია, წყლით დაფარული. იხეები ამ ადგილს ეტანებიან, იციან, რომ ვერ მიეპარები.

დიდხანს ვიყავი საცოდავად დაკუზული ბუჩქებთან. ჩექმებში წყალმა შევონა, გარედან წურბლები შემოესია. ბევრი ვაზნა დავეფი. რამდენიმე იხვს მხოლოდ თითოთროლა ბუმბული დავატოვებინე. ვინ დაგვთარსა ნეტავი დღეს ასე უმოწყალოდ?

მივატოვე ის ქაობი. შორიდან შევინიშნე: ერთ ჭანჭობიან მინდორზე ბატები ხშირად სხდებოდნენ. ვიღრე იქ მივიდოდი, კურდღელი ფეხებში წამოშინტა. შევეკრთი. დავაცილე.

ზოგან ნიადაგი ისეა გადათეთრებული, თითქოს კირი მოუფრქვევიათო, ზოგან მღვრიე წყალი ღვას. აქა-იქ ყავისფერი ლამი ბატების ნაკვალევითაა აქრელებული. აგერ ოდნავ შემალღებული ადგილია, ნორჩი ბალახით შემშვეანებული. ამ ბალახს ეტანებიან ბატები.

ხმელ ბუჩქებთან მოვეწყვე. შევინიღბე. ფეხმორთხმული ვზივარ ჩემს ჩანთაზე და ველოდები. იხემა. რომ გადამიფრინოს, არ ვესვრი: ბატები დაფრთხებიან. გავიფიქრე ეს თუ არა, სულ ახლოს გადმომიქროლა ვეება იხემა რას მოვითმენდი. თითქოს კარგად დავუმიზნე, მაგრამ იხვს მიმართულებაც არ გაუშრუდებია. ეპ, ვერ არის დღეს საქმე კარგად! თოფი გადავხსენი, ვაზნა შიგ ჩარჩა. ახლა მეტი გზა არაა, თოფი უნდა დავშალო. კონდახი ცალკე დავდე და ლულიდან ვაზნის ამოღებას შევეუდექი. ვწვავლობ თავჩაღუნული.

უცებ საოცრად მოახლოვებულმა შრიალმა შემაკრთო. ავიხედე. უზარმაზარი ბატები თავზე მასხდებიან; ახლა შემინიშნეს, შებრუნდნენ. თითოამეტარი ფეხებს თითქოს ხელს მივუწვდენ, ისე ახლოს არიან; გრძელი, ფართაშა ფრთები გაუშლიათ და ძლივს მიიწვევენ ზევით ტანჩამოგრძელებულნი. მოუფიქრებლად ეტაცე ხელი კონდახს, წამსვე მივხვდი, რომ ვაზნის გამოუღებლად არ

აიწყობოდა... ორივე ხელი მაღლა აღმართე, ცალში ლული მეჭირა და ცალში კონდახი. მთელი გულით შევესტრებოთხე გამწარებულმა ამ უსინდისო ბატებს, ასე უდროოდ რომ თავზე დამასხდნენ.

დაღონებული მოვშორდი იმ ადგილს. თენგიზთან მივედი. ამას ნავსი გაუტეხია. ერთი კოკორინა წელზე ჰკიდია. აგერ შოთაც მოდის. რატომღაც ჩვენსკენ არ იხელება, თავჩაღუნულია.

— რა მოგივიდა, ბიჭო?

— თავი გამანებეთ, ნუ მეკითხებით!

— ჩამოაგდე იხვი და დაგეკარგა?

შოთა კვლავ ნალვლიანად სდუმს.

— ჩემზე უარესი ხომ არ მოუვიდოდა, — ვთქვი მე და მოვუყევი მათ თუ როგორ „დამასხდნენ“ ბატები თავზე.

შოთას ქვეშევეშ გაეცინა და წამოიძახა:

— რა კვიმატი დღეა ეს ოხერი!.. კაცო, უნდა გენახათ, რა კარგა ვიყავი ჩასაფრებულ ლერწმებთან. იხვიც მოდის. ხან აქეთ ვიპვრი, ხან იქით. კინალამ გადავირიე. ბოლოს, როგორც იყო, ერთი ჩამოვაგდე. ზედ ჩემს გვერდით დავცა. ცოცხალია. მამალი იხვია, ლამაზი, კაცის თვალი უკეთესს ვერ ნახავს. მივეფერე, თავზე და ხვევრდვით ხასხასა ყელზე ხელი გადავუსვი, ფრთები გავუსწორე. გახარებულნი ვარ და მართლა გულით ვეალერსები. ამ დროს სულ ახლოს მომესმა შრიალი. დავავლე ხელი თოფს და წამოვიჩოქე. ერთი. მეორე. ახლოს არ გაკარებია. უცებ ჩემს გვერდით იფრთქიალა რაღაცამ. მივიხედე: ამ ჩემს მამალ რხეს გაუშლია ფრთები და მიჰქრის. მაშინვე თოფი დავუმიზნე, ვის ახსოვდა, ცარიელი რომ იყო! მერე სანამ ვაზნებს ჩავაწყობდი, ის ჩემი ლამაზი იხვი გაჰქრა, მოგვკამა ქირი! ისე გავბრაზდი, რომ თოფი კინალამ დავამტვრიე...

დიდხანს ვიარეთ კიდეც. იხეები აღარსად სჩანან. ბატების ყაყანი გვესმის ხშირად, მაგრამ ისინი ისე მაღლა დაფრინავენ, რომ მათკენ აღარც კი ვიხედებით.

რკინიგზის ლიანდაგზე გავედით. დი-

ომიღე ვერ ვნახეთ. ზვინულის პირად ჩამოვეჯექით და ჩანთებში თუ რამე სანოვაგე გექონდა ჩარჩენილი, ამოვალაგეთ. უცებ სამივემ ერთად აესწიეთ თავი. დაბალზე, ტელეგრაფის მავთულუბის გასწვრივ მოფრინავდნენ ვეება ბატები. თოფებს დავევლეთ ხელი. ექვსი ზედრეზედ გავარდა. კარგად გვესმოდა, საფანტი რომ ხედებოდა გატყეცილ ბუმბულზე, მაგრამ მათ ეს თითქოს არაფრად ჩააგდეს, დინჯად აიწიეს მალა და გზა განაგრძეს.

— თფუ! სულ შენი ბრალია ეს, შენი! — ბრაზმორეულად შეუბღვირა შოთამ თენგიზს: — იმ ქერა დედაცემა დაგვთარსა ამ დილას! რა გინდოდა, შენთვის ვერ დაეტე? სანადიროდ მიდიოდი, თუ საარმუცოდ? წადი ახლა და ეარშიყე ცაში იმ ბატებს...

მზე ღრუბლებს მიეფარა. ვრცელ ტრამალებსა და შორეულ მთებს ქუფრი ჩრდილი დაეფინა. გრილმა ნიავმა დაუბერა. სადგურისაკენ მივდევართ დალოღნი, ხელცარეღნი. მხოლოდ თენგიზი მიამწიალებს ერთ კოკორინას. — რას მოვესწარი ამას! — წამოიძახა შოთამ, — ჩვენ ცარიელი ვბრუნდებით, დიომიდეს კი უზარმაზარი ბატი ამშვენებს!

— დიომიდე დღეს ნადირობის მეფეა.

— მეფე იქნება, აბა რა, იხველა ბატი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.

— ალბათ, ზიდვა გაუჭირდა და იმიტომ გასწია სადგურისაკენ.

— ვინ იცის, იქნება ჩვენ რომ იხვევს ვაფრთხობდით, სულ დიომიდეს გადმოუარა და რამდენიმე ცალი კიდევაც ჩამოაგდო.

მისვალბრობთ, ვუახლოვდებით სადგურს და დიომიდეს ბატი თანდათან იზრდება; ერთი სული გვაქვს, ვიდრე მას ხელს შევავლებდეთ.

აგერ ბაქანზე დგას დიომიდე, მალალო, მზარზე თოფჩამოკიდებული. ნელი ნაბიჯით ვამოემართა ჩვენსკენ. ჩანთის ღვედები ბექებზე დაჭიმული აქვს. სხვა რომ ყოფილიყო, ბატს გარედან ჩამოიკიდებდა, თავს მოიწონებდა. დიომიდე

კი... მხოლოდ რაღაც დაღონებული მეჩვენება!

შოთამ ზურგიდან მოუარა და ჩანთას ხელი შეახო.

— სადაა, დიომიდე, ბატი?

დიომიდემ ხელი ჩაიქნია, თვალი დახარა.

— ვერ ნახე?

— როგორ არა, მთელი დღე ზურგით ვატარე.

— მერე, მებუფეტეს მიაბარე?

— არა... გეტყვით აგერ... რაღაცა საოცრად დიდი ბატი იყო. ხელში ძლივს ავიყვანე. ცოცხალი იყო. ფრთხილად ჩავსვი ჩანთაში, შინ ბავშვებს გაეახარებ-მეთქი... შუადღემდე რკინიგზის ახლომხლო ვიარე. ბატი ზურგს მითბობდა, კარგ გუნებაზე ვიყავი. თქვენმა სროლამ ყურთასმენა წაღო. ერთი ოციოდე ვაზნა მეც დაეწვი. მომშვიდა. ჩამოვეჯექი და ჩანთა გაეშალე. ჩემი ბატი ცოცხალია, მხოლოდ თავის აწევა უჭირს, ნისკარტთანაა დაჭრილი. გვერდით მოვისვი. უზარმაზარი კისერი წაგრძელა და ყვითელი ნისკარტი ბალახებში შერგო. მე ჩემი ჯიბის დანით ვუსვამ პურზე კარაქს და ვილუქმები. უცებ იფრთხილა. მივიხედე. ჩემს ბატს გაუშლია ფრთები და მიდის. თოფს დაეწვდი, დაკეტილი მქონოდა. შევემართე, არც ახლა იყო შორს, მაგრამ ჩემი ამბავი ხომ იცით: ზედრეზედ დავეცილე. თოფი მიწაზე დავაგდე და პირქვე ჩავვმხვე. გაგოგონია, კაცმა უზარმაზარი ბატი მთელი დღე ზურგით ატარო და მერე გაგიფრინდეს!..

შოთას თვალეში ემჩნეოდა, რომ გულიანად გაცივება ერთ რამედ უღირდა. თავი რომ შეეკაეებინა, იმტომ თქვა:

— მართლა კვიმატი დღეა!

— არა, იცით რა, — დინჯად შეესიტყვა დიომიდე, — დღეს მართლაც დიდი სროლა იყო. სახარებში წერია — არა კაც კლავ, მოდი ჩვენ ამ კვიმატი დღის გამო ეს მცნება ასე გადავაკეთოთ: არა იხვე კლა, არა ბატ კლა, არამედ უბათქუნე ამოღ.

## III

## სიცოცხლის სიტკბო



მთის ძირას შეკვე წყალი დავლიეთ. მცირე ხანა შევიხვეწეთ ფიჭვის ჩრდილში, მდელიოზე.

რა საამაო აგვისტოს მცხუნვარე დღეში ეს ხავერდოვანი მოლი, ეს გარლი ნიავეი აქვე, ხევში ანკარა მდინარე მოჩქრიალებს.

— ძალიან ცხელა. თუ არ ვინჩქარეთ, საღამოს მთას ნისლი შემოეხვევა და ბინაში ასვლა გაგვიჭირდება, — თქვა ჩემმა თანამგზავრმა და წამოდგა.

— დაიცა, კიმოთე, ცოტა რამ ვჭამოთ. ჩანთას მოაკლდება.

— არა, ჯერ ადრეა. აი აგე, ზევით რო კლდეა, იქ არის კიდეც წყარო და იქ ვისადილოთ.

მკვირცხლად მოიგდო კიმოთემ თავისი გულა, ცალკულა თოფი აიღო და აღმართს შეუდგა. ქალმნებში აბრეშუმით რბილი და გამძლე ბალახი აქვს ჩაფენილი; ისე მსუბუქად დგამს ნაბიჯს, გეგონებათ თერამეტი წლის ყმაწვილიაო, ამას კი უკვე შვილიშვილები ჰყავს.

მთებში სიარულს მეც შეჩვეული ვარ, მაგრამ დღეს მეტისმეტად ცხელა და ოფლი წურწურით ჩამომდის.

მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს მივყევებით ზევით, სულ ზევით. ალაგ-ალაგ მაღალი ფიჭვების ჩრდილში შევდივართ, მაგრამ ესეც ვერ მშველის. ცოტა არ იყოს, კიმოთესი მცხვენია, თორემ ახლა დასვენება ერთ რამედ ღირს. კიმოთე ჩემზე დიდად უფროსია და ნუთუ სიარულში უნდა მაჯობოს? არ მიყვარს ხოლმე ჩამორჩენა, თანამგზავრს ან გვერდით უნდა მივყევბოდე ან წინ, თუ ჩამოვრჩი, გულს რაღაც ნაღველის მსგავსი გრძნობა ეუფლება.

— კიმოთე, ბევრი გინადირნია ამ მთებში? — შევეკითხე მას: ჩქნება სიარული შეანელოს-მეთქი.

— ჰაი, ჰაი, ძიელ ბევრი! — მოკლედ მომიპირა კიმოთემ. არ შეჩერდა. მხო-

ლოდ ერთი მიმოიხედა. მის წვრილ, ცოცხალ თვალებში თითქოს რაღაც დამცინავი სხივი გამოერთა. უთუოდ მიმიხვდა: ამ ქალაქელს დასვენება მოუნდა და იმიტომ გამესაუბრაო. თუმცა რა დიდი მიხვედრა უნდოდა: მე ოფლში ვცურავდი, თმა აბანოდან გამოსულივით სველი მქონდა. კიმოთეს კი მზისაგან დამწვარი მრგვალი სახე მხოლოდ წამოგზნებოდა, ნაოქები წაშლოდა; ლაწვები უბზინავდა. მთის შვილია, უტეხი, გამობრძმედილი, ამას როგორ უნდა შეევეჯობრო, — გავიფლუ გუნებაში და თვალი გავაყოლე.

ოდნავ მოხრილი ადიოდა იგი დაკიდებულ აღმართში, მუხლებს არ მართავდა, როგორც მთასვლელებს სჩვევიათ ხოლმე; ამიტომ საშუალოზე უფრო დაბალი მოჩანდა. ხანგამოშვებით თოფს მხრებზე გარდიგარდმო შემოიდებდა და ორივე ხელს ჩამოაყრდნობდა.

ტყე უკან მოვიტოვეთ. კონცხზე შევდექი, სული მოვითქვი და უკან მოვიხედე. სულ დამაფიწყდა, უზომოდ დაღლილი რომ ვიყავი.

ფიქვ-ნაძენარით შეხუტუქებული სერები მზის სხივებში ხასხასებდა. ხევში მდინარე მიიკლაცნებოდა, აქა-იქ ბრწყვიალებდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, როგორც მწვანე ფოთლებში გამოქრთალი წყაროს თვალი.

საოცრად დაგრაგნილი მთაგრეხილის ერთ კალთაზე, ოდნავ დაქანებულ ზეგანზე სოფელი მოჩანდა; ყავრით დახურული სახლები ისე დაბატარავებულიყვნენ, თითქოს თვითმფრინავიდან დაჰყურებო. ზოლებად დასერილ ხორბლისფერ ველზე პურისა და თივის ზენები ჩრტის ბუდეებს მოგაგონებდათ. სოფელს გარს ერტყა მეჩხერი ფიჭვები, ერთ ადგილას კი, სალი კლდის გასწვრივ დაცემულ ვაკეზე, ისეთი ჩარაზმულა წერწეტა ფიჭვების ტყე იყო, გეგო-

ნებოდა საგანგებოდ გაუშენებიათ. ხელმარცხნივ ღორღიან ციცაბოზე არყის ნორჩ ხეებს გაედგათ ფეხები და თეთრად ბზინავდნენ; ალაგ-ალაგ კლდოდან მომსკდარი ლოდები შერჩენილა ფხვიერ მიწაში, ხოლო ქვების ნამსხვრევები ცხვრის ფარასავითაა მიმოფანტული.

აგერ ერთ შეუვალ კლდეში ჩამქრალი თვალბივით გამოიყურებიან გამოქვაბულები, შორეულ საუკუნეთა უტყვი მოწმენი. იქვე ახლოს ფრთებშუურხეულად ლივლივებენ ჰაერში ფოლადისფერი ქორები.

კი მოთვის ძახილი მომესმა. ის უკვე წყაროსთან ასულა. ძლივს მოვწყვიტე თვალი მომხიბლავ გარემოს.

— მოდი, ძმაო, მოდი! უკვდავების წყაროაო, რო იტყვიან, სწორედ ეს არის. — მზიარული ხმით შემომეგება კი მოთე.

ტალი ფერდობის უბეში არყის ხის ქერქი შეედგათ ღარად, ამ ღარზე მცირე ნაკადი მოწანწკარებდა, ჩხრიალით ეშვებოდა გარეცხილ ქვიშაზე და ქვევით, მწვანე ბალახებში მიეონავდა.

სანოვავე გავშაღეთ. მთაში პრესა და ცივი მჭადიც უზომოდ გემრიელია.

დავწყარდით. კი მოთემ პატარა ქანჭი წყაროს შეუშვირა, აავსო და ისე აუჩქარებლად დალია, თითქოს პირი ვერ მოუშორებიაო, მერე ჭაღარა უღვაშებზე მარცხენა ხელის ორი თითი მიისე-მოისევა და ჩაილაპარაკა:

— ეჰ, ტკბილია, ძმაო, სიცოცხლე, ტკბილი!

შევატყვე, რომ საუბრის გუნებაზე იყო და ნადირობაზე ჩამოვუგდე სიტყვა.

— რას ბრძანებთ! ახლა სადღა მაქვს იმოდენა შეძლება, თორემ... სამ დღეს ვივლიდი და შინ ცარიელი არ დავბრუნდებოდი, — წამოიწყო მან, — ერთხელ... ჰო, დიდი ხანია მას შემდეგ... შინ ჩვილბლარაინი ცოლი დაეტოვე, სულ ორი კვირის მოლოგინებული იყო პირველ შვილზე... შემომალამდა. შემოდგომა იყო, ციოდა. მწყევსების ბინამდე მი-

ვალწიე და თივაში ჩავწიქი. ჩაძინების წინ რატომღაც ი ჩემი ბუარის თვალები მომელანდა. რაღაცა ხსენ — საცურდავად მიცქერდა, რო წამოდგომა და შინ წასვლა დავაპირე, მარა დაღლილი ვიყავი და ჩამეძინა. მაშლის ყვივილის დრო იქნებოდა, რო გამომეღვიძა, წამოვხტი, სახეზე ხელი მოვისვი და ისევ ა ბლარის თვალებმა შემომანათეს. ისე მომინდა შინ წასვლა, ისე რო... მარა ხელცარიელი როგორ წავიდოდი. არასოდეს ისე არ მომწყურებია ნადირის მოკვლა... მზის ამოსვლის დრო იყო, ერთ სერზე რო გადავიარე, ხევს ჩაეყევი. ჩუმად მივიპარებოდი. არ ვიცი, იქნება გულმა მიაზრა. გაღმა ერთი კარგი საბალახო მეგულეებოდა. იქ იცოდნენ ირმებმა გამოსვლა... მართლაც გაფუსწორდი თუ არა იმ ფერდობს, ორ არემს მოვკარი თვალი. წყვილად ძოვდენ. ერთი ცოტათი წინწამოწყული იყო. ბერდენი მქონდა. გავარდა თოფი და მარტო ერთი როდი წაიქცა, მეორემაც ჩაიჩოქა. რალა ჩემი თქმა გინდა, ისეღაც მიხვდება, თუ რა სიხარულით ავირბინე რქ, — მონადირის გუნება ხო იცი... უმცროსს მაშინვე დაელია სული, დედაირეში კი სასიკვდილოდ დაჭრილი იყო, წამოდგომა არ შეეძლო... უნდა გენახა, რანაირად შემომასტერა აცრემლებული თვალები. ჩემს დღეში არ დამავიწყდება. მაინც რამოდენა თვალები ჰქონდა იმ ვერანას! იმ წუთას მე ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. შინ-საყენ დატვირთული რო მივდიოდი, მაშინ წარმომიდგა და ჩაეუკვირდი. ადამიანივით ცრემლი ჰქონდა ჩამდგარი ჯილის ტოლა თვალებში. ყველაზე საშინლად ის მომეჩვენა, მეკდარ ირემს რო მიუხედა... მაშინ, არ ვიცი რატომ, ისევ იმ ჩემი ბლარის თვალები მომაგონდა, ტვირთი მხარზე გავისწორე და ნაბიჯს ავუჩქარე... ეჰ, კარგია, კარგი გეელობა... ჰო, იმაზე მოვყევი, — სიცოცხლე ტკბილია-მეთქი. იმ ირემს გაქცევა რო შესძლებოდა, განა შვილს არ მიატოვებდა და თავს არ უშველიდა? ერთხანს კი ინალელებდა, მარა შერე



გულს გადააყოლებდა და სიცოცხლე გაუტყებოდა...

ადამიანიც ასეა. მკვდარს საფლავში არაინ მიჰყვება, ზოგი ადრე მოინელებს ნაღველს და ზოგი გვიან. ან კი რა უნდა ჰქნას, — ტკბილია სიცოცხლე! ეს უზარმაზარი ქვეყანა მხოლოდ ცოცხალს უღობის. დედამიწა რო მუნჯი არ იყოს, მან რო ყოველ განთიადზე მოგიყვებს, რაც ადამიანს გაჩენის დღიდან წამება უნახავს, მაშინ ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა.

— ასეა, მაშ! — დემოწმა თავის ნაამბობს კიმოთე და ეშმაკურად ჩამიკრა თავისი აღმასივით მკვეთრი თვალი. მერე თავბაქო შეახვია, მოსწია და უცებ ისეთი გამომეტყველებით შემომხედა, თითქოს რაღაც დაავიწყდა და ახლა მოაგონდაო.

— მხოლოდ ერთი გამონაკლისი ვიცი. აი, ავალთ მთაში, იქ ნახავ სიმონს. უცნაური კაცია. სხვა მის ადგილას ამდენხანს სამგერ დაქორწინდებოდა, ის კი ხალხსაც არ ეკარება. ომიდან რო დაბრუნდა... ჰო, ბარემ თავიდან მოგყვები... ეს ამბავი იქიდან მოდის ეე, დიდი ომი რომ დაიწყო... ჩვენს სოფელში ერთი გასათხოვარი გოგო იყო, ვაიანე, მის უკეთეს ადამიანის თვალი ვერ ნახავდა. რაღაც ისეთი ჯავარი ჰქონდა იმ დალოცვილს, ისეთი სახე, ისეთი თვალები... არც ეს ჩვენი სიმონი იყო ცუდი ბიჭი. კაცმა რო თქვას, იმ გოგოს შესადარი კი არ იყო, მარა ხო იცი, ნათქვამია — სუყვარული ბრმა არისო... უყვარდათ ერთმანეთი და კიდევაც დაინიშნენ. ომიანობამ მოუწრო და სიმონი წაიყვანეს... ი გოგოს ამა ვინ გააჩერებდა. აიძულეს და მეორე სოფელს მიათხოვეს... ექვსი თვეც არ უცოცხლია საწყაალს, დაილია, დაჰქნა, ჯავრს გადაჰყვა.

სამი წლის შემდეგ დაბრუნდა სიმონი ომიდან. კაი წარმოსადგვი ვაქცაიო დამდგარიყო... მიესიენენ აქეთ-იქიდან, ცოლი უნდა შეერთოთო. გაგიგონია, არაინ გარკაა. სულ დაღვრემილი დადოდა. ერთი გულიანად გაცივებული არაინ

უნახავს... ბოლოს, რაღა გავაგრძელო, ხალხში ვერ გაძლო. კაცის გულს ვინ გაიგებს: ეგება თავისთავს ებრძოდეს არ შეეცდე, ჩემს დანიშნულს არ ვულალატო... ადგა და ამ მთაში წამოვიდა. მას შემდეგ აქ არის. განდგეილი არ გეგონოს. არა, სიმონი დიდი მშრომელი კაცია... იქ, ჩვენ რო ავალთ, ძიელ დიდ ფართობზე, ორი მთის უბეში ფიქვის ახალი ტყეა გაშენებული... ამ ტიტველ ფერდობებს რო ხედავ, წინათ სულ წიწვიანი ტყე იყო და გადაწვა... იმ ახალი ტყის გამგეა სიმონი. შეილივით უვლის და დღეღამე თავს დატრიალებს... ჩვენმა ხელსუფლებამ ბევრჯერ დააჯილდოვა... ხალხში მაინც არ ჩამოდის. აგერ რამდენი წელიწადია და ერთხელაც არ უნახავთ არც ქორწილში, არც კამპანიაში. იმ თავის დანიშნულს გლოვობს საწყალო... ეჰ, ხალხის პირში ჩემი მტერი ჩავარდა! ამას წინათ დაუყარეს ხმა ვითომ ერთი ახალგაზრდა ქვრივი შეყვარებიაო. აქ ახლოს ერთი სოფელია. ჯერ წელიწადიც არ გასულა, იმ ქალს რო ქმარი მოუყვდა. შეილი არ დაჩენია. დიდი მშრომელი დედაკაცია. შესახედავდაც ისეთია, რო კაცს ზედ თვალი დარჩება, თურაშაულის ვაშლივით წითელი ლოყები აქვს. აქ, ზევით, სიმონის სახლის სიახლოვეს, კოლმეურნეობის ფერმაა. ის ქალი მწველავად მუშაობს. იმიტომ დაუყარეს ხმა. მარა გაგიგონია, სიმონი ქალს შეხედავს! გული გაქვავებული აქვს. თავისი ტყისა და თავისი უბედური დანიშნულის მეტი ქვეყანაზე არაფერი ახსოვს. საკვირველი კი არის სწორედ! ასე როგორ ჩაიკლა გულში სიცოცხლის სიტკბო! არც ნადირო, არც ადამიანი მიცვალებულს თავს არ გადააყოლებს, ჯავრს მოინელებს და თავს უშველის. ეს ჩვენი სიმონი კი... ეჰ, ძიელ გამიგრძელდა ლაპარაკი. აყვევთ აწი, თორემ გზაზე შემოგვალამდება.

აღმართს შევუდგეიო. ავლიოდით ზევით და ჩვენს თვალწინ იშლებოდა თანდათან უფრო მომხიბლავი სანახაობა ბუნებისა. ყოველ მოსახვევში მინდოდა შეჩერებულყავი და მრავალფერად

მოელვარე ტყეების ზემოდ შიშველი მთების ამაყი მწვერვალებისათვის თვალი გამესწორებინა. მაგრამ კიმოთეს ნაამბობი მაჩქარებდა, მწყუროდა მალე ავსულობაევი სიმონთან და მენახა ეს ჩენი დროის ტარიელი, დაკარგულ სატრფოსათვის ტყეში გაჭირლი.

მზე მთებს მიეფარა. დასავლეთით, შორეულ მწვერვალზე, ალისფერი ღრუბლები ამოიპართნენ. თვალწაუწყდენელ ხეებში და გაღმა-გამოღმა სერებზე მწუხრის ძეთი მყუდროება დამყარდა, გეგონებოდათ მთელი ბუნება უცნაურ მოლოდინში გაიჩინდა.

და მართლაც, ავგრ მკრთალ ბინდში გახვეულ მთაგრეხილზე მთვარემ თავი ამოჰყო. ნელინელ ამოცურდა კრიალა ცაზე და მთელ გარემოს მშვიდი, ნაზად მოელვარე ნათელი მოეფინა. ნიაგამაც ფრთა გაშალა და ყოველ ფოთოლს, ბალახს, ყვავილებს ტუბილმა ქრყოლამ დაუარა, იდუმლად გაესაუბრნენ ერთმანეთს.

კორტოხზე წამოდგმულ საკმაოდ სრულ ფიცრულ სახლში ორი მუშა დავებდა. სიმონი ჯერ არ მოსულიყო. კარგა ხანს ველოდეთ. ბოლოს კიმოთემ ვახშამი გაშალა და მუშებიც მიიწვია.

— ნეტავი სიმონმა რატომ დაიგვიანა? — იკითხა კიმოთემ. ერთ მუშას, წითურს, სახელადლეკას რაღაც ირონიული ღიმილი შეევამჩნე, დავაკვირდი. ალბათ, სიმონის განდევილობას თუ დასცინის-მეთქი, გავივლე გუნებაში.

— სიმონი ახლა გაღმა იქნება. იქ ამასწინათაც გრიგალმა ახალი ტყე დააფინა და იმას არ შორდება. — უპასუხა კიმოთეს მერე მუშამ.

დაწილის წინ კიმოთემ ისე შემომხედდა, თითქოს თვალი ჩამიკრაო. მერე კედელზე ჩამოკიდებული სურათი მანჩინა. სანათი ოთახს მკრთალად აშუქებდა და ის სურათი ამდენ ხანს არ შემომჩნეოდა. მიეუახლოვდი. წამსვე მივხვდი: ის ფოტო სიმონის დანიშნული. ერთხელ მუშებში, თუ გამოეფინაზე რომელიღაც მგელი მხატვრის მიერ დახატული ქართული ქალის სურათი ენახე. იმას ჰგავ-

და გაიანე, მხოლოდ ეს უფრო ახალგაზრდა იყო. შუაზე გაყოფილი სქელი თმა, მაღალი, ნათელი მუხლზე გაღმარკალული წარბები, ბუდეშური თვალები, სულ მცირედ მოგრძო სახე და ღამაზად შეღერებული ყელი. ეშხან ტუჩებში თითქოს ღიმილი გამოკრთის, მაგრამ არა სიხარულის, არამედ სევდისა თუ საყვედურის. მაინც იმდენი მგზნებარე სიცოცხლე, იმდენი სანდომიანი უმანკობა გამოსჰყვრის მის სახეში, რომ ერთხელ თუ ნახე, არასოდეს აღარ დაგავიწყდება.

ახლა გასაგებია ჩემთვის სიმონის გულჩახობილი მწუხარება, მისი ურყევი ერთგულება სიცოცხლეში გაუხარებელი სატრფოსადმი. ამიტომ განერიდა იგი ხალხს და ახალგაზრდა ტყის სამსახურს ალევს თავის დღეებს. ჩაძინების დროსაც გაიანეზე ფიქრობს და განთიადის უმალ მისი სახე უდგას თვალწინ...

ძლიერ მსურდა დამეცადა სიმონის მოსვლამდე, მენახა ერთი ეს კაცი, ეს დაობლებული რაინდი, მაგრამ დალილობამ და მთის ჰაერმა თავისი გაიტანა, ღრმად ჩამეძინა.

დილას კიმოთემ გამომალევიდა.

— აბა, იჩქარე, იჩქარე, როტო ტყეში შეგვასწორებს, — მეუბნებოდა უკვე ტანჩაცმული და პირდაპანილი კიმოთემეც აღარ დავაყოფენე. გარეთ რომ გამოვედი, ერთი ჩასკენილი, შუახნის კაცი იდგა იქ.

— აი, ეს არის ჩენი სიმონი... გაიცანი. — მითხრა კიმოთემ.

სიმონმა ჯერ კიმოთეს მიუხედა, თითქოს მისი შემცოდებელი კილო არ მოეწონაო, შემდეგ გულგახსნილი ღიმილით გამომიწორდა ხელი.

— პირადად არ მენახეთ, თორემ ისე კი გიცნობდით. — დაბაძსლურად მითხრა მან.

სახტად დავრჩი. სულ არა ჰგავდა ამ დილით ის ჩემ მერე წარმოდგენილ სიმონს. საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო, მხრებგანიერი. შავ ხალათზე მოკლე პიჯაკი ეცვა. წაბლისფერ წვერულვაშში ჭალარა ჯერ არ გარეოდა. დაეღევა სახე

ქონდა და ცოცხალი, თათლისფერი თვალები...

ხევის პირს შემოუარეთ და ახალ ტყეში შევედით. ბურუსიანი დილა იყო. სწრაფად მივედიოდით.

— ძიელ გამოცოცხლებულა ჩვენი სიმონი, — თქვა კიმოთემ, — ეს ერთი ხანია არ მინახავს და დღეს სულ შეცვლილი მეჩვენა. შრომა დაუფასდა, შრომა! აი, შეხედე, რა ტყეა! ეს სულ მისი ნახელავია. იციან ჩვენებმა მშრომელის დაფასება...

მოლონიერებელი, უკვე სამ-ოთხ მეტრამდის გაზრდილი ფიჭვები ლარივით იყვნენ ჩამწკრივებულნი. არსად არ მრუდდებოდა ეს მწკრივები. ნიადაგი გაწმენდილი იყო. ერთ ბარდას ვერსად ნახავდით.

მაღალი კლდის ძირს მივადექით. ცალ მხარეს, ხევში, ძველი ტყე ჩარჩენილა. უზარმაზარი ნაძვებისა და წიფლების კენწეროები ცის ტატნობს სწვდებიან. შიგადაშიგ გაუვალი შამხარია. ხელმარჯენივ ციცაბო შეფენებაზე მაღალი ბალახია და აქა-იქ დეკაა გაფენილი ვეება ნაბღებივით.

ბილიკმა ტყეში შეგვიყვანა. აგერ სულ ათ ნაბიჯზე გამოგოგდა ნაცრისფერი, ჯაჭვედა როჭო, ერთი, მეორე. შინ გაზრდილ დედლებსაგან ვერ გააჩნევს არ ველოდით. ვიდრე თოფს ჩამოვიღებდით, როჭოები შამხნარში მიიშალნენ. ამ დროს იფრთხილა შავმა მამალმა. ისარივით აიჭრა ხეებში. კიმოთემ დამასწრო და ჩამოაგდო.

ამსობაში ნისლი ჩამოწვა. მალე იგი ისე გასქელდა, რომ ზღვაში დაქანულ მოცურავესავით გაგვიძნელდა სუნთქვა. ეს უკვე ღრუბლები იყო. დაუსრულებელი ტალღებივით იგრაგნებოდა ნაცრისფერი სითხე და თავის ნებაზე გვატარებდა. ბოლოს ქარმა დაუბერა. რამდენჯერმე გავძახე კიმოთეს, მაგრამ ხმა ვერ მივაწვდინე, ბევრი ვიხეტიალე. საესებით სველი ვიყავი. ორჯერ კლდეზე კინაღამ გადავიჩიხე. ბინისაკენ გავე-

შურე. ქარმა ღრუბლები გაფანტა, მზემაც გამოანათა, სამოსი შემასრა.

ფერმის გვერდით ჩავეიარე; ერთი მაღალი ნაძვის სიახლოვეს შემქნარი თივა იყო შეზენული. მივედი და სიახლოვნებით წამოვეწეი მხვარეში... სიმონი მომაგონდა. დილას სანადიროდ მივედი, ვჭქარობდი, და ალბათ, იმიტომ ვერ ამოვივითხე მის სახეზე დიდი მწუხარების კვალი, ამდენ წელს რომ გულჩათხრობილად ატარებს...

უცებ ვილაცამ ჩაახველა, თანაც თითქოს ამოიხზრა. თავი წამოეწეი. სიმონი! აგერ ნაძვის ქვეშ დგას და თვალი გაშტერებია. გაიანესთანაა ახლა მისი ფიქრი და გონება; წაშლილია ზღვარი მიცვალბულსა და ცოცხალს შორის. აგერ ნაძვს მხარით მივეყრდნო და თითქოს რაღაც ღომილის მსგავსმა გადაუქროლა სახეზე. ოცნებამ ხორცი შეისხა. გაიანე ახლა ცოცხალია და სიმონი მის დაუვიწყარ თვალებს უღიმის. ხშირად მოდის ამ ტყეში გაიანე. უკვდავი სიყვარულის ზღაპარს უამბობს სიმონს, და მარტოდენ თავის სატრფოს როდი ეალერსება, სიმონის მიერ გაშენებულ ნორჩ ხეებსაც შეჰხარის. ამაშია სიმონის სიცოცხლის სიტკბობა...

ამ დროს ფეხის ხმა მომესმა. მივიხედე. ფერმის მხრიდან ქალი მოდიოდა, მოიჩქაროდა. გრძელი, ნაოჭებიანი კაბა ეცვა. გაბადრული სახე უბრწყინავდა. სულ ახლოს ჩამიარა. ვერ შემამჩნია. სიმონს მისჩერებოდა, ტუჩები უთრთოდა. წამსვე მოსწყდა ადგილს სიმონი... შეუძლებელია ქაჯეთის ციხეში უფრო მგზნებარედ ჩახვეოდნენ ერთმანეთს ნესტანი და ტარიელი...

ფრთხილად მოვშორდი ამ ადგილს, რომ შეყვარებულებისათვის ხელი არ შემეშალა. ხეებს მივეფარე. ტყიდან გვედი და სერზე გადავდექი. თოვლივით სპეტაკი ნისლი ხევებში ჩაზენილიყო. აქა-იქ ფერდობსაც შეფენოდა და თეთრად კამკამებდა მზის სხივებში, ირგვლივ ჯერ კიდევ ცვარშეუშვრალი მიდამო ისე წარმტაცად ელვარებდა, თით-

ქოს რამდენ ადამიანსაც დედამიწაზე უცხოვრია და ცხოვრობს; ყველას თვალები საცოცხლის სიტკბოებას უღიმისო.

— ეჰ, ჩემო კომოთე! — ვთქვი გუნე-

ბაში. — დიდი გამოცდილი კაცი ხარ, მაგრამ შენც მოსტყუდრი. განა ჩვენს დროში სიმონისთანა მშრომელი ადამიანი გარდასულზე ფიქრს შეაღვეს თავის სიცოცხლეს?

IV

„ვეზის-ტაოსის“ დედანი

კაქბის გუნდი აგვიფრინდა; შურღულივით გადაქროლეს გორაკს; ხევისაყენ მხოლოდ რამდენიმე ცალი დაეშვა. ამხანაგები სერს შეუღღნენ, მე ტაფობისაყენ ჩავეყვი.

ნოემბრის მოღუშული დღეა. მზე მხოლოდ ხანდახან ჩნდება ღრუბლის ნაპრალებში, გარემოს მიმკრთალი შუქი ეფინება.

მტკვრის გაღმა, რუსთავის გასწვრივ, რუხ სერებსა და მრავალკეცად დაღარულ ღორღებს ისეთი მინახებული ელფერი მოსავს, გეგონებათ, საუკუნეთა მოგონებებით დაღლილან და გულჩათხრობილად სთვლემენო.

შეიძლება ჩამოჯდეს აქ კაცი, დედაბუნებას გული გაანდოს და მრავალჭირნახული მშობელი ქვეყნის ბობოქარ დღეებს, ძველ ფოლიანტებში თავშეფარებულს, თვალი მოავლოს.

აი თითქოს ამ გორაკებში, ამ ველებზე, მტკვრის გაღმა-გამოღმა, კრთის ახლა ჩემი ქვეყნის, აყვავებული საბჭოთა საქართველოს, ის იღუმალი სუნთქვა, რომელიც თაობიდან თაობაში გადადის.

თქვათია მონადირე, რომელსაც ბუნება განსაკუთრებით არ უყვარდეს. ამ სიყვარულის ფესვებს მარტოოდენ ნადირობის ატავისტური გრძნობა როდი ასაზრდოებს, აქ არის სილაღე უცვდავი ბუნებისა, რომელიც ყოველ წარმავალ ნალველს ავიწყებინებს ხოლმე ადამიანს.

შეიძლება ჩამოჯდეს აქ კაცი...

მაგრამ განა მონადირეს, რომელსაც იქვე ახლოს, ხევში, კაქბის გუნდი ჩაუფრინდა, ამისთვის სცალია?

ბუნება, მისი მრავალფერი სილამაზე.

მისი მარადი ელვარება — თავისთავად იგულისხმება; ნადირობის აზარტში შესული კაცი თვითონ ბუნებად არის ქცეული, მისი განუყრელი ნაწილია.

ფერღობზე აქა-იქ დაბალი, ქაცვებმხმარი ბუჩქებია გაჩახხული. ბუჩქებს შორის ბალახშემკნარი ფხვიერი მიწაა. ქვას თუ ფეხი წამოჰკარი, თავისთავად გორდება და ხრამში უშვება.

გული მეტუნება, რომ ის ჩამოფრენილი კაქბები საღაცა აქ არიან მიძალული. შემართული თოფი მომარჯვებული მაქვს და მოლოდინში გული იწურება. მოლოდინ!

ნადირობის მთელი სიტკბო და სიმწარე ამაშია. წუხელ დიდი ქალაქი დატოვე, იქნებ რაიმე დარდიც გამოგყვა, ან იქნებ მეტად რთული საქმე დაგრა შეუსრულებელი, — ამ წუთში ყველაფერი გავიწყდება, თითქოს მთელი ქვეყნისკენ შენშია დანთქმული, და ახლა შენა ხარ მარტო და ის ნადირი, რომელსაც მოელი...

ყველა ბუჩქი მოვიარე, მაგრამ კაქაბი ვერსად ვნახე. დავიღალე ამ აღმართ-დაღმართში სიარულით. გორაკს გადავადექი. მინდა ჩამოვჯდე, ოფლი შევიშრო. სწორედ ამ დროს იფრთქილა კაქაბმა, პროპელერით აახმიანა ჰაერი. მხუილით გაკვეთა სივრცე. ავტომატურად შევემართე თოფი. პირველი თავისთავად გავარდა, მეორედ მოვასწარი დამინება და ფრინველი ჰაერში მოწყდა. ქვასავით დაეშვა ძირს. ფლატე სწრაფად ჩავიბრინე. არ ვიცო, მე უფრო აჩქარებულად მიძგერდა გული, თუ იმ მომაკვდავ კაქაბს.

დაეწვდი, ხელში რომ ავიყვანე, თვა-

ლებს ისე ნაბავდა წითელნიკარტა მა-  
შალი, თითქოს ერულებათ. მოწითანა  
ფეხები უცივდებოდა. მოტეხილ ფრთა-  
ში თბილი სისხლი სდიოდა; ქობაშემო-  
ვლებული ლამაზი ყელი სიმკვრივეს  
კარგავდა...

მოლაყებ პაციფისტებს მაგონებენ ნა-  
დირისადმი პლატონურად გულმტკივნე-  
ული აღამიანები: ისინი მაღიანად შეე-  
ქცევიან შინ გაზრდილ ფრინველსა და  
პირუტყვს, ხოლო გარეულთა მიმართ  
გულნახად ოხრავენ.

ამხანაგებს გავძახე. სადღაც ხევში ჩა-  
ეშვა ხმა, ხევი გამოეხმაურა. მერე დუ-  
მილი ჩამოწვა. შორს წასულან, ვთქვი  
გუნებაში. დამეზარა კვლავ აღმართ-აღ-  
მართ სიარული. რკინიგზის ლიანდაგი  
გადავჭერი და ზეინული ჩავიბრინე.  
მტკვრიდან მონაბერი ნიავეი აღერსით  
შემომეგება.

აქ ნაკათი ტყეა. ახალგაზრდა ხეებს  
ილაგალაგ ბარდი შემოხვევია.

მარტოდ დარჩენილ აღამიანს უცნაუ-  
რი ფიქრი ან ოცნება გარტაცებს ხოლმე.  
ფიქრი ფიქრს გამოიწვევს და რამდენიმე  
წამში იმდენ ამბავს შეთხზავ, წიგნად  
დაწერა რომ განაზრახო, მთელ წელი-  
წადს მოუნდები.

მეც აღმეძრა ერთი ფიქრი.

და ეს იმიტომ, რომ ამასწინათ მეტად  
მტყვევარე კამათს დავესწარი. დავობ-  
დნენ — არის თუ არა „ინდო-ხატაელთა  
ამბავი“ შოთას უკვდავი პოემის ორგა-  
ნული ნაწილი, თუ იგი შემდეგ დაუმატა  
ვინმე მელექსემ?

უნივერსიტეტის აუდიტორიაში იყო  
ეს. იქ იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, პე-  
ლე ინგოროყვა, კორნელი კეკელიძე.  
კონსტანტინე ჭიჭინაძე და კიდევ —  
პროფესორები, მწერლები, სტუდენტე-  
ბი...

პო-და, ეს მიდამო, სადაც ახლა იმ  
კამათიდან გამოყოფილი ფიქრი განმი-  
ახლდა, რუსთავია; ძველად მას ბოსტან-  
ქალაქიც ეწოდებოდა და ჰერეთის ერის-  
თავთა სამფლობელოს იყო. დანამდვილე-  
ბით ვერ ვიტყვი — სად დაიბადა შოთა,  
აქ, თუ მესხეთში. გულთ კი მინდა პე-

ლე ინგოროყვას დავუჯერო, მისმა  
„რუსთველიანამ“ შემაყვარა ეს ადგი-  
ლები, ემათა სვლაში გავეტანებულა,  
საბჭოთა წყობილების დროს აღორძინე-  
ბული; მაგრამ მესხეთის რუსთავიც მე-  
ნანება; მეტადრე ის დიდებული გარემო,  
მესხეთის რუსთავს რომ გარს აკრავს,  
და ის სანთლებივით ამოლტალი ალვის-  
ხეები, „ეფესისტყაოსნის“ სტრუქტურები-  
ვით რომ ირხევიან ძველ ნასოფლარზე...

არ ვიცი რომელ რუსთავეში დაიბადა  
რუსთაველი, მაგრამ ერთი კი ცხადია:  
სწორედ აქ, ამ ადგილებში ნადირობდა  
შოთა. მისი პოემის გმირები — როსტე-  
ვანი და ავთანდილი — აქ ახლომახლო  
შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

„მონადირეთა უბრძანა მინდორნი  
მოიარჩნით,  
დაცევით ჯოგი მზავლა, თავნი ამისთვის  
არენით...“

ეს მინდორი სწორედ აქედან იწყება,  
გარდაბანს გადასჭრის და ძმობისაკენ  
მიიმართება.

„დაიწყო მოსვლა ნადირმან უოვლენით  
მინდორთა კილითა...“

მტკვრის სანაპიროებზე ფოილომდის  
ახლაც ხშირი ტყეა, აქ ახლაც არის ირე-  
მი, გარეული ღორი, ხოხობი, დურაჯი;  
მაშინ ხომ უამრავი იქნებოდა. მაშინ  
აღამიანი მარტოდღენ კშვილდისრით  
იყო შეიარაღებული, ჩვენსავით როდი  
შლიდა ჰაერში საფანტის ბაღეს...

და ამ მინდორთა კილიდან:

„მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ-  
მოუწლომელი,  
ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მალა  
მზღლომელი...“

ამ ფიქრში ვიყავი, მტკვრის პირს რომ  
მივუახლოვდი. გაღმა მაღალი, მეჩხერი  
ხეებია; ისე ქედმაღლად ამართულან,  
ისე ფართოდ გაუშლიათ შტოები, გეგო-  
ნებათ ამაყობენ ძველი ჰერეთის მიწაში  
რომ ღრმად აქვთ გადგმული ფესვები...

არა, უთუოდ ამ მიდამოებში ნადირობის დროს ესაზებოდა შოთას თავისი გმირები, ამიტომ არის, რომ პოემა ნადირობით იხსნება...

„ნახეს უცხო მოყვე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა...“

დაწმენდილია მტკვარი, ღრუბლებში, გამომკრთალი სხევივით კამკამებს მის ზედაპირზე სწრაფი ქაველები. კბოდეზე გადამღვარ ბებერ მუხას გაყვითლებული ფოთლები კიდევ შერჩენია და ოდნავ შრიალებს, თითქოს თავისთვის ჩურჩულებსო რაღაცას...

ოცნება ოცნებას იწვევს...

„დილასა აღრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი, ძოწულთა მოსილი, პირად ბროლ-ბადანშოსანი, პირ-ოქრო რიდე ეხვია, შეენოდა ქარქაშოსანი...“

ეს ავთანდილი კი არა, თვითონ შოთაა. ხელთ მშველდი უპყრია ხმალ-კაპარქიანს. წელზე ჩამოკიდებულ ქარქაშში არწივის ფრთიანი ისრები უწყვია. ალვასავით ტანადია, მკერდმაღალი, მხრებგანიერი, თავზე, ნატიფად ჩამოქნილი ცხვირის გასწვრივ, ჩაყცილი კრაველის ქუდი ახურავს. შთამგონებელი სახე აქვს, ოდნავ მოგრძო, მაღალი შუბლი და ფართო თვალები, ნამდვილი ქართველური თვალები.

ირონიული ღიმილის შუქი გამოკრთა მის მელნის ტბასავით შავ თვალებში, ჩემს ორლულიან თოფს რომ დახედა:

— ამ რკინით რაისთვის აღქურვილ-ხარ, მოყმეო?

იღუმლად შემეკითხა თითქოს ის. პასუხს არ დაუცადა, ლელისაკენ გაუხვია; იქ ანაზღად ღურაჯი აფრინდა და თვალის დახამხამებაში მოწყდა ჰაერს ისრით ფრთამოტეხილი ფრინველი. აუჩქარებლად მივიდა შოთა, ღურაჯი თასმაცავზე ჩამოიკიდა და გზა განაგრძო.

ტარიელიც აქ ნადირობდა უთუოდ, აქედან ნანადირევი დაბრუნდა, ფარსა-

დანმა რომ ნესტანთან მიიყვანა პირველად.

მონადირის აღიარება

„ასმათ ფარდაგსა აზინდა, გარეთ ვღვებ მოფარდაგულსა, ქალსა შევხედე, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა მოვიდა, მოვსცნე ღურაჯი...“

მონადირეებზე ამბობენ — ტყუილი იციანო, არ არის ეს მართალი. მონადირე მეოცნებეა. მიდის და წინასწარ ტბება, წინასწარ ხედავს: ბუჩქიდან ხოხობი აფრინდა, მაშალი ხოხობი, მაშხალასავით აიჭრა სივრცეში. გაფარდა თოფი და ხოხობი ჰაერში შეტრიალდა, ტყვიასავით წამოვიდა ძირს... აგერ იხვის გუნდმა გადაუქროლა; სწრაფად მოიმარჯვა თოფი და სამი ვეება იხვი ჩამორჩა გუნდს, ერთი წყლის პირად დაეცა, მაგრამ ვერსად წაუვია... აჰ, ეს კურდღელია, ფეხებში წამოუხტა. ისიც გადააკოტრიალა... როგორ წარმოიდგენდა, თუ იქვე ახლოს გნოლები იყვნენ განაბული; მოულოდნელად იფრთქილავს, მაგრამ იმათაც დაატოვებინა რამდენიმე...

მიდის და ოცნება სინამდვილის ელფერით იმოსება... ამიტომ, როდესაც ის ხშირად საუბარში ერთიორად გაადიდებს ზოლზე თავის ნადავლს, ეს ტყუილი როდია, თვითონაც დაჯერებულია. რა ვუყოთ, რომ ხელცარიელი დაბრუნდა, ან ათში ცხრას დააცილა, თვითონ ზომ განიცადა ის, რასაც ამბობს.

არა, მონადირული ტყუილი სიცრუე არაა, იგი ოცნებაა ხორცშესხმული, გულის სიღრმეში ფესვგადგმული ოცნება.

ასეთია ახლა ჩემი ფიქრიც. ამხანაგებს ჩამოვრჩი, მარტოდ მივეხეტები მტკვრის პირად, რუსთავის ქალაქში, აქ ოდესღაც ბოსტან-ქალაქი იყო. ჰერეთის ერისთავთა სამფლობელო.

და მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც რუსთაველი „ვეფხისტყაოსანს“ სწერდა, ჰერეთის ერისთავს სახელად ერქვა — შოთა. სხვა შოთა არცერთ მემბრანეს არა ჰყავს მოხსენებული...

ჩვენი მეცნიერები მწვავედ კამათობენ — „ინდო-ხატელთა ამბავი“ შოთამ დასწერა, თუ სხვამ დაუმატაო...

რა კარგი იქნება, აქ რომ სადმე ძველ აკლდამას წავაწყდებოდეთ... გადავწევ ლოდს და...

ოცნებამ კვლავ გამიტაცა.

...აგერ ეს ჩამორღვეული ბექობი. რაღაც ნაშენ ქვასა ჰგავს ეს ყორე. მყისვე გამოვანგრე იგი... აკლდამის კარი გამოვალე და სიხარულისაგან სული შემეკრა... ერთი ყუთი იდგა, იქ, ბაჯალლო ოქროთი შემოსალტული. ოქრო ისე ბზინავდა, თითქოს გუშინ ჩამოესხას იგი ოქრომჭედელს. ყუთს სარკველი ავხადე: საოცრად ნახელოვნები პერგამენტები ეწყო შიგ, სიფრიფანა პერგამენტები. ვიდრე დედამიწა ცოცხლობს დაუსრულებელ სამყაროში, ამ პერგამენტებსაც ვერ მოეცილება ეამთა სვლის ობი...

გადავფურცლე...

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა...“

შემომანათა ნაცნობმა სტრიქონმა...

აჰ, ეს „ვეფხისტყაოსნის“ დედანია, შოთას ხელით ნაწერი!

ვფურცლავ და გულში ვიხუტებ, ეროცნი თვითონ რუსთველის ხელით ნაწერს...

აი კიდევ ხელნაწერები... განა „ვეფხისტყაოსნის“ დამწერს სხვა თხზულებებიც არ ექნებოდა? ახლა ხომ აღმოჩნდა... აგერ შოთას ავტობიოგრაფიაც!... ახლა ყველაფერი ნათელია... ახლა...

ამას მე ჩემს გულითად მეგობარს მივუტან, მას იმდენი უფიქრია ამაზე, იმდენი უოცნებია, იმდენი უძილო ღამე გაუტარებია, რომ ეს ძღვენი მას ვეუთენის.

ამ ოცნებაში ვიყავი გართული, როდესაც უცებ მთელი სხეულით შევეკრთი; ქვიშნარში მიედიოდი და დაბალ ბუჩქებში კურდღელმა ფხეკა გაადინა. ყურმა შეიქნო ეს ჩვეული ხმა და თოფი ინსტიქტურად შეემართე. აღბათ, ამ დღეს შინიდან კარგ ფეხზე ვიყავი გამოსული და გზადაბნეული საფანტი საკმაოდ შორს წასული კურდღლის თავს მისწვდა. სამჯერ გადატრიალდა იგი მტკვრის პირად, სილაზე. აგერ კიდევ ხტუნავდა უაზროდ, როდესაც მივირბინე სავესებრთ გამორკვეულმა და გამარჯვებული რაინდით წელზე ფეხი დაფადგი.

დევადასთან დაკავშირებით ვბეჭდავთ საქართველოს საბჭოთა  
მწერლების კავშირის აქარის განყოფილებაში გაერთიანებული  
ქართველი მწერლების ზოგიერთ ნაწარმოებს

## ნესვორ მაღაზონი

### ★ ნაზიმ ჰიძემთს

მე ჩემი ერის  
ისტორიის ყველა ფურცელზე  
სისხლი,  
კენესა და სიმძიმეილი ამომიკითხავს,  
და ყველა მტერი,  
სახლში მყოფი თუ ბრძოლის ველზე,  
მხოლოდ და მხოლოდ  
თურქი იყო, მეგონა დიდხანს.

თურქი მეგონა —  
ეკლესიას ვინც კი დაწვავდა,  
თურქი მეგონა —  
ვისაც არვინ ეცოდებოდა  
თურქი მეგონა —  
ვისაც ძმასთან ძმობა არ სწამდა,  
და ყველა ნანგრევს ნათურქალი  
ეწოდებოდა.

მე წამიკითხავს:  
ომი იყო განუწყვეტელი  
და „ურჯულთა“ გვესეოდა ურდო  
საზარი,

მრავალი ციხის და სიმაგრის  
მოსპეს კედელი,  
ან დაანგრეის,  
ან წაბილწეს ბევრი ტაძარი,  
უკაცრიელქმნეს უამრავი ქალაქ-  
სოფელი,

და ისტამბულში  
ქართველ ტყვეთა ჰქონდათ ბაზარი.

ასე მეგონა —  
ხოცვის ნიჭი თურქს დაჰყოლოდეს,  
ასე მეგონა —  
თურქს ჩონგური არა ჰქონოლდეს,  
ასე მეგონა —  
თურქს მელექსე არა ჰყოლოდეს,  
მხოლოდ სისხლის ღვრა  
შესძლებოდეს —

დიახ, მხოლოდ ეს!

...და მერე მახსოვს:  
თურქი სისხლი მოსწყურდა ჯალათს,

და ხალხებს ომი  
თავს დააცხრა სიკვდილის წვიმად.  
ბევრი იცავდა  
მიმტაცებელ, დამპყრობთა ალამს,  
და მეც ვიბრძოდი,  
და სირცხვილი დავიდე წილად:  
ჩემი ქვემეხი  
ისე გლეჯდა სოფელს და ქალაქს,  
როგორც თურქები ჩემ მიწა-წყალს  
ანგრევდნენ წინათ!

მეგრამ:  
— ომი ომს! დამძობილდით! —  
ძახილის ხმაში  
ნათელი აზრი ამომავალ მზედ  
აელვარდა:

მტერი ჰყოლია საერთო მტერს  
მის ქვეყანაშიც!  
უკუნ სიბნელეს აეხადა უკუნი ფარდა...

ხანი გამოხდა,  
და მღელვარე ზღვიდან მოისმა  
თხუთმეტი თურქის  
გულწამლები თხუთმეტი გმინვა...  
ხანი გამოხდა,  
ყარაბაირს მოსწყდა თოფის ხმა,  
რომ საბაჰათინს  
შავ მიწაში მიეღო ბინა!..

მერე ციხიდან  
გამოიჭრა საბრძოლო მარში —  
ლექსი,  
ქარიშხალს და მოქნეულ დაშნას რომ  
გავდა...

მტერი არ იყო ყველა თურქი  
დაერწმუნდი მაშინ,  
თუმცა თურქეთში.  
მოსისხლე და მკვლელებიც მყავდა...  
დღეგრძელი იყოს ყველა თურქი მის  
სამშობლოში,  
იმ მოსისხლე და მოძალადე თურქების  
გარდა!





# ახალი უფროსი

დაწესებულება, რომლის შესახებ უნდა მოგითხროთ, საკმაოდ ცნობილია ჩვენს კუთხეში! ჰყავს უფროსი, მისი თანაშემწე, ორი მოადგილე, რამდენიმე ბუხალტერი და მოანგარიშე, კომენდანტი და დამლაგებლები, და რაც მთავარია, მემანქანე და პირადი მდივანი ქალები. ყველას თავისი საქმე და სამუშაო აქვს, მაგრამ უკანასკნელნი, მთელი დღის განმავლობაში უფროსისა და მისი მოადგილეების კაბინეტის კარებთან ჩამომხდარნი, მთელი დღის განმავლობაში გულდაგულ კითხულობენ ყდაშემომძვრალ ძველ რომანებს ან ერთმანეთში ჭორიკანობენ და მაჯის საათზე მალიმალ იხედებიან. (ძნელად ილევა მათთვის სამუშაო დღე). იშვიათად თუ მიეცემათ შემთხვევა, შეიჭებონ თავი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის. ეს მაშინ, როცა ვინმე აბეზარა მთხოვნელი გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებას და უფროსის კაბინეტის კარამდე მოაღწევს. ეს იყო და ეს ამ პირად მდივანების საქმე, მაგრამ ისინი მალე ამ საქმიდანაც გაათავისუფლეს.

ერთხელ დაწესებულებას ახალი უფროსი დაუნიშნეს. ცენტრიდან ჩამოსულს არ მოეწონა პროვინციული ქალაქის უბრალო მოწყობილი დაწესებულება და მის გადახალისებას შეუდგა. პირველ ყოვლისა, ერთად შეჯგუფებულ კაბინეტები დააშორიშორა ერთიმეორისაგან, პირად მდივან ქალიშვილებს თავიანთი ადგილი მიუჩინა და შემდეგ თავის კაბინეტში შეიხედა.

— უნდა გარდავექმნათ აქაურობა. — უთხრა მან დაწესებულების კომენდანტს და კაბინეტის მორთულობა შეათვალიერა, არც მაგიდა მოეწონა, არც სავარძლები, ფანჯრებზე ჩამოფარებული აბ-

რეშუმის ფარდებიც კეკუაში არ დაუჯდა, არც კედლების მოლურჯო ფერმა დააკმაყოფილა მისი გემოვნება. ძვირფასი ვაზებისა და სარკეების შექმნა ბრძანა...

შეიქმნა წრიალი და ფაცაფუცი. მოიხმეს ღურგლები, მლებბეები, მხატვრები, მოხიდეს ძვირფასი ავეჯი და ერთი კვირის გაცხარებული მუშაობის შემდეგ ყველაფერი ახალი უფროსის გემოვნებაზე იყო მორთული.

— აი ახლა გვექნება შნო და ავტორიტეტი. — თქვა მან და სავარძელში ჩაესვენა.

თანამშრომლებს შინცდამაინც არ გააკვირვებიათ ახალი უფროსის ამგვარი საქციელი. შეჩვეული იყვნენ, თითქმის ყველა ახალმოსული უფროსი თავისი გემოვნების მიხედვით ახდენდა ცვლილებებს: ზოგი თანამშრომლების გადაადგილებას იწყებდა, ზოგი კაბინეტის შეცვლას, ვის დგამი არ მოსწონდა, ვის კედლების ფერი. ერთი სიტყვით, არ ახსოვდათ ისეთი უფროსი, რომელსაც არსებითი ცვლილება არ მოეხდინოს და არსებულით დაკმაყოფილებულიყოს. მართალია, ამ უკანასკნელმა ყველას გადააჭარბა, მაგრამ როგორც ცენტრიდან მოსულს, ყველაფერი ეპატიებოდა.

— შეიძლება მთხოვნელი შემოვლუვა? — მოკრძალებით შეეკითხა ერთხელ პირადი მდივანი სავარძელში არბენიანდ მოთავსებულ უფროსს.

— მთხოვნელი?! — გაკვირვებით ახედა მას უფროსმა. — საშვები ვინ მისცა? ქალიშვილმა უხერხულად მიიხედ-მოიხედა.

— ჩვენთან საშვების სისტემა არ არსებობს, პატივცემულა...

— რაო! — შესძახა უფროსმა. — მაშ ვისაც მოესურვება, ის უნდა შემოვიდეს? იქნებ ჯაშუშია, დივერსანტი, მკვლელო მომიყვანეთ ახლავე კომენდანტი... და როცა კომენდანტი ეახლა, მას ამ საკითხის მოგვარება დაევალა. კვლავ აირ-დაირია ყველაფერი. ისევ ღურგლები მღებავები და რამდენიმე დღის შემდეგ დაწესებულებას კიდევ ერთი განყოფილება მოემატა. ეს იყო საკომენდანტო თავისი შტატით, საშვების ბლანკებით, ბეჭდითა და რამდენიმე ტელეფონის აპარატით.

დადგინდა მთხოვნელთა მიღების ახალი წესი:

— ვინ ხართ? საიდან მოდით? რა საქმე გაქვთ? ყოფილხართ თუ არა საზღვარგარეთ და რა საქმეზე? იყავით თუ არა მსჯავრდებული? რატომ მაინც-დამაინც უფროსის ნახვა გსურთ და არა მოადგილისა?

და თუ ყველა კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი იქნებოდა მიცემული, მაშინ ნებას დართავდნენ ეს პიროვნება დალაპარაკებოდა უფროსს ტელეფონით და საშვების მიღების ნება ეთხოვა.

ჰოდა, ასეთი წესების შემოღებამ პირადი მდივნები გაათავისუფლა იმ პატარა მოვალეობისაგანაც, რომელსაც აქამდე ასრულებდნენ.

... მაგრამ ცენტრმა რატომღაც არ ისურვა ასეთი უფროსის ამ დაწესებულებაში დატოვება, მოულოდნელად უკანვე გაიწვია და მის ადგილას სრულიად უცნობი კაცი დანიშნა.

— ასე ჩქარა?

— ასე მოულოდნელად?

უკვირდით თანამშრომლებს და ახლად დანიშნული უფროსის ვინაობას აკვლევდნენ.

— ვინ არის?

— რა ხნისაა?

— აქამდე სად მუშაობდა?

მაგრამ ამ კითხვებზე პასუხს ვერავინ იძლეოდა.

და ერთ დღეს კვლავ აწრიალდა დაწესებულება ახალი უფროსის მოლოდინ-

ში. კომენდანტს მზად ჰყავდა ღურგლები, კალატოზები, მღებავები, მხატვრები. მოადგილეები ქალაქში დაბრუნდნენ და ახალი უფროსის კაბინეტის შესამკობად სხვადასხვა ნივთებს ეძებდნენ. რიგითი თანამშრომლები ახალი უფროსის ხასიათს ვერაულობდნენ. ზოგი ამბობდა, სასტიკი კაცი იქნებაო, ზოგი კიდევ საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა. ამ ბჭობასა და კამათში ყოფნის დროს კარი გაიღო და დაწესებულებაში ახალი უფროსი შემოვიდა. მას მოჰყვებოდა პირველი მოადგილე, რომელიც სადგურში დახვედროდა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! — მიესალმა ახალმოსული იქ მყოფთ და შემდეგ ყველას სათითაოდ ხელი ჩამოართვა.

თანამშრომლებმა ერთმანეთს გადახედეს თავთავიანთების რაღაც გაიფიქრეს, მაგრამ ფიქრი არ გაუშხელიათ.

— მაშ დღეიდან ერთად უნდა ვიმუშაოთ, ამხანაგებო. — მიმართა ახალმა უფროსმა შეკრებილთ. — იმედი მაქვს, დამეხმარებით და მოვალეობას პირნათლად შევასრულებინებთ. თქვენს გამოცდილებას გამიზიარებთ, ჩემსას გაეცნობით და კოლექტიური მუშაობითა და საქმიანობით თავს ვისახელებთ... ახლა კი საქმეს შეუდგეთ. — და მოადგილეებს მიუბრუნდა.

მოადგილეები კაბინეტისაკენ გაუძღვენენ. უკან კომენდანტი მიჰყვებოდა, რომ დროულად მიეღო ზომები მოსალოდნელი ცვლილებების მოსაგვარებლად.

კაბინეტში რომ შევიდნენ, ახალმა უფროსმა არცთუ ისე კმაყოფილებით შეათვალიერა ოქროსფრად შეღებილი კედლები და ჭერზე ჩამოკიდებული უზარმაზარი ქალი, რომელიც ურიცხვი ელნათურებით აღსავსე უხვად აფრშვევდა შექს.

— ჰო. — ჩაილაპარაკა უფროსმა. — რაც იყო, იყო. ახლა კი საქირთა საფუძვლიანად გარდაეჭმნათ!.. იქვე მდგარმა კომენდანტმა სიტყვა არ დაამთავრებინა.

— დიახ, გასაგებია, ამხანაგო უფრო-

სო, მე უკვე მზადა მყავს ხელოსნები, როგორც მიბრძანებთ, ისე გარდაქმნი ყველაფერს.

— არ მესმის! — გაკვირვებით შეხედა უფროსმა კომენდანტს. — ეს თქვენ რის შესახებ ლაპარაკობთ?

კომენდანტს ფერი ეცვალა, უხერხულად მიიხედ-მოიხედა.

— იქნებ კედლების... დიახ, კედლები თუ...

— როგორ, განა კედლები საჭიროებენ შეკეთებას? — და თვითონვე უპასუხა, — არა მგონია.

— მაგრამ იქნებ მაგიდა... ან, ყოველ შემთხვევაში, სავარძელი... მე ყველაფერი გათვალისწინებული მაქვს. — და კომენდანტმა თავი ამაყად ასწია.

უფროსი მაგიდასთან მივიდა და ხელით მოსინჯა.

— რას ერჩით, ძალიან კარგი მაგიდაა! — შემდეგ გაიღიმა და დაუმატა. — ჩვენისთანას ბევრს შემოიცვით... თქვენ თუ სიკეთეს მიზანთ და ამ ზედმეტ ბრყვიანებისაგან გამოთავისუფლებთ აქაურობას, მადლობელი ვიქნები!..

კომენდანტმა უფროსის მოადგილეს შეხედა და ამოიხვნეშა. ეს ბრყვიანლანივთები სწორედ ამ პიროვნებამ შეაქნინა წინა დღით, ახალ უფროსს ეამებო, და საფასურად ორასი თუმანი გადაურიცხა.

— ის სარკვე შეიძლება გაიტანოთ. მოსაცდელ ოთახში დადგით ან წითელ კუთხეში. არც ამდენი ავეჯია საჭირო. რას იტყვიან? — თავის მოადგილეს შეხედა უფროსმა.

— კი, მაგრამ თქვენ ბრძანეთ, სა-

ფუძვლიანად უნდა გარდაქმნათო და... — კომენდანტს უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს ტელეფონის ზარი აწკრიალდა და უფროსი მილაკს დასწვდა.

— გისმენთ. მე ვარ. ჩემი ნახვა გსურთ? მობრძანდით. რაო? პასპორტი არა გაქვთ? მერე, ჩვენ ხომ პასპორტს არ ვიძლევიო! როგორ? არაფერა გამეგება. — და უფროსი მოადგილეს მიუბრუნდა. — რა პასპორტზეა ლაპარაკი?

მოადგილემ აუხსნა, რომ დაწესებულების ხელმძღვანელებთან შემომსვლელთათვის დაწესებულია საშვები. საშვებს არ იძლევიან ისე, თუ მოქალაქეს პასპორტი არა აქვს. ამის გამო ხშირია შემთხვევა, როცა ავიწყლებათ ზოლმე პასპორტის წამოღება და ჩვენ გვაწუხებენ, რომ ნება დავართოთ საშვები უპასპორტოდ გავცეთო.

უფროსს გაეღიმა, მთხოვნელს ტელეფონით უთხრა, ცოტა მომითმინეო, და კომენდანტს შეხედა.

— კიდევ რის გარდაქმნას გვიბრძანებთ, ამხანაგო უფროსო? — დაასწრო კომენდანტმა და თვალებში შეაჩერდა.

— მუშაობისას, ჩემო ძმაო, მუშაობისას, გასაგებია? ახლა წადით და ის მოქალაქე შემოუშვიო! — და როცა კომენდანტი ბრძანების შესასრულებლად წავიდა, უფროსი თავის მოადგილეებს მიუბრუნდა. — გაეცით განკარგულება. გააუქმონ ყველა ის დაბრკოლება, რომლებიც ჩვენსა და მასებს შორის აგომართავთ. — მიბრუნდა, მაგიდას მიუჯდა და საბჭოთა დაწესებულების აპარატის მართვას შეუდგა.

## მ ი ნ ი ს ტ რ ი

(ნარკვევი)

მთხოვნელების მიღების დაწყებამდე იდრეა: ჯერ მინისტრიც არ მოსულა, მაგრამ მოსაცდელ ოთახში რამდენიმე კაცს მოუყრია თავი.

შეკრებილთ შორის ერთი მოხუცი ხის. ის ამბობს, რომ წელს ოთხმოცდათხუთმეტი შეუსრულდა. ამ ნათქვამში

ეპვი შეაქვთ. არ სჯერათ. ამდენი ხნის არ იქნებო, ამბობენ. მოხუცის გარეგნული შეხედულება იძლევა დაქვევების საბაბს, რადგან იგი ბევრად უფრო ახალგაზრდა გამოიყურება.

ნათქვამის დამტკიცებას მოხუცი ფაქტების მოწველიებით ცდილობს: ძველ

ამბებს ჰყვება. როგორც ჩანს, მას კარგად ახსოვს, აქარაში რომ თურქი დამპყრობლები ბატონობდნენ და საქართველოს მკერდიდან მოგლეჯილ მრწაწყალზე მცხოვრებთ სარწმუნოებასთან ერთად მშობლიური ქართული ენისა და ზნე-ჩვეულების წართმევასაც უპირებდნენ. შემდეგ მოხუცი ჰყვება რუსეთის ჯარების მიერ აქარის განთავისუფლების ამბებს, სიამოვნებით იგონებს იმ დღეს, როცა ეს კუთხე თავის დედასამშობლოს — საქართველოს შეუერთდა და დიდ რუს ხალხს დაუმეგობრდა.

მოხუცი ამჟობს, რომ მას ბედმა არგუნა ემუშავა იმ მუშათა რევოლუციურ ორგანიზაციაში, რომელიც დაარსდა 1901 წლის მიწურულში ქ. ბათუმში.

იმდროინდელ მებრძოლთაგან დღემდე ცოტანი მოსულან. ბევრი დაცემულა უთანასწორო ბრძოლაში, ბევრი ციხეებსა და გადასახლებაში ამოწყვეტილა, ხოლო, რომლებსაც ამ დრომდე მოუღწევიათ და ეს ბედნიერი დღე მოსწრებიან, ისინი განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით სარგებლობენ. ამ მოხუცმა იცის ეს და სრულიადაც არ ეუზნებრხლება, ხშირად მოაკითხოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს და დახმარება ითხოვოს. ხან პენსიის წინასწარ აღება სურს, ხან საექიმო კომისიის დანიშვნა. ახლა კი იმისთვის მოსულა, რომ მინისტრი ინახულოს და რომელამე კურორტის საგზური სთხოვოს.

მოხუცის გვერდით რომ ახალგაზრდა ზის, ისიც მინისტრთან არის მოსული. იგი ოცდაათი-ოცდათორმეტი წლის იქნება. სამამულო ომის მონაწილეა, ცალი ფეხი მოკვეთილი აქვს, მაგრამ მხნედ და ამაყად გამოიყურება. მას სასწავლებელში წასვლა განუზრახავს, ამას წინათ მინისტრი დახმარებას შეჰპირებია და ახლაც იმიტომ მოსულა.

ბავშვიანი ქალიც მინისტრს ელოდება. ქმრის პენსია აქვს მისაღები და სურს, თუ შეიძლება, ორი-სამი თვის კუთვნილი თანხა წინასწარ მიიღოს, რადგან

ბავშვების აგარაკზე გაგზავნას აპირებს და ფული სჭირდება.

საათის ისარი ცხრასა დასრულდება. სამინისტროს ტექნიკური მუშაკები ნელ-ნელა შემოდიან და თავიანთ ადგილებს იკავებენ. ცოტა ხანი კიდევ და მინისტრიც შემოდის. იგი საშუალო ხნის ქალია, მაღალი, სრული ტანისა. სქელ წაბლისფერ თმაში ნაადრევად შეჰპარვია ქალარა და აქა-იქ შეუვერცხლავს. სანამ კაბინეტში შევიდოდეს, იქ მყოფთ ღიმილით ესალმება. ზოგს ხელს ართმევს, რადგან ისინი დიდი ხნის ნაცნობები არიან. იცის მათი მდგომარეობა და ხასიათი. ზოგიერთების ოჯახშიც ყოფილა და მათი მატერიალური შესაძლებლობა შეუგონებია. ამიტომ მასაც კარგად იცნობენ. ეთამამებიან, კირსა და ლხინს უზიარებენ. იციან მისი ხასიათი და საქმიანობა. იცნობენ როგორც მინისტრს, როგორც საქმის ერთგულსა და კარგ აღამიანს. დიან იცნობენ მას და მის მიერ განვლილ გზას, რომელმაც იგი აქამდე მოიყვანა.

აქარაში რომ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, აიშეს ერთი წელი უსრულდებოდა. ეს იყო 1921 წლის მარტში. აიშეს მამა, იუსუფ გურგენიძე, ბათუმის რაიონის სოფელ ყოროლისთავში ერთ-ერთ უღარიბეს გლეხად ითვლებოდა. მაშინდელ დროში ათი სულსაგან შემდგარი ოჯახის პატრონ გლეხს არ შეეძლო დამშვიდებული ყოფილიყო და ცოლ-შვილის შიმშილით ამოხოცვის შიში არ ჰქონოდა. ერთი წუთი ეფიქრა თავისთავზე და ჯანმრთელობაზე. ყოველდღიური ლუკმაპურისთვის ბრძოლა და ზრუნვა არაქათს აცლიდა ისედაც არაქათგაცილ აღამიანს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ, ალა ბეგბერს ჩამოშორებამ და მიწაწყალზე კერძო საკუთრების გაუქმებამ დიდი სიხარული გამოიწვია სოფელში და იუსუფ გურგენიძის ოჯახმაც შეებით ამოისუნთქა. დაბადებიდან გაპირებაში მყოფ გლეხს გული გაეხსნა, გამხნედა, გათამამდა, მაგრამ გაჩენის დღი-

დან თანდაყოლილი სიღატაკის ერთბაშად მოცილება და ოჯახის დოვლათით ავსება არცთუ ისე ადვილი საქმე იყო.

აიშე შეიღო წლისა იყო, სოფლის სკოლაში რომ შეიყვანეს. წიგნები, რვეულები, ფანქრები უყიდეს და ჩანთაში ჩაულაგეს. ეს სკოლაც ისე ახალი იყო ამ სოფელში, როგორც საბჭოთა ხელისუფლება და ამიტომაც ასე ძლიერ უყვარდათ იგი.

აიშე პირველი დღიდანვე გარტაცა სწავლამ. მას შეუყვარდა სკოლა, მაგრამ, ამჟამად დროს, არ შესძლებდია ის საოჯახო საქმეებიც, რომელთაც დედასთან ერთად შეჩვეოდა. სკოლიდან დაბრუნებული ბეჯითად მუშაობდა ბაღჩაში, ამოვებდა პირუტყვს, ეხმარებოდა დედას სადილის გამზადებაში და ხშირად ყანაში სამუშაოდ წასულ მამასა და უფროს ძმას საუზმესა და სადილს უზიდავდა. სკოლაში სიარულმა და წიგნების კითხვამ კიდევ უფრო შეაყვარა შრომა და, როცა სოფლის ოთხწლელი დაამთავრა, გადაწყვიტა, იმ დროს ახალ დაარსებულ კოლმეურნობაში მშობლებთან ერთად ემუშავა.

ახალგაზრდული კოლმეურნობა მონარდ თაობასაც არ ტოვებდა უსაქმოდ. ბავშვებისთვისაც იყო აქ სამუშაო და გასაყეთებელი. მათაც შეეძლოთ თავიანთი წვლილის შეტანა საზოგადო საქმეში. აიშე და მისი თანატოლი გოგონები დილიდან საღამომდე მარჯვედ დარბოდნენ ღრმად გადაბარულ ფართობებში, კალთებით ჩაის თესლი დაჰქონდათ და სამ-სამ ოთხ-ოთხ მარცვალს მწკრივებში ყრიდნენ.

გაფხვიერებულ მიწაში გოგონების ჩაყრილმა თესლმა მალე მოიღგა ფეხი. გამოჩნდნენ ჩაის ნორჩი ყლორტები და ერთ დროს უსარგებლო და მწირი მიწა მწვანე ბუჩქებით გადაიქოჩრა...

ახლა კი ახალი საქმე გაუჩნდა აქაურ ქალებსა და გოგონებს. ჩაის მოსავალს აღება უნდოდა, ბუჩქებს — მოვლა და პატრონობა. აიშემ გაიყოლია თავის ტოლი გოგონები, კალათი აიღო და ჩაის პლანტაციამდე გავიდა. კარგად მოვლილი

ბუჩქები უხვი მოსავლის მოცემას პირდებოდნენ. საქირო იყო მარჯვე ზელი და გამოცდილება, რომ შემოსულნი ჩაის ფოთლები არ გაუხეშებულყო და კოლმეურნობას ზარალი არ მოსვლოდა. იმ დროს ამ საქმეს არ ჰყავდა ნოვატორი და მოწინავე. ჩაის კულტურის მაშინდელ სპეციალისტებს შეუძლებლად მიანდათ ამ დარგში რაიმე ახალი მეთოდის გამოყენება. ჩაის ფოთლის კრეფის დადგენილ ნორმებზე მეტი მოკრეფა, ნიადაგის უკეთ დამუშავებით მოსავლის გადიდება.

ადრიდან დადგენილ-დაკანონებულ იყო, ერთ მკრეფაზე ათი-თორმეტი კილოგრამი ჩაის ფოთალი. ამ ნორმის დარღვევა არავის უცდია, ამიტომ არც არავის დაურღვევია იგი, მაგრამ ერთ დღეს ჩაის ფოთლის საკრეფად გასულმა თოთხმეტი წლის გოგონამ — აიშე გურგენიძემ საღამოთი ბრიგადირს ოცი კილოგრამი ჩააწერინა და ყველა გააკვირვა.

— ეს როგორ? — წამოიძახეს ძველმა სპეციალისტებმა და დაინტერესდნენ. — ნუთუ შესაძლებელია არსებული ნორმის დარღვევა!

ზოგმა საცქვოდ მიიჩნია ახალგაზრდა მკრეფავი გოგონას ეს გამარჯვება, მაგრამ აიშემ ასეთ ეჭვებს მალე გამოაცხადა ნიადაგი და თავის ტოლებთან ერთად ჩაის ფოთლის კრეფის არსებულ ნორმას ორჯერ და ორნახევარჯერ გადააჭარბა.

წარმატებებს წარმატებები მოჰყვა და ერთი წლის შემდეგ აიშე გურგენიძის ჩაის ფოთლის კრეფის დღიური ნორმა ოცდაათ კილოგრამამდე ავიდა.

თხუთმეტი წლის გოგონამ აჭარის საზღვრებს იქითაც გაიქევა სახელი. აიშეს მიერ მოპოვებული გამარჯვება მისაბამ მაგალითად იქნა აღიარებული. მიდიოდნენ მასთან, ეცნობოდნენ მის მუშაობას, მის კრეფის წესს, მის გამოცდილებას. გაზეთებიც კი ათავსებდნენ წერილებს და ერთხელ მოსკოვიდან აფრინილმა რადიოტელეგრაფმა მთელ მსოფლიოს მოჰფინეს აჭარელ გოგონას ეს გამარჯვება.

ერთ დღეს აიშე რაიკომში გამოიძახეს.

— მოემზადე, თბილისში უნდა წახვიდე! — გამოუცხადეს იქ.

— თბილისში! — ეოცა აიშეს. როგორ, ის ჯერ რაიონის ფარგლებს არ გასცილებია, ბათუმშიც მხოლოდ ერთხელ ყოფილა და ახლა ასე მოულოდნელად თბილისში, ისე შორს, ისე უცხო ადგილას?! არა, ეს შეუძლებელია. ასეთი მას არაფერი გაუკეთებია! რა? მოწინავეა? ოცდაათი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა? მერე რა სხვანაირად ხომ ვერ მოიქცეოდა! ხომ არ ითაღლითებდა! ძალ-ღონე არ დაზოგა, დრო აზრიანად გამოიყენა და მოკრიფა!

— ჰოდა, სწორედ მაგის გამო გიწვევენ და შენც უნდა წახვიდე! — და რაიკომის მდივანმა აიშე სიყვარულით შეათვალეო.

როცა თბილისშიც ასე შეაქვს აიშე და მის მიღწევებზე ლაპარაკი დაიწყეს, იგი გაკვირვებული აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს. ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს, ხომ არ დამცინიანო, მაგრამ როდესაც შეატყო, სერიოზულად ელაპარაკებოდნენ, დაირცხვინა და რაიკომში ნათქვამი სიტყვა გაიმეორა.

როგორ, ნუთუ მართლა ისეთი რა გააკეთა აიშემ, რომ ასე აქებენ? ეს თუ ასეა, მომავალში რაღა უნდა თქვანი აიშე ჯერ ხომ კადეც ბავშვია, არც იმდენი ძალ-ღონე აქვს, არც ისე დახელოვნებულია, მაგრამ მალე მას შეუძლია უფრო გამოიწაფოს, უფრო დახელოვნდეს!

— დიახ, დიახ, სწორედ იმ მეტის შესახებ უნდა მოახსენო და უამბო მთავრობას — შეაწყვეტინეს სიტყვა აიშეს და გაუღივს.

— მთავრობას! — თვალები გაუფართოვდა აიშეს. — როგორ, მე, უბრალო გლეხის გოგო! — ხან ხელებზე დაიხედა ხან ფეხებზე, ხან ახალშეკერილი ჩითის კბრს სწორება დაიწყო. არ იცოდა, როგორ მიეღო ეს ამბავი, გახარებოდა და შადლობა ეთქვა, თუ სწყენოდა და წარბები შეეხარა. მისდამი ისე კეთილად განწყობილ ადამიანებში რომ არ ყოფი-

ლოყო, უთუოდ ატირდებოდა. ატირდებოდა სრულად უმიზეზოდ, ისე, როგორც პატარებმა იციან ხალხში ალბათ ზედმეტი სიხარულისგან.

— ამ დღეებში საქართველოს დელეგაციას გააყვები მოსკოვში და შენს მიღწევებზე იქაც ილაპარაკებ. — ისე უბრალოდ უთხრეს აიშეს, თითქოს მახლობელ მეზობლისას მოციქულად გზავნიანო.

— მოსკოვში! კრემლში! — თავისთვის ჩაილაპარაკა აიშემ და გული აუთრთოლდა. თითქო საამქურ სიზმარში გადაიზარდა ეს სინამდვილე, თითქოს ყველაფერი ეს ოცნება იყო.

ჩამდენიმე დღის შემდეგ აიშე გურგენიძე მატარებელში იჯდა და საქართველოს დელეგაციასთან ერთად მოსკოვისაკენ მიქროდა.

აიშეს ცხოვრებაში ეს დღე ყველაზე უბედნიერესი დღე იყო. ფანჯარასთან მიმდგარი ბეჯითად ავლებდა თვალს მის წინ მოძრაობაში მოსულ გარემოს, მთებსა და გორებს, სოფლებსა და ქალაქებს, მინდვრებს და ქალებს, ტყეებსა და მდინარეებს.

1936 წლის მარტის თვე იყო. მზეს ჯერ კიდევ ვერ მოეკრიფა ძალა და ამიტომ თითქოს გამოჩენა რცხვენიო, პატარძალივით იშვიათად გამოიჭვრეტდა. მოსკოვი ჩვეულებრივ ხმაურობდა, დულდა და გადმოდულდა. მძალი სახლები საზეიმოდ მოერთოთ, საღვთო ღოზუნგებოთა და დროშებით იყო დაშვენებული. საქართველოდან ჩასულ დელეგაციას გულთბილად ეგებებოდა დედაქალაქი.

აიშემ არ იცოდა, რაზე შეეჩერებინა მზერა, რას უფრო დაჰკვირვებოდა, რა ჩაენღრგა გონებაში. მისთვის ყველაფერი ძვირფასი იყო, უცხო, მიმზიდველი და საინტერესო. ამის მსგავსი არათუ ოდესმე ენახა, ოცნებითაც ვერ წარმოედგინა.

„ეს არის მოსკოვი? ჩვენი ქვეყნის გული და სული? საბჭოთა ადამიანების სიამაყე და იმედი? მთელი მსოფლიოს თვალი და ყური?“ — ეკითხებოდა იგი.

თავის თავს და მეტად კმაყოფილი რჩებოდა, როცა ამ კითხვის პასუხს თვითონვე პოულობდა.

„ღიპს ეს არის მოსკოვი!“ — ამყად დაუმატებდა და სიამოვნებით სახე უბრწყინებოდა.

სანახაობა სანახაობას ცვლიდა. შთაბეჭდილებები ემატებოდა, სიხარულს — სიხარული და ალტაცებას — ალტაცება.

ყველაზე ძვირფასი კრემლში მიღება იყო.

აიშე ოცნებითაც ვერ მოაღწევდა აქამდე სხვა პირობებში, სხვა ზელისუფლების დროს; საეცებით წაშლილი იყო ზღვარი დიდ ადამიანსა და პატარას შორის. ყველას თანაბრად ლებულობენ და ესაღმებთან. აიშესაც ისე ექცევიან, როგორც სხვებს, მასზე ბევრად უფრო დიდი სახელისა და ღირსების ადამიანებს. ბედნიერთა შორის უბედნიერებს თუ შეიძლება წილად ზედეს ასეთი ბედნიერება და სიხარული. რომელ ქვეყანაში შეიძლება უბრალო ადამიანი სასახლის კარზე მივიდეს და იქ სითბო და აღერსი მიიღოს? ეს უბრალო გოგონა კი ღდეს მთავრობის სასახლეშია. ახლოდან ხედავს მთავრობისა და პარტიის ზელმძღვანელებს. აქამდე მათი სახე მხოლოდ სურათებში ჰყავდა ნახული, ახლა მათთან ზის, გამბედაობა რომ გამოიჩინოს, გასაუბრებასაც არ უძრახავენ, მაგრამ აიშეს სადა აქვს ამდენი შეძლება, სათქმელი სიტყვა იპოვნოს და მისი თქმა გაბედოს...

მაგრამ ცოტა ხანი და ესეც გააბედვინეს. თავისი პირით ათქმევინეს, რაც საჭირო იყო. ლაპარაკში გამოიწვიეს, შეაქეს, წაახალისეს და...

— დღეიდან სამოც კილოგრამ ჩაის ფოთოლს მოვერეთ ყოველდღიურად. ამის პირობა მომიცია. ეს სიტყვა მოთქვამს პარტიისა და მთავრობისათვის. — წამოსცდა მას და სახეზე ლალის ფერი მოეფინა. ნეტავ ხომ არ გადააქარბა, ასე რომ თქვა?

აიშემ არ იცის, ესიამოვნათ თუ არა მისი ნათქვამი, მაგრამ სხვანაირად ვერ იტყოდა. თქვა ის, რასაც ფიქრობდა,

რის გაცეთების ძალა და ღონე შესწევდა. ვითომ ვერ შეძლებს პირობის შესრულებას, შერცხვება? არა. არ უნდა შერცხვეს, პირობა არ უნდა გატეხოს! ღიპს, არა. პარტიისა და მთავრობისადმი მიცემული პირობის გატეხა არ შეიძლება!

აიშემ აქეთ-იქით მიმოიხედა და გაუკვირდა, როცა დაინახა, რომ მას ყველგან ღიმილითა და სიყვარულით მისჩერებოდა.

მოსკოვიდან, იმ დიდი სიხარულისა და შთაბეჭდილებების გარდა, აიშემ საპატიო ნიშნის ორდენი, ოქროს საათი და პატეფონი ჩამოიტანა.

ყველაფერი კარგი და ძვირფასია, ჯილდო, ორდენი და საჩუქრებიც, მაგრამ სიტყვისა და პირობის შესრულება არა ნაკლები ჯილდო და საჩუქარია.

ახლად ნაკისრმა ვალდებულებამ ახალი ძალით შემოსა აიშე. მოსკოვში ნახულ-გაგონილი ამხანაგებს მოუყვა, ისინიც გაახარა, აღატოთოვანა. ფოლადი ცეცხლში იჭედება, ადამიანი შრომაში...

აიშე გურგენიძე შრომაში გაიზარდა. მისი ამხანაგე გოგონებიც მასთან ერთად გამოიზარდნენ ჩაის ფოთლის კრეფაში და მოწინავე ადამიანთა რიგებში ჩადგნენ.

მთავრობისადმი მიცემული პირობა აიშემ გადაქარბებით შეასრულა. სამოც კილოგრამ ჩაის ფოთლის ნაცვლად, სამოცდა ათისა და მეტის კრეფა დაიწყო. მისი ტოლებიც მიჰყვნენ ფეხდაფეხ და ახლა უკვე არავის აკვირვებდა დღიურად სამოცი კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფა.

აიშე გურგენიძე იზრდებოდა და წინ მიდიოდა. მას ახლა აღარ აკმაყოფილებდა მიღწეული, მეტი უნდოდა, უკეთესისა კენ მიისწრაფოდა. ამიტომ იყო, რომ მან პლანტაციებში მუშაობასთან ერთად სწავლასაც მიჰყო ხელი და ამდენი იმეცადინა, რომ სამი წლის შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა მოახერხა. ეს იყო მისი მიზნების განხორციელება. ახლა იგი საკავშირო უმაღლესი

საბჭოს დეპუტატი იყო, სწავლაში წარჩინებული, ყველასათვის საყვარელი და სასურველი ამხანაგი. არდადეგებზე სოფელში ჩამოსული აიშე ჩვეულებრივ მუშაობდა და ამხანაგებთან ერთად დილიდან საღამომდე ჩაის პლანტაციებში ატარებდა. ახლა იგი ასორმოცდაათსა და ასსამოც კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფდა ყოველდღიურად და ახალ-ახალ რეკორდს ამყარებდა.

სამამულო ომის დროს ყველაზე უფრო ძვირფასი იყო სოფლისთვის მუშაბელი. სტუდენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა ამ დროს დიდ საქმეს აკეთებდნენ. აიშე გურგენიძე სხვებთან ერთად დაუზარებლად მუშაობდა და სასწავლებლიდან თავისუფალ დროს მთლიანად თავის საყვარელ საქმეს ახმარდა.

სამამულო ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა. ფრონტი ახალ-ახალ ძალებს ით-

ხოვდა. ზურგში დარჩენილი ადამიანები რამდენიმე სხვადასხვა სახის სამუშაოსა და თანამდებობას ასრულებდნენ, არ გვეოფნოდა სპეციალისტები, არ იყვნენ ხელმძღვანელი მუშაკები. და აი სწორედ ამ დროს დაუბრუნდა აიშე თავის კუთხეს და მას შემდეგ ემსახურება მას. წარმატებით და აზრიანად იყენებს მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას... დღეს კი, უკვე რამდენიმე წელია, რაც მინისტრის თანამდებობას ასრულებს...

— მობრძანდით! — ეუბნება მისაღებ ოთახში შეყრებილ მოხოვანელებს, კაბინეტის კარს ფართოდ აღებს და ლურჯ მაუღვადაკრულ მაგიდასთან იკერს ადგილს.

ასე იწყება აქარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის — აიშე გურგენიძის სამუშაო დღე.



## ზაირონ ხალვაში



მინდორში იდგა პატარა სახლი,  
პატარა ფანჯრით, პატარა ბუხრით  
ვეება მუხას ქამთასელით დაღლილს  
იმის კედელზე მოედო მუხლი.

მინდორში იდგა პატარა სახლი,  
ნაივი ქროდა ტყეების მხრიდან

და შემოდგომა ცივი ცაბცახით  
ფერწასულ ფოთლებს ეზოში ყრიდა.

მინდორში იდგა პატარა სახლი,  
პატარა ჩრდილი მიჰქონდა ღელეს  
და ბერი მუხა მუხლებში დახრით  
ისფერ კვამლზე ითბობდა ხელებს.

---

## მონა როყა



### ოლეგის დედა კიონერებთან

მძიმეა მაინც მასთან შეხედრა,  
გული შფოთავს და  
ენაა უბრაღ,  
ოლეგის დედა პიონერებთან  
დაღონებული რომ მოვა სტუმრად.

მაგ ქალაჩა ვეფხვს მეც შემახედეთ,  
ბავშვების ჯგუფი რომ აყრავს დასტად,  
ბავშვებს კი არა,  
ესტუმროს დედებს,  
დედებს ასწავლოს  
ვეფხვების დაზრდა!

---

## ნანა გვაჩიშვილი



### ლამაზი იყავ

ლამაზი იყავ, ვინ დაგიჯერებს,  
მერე როგორა ლამაზი იყავ.  
გაუქურდიხარ გულმკაცრ სიბერეს,  
ახლა წარსულზე ოცნება გიყვარს.

ახლა აღარვის ედება გულზე,  
შენი ტუჩების გიზგიზა ალი.

ვინ დაგიჯერებს იებს ლამაზებს  
ჰყავდათ დედოფლად ეგ შენი თვალი.

აღარ შეჰხარი წყაროში შენს თავს,  
ძველ ბრწყინვალეებას ძვირად მოყვები  
ღღეს ნაოქიან მოვის პერანგს ჰგავს,  
ატმისყვავილა შენი ლოყები.



## მებაღე

ბაბუა თედო, როგორც ყველა მებაღე ქვეყანაზე, ალალი, კეთილი კაცია. ან სხვანაირი როგორ შეიძლება იყოს ადამიანი, რომელსაც ამოდენა ბაღის ყოველ ბელტზე საკუთარი ხელისგულის სითბო დაუტოვებია, რომლის არსებაც ყოველთვის სავესტა ფოთოლოთა შარიშურით, ჩიტების ჭიკჭიკით, მწერების ფუს-ფუსით, გასაშლელად შედგებულ კოკორის სიხარულით, დასაქნობად თავჩაქინდრული ყვავილის ნაზი კაეშნით...

არავინ უწყის, როდის მოვევლინა თედო ამ ბაღს. მათუსალას ხნის ხალხსაც ქალაქში იგი მხოლოდ მებაღედ ახსოვთ. თედოს ყველა იცნობს. მზეზე გასაფიცხებლად გამოსული ლასლასა მოხუცები, სიცოცხლემოზღვევებული ქაბუკები და ქალიშვილები, ცნობისმოყვარე ბავშვები თუ იხვის ჭუჭულებივით სასაცილო ცეროდენები თანაბარი სიყვარულითა და აღტაცებით ესაუბრებიან კეთილ მებაღეს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთნი მძიმედ, დარბაისლურად უკრავენ თავს, მეორენი ახალგაზრდულ ყიფინს ტეხენ, მესამენი ქრიაშულით ეხვევიან, სულ პატარები კიდევ ფუნჩულა ხელებს აფართხუნებენ და ხივიან:

— ბა-ბუ-აი..

— ბა-ბუ-აი..

ისიც იღიმება, აცინის და ყველას ხელს უქნევს.

თედოს ყველა იცნობს, მაგრამ მისი ცხოვრების ამბავი დაწვრილებით ბევრმა არ იცის. აგი ყველას ბედნიერ ადამიანად მიაჩნია, რადგან მის სახეზე მხოლოდ თბილ ღიმილს ხედავენ. სინამდვილეში თედოს საკუთარი ოჯახის სითბო არ უგეზია, სალთად დაბერდა. მაგრამ, სამაგიეროდ, მთელი ქალაქი მას ერთ

ოჯახად, საკუთარ ბინად მიაჩნია. თუნდაც ეს გრძელი, ფართო და კრიალა ქუჩა, ბაღს რომ ჩაუვლის! რაც ამ ქუჩაზე ეზო-კარია, თედოსათვის ყველა ნაცნობია და მშობლიური. რომელს უნდა მიადგეს, რომ კარი არ გაუღონ. თითქმის ყოველი სახლის ჭერქვეშ ყოფილა, გაუზიარებია ჭირიცა და ლხინიც.

დღესაც ლხინზე იწვევენ. ბაღის მთავარ შესასვლელთან რომ მტრედისფრად შეღებილი კოხტა, ერთსართულიანი სახლი დგას, იმ სახლში ქორწილია. თხოვდება ოჯახის უმცროსი ქალიშვილი ლილი.

ბევრი გოგონა გაზრდილა, დაქალებულა თედოს თვალწინ, მაგრამ ლილი მაინც სხვა იყო. რაც პატარა ახსოვს, სულ მოხუცს დასდევდა, პეპელასავით დაფრინავდა ბაღში, რომელიმე ბუჩქს ამოფარებული, მერცხალივით ჭყიოდა და „ჭიტას“ იძახდა. შემდეგ სკოლასა და მუსიკალურ სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ იმდენ დროს მაინც ნახულობდა, რომ ბაღში ჩამოერბინა, მოხუცი გაეხალისებინა.

თედომ მხოლოდ მაშინ მოიწყინა, როცა ლილი კონსერვატორიაში მოეწყო და თბილისში გადავიდა. ძლივს შეეჩვია უმისობას. სამაგიეროდ, ღრმად დარწმუნდა, რაოდენ ნაზი და დიდი იყო ქალიშვილის სიყვარული მისდამი. ლილი ხშირ-ხშირად წერილებს უგზავნიდა. დღესასწაულს ისე არ ჩაატარებდა, ღებშით არ მოელოცა, რაიმე პატარა საჩუქრით არ მოეკითხა ღვიძლ ბაბუასავით შეთვისებული მოხუცი.

ლილიმ კონსერვატორია დაამთავრა და ისევ თავის ზღვისპირა ქალაქს დაუბრუნდა. შესანიშნავი პიანისტი დად-

გა. ამაში თედოც დარწმუნდა, როცა ქალიშვილმა წაიყვანა ერთ-ერთი კონცერტზე. ხალხი დიდხანს უკრავდა ტაშს ლილის. ხუთჯერ გამოიძახეს სცენაზე.

ყველაზე დიდ ნეტარებას მოხუცი, მაინც იმ დროს განიცდიდა, როცა ლილი სახლში უკრავდა. როგორც კი როიალის ხმას გაიგონებდა, თედოს ყველაფერი ავიწყდებოდა. ერთხელ როგორცაც, ლილის გამოუტყდა. მას შემდეგ ეს სიამოვნება არ მოჰკლებია. ყოველ საღამოს, როცა ლილი სახლში იყო, მტრედისფერი სახლიდან დიდხანს ისმოდა როიალის ხმა. ქალიშვილი ისეთი გატაცებით უკრავდა, ისეთი მონდომებით, თითქოს ნამდვილ კონცერტზე ყოფილიყოს. ხშირად ასედაც გამოდიოდა. ბაღში მოსეირნე თუ შემთხვევით ქუჩაზე მიმავალი მუსიკის მოყვარულნი ლილის ფანჯარასთან გროვდებოდნენ. რამდენჯერ უნებური ტაშიც მომწყდარა.

თედოს არასოდეს ტაში არ დაუკრავს, არც მადლობა უთქვამს. თითქოს ასე იყო საქმრო. სადმე მყუდრო ადგილას ჩამოჯდებოდა და უსმენდა, გატაცებით უსმენდა.

აზრი იმისა, რასაც ლილი უკრავდა, მოხუცისათვის გაუგებარი იყო. სამაგიეროდ, გულს თითქოს რაღაც ესმოდა. ლილი უკრავდა რაღაც გრძელს, ნახსა და მგრძნობიარეს. შიგადაშიგ მუსიკა იყო ძალიან წყნარი, მიძინებელი, შორეული, თითქოს ციმციმა ვარსკვლავებიდან ჩამოღვარული. ასეთ წუთებში თედოს ფიქრებიც შორეთში მიქროდა, მკრთალი ნათელით გაშუქებულ ცის გუმბათებში დანავარდობდა. აგონდებოდა სიზმარივით ბუნდოვანი ბავშვობა, რაღაც დაკარგული და მოუხელთებელი. რომ გვეითხათ, ვერც გეტყვოდათ თავისი ფიქრის საგანს, იმდენად გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო იგი. გულიდან კი მოჟონავდა, მოიღვინებოდა რაღაც ისეთი, ძარღვებს რომ უთბობდა, ერთ-ანტელს რომ ჰკვრიდა. ამ გრძნობას ვერც სიხარულს არქმევდა, ვერც ნაღველს. იყო რაღაც გაურკვეველი. ყოველ შემთხვევაში, ეს არ იყო გრძნობა

სინანულისა, ცხოვრებით გულმოყვირებულ ადამიანს რომ რჩება უშიშროდ გატარებული ახალგაზრდობის, როდესაც მომზობლავი და შემდეგ დამკნარი ქაბუკური ოცნებების ფერფლად. არა, თედოს სად ეცალა უნაყოფო ფიქრებისათვის, როცა მთელი მისი სიცოცხლე მარტოოდენ შრომითა და ზრუნვით იყო სავსე. მისი ფიქრის საგანს ერთი რამ შეადგენდა: გაელვძებინა და მოექარგა გათოშილი მიწა, წამოეყენებინა წაქცეულ-დაუძღვრებული ნერგი, გაეცოცხლებინა მოწყვნილი ყვავილი. და მიწაც, ზეც, ყვავილიც დღისით თუ ღამით, ზამთარ თუ ზაფხულ უგზავნიდა სიბოძს, ალერსს, სიცოცხლის ხალისს... არა, თედო მწუხარებითა და მარტოობით არასოდეს ყოფილა დაზაფრული. მისმა გულმა მარტო სიყვარული იცოდა და სიკეთე. როცა ლილი უკრავდა, გულს ეს მადლი დღვდა, გამოხეთქას ღამობდა და მოხუცს სურვილი იპყრობდა მთელ ქვეყანას მოხვეოდა, ღამის იდუმალ სუნთქვას და მიწის ნებიერ ფშვინვას ჩაქსოვოდა.

ამ ნეტარებას, ამ წუთებს თედო ისე შეეჩვია, როგორც საკუთარ თოხსა და ბარს, და როცა შეეჩვია, განშორების დროც დადგა.

სახემშვენიერ, ტანკენარ ქალიშვილზე ბევრ ვინმეს ეჭირა თვალი. ბოლოს ლილი გათხოვდა, სხვა ქალაქში გადადიოდა.

თედო წვეულებებზე სულ ბოლოს მივიდა. თან მიიტანა ორი დიდი თაიგულა. არ დარჩენილა ბალის არც ერთი ყვავილი, არც ერთი უცხო სახება ტოტი, რომელსაც თავისი სხავი და ღაზათი არ შეემატებინოს ამ თაიგულებისათვის.

ისეთი ხმაურითა და აღტაცებით შეხვდნენ, რომ მოხუცი დაიბნა. ბუნებას ხასხასა და მშვიდ ფერებს შეჩვეული თვალები აქ აუქრელდა, რადგან ირგვლივ ყველაფერი ბრჭყვიანობდა, ციმ-

ციმებდა. ერთმანეთში ერეოდა ნაცნობი და უცნობი სახეები, აბრმავებდა ფერად-ფერადი ტანსაცმლის, სამკაულების, სერვიზის თუ ბროლის ქალების ელვარება.

თედო მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა რაღაც რბილსა და ღრმაში ჩაეშვა. პირველი, რაც მან გააჩია, იყო ლილის მოლიმარი სახე. ლილი რაღაცას ელაპარაკებოდა, მაგრამ სიტყვებს მოხუცი ვერ არჩევდა. მოწონებისა და თანხმობის ნიშნად თავს მაინც აკანტურობდა.

თამადამ შემოსწრებულს, წესისამებრ, ყანწი შესთავაზა, მაგრამ ლილიმ არ დაანება. თედო წამოიღდა და აკანკალებული ხელით გრძელფეხა ქიქა ასწია. ჩამოვარდნილმა სიჩუმემ შეაცბუნა, სათქმელს თავი ვერ მოუყარა. ბოლოს, როგორც იქნა, დამშვიდდა, ნეფე-დედოფლისაკენ გადაიხარა და ხმადაბლა, ენის ბორძიკით დალოცა ორივე.

— შეილებო!.. როგორ გითხრათ... იცოცხლეთ, იღვგარძელებო... რომ იტყვიან, მზე და მთვარესავითო, სწორედ ისე შეაბერდით ერთმანეთს, — ქიქა მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაატანა, ლილი თავისაკენ მოიხიდა და შუბლზე აკოცა. — იბედნიერე, შეილო... იბედნიერე!

სუფრა ისევ ახმაურდა. ყველაფერ ძველებურად წავიდა.

თედო, ლილის გარდა, მალე ყველას დაავიწყდა. ლილი მოხუცს დაუსრულებლად სთავაზობდა ნაირნაირ კერძებს. თედო ვერც უარის თქმას ახერხებდა, ვერც ქამას. მხოლოდ მწვანის წიწკნიდა და სხვებს უსმენდა. დროდადრო წარბებქვემოდან სიძეს გახედავდა. მოეწონა. უკვე სიღარბაისლეში შესული ახალგაზრდა კაცი იყო. სახითაც ნაცნობი ეჩვენა, თითქოს საღრაც შეხვედრია კიდევ, მაგრამ ვერ მოიგონა — საღ.

საერთო ყურადღება თედომ კიდევ ერთხელ მიიპყრო, როცა მისი დღეგრძელების ჯერი მოვიდა. ამდენი კარგი და თბილი სიტყვა არასოდეს გაეგონა.

არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა ეთქვა, ყველას თავს უკრავდა და ბებრული უმწეო ღიმილით ეღიმებოდა.

ბოლოს სიმეც წამოიღდა. იგი, საერთოდ, ცოტას ლაპარაკობდა და სვამდა, მაგრამ ამჯერად დიდი ქიქა აავსო.

— მეგობრებო! — დაიწყო მან, როცა სრული სიწყნარე ჩამოვარდა. — ადამიანი, რომლის საღვგარძელოც ჩვენმა ოქროპირმა თამადამ ბრძანა და პატივცემულმა საზოგადოებამ ასე ერთსულოვნად გაიზიარა, ეკუთვნის შესანიშნავ, მე ვიტყვოდი, დიდებულ ადამიანთა რიცხვს. — სიმეც ჩაახველა. — დიახ, მეგობრებო! ეს უბრალო, უპრეტენზიო ადამიანი არის ის, ვისაც ჩვენ სხვა ენაზე ვეძახით ჰუმანისტა და, თუ გნებავთ, ალტრუისტს...

„ნასწავლი კაცი რომაა, ლაპარაკზეც ეტყობა“, — გაიფიქრა თედომ.

— მის შესახებ უკვე საკმაოდ მიაბხეს, — ლილის გადახედა და ოდნავ თავი დაუკრა. — თუმცა ზოგი რამ უფრო აღრეც ვიცოდი. მე არ გავიმეორებ ყოველივე ამას, არ გადავლლი თქვენს ყურადღებას, მით უმეტეს, რომ ბატონ თედოს ყველანი კარგად იცნობთ. მაგრამ ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ, გვერდი ავუარო მის ღვაწლს არა მარტო ბევრი ჩვენთაგანის წინაშე, არამედ, ასე გასინჯეთ, მეცნიერების წინაშეც კი...

სუფრაზე ჩურჩული ატყდა. აქა-იქ თავშეკავებული სიცილიც გაისმა.

— დიახ, დიახ, მეგობრებო, სწორედ მეცნიერების წინაშე და ამას მთელი ავტორიტეტულობით ვაცხადებ. — კვლავ ჩაახველა და როცა ისევ სიწყნარე ჩამოვარდა, განაგრძო. — აი, ჩვენ წინაშე არის ორი უზარმაზარი თაიგული. საიდან განჩნდა ეს თაიგულები აქ? ისინი შექმნა და ეგზომ თვალწარმატად შეკრა ამ მამრალი ადამიანის დაყოფრებულმა ხელებმა. ეს არის განსახიერება შრომის კეთილისმყოფელი ძალისა, რომელსაც ესთეტიკური სახიერება შეუძენია...

„ჩემს თავში არ შედის, მაგრამ ვგრძნობ ნაღდად ხვითო განათლებული კაცია... რა სიტყვებს ხარჯავს, ა!“ — თელომ თავი ჩაქინდრა, რომ ზედმეტი მღელვარება არ გამოემკლავნებინა.

— მაგრამ ამ შემთხვევაში, — განაგრძობდა ლაპარაკის ეშხში შესული სიძე, — მე არ შევეხები საქმის ესთეტიკურ მხარეს. იგი ისედაც ყოველი თქვენთაგანის მზერის არეშია და უშუალო აღქმას ექვემდებარება ხედვის ყველა ფოკუსიდან. მე მინდა ამ შემთხვევაში შევეხო წმინდა ემპირიულ, მეცნიერულ მხარეს. დიახ, მეცნიერულს, ბატონებო! მე ბედნიერება მქონდა დისერტაცია დამეცვა სწორედ იმ ბალის ყვავილებას შესახებ, რომლებიც ასე მზრუნველობით გამოჰყავს ამ კეთილ მოხუცს. ვერ წარმიდგენთ, რა მდიდარი ნატურალური მასალა დაგროვდა ჩემს მეცნიერულ ლაბორატორიაში თეორიული განზოგადებისათვის, ღრმა დასკვნებისათვის. — სიძემ ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლზე გადაისვა და განაგრძო. — მე ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ ეს ადამიანი ახლა აქ არის, ჩვენ შორის არის, ჩემ გვერდით დგას. ამ ფაქტში თითქოს სიმბოლურად არის განსახიერებული პრაქტიკისა და თეორიის ერთიანობა, ეს კი წარმატების უტყუარი საწინდარია. მაშ, გაუმარჯოს ჩვენს ღვაწლმოსილ ადამიანს, პრაქტიკოსს, რომელიც თავისი პრაქტიკით ასე უხვ საზრდოს აწვდის მეცნიერებას. ბატონ თელოს გაუმარჯოს!

თელომ ცრემლი ვერ შეიკავა, საერთო ტაშსა და ღრინანცელში გულმხურვალედ გადაეხვია მასთან ჭიქით მისულ სიძეს.



ჯერ არ გათენებულა.

ძილში ჩაფლული ქალაქის მყუდროებას არღვევს დაშლილი მაყრების ხმაური.

ბალის გასწვრივ, ქუჩაზე ორნი მიმანდალობენ: თელო და ახალგაზრდა შლაპიანი კაცი. ერთმანეთისათვის შეკლავენ გადაუხვევიათ.

— ოქრო გული გაქვს, ოქრო. შენს გულს ვენაცვალე! — ახალგაზრდამ მარჯვენათი შლაპა მოიშვლია და მოხუცს გადაეხვია, შემდეგ უცებ მობრუნდა, შლაპიანი ხელი მტრედისფერი სახლისაკენ გაიშვირა და ხმას აუმაღლა, — ჩვენი ნეფე კი შარლატანია!

— კი... ნამდვილად! — უდასტურებს სახეგაბადრული თელო. — ნამდვილად კი ყაძახია.

— არა!.. მე ვამბობ შარლატანიამეთქი, შულ-შულ-შულერი! — ახალგაზრდა შედგა და ფეხი ისე გაგულისებულად დაჰკრა მიწას, თითქოს მისი ჩანგრევა ნდომებოდეს.

— რად უნდა ლაპარაკი! — ეთანხმება თელო, თუმცა ვერ გაუგია, რატომ ცხარობს თანამგზავრი.

ახალგაზრდამ შლაპა ისევ თავზე ჩამოიფხატა, პიჯაკი გაიხსნა და ხელები შარელის ჯიბეში ჩაიწყო.

— შარლატანობაა, აბა რა!.. შენ საქმე გააკეთე, იმან კანდიდატის დიპლომი გაიარხა... ახლა, ხედავ, მზრებზე გვითათუნებს ხელებს, ზევდან გველაპარაკება... ის კი არ იცის, რომ მასეთ მეცნიერს ჯიბეში ჩავისვამთ... მეცნიერი ვარ, შალვა დელოშვილმა უნდა თქვას. ნამდვილად პრაქტიკას ეხმარება და არა პირიქით... ეგ კი ვინ არის?.. მეცნიერების ბუში და მეტი არაფერი... ვიცნობ, რა ნიყვიცაა, — ახალგაზრდას უცებ სიცილი წასკდა და ბურღივით დიგრიხა, — ა, როგორ თქვა?! ვაღლეგრძელებ ადამიანს, რომელიც თავისი პრაქტიკული შეობით უხვ საზრდოს აწვდის მეცნიერებასო... ხა... ხა... ხა... თუ მეო, ა?.. კარგი საქმეა, შენ ნუ მომიკვდები!.. ბაქიბუქობს კიდევ... ადლეგრძელა!.. დიდი ამბავი!.. მოვალეობა მოიხადა... თუმცა ეგვეც საქმეა... მე რომ ვუყურებ, ზოგიერთს მაგის სინდისიც არ გააჩნია... იმისთვის, ვინც კაცად გახადა, ერთი კეთილი სიტყვაც ვერ გაუმეტებია...

თედო პირდაღებულს უსმენდა. იგი მხოლოდ ახლა ჩასწვდა თანამგზავრის ლაპარაკის აზრს, ჩასწვდა და გული დაწყდა.

„ბოროტი კაცი არ უნდა იყოს, — ფიქრობდა მოხუცი თავისთვის. — მაშ რატომ ლანძღავს?.. რა დაუშავა ან ამას ან მე?.. რა ვუყოთ, რომ ლილი აქედან მიჰყავს... ქმარია და მიჰყავს, სადაც უნდა, იქ წაიყვანს... ისე რა კარგი იქნებოდა, აქ დარჩენილიყვნენ... განა ცული ქალაქი გვაქვს?.. წინანდებურად თავსაც არ მოვაბეზრებდი... ყოველ დღით ფანჯარასთან ყვავილებს ჩამოვუწყობდი და გავეცლებოდი... ლილის ისე უყვარს ყვავილები!..“

ახალგაზრდამ მოლიმარი სახით რამდენჯერმე აათვალიერა-ჩაათვალიერა მოხუცი და, თითქოს ფიქრებს მიუხედაო, სხვა, ტკბილი ხმით უთხრა:

— ეჰ!.. კარგად იყავი, ძია, კარგად, კიდევ შენისთანებით სული უდგას ხალხს... თუმცა ხალხი ვინ არის?.. ისევ შენ... ისიც შენსავით ალალია და გულმართალი. ლილიც ასეთია... გააბრუეს, მონუსხეს... რა მისი ბრალია, ან რას და-

უწუნებდა: გარეგნობას, სიტყვა-მასუსს თუ მდგომარეობას?!. ეჰ, კარგად იყავი... ჩემგან არაფერი გეწყინოს... მე მხოლოდ ისე... აი აქ მეწვეის და მიტომ, — მარცხენა მკერდი მოისრისა, თედოს კიდევ ერთხელ გადაეხვია და ბანდალ-ბანდალით წავიდა.

ყოველივე იმისაგან, რაც თანამგზავრმა უთხრა, თედოს ერთი რამ ჩაეპედა თავში: ამ კაცს გული სტკივა, გული ეწვის, ნეტავ რატომ?.. რამდენადაც მეტს ფიქრობდა, იმდენად ეფანტებოდა აზრი.

ბოლოს ლილი მოაგონდა და თითქოს ყველაფერი განათდა.

მიიხედ-მიიხედა. მართლაც განათებული იყო. ამომავალი მზის შუქით შეფერადებულ ცისკიდურზე ნათლად ისახებოდა ნაცნობი და მშობლიური ბაღის ხეთა გრეხილი. თედოს თავის ზემოთ გადმოშვერილ ტოტებში ჩიტმა შეიფრთხილა. ფოთლებზე ჩხაკუნ-ჩხაკუნით გადმომხტარი ცვარი მოხუცის გაღელილ მკერდზე დაცურდა და საღდაც გულის პირდაპირ ჩაღდა.



### გაფრინდი გულო

ყვავილის სურნელი დაგათრობს,  
მთებისკენ გაფრინდი, გულო,  
ვერ ნახავ ამაზე ლამაზ დროს,  
გაზაფხულს შესცინის ხულო.

იქ შრომის ზეიმი გაჩაღდა,  
ტყეების შრიალი მესმის!  
გუშინ რომ ფიქრებში ჩასახლდა,  
წავილოთ ის ტყბილი ლექსი.

აპრილის ეუუუნა წვიმები,  
ნაზ ყლორტებს ასველებს, შაქრავს,  
წყაროებს გაუბამთ სიმები,  
გაზაფხულს ვეახლოდ მაყრად.

გადავცეთ თბილისის ამბორი.  
შალალ მთის ჭიუხებს, ბეჭებს,  
ხავერდით მორთულა ზამბორი,  
ჩვენც მწვანედ შეგვემოსოს ეგებ.

სიმღერა მოვპაროთ ჩანჩქერებს,  
— ნექტარი ენძელას, იას,  
— სიმარღვ მდინარის ლალ ჩქერებს  
და ფრენით გავასწროთ ნიავს.

ასი მზე სხივს აფენს შალლიდან,  
მთებისკენ გაფრინდი, გულო,  
თორემ დრო იჩქარის, წავიდა...  
გაზაფხულს შესცინის ხულო.

### იაკობ მაღია



### გამოუთქმელი წუსილი

როდესაც მშობლიურ სოფელში  
ჩაედევარ,  
ჭალარა სამსონი მომაგნებს ადვილად.  
კვლავ მკითხავს, ათასჯერ რაც ჩემთვის  
უკითხავს,  
და ისევ ამბავი იწყება თავიდან.

მტარვალს რომ შეება და მკერდით  
დამიცვა.

ის ჩემწინ დაეცა, მის საფლავს არყისზე  
ფოთლების შრიალით დაჰხარის

— „არ უთხრა, არ უთხრა, შორიდან  
მალლიდან.

გატყდება მოხუცი, დარდს ვეღარ  
მანიშნებს,

ხანდახან თვალებში ჩამხედავს  
აიტანს“.

— თქვენ ერთად იყავით იმ ცეცხლის  
ღრუბლებში,  
შინ მოხველ ღვთის შადლით, არა გჭირს  
იარა.

ის ჩემი ვაჟკაცი, ის ჩემი ნუგეში,  
სად არის? იქნება, იცი და მიმაღავ!

უნდა რომ აქ თავის სურვილი იხილოს.  
რასაც ჩვენ მე და არყის ხე ვუშალავთ,  
თვალებში თვითონვე სურს ამოიკითხოს.  
როდესაც მშობლიურ სოფელში

— არ ვიცი, ერთმანეთს ჩვენ ცეცხლში  
დავშორდით,  
ორთავე შაშხანით ვიცავდით  
სტალინგრადს,  
არ ვიცი? როგორ ვთქვა! ხელჩართულ  
ბრძოლაში,

ჩაედევარ,  
ჭალარა სამსონი მომაგნებს ადვილად.  
კვლავ მკითხავს, ათასჯერ რაც ჩემთვის  
უკითხავს,  
და ისევ ამბავი იწყება თავიდან.



## ქარიანის მარცხი

სატირული მოთხრობა

ნათქვამია, ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავისი დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო. სწორედ ასე მოუვიდა ქარიმან ვაშაძეს. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს იმის თქმას, რომ ამ დანის გამოჩხრეკას თვითონ ქარიმანი როდი შესდგომია. ეს მისმა ღირსეულმა მეუღლემ მინადორამ დაიწყო, ქარიმანმა კი დააგვირგვინა.

ამბავი ასე დაიწყო. ერთი ადგილობრივი პოეტის საიუბილეო საღამოს შემდეგ ბანკეტიდან დაბრუნებული ქარიმანი ღივანზე განცხრომით ისვენებდა. მინადორა კი თავის მეუღლეს ჩვეულზე-ბისამებრ შავ ყავას უმზადებდა.

— რაც მართალია, მართალია, ძან იუბილე კი მოვეუწყვეთ ჩვენს ექვთიმეს, — დაიწყო ქარიმანმა, — იმხელა სცენა ყვავილებით და საჩუქრებით გაივსო. ექვთიმე კი იჯდა სავარძელში გამოკიმული, საკოცნელად და ხელის ჩამოსართმევად თუ წამოიწევდა ხანდახან. თეატრში და ბანკეტზე მასზე სიტყვები რომ ითქვა, ნეტავი, მართლა იმდენის გამკეთებელი იყოს. არა, უცნაურად კია მოწყობილი ეს ქვეყანა. გუშინ ტყავს აძრობდნენ, უიდეო და სუსტ ლექსებს სწერო, დღეს კი ასეთი სიტყვები უთხრეს, გეგონებოდათ, რუსთაველი ზის სავარძელშიო!

— იუბილე მაინც დიდი საქმეა, ჩემო ქარიმან. — გამოეხმაურა მეუღლეს მინადორა, რომელმაც აშიშინებული საყავე შემოიტანა სამზარეულოდან და სუფრის გაწყობას შეუდგა. — საბატოლ ზიხარ გამორჩეულ ადგილზე, მილოცვები, ქება-დიდება... საჩუქრები... გაზეთი შენზე წერს და რადიო შენზე

ლაპარაკობს. რაც არ უნდა იყოს, სასახელო საქმეა!

— სახელი და პატივისცემა მე არ მაკლია, ჩემო მინადორა. — შეიშმუნა სავარძელში ქარიმანი, რადგან ცოლს სამღურავი შეამჩნია კილოში.

— ასე საჯაროდ მაინც სულ სხვაა, მე არ მოგიკვდე. — მინადორა თანდათან შედიოდა ლაპარაკის ეშხში, — ამ მხრივ ბედნიერები არიან მწერლები და მსახიობები.

ქარიმანს ჰკვიანურად მოეჩვენა მეუღლის მსჯელობა.

— არა, მართლა რომ თქვას კაცმა, რატომ მაინცდამაინც პოეტებს და მსახიობებს უწყობენ ამ იუბილეებს! ბოლოსდაბოლოს, რითი დაიმსახურა ექვთიმე ბაძგარაძემ ასეთი პატივისცემა? — ქარიმანი მისწვდა ავტორის მიერ ნაჩუქარ წიგნს, — ამ ლექსებით? იგი თუ ოცი წელია, ლექსებს წერს, მე ოცდოხუთი წელია, ისეთ საქმეს ვემსახურები, რომელიც ლექსებთანაცაა დაკავშირებული, ხელოვნებასთანაც და, საერთოდ, მთელს ჩვენს კულტურულ ცხოვრებასთან. სხვას ყველაფერს რომ თავი დაეკნებოთ, მეც ხომ ხელოვნების მუშაკი ვარ ...მა; მინადორა, მართალს არ ვამბობ?..

იუბილეზე ფიქრი ქარიმანმა ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის ოცი წლისთავზე დაიწყო, მაგრამ ამისათვის ნიჟაგის მომზადება იყო საჭირო და მანაც პირველი იერიში კულტურის სამინისტროზე მიიტანა. სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკებმა, რომლებიც დავალებული იყვნენ ქარიმანისაგან, ამის თაობაზე რამდენიმე სიტყვა ჩააწვეთეს, ვისაც ჯერ-არს. ისინი შემდეგ არშეუ-



ნებდნენ ქარიმანს, მინისტრი რომ არ გაეთავისუფლებინათ, საქმე ნამდვილად გაკეთებული იყო.

მაგრამ ქარიმანმა ფარ-ხმალი არ დაყარა, პირველსავე დღესასწაულზე კულტურის სასახლეში ისეთი გრანდიოზული საღამო და ბალ-მასკარადი მოაწყო, რომ ახლადდანიშნულმა მინისტრმა პირადად განაცხადა, ეს ვაშაძე მართლაც სასარგებლო კაცი ყოფილა.

ქარიმან ვაშაძისათვის იუბილის მოწყობის საკითხი ახლა უკვე ხელმძღვანელ ორგანოებში დაისვა, მაგრამ ყველაფერში იღბლიან ქარიმანს უმტყუნა ბედმა, პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს და საქმე ისევ თავიდან უნდა დაწყებულიყო.

იუბილის გამართვაზე ლაპარაკის წამოწყებას წინ ყოველთვის რაღაც გრანდიოზული ღონისძიება და სანახაობა უძღოდა, რის მოსაწყობად ქარიმანი მთელ თავის ნიჭსა და უნარს იჩენდა, მაგრამ ხელმძღვანელების მოხსნა-გადაყვანის გამო მთელი მისი შრომა წყალში ცვიოდა.

მას შემდეგ თითქმის ხუთი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ვაშაძემ რამდენიმე ადგილი გამოიცვალა და, ბოლოს, პიონერთა პარკს მოველინა დირექტორად.

ქარიმანი ცხოვრებას არ ემდებოდა, უფროსებიც კმაყოფილი იყვნენ მისი მუშაობით. თითქოს მიავიწყდა კიდევ იუბილზე ფიქრი, მაგრამ, ბედოდ თუ საუბედუროდ, ამ საღამოს საღერტელ-აშლილმა მინადორამ ისევ მოაგონა და ოღნაგემოშუშებული იარა ისევ გაუხსნა, მიძინებული ჰია გაუღვიძა და შეზარხოშებულ ქარიმანს გულსა და ტვინში შეუღლიტინა.

— მითქვამს და ამისრულებია კიდევ. აი, ეს უღვაში მომპარსე, — ქარიმანი წამოდგა და პირწმინდად გაპარსულ ტუჩებზე ორი თითი გადაისვა, — თუ სულ ცოტა ხანში შენი ქმარი შუაგულ სტენზე სავარძელში არ ნახო გამოკრული!

მეორე დღეს ქარიმანს ყველაფერი დაგეგმილი და გათვალისწინებული ჰქონდა.

პირველ ყოვლისა მან თანამშრომელთა საერთო კრება მოიწვია.

— ორი მაისი გვიახლოვდება. — პირდაპირ საქმით დაიწყო ქარიმანმა. — ამ დღეს ჩვენი პარკი ყოველთვის სასახელოდ ზედება, მაგრამ წელს განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ. — ქარიმანი შეჩერდა, შეკრებილთ თვალი მოაგლო და მრავალმნიშვნელოვნად დაუმიტა: — ასეთია მითითება. წლევანდელმა დღესასწაულმა ყველა წინანდელი უნდა დარჩილოს. როგორია თქვენი აზრი?

ასეთ თათბირებზე ვაშაძეს სხვისი აზრი ნაკლებად აინტერესებდა, მაგრამ დემოკრატიულობის პრინციპის დასაცავად მაინც შეეკითხებოდა ხოლმე თავის თანამშრომლებს, თქვენ რას იტყვიან.

წამოდგა უფროსი პიონერხელმძღვანელი მაყვალა გელაშვილი:

— ყველაფერი ეს კარგია, ამხანაგო ქარიმან, მაგრამ ეშინობ, შარშანდელზე უკეთესი დღესასწაული შარშანდელზე უარესად არ ჩაგვეშალოს.

— როგორ?! — ასწია თავი ვაშაძემ.

— მოგეხსენებათ, ეს დღესასწაული ბავშვებისაა. შარშან კი, ალბათ, ყველას გახსოვთ, მთელი პარკი ისე მოვრთეთ, გამოთენა გეგონებოდათ, ხეების მოკაზმვას გადაეყვეით და ბავშვები სულ გადაგვაიწყდა! გელაშვილს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვაშაძემ სიტყვა შეაწყვეტინა:

— არც მასე ყოფილა საქმე, ამხანაგო მაყვალა, როგორც თქვენ დახატეთ. ყველა ჩვენთაგანმა ძალიან კარგად იცის, რომ ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა ჩვენ მიერ შარშან ჩატარებული ღონისძიებით. შეიძლება მუშაობაში მართლაც გვაქვს ნაკლოვანებანი, მაგრამ ჩვენი სიძლიერე სწორედ იმაშია, რომ მათი გამოსწორების უნარიც შეგვეყვას. წლევანდელ ზეიმში აქტიურ მონაწილეობას

სწორედ ბავშვები მიიღებენ. ისინი იქნებიან პარკის ბატონ-პატრონი. ჩვენ კი, თქვენთან ერთად, ამხანაგო მაყვალა, ვუხელომძღვანელებთ მათ ზეიშს.

— ვნახოთ! — თქვა მაყვალამ და დაჯდა.

ქარიმანმა თანამშრომლებს გადახედა და გამოცდილებით მიხვდა, სახიფათო იყო დანარჩენების აზრის გაგება; ამიტომაც თათბირის დამთავრება დააჩქარა. ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ვაშაძის კაბინეტში თავი შერგო ახოლონ მაცაბერიძემ, დრამატურგმა, მხატვარმა და მუსიკოსმა. სად არ სწვდებოდა ვერცხლის წყალავით მოძრავი მაცაბერიძის ხელი?! თეატრში სპექტაკლს მხატვრულად აფორმებდა, დრამურში პიესას დგამდა, ამავე დროს, ოლიმპიადისათვის მხატვრულ კოლექტივებს ამზადებდა. მაგრამ მან სახელი მაინც სადღესასწაულო ინტერმედიებისა და მონტაჟების დადგმით გაითქვა. ტექსტს თვითონ წერდა, მუსიკასაც თვითონვე არჩევდა, დადგმა ხომ მისი იყო და მისი! მაცაბერიძეს ქარიმანზე ნაკლები ენერჯია როდი ჰქონდა, მაგრამ ის, რაც მას აქვდა, უფროსებთან დაახლოების უნარი, ქარიმანისათვის მიეცა ბუნებას. თვითონ ვაშაძე კი მაცაბერიძეს ბევრ რამეში შენატროდა. ასე რომ ერთმანეთისა შურდათ კიდეც, მაგრამ უერთმანეთოდ ფონს ვერ გადიოდნენ და საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს მოძებნიდნენ ხოლმე.

ახლაც საჭმემ შეჰყარა ისინი.

— ორი მაისი ახლოვდება! — მნიშვნელობით მიმართა ვაშაძემ.

— ახლოვდება, — გაიმეორა მაცაბერიძემ და ვაშაძის სათქმელი თვითონვე დაასრულა: — საჭიროა სადღესასწაულო მონტაჟი!

— მონტაჟი კი არა, მთელი სპექტაკლი! — წამოიღვა ქარიმანი და მთასავით აღიმართა ჩია ტანის მაცაბერიძის წინ. — შენ გამოუცდელი არ ხარ ამ საჭმეში, მაგრამ მაინც გეტყვი, წლებანდელმა შენმა ნამუშევარმა ყველა წინანდელი უნდა დაჩრდილოს.

— ვეცდები.

— კიდეც ერთი პირობა, — ქარიმანი ახლოს მიუჩოჩდა მაცაბერიძეს და ხმას დაუდაბლა: — მიზეზს ნუ მკითხავ. საქმე მოითხოვს, ყველაფერში მე ვიანდე. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მონტაჟის ავტორიც და დამდგმელიც მე ვარ. მუშაობის დროს თანამშრომლებს შთავაგონებთ, რომ შენ მხოლოდ მეზმარები და მეტი არაფერი.

მაცაბერიძეს ბევრი არ უფიქრია, მხოლოდ კონტრაპირობა წამოაყენა:

— ხელშეკრულების შინაარსიც ამ ჩვენს პირობას უნდა ეთანხმებოდეს.

— მაგაზე მოვრიგდებით. — მაშინვე დათანხმდა ფულის გაღებაზე ჩვეულებისამებრ ჯანჯალი ქარიმანი. — ინტერმედიის განსაკუთრებით გაითვალისწინეთ ერთი რაღი, ასე ცხრა-ათი წლის ბიჭუასათვის.

— ყველაფერი შესრულებული იქნება.

ხელი ხელს დაკრეს, პირობა ქალაღზე გადაიტანეს და ბუხბალტერიაში გაათორმეს. მაცაბერიძე კარგა მოზრდილი აენსით წავიდა, ვაშაძე კი დაიმედებული დატოვა.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ვაშაძე და მაცაბერიძე ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. მაცაბერიძემ თავისი ნამუშევარი წაიკითხა, რამდენიმე შესწორება იქვე შეიტანეს და მუშაობაც გაჩაღდა.

დღესასწაულზე კარგა ხნით ადრე ქალაქში ხმა დაიბნა. ქარიმან ვაშაძე სამაისოდ ისეთ საშაადისშია, საკუთარ თავს უნდა აჯობოსო. იმასაც ამბობდნენ, მოსკოვიდან აპირებს კინოოპერატორების მოწვევასო.

ასეთი ხმების გავრცელებას პირველ რიგში თვითონ ქარიმანი უწყობდა ხელს, სადღესასწაულო პროგრამას კი საიდუმლოდ ინახავდა.

ქარიმანმა ძილი და მოსვენება დაკარგა. დილიდან დაღამებამდე სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის იყო გაბმულ. იქ — ბანკში — დამატებით სახსრებს ითხოვდა, აქეთ სკოლის დირექტორებთან ჰქონდა მოლაპარაკება მოს-

წავლევების პარკში მოყვანის თაობაზე, ზოგს ეღაფებოდა, ზოგს კიდევ ეხევეზობოდა, გეზი ხელმძღვანელი ორგანოებ-საკენ ჰქონდა აღებული. თითქოს ყველაფერს ასწრებდა, მაგრამ სულ იმას ჩიოდა, რომ დღელამეში მხოლოდ ოცდართი საათი იყო, ეს დრო კი მას სანახევროდაც არა ჰყოფნიდა.

ქარიმანის მთავარი საზრუნავი მაინც სამაისო მონტაჟი გახლდათ. იგი უნდა ყოფილიყო დღესასწაულის გვირგვინი. მაცაბერიძეს მართლაც საგულისგულოდ ემუშავა და მონტაჟში მთელი თავისი შემოქმედებითი უნარი ჩაექსოვა.

ინტერმედიის მონაწილეები ვაშაძემ და მაცაბერიძემ ადვილად შეარჩიეს. აბა, რომელი დირექტორი იტყოდა უარს, რომ მისი სკოლის მოსწავლეებს მიეღოთ მონაწილეობა სამაისო ზეიმში! მთავარი როლის შემსრულებლის შერჩევა ვაშაძემ არაფის დაანება. თუმცა აქ შესარჩევად არაფერი იყო. თავიდანვე ჰქონდა გამიზნული, რომ ამ როლში აუცილებლად კულტურის მინისტრის ათიწლის ვაჟიშვილი გურამი გამოეყვანა. სწორედ აქ უმტყუნა ბედმა ქარიმანს. პატარა გურამი არასოდეს არ ყოფილა დანიტერესებული მხატვრული კითხვით. თავის როლს გულს ვერ უღებდა, რეპეტიციების დროს ფიზიკულტურის მოედნისკენ ეკირა თვალი. იქ მისი ტოლები ბურთაობდნენ, აქ კი საათობით გოგონებთან უნდა მდგარიყო და გაუთავებელი ლექსები ეზებირნა. ლექსების გაზეპირებას კიდევ მოახერხებდა, მაგრამ მარტო ამას რომ არ სჯერდებოდნენ?! აუცილებლად ისე უნდა წაიკითხო, როგორც ნამდვილმა მსახიობმაო.

აი, დღესაც გურამი საზაფხულო თეატრის წინ სხვა მონაწილეებთან ერთად დგას, თავის ჯერს ელის, თვალი კი იქითკენ გაურბის, საიდანაც ბურთის ბათქენი და ტოლების ყაყინა ესმის.

რეპეტიციას აპოლონ მაცაბერიძე ატარებს. ქარიმანი შორიახლოს ზის და შენიშვნებს იძლევა. მაცაბერიძეს მისი მითითება ყოველთვის არ მოსწონს, წარბებს უსიამოვნოდ იკმუხენის, მაგრამ

პირობა ახსოვს და ამიტომ უხმოდ ლებულობს მითითებებს.

იქვე, ახლოს, მინაღორა გოგონებს თეთრ ჰაეროვან ტანსაცმელს აცმევს და თან შეუჩერებლივ ქაჭანებს.

— გურამ, შენი რიგია! — მოესმა გურამს აპოლონის ხმა.

გურამი ბავშვებს გამოეყო და კბეზუ შედგა.

ქარიმანი წამოდგა და აპოლონს მიუახლოვდა. ამ ადგილას რეპეტიციას იგი პირადად ხელმძღვანელობდა.

— აბა, დაეწყეთ! — თქვა აპოლონმა.

გურამმა სხაპასხუბით დაიწყო გაზეპირებული ლექსი. უნდოდა მალე დაემთავრებინა სათქმელი; იქნებ თავი დაანებონ და სტადიონისკენ მოახერხოს გაძრომა.

— გურამ, შეჩერდი, ასე არ ვარგა! — აჩერებს მას აპოლონი, — უფრო ნელა და გამოთქმით წარმოსთქვი. აი, ასე. ასწავლის იგი და თვითონ იმეორებს გურამის სიტყვებს.

გურამი მოთმინებით უსმენს, მაგრამ უკვირს კი, როგორ უნდა მოახერხოს ამ ძიასავით ლექსის წაკითხვა?.. ასეთი ბოხი ხმით, თვალების ტრიალით. იგი ცდილობს მიბაძვას, მაგრამ სახეზე ატყობს, რომ არაფერი გამოუდის.

აპოლონი ოხრავს და ვაშაძეს ყურში ეჩურჩულებდა. ქარიმანი უარის ნიშნად თავს აქნევს, რაღაცაში არ ეთანხმება.

გურამს ცალი ყური მათკენ აქვს მიპრობილი. ნატრობს კიდევ, იქნებ დამიწუნონ და სხვას დაეალონ ჩემი როლო. ის კარგახანია ამჩნევს, იქვემდგომი გოგო-ბიჭები როგორ აცმაკუნებენ ტუჩებს და მის სათქმელს გულში იმეორებენ. თვითეული მათგანი, ვინ იცის, რამდენჯერ გამოსულა სკოლაში გამართულ საღამოზე ან პიონერულ შეკრებაზე, მას კი ერთხელაც არ უთქვამს საჯაროდ ლექსი!

მაცაბერიძე ახლაც არწმუნებს პარკის დირექტორს, გურამი ამ როლში არ გამოდგებაო. იგი კი, ეტყობა, არ თანხმდება, რაღაცას უმტკიცებს და მიეშუ-



რება კაბინეტისაკენ, სადაც მას ტელეფონზე იხმობენ.

ქარიზმანი გულზე იყო გამსკდარი. სადღესასწაულოდ რა არ მოიმოქმედა, რას არ მიაღწია, ამ თითისტოლა ბიქს კი ვერაფერი მოუხერხა. რასაკვირველია, მას შეეძლო ერთი კი არა, თუგინდ ათი ბავშვი გამოენახა ამ როლისათვის, მაგრამ ქარიზმანს სულ სხვა მოსაზრება ჰქონდა. რამდენიც არ უნდა წერონ და ილაპარაკონ მაამებლობაზე, უფროსები მაინც მოხარული არიან, თუკი რითიმე ასიამოვნებ. ვინ დააჯერებს ქარიზმანს, რომ კულტურის მინისტრს არ ეამება, როცა მთელი ზეიმისა და ყურადღების ცენტრში თავის ვაჟიშვილს დაინახავს. მერედა, ყველა მშობელს თავისი შვილი სხვა ბავშვებზე უფრო ჰყვინძინი და უკეთესი ჰგონია.

ხელებში თავჩარგული ქარიზმან ვამაძე ფიქრებს ებრძოდა. მისი მახვილი გონება ახლა თითქოს დახშულიყო და მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ პოულობდა.

უცებ კარი დაუკაკუნებლად გაიღო და ოთახში სახელეწილი მაყვალა გელაშვილი შემოფრინდა.

— პატივცემულო ქარიზმან! — წამოიძახა მან.

— რაშია საქმე?! — ქარიზმანი გაკვირვებით მიაჩერდა პიონერხელმძღვანელს.

— გამოენახეთ, პატივცემულო ქარიზმან...

— რა გამოენახეთ?!

— წამობრძანდით და თვითონ ნახეთ!

რეპეტციის ადგილზე მისულ ქარიზმანს ასეთი სურათი გადაეშალა თვალწინ: ბავშვები, პიონერხელმძღვანელები, მასწავლებლები, თვითონ აპოლონ მაცაბერიძეც გარს შემოხვეოდნენ ვარდისფერკაბიან ცისფერთვალემა, გოგონას, რომელსაც გურამის ადგილი დაეკავებინა და მის სათქმელს ამბობდა. მერედა იცით როგორ? მისმა ტიტინმა კინლამ ქარიზმანიც მოხიბლა, მაგრამ იგი მაშინვე გამოეყრევა და აპოლონს იდაყვი გაპკრა.

— ვისია?

— არ ვიცი. არც არავინ იცნობს... ირგვლივ აღტაცებული ჩურჩულებას მოლა:

— რა მშვენიერია!

— რა კარგია!

— აი, წაითხვა ასე უნდა!

— ვისია ნეტავ?

ქარიზმანმა შეატყო, რომ საქმეში მისი ჩარევა იყო საჭირო, თორემ ყველაფერი გაფუქტდებოდა.

— რაშია საქმე? — მკაცრად წამოიძახა მან.

გოგონას უცოდველ ტიტინთან ქარიზმანის როყით ხმა ყვავის ჩხავილივით გაისმა. ყველა უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო.

გოგონამ ლექსი შუა სიტყვაზე შეწყვიტა და შიშნარევი თვალებით მიანიერდა მისკენ მომავალ სასტიკ ძიას.

— ვისი ხარ, გოგონა, რა გვარი ხარ?

— ქალიაშვილი... ცისანა ვარ.— თქვა გოგონამ და თითქოს დანაშაულზე წააფრესო, თავი ჩაღუნა, დიდრონი წამწამები აუთამაშდა.

ეს გვარი ქარიზმანს ბევრს არაფერს ეუბნებოდა, ამიტომ თითქოს არაფერიც არ მომხდარაო, ყველას გასაგონად წარმოსთქვა:

— ყოჩაღ, ნიჭიერი გოგონა ყოფილხარ! — მერე სხვებს მიუბრუნდა: — აბა, გვეყოფა გართობა, განვაგრძოთ... გურამ, შენი ადგილი დაიკავე.

გურამი სხვებთან ერთად პირდაღებული უსმენდა უცნობ გოგონას, ფეხბურთიკ კი გადააიფყდა. სწორედ იგი იყო მისი მხსნელი. ახლა კი ნამდვილად ჩამომეთხოვებიანო, ფიქრობდა, მაგრამ, როცა დირექტორმა ისევ მას დაუძახა, გაკვირვებულმა ხმაც ვერ ამოიღო.

— პატივცემულო ქარიზმან, ეს გოგონა ჩინებულად შეცვლის გურამს. — თქვა არანაკლებ გაოცებულმა მაყვალამ.

— დღესასწაული კარზეა მომდგარი. შეცვლის დრო აღარაა. განვაგრძოთ ისე, როგორც დავიწყეთ!

ზოგიერთებმა ჩაიღიმეს, მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე. უფრო გულუბრყვი-

ლოებს კი მაინც უკვირდით, რად არ თანხმდებოდა ღირეპტორი, როცა ამ გოგონამ გურამზე უკეთ ახლავდნენ იცის როლიო. ეტყობოდა, იგი შეუმჩნეველად ესწრებოდა რეპეტიციებს და შესძლო კიდევ გურამის როლის დაზეპირება.

ხასიათწამხდარმა გურამმა ისევ დაიკავა თავის ადგილი და დაიწყო; ერთი სტროფი ჩაიკითხა და მაცაბერიძემ ისევ შეაჩერა, მაგრამ სანამ იგი შენიშვნას მისცემდა, გოგონამ, რომელიც იქვე იდგა, გურამის სათქმელი ჩაილაპარაკა მართალია ხმადაბლა, მაგრამ მაინც ყველამ გაიგონა.

ქარიზანი მიხვდა, თუ ახლავდნენ არ მიიღებდა გადამკრულ ზომებს, ეს გოგონა საათივით აწყობილ საქმეს ნამდვილად ჩაუტყუშავდა.

— ვისია ეს ბავშვი? — იკითხა მან მრისხანედ.

— რამდენიმე დღეა პარკში სეირნობს დედასთან ერთად. ახლა მარტოა, დედამისი არ ჩანს. — მიუგო ვილაძემ.

— გოგონა, გაჩუმიდი, ხომ ხედავ, ხელს უშლი! — მიეშველა ქმარს მინადორა.

— სრულებითაც არ მიშლის... ის კი არა, ჩემზე უკეთესად კითხულობს. — ველარ მოითმინა გურამმა.

— აი, ხომ ხედავთ? — გაიბუტა გოგონა და ცისფერ თვალეებში ცრემლი ჩაუდგა. — თქვენ კი ამბობთ, ხელს უშლიო.

მინადორამ იგრძნო, თუ რა სასაცილო მდგომარეობაში ვარდებოდა მისი მეუღლე, გაბილბილბულმა გოგონას დაუცაცხანა:

— მოშორდი აქედან!.. გადავირიე ქალი, ამ ბავშვს პატრონი არ ჰყავს?..

— ცისანა!.. — მოისმა ამ დროს ძახილი და ხეივნიდან ტანმაღალი, ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე თმაშეჭილარავებული ქალი გამოჩნდა.

— აქა ვარ, დედა!.. — შეეხმინა გოგონა და ქალს მიაშურა.

— სად დაიკარგე, უნებართვოდ რა-

ტომ მიღხარ?! — დატუქსა დედამ, მაგრამ შვილს თვალეებში ცრემლები შეამჩნია და შეშფოთდა: — რა მთხდა, რატომ გიტჩრია?!

— ის მოხდა, ქალბატონო, რომ, თუ დედა ბრძანდებით, ბავშვს უნდა უპატრონოთ. — მიახალა გაცეცხლებულმა მინადორამ.

— მე კი მეგონა, ამ პარკში ბავშვი მთელი დღე რომ დარჩეს მარტო, მაინც არ იგრძნობს თავს უპატრონოდ. — მშვიდად შენიშნა ქალმა. — მით უმეტეს, რომ ჩემი ცისანა თავის ტოლებთან ყოველთვის გამოხახავს საერთო ენას.

— ხომ ხედავთ, ჩვენ ვმუშაობთ, ბავშვი კი ხელს გვიშლის.

— არა, დედა, არ დაუჯერო, — ახლა კი მართლა აღშფოთდა ცისანა, — ყველაფერს ვფიცავ, არავისთვის ხელი არ შემეშლია. მე მხოლოდ ლექსი წავიკითხე, რადგან ის ბიჭი, აი იქ რომ დგას, ცუდად კითხულობს.

— სწორია. — მაშინვე დაეთანხმა გურამი.

ქარიზანმა შეატყო, რომ მარტო მინადორა ვერ უშველიდა საქმეს, საჭირო იყო მისი ავტორიტეტული სიტყვა.

— ამხანაგო! — მიუბრუნდა იგი ცისანას დედას. — ალბათ გრძნობთ, რომ თქვენც და თქვენი ბავშვიც აფერხებთ ჩვენს მუშაობას. ეს, ვფიქრობ, გასაგები უნდა იყოს თქვენთვის.

— ბოდიში, რომ მოგაციდინეთ, — გაელიმა ცისანას დედას, — მაპატიეთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მე ჩემი გოგონასი უფრო მჯერა. უკვე სამი დღეა, თქვენი პარკის სტუმარი ვარ და ვხედავ, თუ როგორ ამოდ აწვალვებთ იმ ბავშვს. წავიდეთ, ცისანა!.. — მან ხელი ჩაჰკიდა გოგონას და გასასვლელისაკენ გაემართა.

— ყველა არამკითხე მოამბე უნდა ჩაგერიოს საქმეში! — მაინც ველარ მოითმინა და დააწია მინადორამ.

— ბა, განვაგრძოთ! — როგორც იქნა, ამოიღო ხმა მაცაბერიძემ.

•  
••

ორ მთავს ზღვისპირა ქალაქში დიდი და პატარა პიონერთა პარკისკენ მიემართებოდა. საზეიმოდ მორთული შესასვლელი და ვეებერთელა აფიშები წინასწარ იუწყებოდნენ დღევანდელი დღესასწაულის გრანდიოზულობაზე.

აქა-იქ ისმოდა:

— ამბობენ, ზედ ტბის შუაგულში მთისოდენა კოცონი გაჩაღდებო!

— ტბის გარშემო მაშხალების მთელი არტილერია ყოფილა თურმე გამართული!

— შენ განათება სთქვი! ხე არაა დარჩენილი, ოცი-ოცდაათი ელნათურა რომ არ ეკიდოს. ღამით ზღაპრული სანახაობა იქნება!

— ყოჩალი კაცია ქარიშხან ვაშაძე!

— ნამდვილად საჭირო კაცია!

ყველაფერი ხელს უწყობდა ქარიშხანს. ხალხი ზღვასავით მოედინებოდა, ამინდიც შესანიშნავი იდგა. რაც მთავარია, ხელმძღვანელთაგან ყველა ქალაქში იმყოფებოდა. ქარიშხანს წუხელ ორი საათიც არ უძინია. მთელი ღამე იღუმინაციას აგვარებდა.

ყველაფერი თავისი რიგით მიდიოდა. ქარიშხანი წუთი-წუთზე ელოდა კულტურის მინისტრისა და სხვა პასუხისმგებელი ამხანაგების მოსვლას. ხალხი გაფრთხილებული ჰყავდა, ერთი კაცი შემოსასვლელთან დარაჯობდა, მეორე — რადიოჯიხურთან. საპატოო სტუმრების გამოჩენისთანავე ისინი ნიშანს მისცემდნენ რადისტს, რომელიც უმალ ჩართავდა მინისტრის საყვარელ ფირფიტას. ამ სიმღერის ხმაზე ქარიშხანი, სადაც არ უნდა ყოფილიყო, შემოსასვლელთან გაჩნდებოდა.

ქარიშხანმა შეუარა მინადორას, რომელიც მონტაჟში მონაწილე ბავშვების ჩაქმლობას ამოწმებდა, უკუნებოდ მყოფ გურამს მიუალერსა, გაამხნევა და სწორედ ამ დროს გაისმა დათქმული სიმღერა.

მთავარი ხეივანით უკვე მოაბიჯებდნენ ხელმძღვანელი ამხანაგები.

ქარიშხანი მათ მკლავებგაშლილია შეეგება, ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი, ქება მოისმინა, თავი მოისაწყლა. ისეთი არაფერი გამოიკეთებიაო, ყური კი დაცქვეტილი ჰქონდა, აბა რას იტყვიანო. განათლების მინისტრმა კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივანს, უთხრა, ქარიშხანი ყოჩალი კაციაო, ამას მან ყური მოჰკრა და ცოტათი გულს მოეშვა.

ქარიშხანი გვერდში ამოუღვა კულტურის მინისტრს. იგი ახლა ყველაზე საჭირო კაცი იყო მისთვის.

— დღეს თქვენი გურამი უნდა ნახოთ, პატივცემულო არჩილ, ის მთელი ჩვენი ზეიმის თვალია. მერე—და, რა ნიჭიერი ყმაწვილია! — დაიწყო ქარიშხანმა დაშაქრული ხმით.

— ნუთუ მართლა? რაღაც არ მჯერა! — გაელმა მინისტრს, — ფეხბურთის თამაშისათვის რომ შეგექოთ, ამას უფრო დაგიჯერებდით.

— რას ბრძანებთ?! — გაიოცა ქარიშხანმა. — დღეს თქვენ პირადად დარწმუნდებით... — კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ უცებ, თითქოს დამბლა დაეცაო, ენა ჩაუვარდა.

მინისტრმა ერთი შეხედა უცნაურად დადუმებულ ვაშაძეს, შემდეგ მხარმარცხნივ მიიხედა და თქვა:

— ბოდიშს ვიხდი! თქვენი გაცნობა დავაგვიანე. ეს პიონერთა პარკის დირექტორი გახლავთ — ქარიშხან ვაშაძე. გაიცანით, ამხანაგო ქარიშხან, ჩვენი რესპუბლიკის კულტურის ახალი მინისტრი ნატალია ქალიაშვილი.

ქარიშხანმა ძლივს აზიდა ჩამოსართმევად გახევებული მარჯვენა და რაღაც გაუგებრად ჩაილულულა.

— დედა, ის ძია! — გაისმა ამ დროს გოგონას დამფრთხალი ხმა და ქარიშხანმა დაინახა, თუ როგორ ამოეფარა დედას ცისფერთვალემა ცისანა.

— როგორ, თქვენ უკვე იცნობთ ერთ-მანეთს?! — გაუქვირდა მინისტრს.

— დიას, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს. — თქვა ახალმა მინისტრმა და ნირწამხდარი ვაშაძე ათვალღიერ-ჩაათვალიერა.

ქარიმანი მართო რომ დარჩა, მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, უცებ დაღლილობა იგრძნო, მუხლები მოუღუნდა და იქვე ხეს რომ არ მიყრდნობოდა, ალბათ, წაიქცეოდა.

მას არ ესმოდა არც მუსიკის მხიარული მელოდიები და არც ბავშვების ეივალ-ხივილი. მისთვის მნიშვნელობა დაკარგა მთელი თვის სამზადისმა, ფეიერვერკებისა და მაშხალების ბრწყინვალეობამ, ტბის შუაგულში გაჩაღებულმა ვეებერთელა კოცონმა და მაცაბერძნის მონტაჟმა. მას ისიც მოეჩვენა, რომ მაი-

სის მოციხარი მზე გაფერმკრთალდა და პარკის ხეივანებში სიჩუმე და ჩრდილი ჩამოწვა.

უცებ ქარიმანმა მოშორებით დალანდა ხის უკან ამოფარებული მინადორა, რომელიც უკვე გრძნობდა, რაშიც იყო საქმე და ვერ ბედავდა ქმართან მიახლოვებას.

ქარიმანს მოეჩვენა, რომ მას თავისა ერთგული ცოლი მინადორა კი არ შესცქეროდა, არამედ რაღაც ავი სული, რომელმაც ქარიმან ვაშაძე ვარდებით მოფენილ დიდების გზაზე გაიყვანა და, საიუბილეო სავარძელში ჩაჯდომის ნაცვლად, ხრამში გადაჩეხა.

ასე დასრულდა „საჭირო კაცის“ — ქარიმან ვაშაძის კარიერა.

## მ ა რ ა დ ი დ ი

### მამია ვერხანიძე

კოროხის და მთების ახლოს  
ჩემი მარადილია,  
შველი წამში შემოირბენს,  
არ გეგონოთ — დილია,  
ღრუბლებს, ნისლებს აქ რა უნდა,  
სამხრეთისკენ მიდიან.

მზე კაშკაშით აღმომხდარა,  
ლამე დაუძლევი,  
ეს იმღერე, ჩემო გულო,  
სხვა სიმღერა ძველია,  
ქუბილივით დაეიქუხოთ,  
ვიცი, თუმცე ეს ძნელია.

ჩემთან წამო! მბატყებენ  
ნებით, ხან დაჩემებით,  
პურადები, გულადები  
მასპინძლები ჩვენები.  
მუდამ სტუმრის მოლოდინში  
ძილფხიზლობენ ქვევრები.

ლამდებოდა. ცხარე ელვამ  
ცის კალთები მოხაზა.  
იქნებ მოსწყდა ვარსკვლავი ან  
იხდის ცეცხლის ჩოხას და,  
უცებ თინეფლი ჩამოჰყარა  
შორს, სტამბოლის ბოღანთან.

ლამდებოდა, ცხარე ელვა  
უცებ მთებზე აიჭრა,  
და სიბნელე შუქის ხმალით  
სასიკვდილოდ დაიჭრა.  
ეს ილიჩის ნათურაა,  
ელვა-ელვად გაიჭრა.

ღრუბლებს, ნისლებს აქ რა უნდა,  
სამხრეთისკენ მიდიან...  
ო, ამ სოფლის სიყვარული  
ჩემში მარად დილია,  
ჩაზჩაზა მზით ანთებული  
ჩემი მარადილია.



## ა ნ ა ს ნ ე მ ი ნ ა

(ნაწევები. პოემიდან)

### I

„ჩვენი სოფელი რადოვო გახლავთ,  
შიგ ორასამდე კომლი ბინადრობს.  
ეს ტურფა მხარე ვინც კი არ ნახა,  
მან უკეთესი ველარ ინატროს.  
ჩვენ მდიდრები ვართ წყლით და  
ტყეებით,  
გვაქვს სათიბი და საყანე ვრცელი.  
ეზოს გვიშვენებს ალვის ხეები,  
ქარში რომ გააქვთ შრიალი ნელი.“

ჩვენ ბევრის ნატვრით გონებას არ  
ვლით  
და მაინც ბედი აქამდე გვწყალობს:  
დახურული გვაქვს თუნუქით ნახლი,  
გვაქვს საკუთარი ბაღი და კალო.  
შელებილია ყველა დარბაზი,  
უქმზე არ ვზოგავთ ხორცსა და ბურაზს  
და ბოჭაულიც ამიტომ ალბათ  
დაგვიდიოდა აბეზარ სტუმრად.  
სწორად ვიხდიდით შეწერილ ლაღას,  
მამასახლისს კი უნდოდა მეტი.  
იმ წაწყემენდილმა არ გაგვახარა,  
ვერ აფუთავდით ხორბლით და ფეტვით.  
რომ არ მოედოთ ჩვენთვისვე შარი,  
ვამბობდით დავა და ჩხუბი არ ღირს,  
რადგან მთავრობა — მთავრობა არი  
და ჩვენ კი — მხოლოდ უბრალო ხალხი.  
ცოდვილ კაცს აბა რა ეშველებამ  
ბევრი ჰგავს კლანჭებდაღესილ ძეგრას.  
ჩვენც მეზობელმა კრიუშელეებმა  
მტაცებლის თვალით დაგვიწყყეს ცქერა.  
ეხარბებოდით ცხოვრება ჩვენი,  
რადგან შიმშილი დასდევდათ ლანდად  
და ერთი წყვილი ჯაგლაგა ცხენით  
მთელი სოფელი რიგ-რიგად ხნავდა.

რისი ბარაქა! ნატრობდნენ ლუკმას,  
ლოცავდნენ უფალს, რომ სული  
შერჩათ.

შემოდოდნენ ჩვენს ტყეში ჩუმად  
და ნაქურდალი მიჰქონდათ შეშა.  
ერთხელ დაეატყდით თავზე მეხივით.  
გაჯიქდნენ, ცული აღემართეთ მაშინ,  
რეკდა ფოლადი ფოლადს შეხლილი  
და ქრუანტელი გვივლიდა ტანში.

ჩხუბში სიკვდილის ტრიალებს სუნი,  
ვის გაიმეტებს დღეს ცელი მისი?  
შემოუქნია ვიღაცამ ცული  
და მოჰკლა ჩვენი მამასახლისი.

სოფლის ყრილობის სასტიკი ნებით  
ფართო მსვლელობა მიეცეთ საქმეს  
და სასამართლოს დადგენილებით  
ათი გაგზავნეს ციმბირისაკენ.

მას შემდეგ ხვედრი დაგვჩემდა მწარე  
და ბედმა ჩვენგან იბრუნა პირი.

სამი წელია ვერ გავიხარეთ:

ზან ხანძარი, ზან კიდევ ქირი“.

ჩემი მეეტლე ასე ჰყვებოდა.

რამდენი სევდა იყო მის ხმაში.

რადოვოსაკენ მეჩქარებოდა,

იქ დასვენებას ვფიქრობდი მაშინ.

დაკაწრული მაქვს ომისგან სული.

ვიღაცისათვის მაშხანას ვცლიდი.

მეგობარს ტყვია ვესროლე მტრული,

მოსისხლე მტერი ვიყავი ძმისთვის.

სათამაშოდ რომ მაქციეს — ვიგრძენ,

თურმე დიდკაცს და ვაჭარს ვიცავდი.

გამოვეთხოვე ზარბაზნებს მტკიცედ.

ლექსებში ბრძოლის ვიკლავდი წაღილს.

მოვშორდი თოფს და ომის თაკარას,

ყალბი ბილეთის მქონდა იმედი.



მომზადებული ვიყავ ამგვარად,  
როცა მოვიდა წელი 17.

თავისუფლების დაპქროდა ქარი.  
ვარდისფერსა და მყრალ ცეცხლში  
მაშინ,  
როგორც ხალიფა, თეთრ ცხენზე  
მჯდარი

გაიძახოდა კერენსკი ხალხში:  
ომი „ბოლომდე!“, „გამარჯვებამდე!“ —  
და იმავ ჯარებს განმეორებით  
ფრონტზე გზავნიდნენ და მათ სისხლს  
სევამდნენ

ათასი ჯურის მუქთახორები.  
ზარბაზნის მძლავრი გრილის ხმაზე,  
როლი აღმართე ხმლიანი ხელი,  
გამოვიჩინე სხვა სიმამაცე —  
ღებურტირებში ვიყავ პირველი.

საკმაოდ კარგი გზა არი. ვტყბები...  
ნიავე გულზე სიამეს მომფენს.  
მთვარემ თავისი ოქროს ფიფქები  
გადააფრქვეია მღუმარე სოფელს.  
„აი, რადოვოც, — ამბობს მეეტლე, —  
ეს არი!

„ალა არ შერჩათ ცხენებს.  
როგორ დალილან, ერთი შეხედვით!  
გზაში ერთხელაც არ შევასვენე.  
მამ მოქალაქევე, გროში გვიბოძეთ.  
მეწისქვილესთან მიდიხართ, არა?  
იქ ცხოვრობს!..  
მე ვთხოვეთ იმდენი მომცეთ,  
რაც ასე შორი გზისათვის კმარა.

ორმოცს ვთავაზობ —

მესმის უარი.  
ვუმატებ ოცსაც,  
იუკადრისა.

რა საზიზღარი ყმაწვილი არი,  
ყმაწვილი ერთი ოცდაათ წლისა.

„რა ამბავია?  
არა გწამს ღმერთი?  
სად გაქვს სინდისი?  
რად მძარცვავ ასე?“  
მან მიპასუხა:

— რა გზა მაქვს მეთი?  
არ მწყალობს ბელი,

ღღეს დავინავსე.

მომეცით კიდევ ათი, თუ არა,  
დე იყოს ექვსი, ვჯერდები ექვსსაც,  
სამიკიტნოში გადავკრავ არაყს,  
თქვენს საღლეგრძელოს სიამით  
შევსვამ...“

აი წისქვილიც...

ნაძენარის ჩრდილებს  
ციცინათლების ფანტავს სანთლები.  
სიხარულისგან ჩემს მეწისქვილეს  
ვერ მოუნახავს სიტყვა სათქმელი:  
„სერგაევ, ბიჭო!  
ნუთუ ეს შენ ხარ!

გაცივდი, არა? ჩაი ხომ გინდა?  
შენ, დედაბერო, რაღას უდგებარ,  
სამოვარი და ქადა მოიტა!“

არ გაცივდები აპრილში კაცი,  
თვის ბოლოს მაინც მაისს რომ ელი.  
სალამო იყო ისე წარმტაცი,  
როგორც მეგობრის ღიმილი

წრფელი..

ამ მეწისქვილის მოხვევინსაგან  
აღბათ დათვიც კი იკადრებს ღრიალს.  
მაგრამ როს გიქირს და იმედს კარგავ,  
მეგობრის ყოლა მაინც კარგია.

„ზშირად გნატრობდი და მერე როგორ!  
დიდხანს თუ რჩები?“ —

„ერთი წლით მოველ.“

„მამ დრო ვატაროთ!

მარწყვი და სოკო

წელს იმდენია, ვერავინ მოლევს.

ფრინველს და ნადირს აბა ვინ მოთვლის,  
თოფის ლულასთან თვითონ მოდიან.

რაც წახველ, წელი გავიდა ოთხი...  
და ოთხი წელი ცოტა როდია...“

საუბარს მოვრჩით

და ჩინებულად

ჩვენ სამოვარი დაეცალეთ მთელი.

ქურქში ვეხვევი კვლავინდებურად...  
ღილით რამდენი საამე მელის.

მეღდივარ ბაღში გახარებული,  
იასამანი მიჩრდილავს სახეს.

კვლავ ჰაბუტურად ამენთო გული,  
 ნაცნობი ღობე რომ დაეინახე.  
 აი ჭიშკარიც, აქ ერთხელ ლამით,  
 თექვსმეტის ვიყავ და მახსოვს მარად,  
 გოგონამ თეთრი წამოსასხამით  
 აღერსიანი ხმით მითხრა: „არა!“  
 რა კარგნი იყვნენ... გულში კვლავ  
 ელავს,  
 საყვარელ სახეს კვლავ ვხედავ მლიმარს.  
 ასეთ ასაკში გვიყვარდა ყველას,  
 მაგრამ ნაკლებად ვუყვარდით იმათ.

2.

„სერგიავე, ბიჭო, ადექი ჩქარა!  
 ჯერ განთიადის სხივიც არ ჩანდა,  
 ჩემმა ბებერმა არ დაიზარა  
 და საფრიფანა დაგიცხო ქადა.  
 მე კი მივდივარ. სნეგინა მიცდის,  
 უნდა მივართვა ძღვენი ამ დილით.  
 გუშინ დავხოცე დაღლები მისთვის,  
 რომ სანაქებო ჰქონდეს სადილი“.

სალამი შენდა, სიცოცხლის დილავე!  
 ვღგები, ვიცმევ და მივდივარ ლაღი.  
 ვაშლის ზეები გადაპენტლან,  
 ცვარის მძივებით ელვარებს ბაღი.  
 მე ვფიქრობ:

ძლიერ კარგია მიწა,  
 მიწაზე კიდევ — ადამიანი.  
 თმმა კი ბევრი დაასახინრა.  
 რამდენი მხედება ყავარჯნიანი.  
 რამდენი წინათ ორმოში დბფლეს,  
 რამდენი ახლა მიწაში წევბა,  
 რამდენ ჯარისკაცს ყუმბარა  
 დაფლეთს. —  
 ვფიქრობ და ლოყა ამეღეწება.

არა!

არ წავალ ჩემს სიცოცხლეში,  
 მე ხეიბრობა როდი მწყურია!  
 ვილაღ წუნკალი ტალახში მესერის  
 სამოწყალბო ორშაურაინს.

„დილა მშვიდობის, ძვირფასო ბები!  
 ვატყობ, ცოტათი გიმტყუნა ჯანმბა“.  
 ზველით მომიგო:

„დღე-დღეზე ვდნები.

6. „მნათობი“, № 12.

იმან გამტეხა, მოცლა რომ არ მიქვს,  
 ახლა ცხოვრება ჩვენშიც ავღდება,  
 სანთლით ვერ ნახავ კეთილისმყოფელს.  
 ეს გლეხთა ომიც აღარ თავდება,  
 გადაეკიდა სოფელი — სოფელს.  
 გავიგე, ვილაღ გამეღვლებს უთქვამთ,  
 რომ დასტურ ხშირად გვიწახავს ესო:  
 ხან კრიუშელი რადოველს ურტყამს,  
 ხან რადოველი სცემს კრიუშელსო.  
 მა რას გვიზამდა უმთავრობობა?  
 მეფე განდევნეს და დავრჩით ასე...  
 აყალ-მაყალი, შური და მტრობა  
 ყველა უბირ ხალხს დაგვატყდა თავზე.  
 რატომღაც ციხე გააღეს ფართოდ,  
 ავაზაკები გაჰყარეს გარეთ.  
 ახლა დიდ გზაზე ვერ გახვალ მარტო  
 და მაგრად უნდა რაზავდე კარებს.  
 აი თუ გინდა კრიუშელები...  
 ქვეყნად ვის ნახავ იმათზე საშიშს...  
 მაგრამ გაუხსნეს ყველას ხელები  
 და ეს ქურდები დაბრუნდნენ სახლში.  
 იმათში ერთი აგლობლინია,  
 ჩხუბისთავს პრონი ჰქვია სახელად,  
 არაყი უყვარს ლოთს და ვინიანს,  
 წვეთს არ დასტოვებს, თუ წაახელა.  
 სამი წლას წინათ (წაუწყდეს სული),  
 ა იმ წელს, ომი რომ გამოცხადდა,  
 მამასახლისი მოგვიკლა ცულოთ,  
 თვალწინ მოგვიკლა აშკარად, ცხადად.  
 ათასი ვინმე პრონობას ცდილობს,  
 გააეზავდა ხალხი სრულიად.  
 დაღუპულია რუსეთი, შვილო,  
 დედარუსეთი დაღუპულია...“  
 შეეტლას სიტყვებს ვიგონებ ახლა.  
 ავიღე ჩემი ჯოხი და ფეტრი.  
 წავიღ სტუმარი და გლეხებს ვნახავ,  
 ვით ძველ ნაცნობებს მათ სალამს

ვეტყვი.

ცისფერ შარაზე მიმყვება ქარი,  
 ირგვლივ ყველაფერს ბავშვურად

ვეტრფი.

ჩემს მეწისქვილეს თვალი მოგვიკარი,  
 ფხვიერ ყამირზე რომ მოჰქრის ეტლით.  
 „სერგიავე, ბიჭო! კარგი რომ შეგხვედი.  
 მახლას! ახლავე ვიამბობ რაღა.  
 ჯერ გავასწორო სადავე ერთი,  
 მერე კი გითხრა ისეთი რაღაც...  
 რატომ დილითვე არ გახსენ გული.

მე დღეს სნეგინებს შევატყობინე,  
მესტუმრა-მეთქი ახირებულნი  
და მზიარული ქაბუკი ვინმე.  
(პატივს მცემენ და უბრალოდ განა?  
ათი წელია, რაც მაგათ ვიცნობ)  
იმათმა ქალმა — ქმრიანმა ანამ  
მკითხა,

პოეტი ხომ არ არისო.

— პოეტი გახლავთ. — მე ვეუბნები.

— ქერაა?

— ქერა ნამდვილად, დიახ.

— შუბლზე დაყრილი ხეჭუჭია თმებით?

— მერე როგორი დარდიმანდია!

— დიდი ხანია გესტუმრათ?

— გუშინ.

— ახ, დედიკონა, სწორედ ის არი.

ოდესღაც ბინა მქონდა მის გულში,

ვიყავი მისი დასაფიქარი.

მასსოვს ბიჭუნა მორიდებული.

ახლა კი...

დახე...

სახელი ჰქოვა...

გახდა მწერალი ყველგან ქებული...

თუ არ მივწერეთ, ისე არ მოვა".

და მეწისქვილემ ნიშნისმოგებით

თვალი ჩამიყრა, დაიძრა ეტლი:

"წაველ. სადილად დაგელოდები,  
ჰოდა დანარჩენს შემდეგში გეტყვი".

კრიუშისაკენ გავუღექე შარას.

გზადაგზა ჯოხით ჯეჯილს ვაწვენიდი.

გულს არაფერი არ გაეყრა,

არ ამიტოვდა ძარღვი არც ერთი.

სურნელოვანი ნიაფი ჰქროდა;

ფიქრმა დამათრო და გამოიტაცა...

რა ჯობს, სალდათის მშვენიერ ცოლთან

ახლა რომანი გაჩაჩხოს კაცმა.

აი კრიუშაც...

სამი წლის წინათ

უქანასქნელად ვნახე ეს მხარე.

აისამანის ყვავილთა წვიმა

აიასამნებს წყნარ არე-მარეს.

არც ერთ ეზოში, არც ერთ ქიშკართან  
არ ჰყავს დაბმული ძაღლი მარავის,  
დამძალ ქოხებში, ღუმელებს გარდა,  
არაფერია მოსაპარავი.

პრონის პარმალზე ყაყანებს ხალხი —  
გლეხები ახალ კანონზე ბჭობენ.

სჯიან: ჭვევი და პირუტყვი რა ღირს  
და რა მოელის საერთოდ სოფელს.

„სალამი ძმებო!“

„შენც გაგიმარჯოს!“

სანადიროდ ხარ სოფელში, არა?

გვერდით დაგვიჯექ, მოცილილ კაცო.

ყური დაუგდე გლეხკაცის ვარამს.

გეცოდინება ამბავი ბევრი,  
მინისტრებს იცნობ პიტერში იღბათ.

შენი ღღინი და ბაბუას წვერი,

ტყუილად გზარდა კულაკმა აბა!

შინც არ გლანძლავთ, გვიგულე ძმებად,

გამოთლილი ვართ ჩვენ ერთი ხიდან.

ვიცი, დიდ რამედ არ აგდებ ქებას,

არ გაიმეტებ გულს გასაყიდად.

გვახსოვს იყავი ჭკვიანი მეტად,

თანაც ალალი, წრფელი და მტკიცე...

თქვი:

თუ მოგვეცემენ უფასოდ ნეტავ

გლეხებს ბატონთა საყანე მიწებს?

მიწას — ხელია!

ბრძანება ისმის, —

ჯერ საამისო დრო არ დამდგარა. —

თუ ასე არი, ფრონტებზე სისხლი

ჩვენი და სხვისიც რად მიღის ღვარად?"

ყველა მათგანი მწარე ღიმილით

პირდაპირ თქალში მომჩერებოდა.

მე კი ვიდექი დამეხილივით-

ხმას ვერ ვიღებდი, ენა მებმოდა.

და შუბლზე სიმწრის ოფლდადენილი

ველარ ვარჩევდი ვერც პარმალს, ვერც  
ხალხს.

მკითხეს:

„ვინ არის, გვითხარ, ლენინი?"

წაიფიქრჩულე:

„ლენინი — თქვენ ხართ“.

თარგმანი ბიორბი სალუქვაძისა



## საოცნებო ხუნუღა

საცა იყო, ღამის თორმეტი საათი შე-  
სრულდებოდა, ნუნუ კი არსად ჩანდა.

მრგვალ მაგიდას უსხდნენ ახალგაზრ-  
და კაცი და ხანში შესული, თმაშევერცხ-  
ლილი დედაქალი. ორივე ნერუელობდა:  
ნიკოს წინ რალაც წიგნი ეღო, დროს მო-  
საკლავად კითხულობდა, მაგრამ წაკით-  
ხულიდან ვერაფერს იმახსოვრებდა. ნა-  
ტო კი ქარავადა და მალიმალ ქურღუ-  
ლად შეხედავდა ნიკოს.

— შეუძლებელია ამდენი ლოდინი!..  
არც დაუბარებია, სად არას, თორემ მი-  
ვაკითხავდი... — ნიკო სკამიდან მოუთ-  
მენლად წამოიჭრა და ქუდს ხელი წამო-  
აგლო.

ამ დროს ავტომაქანის ხმაური მოი-  
სმა და ოთახის ფანჯარასთან, რომელიც  
ქუჩაში გადიოდა, მანქანა გაჩერდა. ნი-  
კომ ფანჯარაში გაიხედა: „პობედიდან“  
ნუნუ გადმოვიდა და თან ვილაც კაცა  
გადმოჰყვა. თავაზიანად კარებისკენ გა-  
მოაცილა. მერე რა მოხდა, ნიკოს ამის  
დანახვა აღარ შეეძლო. მას ქუდი ხელი-  
დან გაუვარდა.

ნიკო ახალგაზრდა ინჟინერი, საღამუე-  
ნებლო ტრესტში მუშაობდა. აქ შეხვდა  
ნუნუს, რომელიც მმართველის პირადი  
მდივნის მოვალეობას ასრულებდა. იგი  
კოპწია ქალიშვილი იყო, როგორც ჩვე-  
ულებრივად არიან პირადი მდივნები.  
მას საშუალო სკოლა ჰქონდა დამთავ-  
რებული და სულ იმ იმედით ცხოვრობ-  
და, რომ უმაღლეს სასწავლებელში აუ-  
ცილებლად მოეწყობოდა. ხუთი წელი  
ისე გაუფრინდა, რომ სურვილი ვერ შე-  
ისრულა. გამოცდების დროს ხან ორი,  
ხან სამი ქულა აკლდებოდა და უმაღლეს  
სასწავლებელში ვერ ხვდებოდა, ხან კი-  
დეე გამოცდების ჩაბარება დაეზარე-  
ბოდა.

ნიკოს და ნუნუს ერთმანეთი ნახვის-  
თანავე მოეწონათ. ნიკომ მოუხშირა  
ტრესტის სამმართველოში სიარულს, მა-  
ლე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, და-  
ქორწინებისთვის სამზადისს შეუდგნენ:  
ნიკოს ახალი ბინა უნდა მიეღო, შეეძინა  
ახალი ავეჯი, მათ შორის პიანინო, ხის  
საწოლები, ოქროს საათი და სხვა  
წვრილმანი. მოუწყობელ ოჯახში ფეხს  
არ შეედგამო, ამბობდა ნუნუ. ნიკო თავს  
არ იზოგავდა, მაგრამ ხედავდა, რომ ყო-  
ველივე ამის შესრულება მოკლე დროში  
არ მოხერხდებოდა. ნიკო არწმუნებდა  
თავის სატრფოს: უმჯობესია დაექორ-  
წინდეთ და ნელ-ნელა, საერთო ძალით  
მოვაწყეთ ოჯახიო. როგორც იქნა, და-  
ითანხმა. ამ თანხმობის მიღებაში ძლიერ  
დაეხმარა თვით სასიდედრო.. ნატო  
გულკეთილი მუშაქალი იყო. ქვრივობა-  
ში გამოზარდა ქალ-ვაჟი: ნუნუ და და-  
თიკო. დათიკომ ოჯახი ადრე გაიჩინა და  
რაიონში თავისთვის ცხოვრობდა. ნატო  
პენსიითა და ხელფასით უძღვევბოდა თა-  
ვის პატარა ოჯახს. ქალიშვილმა სამსა-  
ხური რომ დაიწყო, დედამ იფიქრა,  
მდგომარეობა შემომსუბუქდებოა, მაგ-  
რამ ნუნუ ხელფასს მხოლოდ თავის ჩა-  
ცმა-დახურვაზე ხარჯავდა, მოდის დი-  
დი მიმდევარი იყო და, ფული რომ შე-  
მოაკლდებოდა, დედის დანაზოგსაც გა-  
დასწვდებოდა. ნუნუ სამსახურში დედის  
ხათრით მოაწყვეს. ნატო იმავე სამმართ-  
ველოში დამლაგებლად მუშაობდა. რო-  
გორ ეთაკილებოდა ნუნუს ეს გარემოე-  
ბა! დედას ემუდარებოდა, სამსახურის-  
თვის თავი დაენებებინა, მაგრამ ნატო  
კარგად ხედავდა, რომ შვილის იმედით  
განიერ ლოგინს ვერ გაიშლიდა. დედის  
ოცნება იყო, ქალიშვილი როგორმე დაე-  
ბინაეებინა. თითქოს ეს საქმე მალე მო-  
გვარდებოდა, მაგრამ...

ნუნუმ კიბე აირბინა და ოთახში შევიდა. ლოყები უღაყდავებდა, ქული მოიხადა, საწოლზე დააგდო. გაოცებული დარჩა, რომ ხმას არავინ არ სცემდა. ნიკო კვლავ ფანჯარაში იტყირებოდა.

— რამ დაგამენჯათ?

— სადა ხარ, შვილო, ამდენ ხანს? ლოდინით დაგვალა. შევშინდით.

— ბავშვი ხომ არა ვარ, რამ შეგაშინათ? უფრო აღრე მინდოდა მოსვლა, მაგრამ ამხანაგებთან შეერჩი, არ გამომიშვებს. მერე რა მოხდა?! მანქანით მომაცილეს...

ზურგშემქცული ნიკო ადგილიდან არ დაბრუნდა, ნუნუ მასთან მივიდა და წინ დაუდგა. დაინახა ქუჩის სინათლით გაშუქებული, უზომოდ დაღვრემილი სახე და თვალბინა ჩამდგარი ცრემლები. ნიკომ ნუნუს თვალი აარიდა, კარისკენ მიტრიალდა და გავიდა.

— ქული დავრჩა, ქული! — მიამახა მიმავალს დაბნეულმა ნუნუმ.

— მისი ძახილი უპასუხოდ დარჩა.

— თუ არ დაბრუნდები, კიდევ უკეთესი... — თქვა ამაყად ნუნუმ.

დედამისი კი ცრემლებს იწმენდა, მაღლე ქვითინი წასკდა. ნუნუმ დამშვიდება დაუწყო.

— როგორ შეიძლება, შვილო, ასე ლაპარაკი... დღეს ხვალ შენი ქმარი იქნება...

— ასე თუ იქნებოდა... არ იქნება...

— რას ამბობ, ნუნუ, საკუთარი ვაყივით მიყვარს...

— საკუთარმა ვაჟმა მერე ასე უნდა მაგატოვოს?! დედა, გენაცვალე, დამშვიდდი. ახალ ამბავს გეტყვი...

— რას ამბობ?! — წამოიძახა შეშინებული ნატომ.

— დედა, ვყოყმანობდი, დღეს კი უნდა გითხრა... ნიკოსკენ გული თავიდანვე არ მიმიწვედა... ვერ მოვახერხე, რომ მისთვის მეთქვა. მაგრამ ახლა, როდესაც ასე უდიერად მომეპყრო, მეც აღარ მოვერიდებ...

— შვილო, არ გადამრიო!..

ნუნუ დედას გვერდით მიუჯდა, წელზე ხელი შემოხვია და გულზე მიიკრა.

— დედიკო, ერთ თვეზე მეტია, ჩემთვის თავს იკლავს ერთი დიდი კაცის (ნუნუმ დიდი თანამდებობის პირი დაასახელა) ვაჟიშვილი, გივი.

ნატო, თვალბინაგაფართოებული, მიმტრებოდა შვილს.

— სანდოა, შვილო?

— ყოველდღე სიყვარულს შეფიცება. თავისი მშობლები გამაცნო. უნდა ნახო, როგორი მოწყობილი ოჯახი აქვთ!.. ექვსი ოთახი, სულ ახალი, რიგიდან ჩამოტანილი ავეჯი, დარბაზში ბეკერის როიალი. გივის საკუთრად აქვს მაჩენილი ორი ოთახი. ერთი — ძვირფასი ხის საწოლებით, მეორე — მისი კაბინეტია, სულ ახალ-ახალი, ხელუხლებელი წიგნები აქვს... მშობლები ძალიან მომესიყვარულნენ. დედამისი ყურში ჩუმად ჩამჩურჩულებდა: ჩემო რძალოო... ნიკო როდის შეძლებს ბინის ასე მოწყობას?!.. გივის მამას მანქანა აქვს. ახლა გივიმ სწორედ ამ მანქანით მომაცილა...

— თვითონ ის რას აკეთებს?

— გივი ექიმია... საავადმყოფოში მუშაობს... მაგრამ დღეს სარდულად მიიხრა: დიდ თანამდებობაზე მნიშნავენო... დედა, საკუთარი მანქანა გვექნება... გასეირნებ აღმა, დაღმა. მაშინ სამსახურს თავი აუცილებლად უნდა დაინებო.

— თვითონ როგორი ადამიანია?

— ნიკოს სილამაზით არ ჩამოუვარდება, ყველაფრით შემკულია. ნახი, ფერმკრთალი სახე აქვს, შავი ხუჭუჭა ქოჩორი, თვალწარბი დაბატული, ოდნავ მოკატეხებული ცხვირი და ხელები, თოვლივით თეთრი, თლილი თითები.

— ხასიათს შეკითხები?

— როცა ადამიანი შეძლებულია, მას ხასიათიც კარგი აქვს.

— არა ყოველთვის, შვილო, არ შეცდეს ნიკოს რას ეუბნები?

— უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია, არაფერსაც არ ვეუბნები. ხომ თვითონ გაიქცა?..

მართლაც, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზღაპარში ხდება: გივი ერთ-ერთი საავადმყოფოს დირექტორად და-

ნიშნებს. ავტომანქანა „პობედა“ მის განკარგულებაშია. ნუნუ და გივი დაქორწინდნენ. მხოლოდ ნატოს სამსახური არ მიუტოვებია: სანამ შემეძლება, ამ საკუთარი შრომით ნაშოვნე პური უნდა ვვაშოო... ნუნუ ქალაქში თითოთ საჩვენებელი პატარაძალი გახდა. თავისი ნაირნაირი ძვირფასი კაბებით და სამკაულებით ახალგაზრდების ყურადღებას იპყრობდა... ყოვლად ბედნიერი ნუნუ მიწას ფეხს არ აკარებდა.

ნიკო ძლიერ დარდობდა ნუნუსთან მოულოდნელ დაშორებას და, ალბათ, კიდევ დიდხანს იღარღებდა, რომ ამ მდგომარეობიდან არ ეხსნა ამხანაგ ინჟინერ ქალს, ციალას, რომელმაც მასთან ერთად დამთავრა ინსტიტუტი და ახლა ერთად მუშაობდნენ სახლის მშენებლობაზე. ციალამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ნიკოსთან ამას შესახებ ერთხელაც სიტყვა არ ჩამოუვლიდა.

ციალა ერთი პატარა გამზდარი ქალი იყო. მამაკაცის ყურადღებას პირველი შეხედვისთანავე ვერ მიიპყრობდა, მაგრამ, თუ მის თვალებს დააკვირდებოდი, იქ დაინახავდი სინაზის დაუშვრეტელ ზღვას... რამდენი ხანია იცნობდა ნიკო ციალას, მაგრამ ეს არ შეუნიშნავს. ბოლოს იგარძნო მისი გულის სითბო, რაც ნუნუს მეტი მიტოვებულ ნიკოს ასე სჭიროდა, და ამხანაგები განუყრელი მეგობრები გახდნენ.

•••

თითქოს ქარიშხალი ამოვარდა, ისე დაენგრა ნუნუს მისი საოცნებო ხუზულა. მამამთილი სამსახურიდან მოხსნეს როგორც თავკერძა აღამიანი, რომელიც სამსახურსა და საზოგადოებრივ მდგომარეობას მხოლოდ თავისი და თავისიანების მოწყობისათვის იყენებდა. ექვსთაზიანი ბინა ჩამოართვეს და დაუტოვეს მხოლოდ ორი ოთახი, სადაც მათი ბარგობარხანაც არ ეტეოდა. გივი საავადმყოფოს დირექტორობიდან გაანთავისუფლეს, როგორც ამ თანამდებობისა-

თვის შეუფერებელი. რაიონში გაგზავნეს სამუშაოდ. ფუფუნებაში გაზრდილმა, უსაქმრობას შეჩვეულმა გივიმ ვერც აქ მოიკიდა ფეხი. ნუნუმ არ იკადრა, ქმარს „პროვინციაში“ საცხოვრებლად გაპყლოდა. ცოლ-ქმარს შორის უსიამოვნებამ იჩინა თავი. გივი რაიონიდანაც გამოისტუმრეს. ხელმოკლეობამ დაისადგურა მათ ოჯახში. ნუნუ ხშირად დადიოდა დედასთან, რომ დამშეული კუჭი გაეძლო.

ნატო ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ ისევე განაგრძობდა სამსახურს.

ერთ დღეს ნუნუ დედას ეწვია, იგი ლოგინში მშოლარე დახვდა, გაციებულყო. ნუნუმ ოთახის გასანიავებლად ფანჯარა გააღო, რაფას მიადგა, ქუჩაში გაიხედა, ახალგაზაფხული იყო, მზიანი დღე. ქადრის ხეები უკვე კვარტებს ილებდნენ. ნუნუს თავისი ბავშვობა მოაგონდა, როგორ უყვარდა ფანჯარასთან მზებზე ჯდომა და წიგნის კითხვა. ხარბად ისუნთქავდა თოთო ფოთოლის ნაზ სურნელებას. წინ კარგი გადასახედი ჰქონდა, მოჩანდა მთაწმინდის კალთები. ახლა კი ფანჯრის წინ დიდი სახლი წამოეჭიმათ. გული დაწყდა ნუნუს და ფანჯარას ცივად მოშორდა.

— დედა, სამსახური მინდა დავიწყო. ჩვენს დაწესებულებაში რაიმე ადგილი ხომ არ იქნება ჩემთვის? უნდა მომამწყო. ხომ ხედავ, ისევე შენი საპატრონო ვაგებდი...

დედა კედლისკენ გადაბრუნდა, რომ თვალეზზე მომდგარი ცრემლები შეუმჩნევლად მოეწმინდა.

— ჩვენი ტრესტის მმართველი დააწინაურეს, თავისი მდივანი თან წაიყვანა... თუ ახალმა მმართველმა თავისი მდივანი თან არ მოიყვანა, მდივნის ადგილი თავისუფალია... მიდი, შეილო, ჩვენი ტრესტის სამმართველოში, ჩემი ავადმყოფობის ამბავი შეატყობინე და შენი ადგილის საქმეც მოაგვარე.

ნუნუს საქმის გადადება არ უყვარდა. სარკესთან მივიდა, წითელი ქუდი ოდნავ დაფერდებულად დაიხურა თავზე, ეს ქუდი უხდებოდა მის ხორბლისფერ

სახეს. ამაყად აზიდული წარბები დაივარცხნა. ცხვირზე პუდრი წაისვა. მისი შავი თვალები კვლავინდებურად ბრწყინავდნენ. ბეჟი ფერის პალტო კოხტად აღვა წერწეტა ტანზე. „ვინ იტყვის უარს ასეთ პირად მდივანზე“, — ფიქრობდა სარკესთან მდგარი ნუნუ...

ტრესტის სამმართველოს ნაცნობი კიბე ნუნუმ მარდად აირბინა და პირდაპირ მმართველის კაბინეტისაკენ გაეშურა. პირადი მდივნის მაგიდასთან არაეინ იჯდა. კაბინეტის კართან ოდნავ შეყოვნდა, ჯიბის სარკე ამოიღო და ჩაიხედა. ქუდი შეისწორა. კარი გამოაღო.

— შეიძლება? — იკითხა.

— მობრძანდით... — მოესმა დინჯი ზმა.

ნუნუ თამამად შევიდა ოთახში, მაგრამ შიგ ვერაეინ დაინახა, მზემ მოპირდაპირე ფანჯრებიდან თვალებში მიანათა და ოთახის სიღრმეში მჯდომი მმართველი არ ჩანდა. მაგიდასთან ახლოს რომ მივიდა, მხოლოდ მაშინ დაინახა რუხკოსტუმიანი კაცი, რომელიც ტელეფონით ლაპარაკობდა და ბლოკნოტში რაღაცას წერდა. მმართველმა საუბარი რომ დაამთავრა, მოსულს მიმართა:

— დაბრძანდით...

ნუნუ არ ჯდებოდა, სიტყვასაც ვერ ამბობდა. მმართველი წამოდგა, მინდაკეზასაეით უძრავად იდგა. ნიკო იმ საბედისწერო ღამესაც ასე უძრავად იდგა. მაგრამ, ახლა უფრო დავაეკაცებულო, მხნედ გამოიყურებოდა.

— დედა... დედა... — ლულულუღებდა ნუნუ, — ავად არის, ამის შესატყობინებლად მოვედი...

ნუნუმ ჩანთიდან ხელმანდილი ამოიღო ცრემლების დასამალავად, ხელმანდილს ქალაღი ამოჰყვა და ძირს დავარდა, ნუნუს ეს არ შეუნიშნავს, ამ მდგომარეობიდან თავის დასალწევად კარებს მიაშურა.

ნიკომ დავარდნილი ქალაღი აიღო, რომ დაღევენებოდა და ნუნუსთვის გადაეცა. ქალაღდს უნებურად თვალი გადაჰკრა. ეს განცხადება იყო, რომელმაც ნუნუ პირადი მდივნის აღღილს სთხოვდა.

ნიკომ ქალაღი მაგიდაზე დაღო, კოლოფდან პაპიროსი ამოიღო, ცეცხლი მოუეიდა და გააბოღა. ფანჯარას მიადგა, ქუჩისკენ გაიხედა და ქალაქის დაუსრულებელ მოძრაობას თვალი მიაპყრო.

## გრიგორ სახსლავაძე



### კეი, სიბერევე, ვინ მოგიხმო, ჩამ მოგიყვანა

გამოაჩინა გაზაფხულმა ატმის კვირტები  
აათამაშა მთის ჩანჩქერმა ვერცხლის ზვირთები,  
მე კი აღრინდელ სიკისკასრთ ველარ ვინთები...  
ჰეი, სიბერევე, ვინ მოგიხმო, ჩამ მოგიყვანა!  
ახალგაზრდობას გაზაფხულის ჰაეა ალაღებს,  
სიცილ-კისკისით მოეფინენ მინდვრებს და ბაღებს,  
მსურს მათ დავდევედე და ქალარა მკერს არტახებს.  
ჰეი, სიბერევე, ვინ მოგიხმო, ჩამ მოგიყვანა!  
ლამაზმა ქალმა ანდამატით მომტაცა მზერა,  
მის შესამკობად სონეტების დაეწყე წერა.  
ტურფა მილიმის, მაგრამ ჩემი ტრფობა არ მჯერა.  
ჰეი, სიბერევე, ვინ მოგიხმო, ჩამ მოგიყვანა!

## ს უ რ ვ ი ლ ი

ოცნების ბალი ყველასთვის მინდა გაიღოს,  
გათენდეს დილა, ქვეყანაზე მშვიდობა იყოს.  
ადამიანებს ჰქონდეთ გული წრფელი, მართალი,  
კაცს ახარებდეს მზის ამოსვლა, მტრედის ფართქალი.  
კაცი კაცისთვის კაცი იყოს და არა მგელი,  
მოყვასმა მოყვასს გაუწოდოს მოყვრულად ზელი.  
მდისპოს შულლი, ბოროტება, ლალატი, შური,  
პატიოსანმა მუხანათთან არ სჭამოს პური.  
ავაზაკური იავარყოს კაცმა ცღუნება, —  
განა შეჰფერის ადამიანს მხეცის ბუნება?  
მინდერის ყვაფილებს მე ვადარებ ადამიანებს,  
მიწის მშვენიებას გონიერებს, კარგებს, ჰკვიანებს.  
ქალიშვილები, ჰაბუკები, ახალგაზრდები,  
ისე შევნიან ამ ქვეყანას როგორც ვარდები.  
მინდა გაიღოს ყველასათვის ოცნების ბალი,  
იყოს სიუხვე, სიხარული, ცხოვრება ლალი.  
კაცს ემსახუროს მზის და წყალის ძალა ძლიერი,  
არ იყოს ქვეყნად უბედური კაცი მშვიერი.  
ალარ ისმოდეს კვლავ სიტყვები: გლაზა, მთხოვარი,  
ქმის მოლაღატე, ავაზაკი, ქურდი, მსტოვარი.  
ადამიანებს მინდა ჰქონდეთ გული მართალი,  
კაცს ახარებდეს მზის ამოსვლა, მტრედის ფართქალი.



## პოლიო აპრაშია



### ნ ა ს ა კ ი რ ა ლ ი

ყოველთვის, როცა მოვიგონებ ლამაზ გურიას,  
მეც მისი ნახვა გურულივით გულით მწყურია,  
გამიბრწყინდება უძილობით მოღლილი თვალი!

გამახსენდება ერთობის და ძმობის მცველები,  
რაზმელთ ყიყინა, ქახა-ჭუხი მაქახელების,  
ტახტს რომ უტევდა დასაფრგუნად ნასაკირალი!

უცებ იელვებს სიხარული, გული შშვიდდება,  
საქვეყნოდ ვამბობ: სალამი ხალხს, იმას დიდება!

### შ ა ქ ი თ ხ ვ ა მ თ ვ ა რ ე ს

მთვარევ, შენ უწყვი უსასოო გოდება გულთა  
და საიდუმლო სიყვარულით დამწვარ-დაგულთა,  
მაგრამ ნუგეში არავეისთვის არ მიგიცია!

მე სიყვარულზე არას გკითხავ, მთვარეო ჩემო,  
გინდ წამში ასჯერ იტრიალო მიწის გარშემო,  
თუმცა ფიალა უკმარობის მეც დამიცილია!

მითხარი მხოლოდ: რად დამჩემდა გულის ფრიალი,  
რად ვარ კოლხური კაკაჩია დამის ტრფიალი?

### ე ს მ თ ა მ ა ლ ა ლ ი

ჩვენში მალალ მთებს რა გამოლევს, ყველგან მთებია,  
ისინი ხშირად მწვერვალეებით ზეცას სწუდებიაან  
და ჩვენც იმიტომ ვართ ყოველთვის მთებურად მყარი!

მთაშმინდა მაინც ყველა მთაზე უფრო დიდია,  
ის ჩვენი ქვეყნის წარსულის და აწმყოს ხიდია,  
თბილისის კართან საქართველოს დარაჯად მდგარი!

ღვას ლაქვარდებში ატყორცნილი და აზიდული,  
როგორც სამშობლოს უკვდავების მფეთქავი გული!

მთარ ზალაზზაჰიძე



გ ა ზ რ თ ხ ი ლ ე ზ ა

გლებს გოგო ტყიდან მოდის, ტყიდან მოდის...  
და მორეკავს ბოჩოლებს...  
გული ხარობს ამწვანებულ მიდამოთი,  
სადღაც ახლოს, ნაკადული მოჩქროლავს.

დაღამების ქამი არი,  
ქრიკინები შესევია ბუჩქნარებს;  
ლამე მოვა შევთვალა და შარიანი, —  
გოგოვ, ნაბიჯს უჩქარე!..

ქარმა თმები აგიშალა,  
თუ დაეშვა ოქროსფერი ნაკადი...  
უფრო ჩქარა...  
უფრო ჩქარა...  
უფრო ჩქარა...

შინისაკენ გაქანდი..

გრიბოდოვის საფლავთან თქმული

მითხარ ბედო!  
სად წაუხვალ სირცხვილს;  
სადა ჰქონდა გრიბოდოვს  
თეირანში დასალვრელი სისხლი?!  
მითხარ, ბედო,  
გულდამწველო!  
შენს წინ ვდგავარ გრიგალივით მწყურალი,  
სადა ჰყავდა საქართველოს  
ცრემლის ტბაში დასახრჩობი ქალი?!

გაჩუქება!!!  
მეჩუქებო



დ ე ლ ა ს

თეთრად მოჩანს ეკლესია წყალწითელას გადაღმა,  
ისევ იქ დგას ბერი ცაცხვი, ალვები კი გადახმა.

სასაფლაო დაქანცულა ცის და მიწის ყურებით,  
წყლისპირს ისევ ამჩნევია ჩემი ნაფეხურები.

ცხენით ტალღის გადალახვა, ოი, როგორ მიჭირდა,  
გაღმა იყო ლელიანი დაფარული ჭინჭრითა,

გამოღმა კი, ბრიკ-ბილიკ, სადაც ჰყვავის ძახველა,  
ჩაიარდა დედაჩემი, ტკბილად დამიძახებდა.

ახლაც ისევ, იმ ადგილს რომ ილიშება პირიმზე,  
ჯვარი დგას თუ ხელგაშლილი დედა მოდის ბილიკზე?

უნდა გულში ჩამიხუტოს, ჩემმა დარღმა არია,  
ხელგაშლილი დედიკოა, განა მართლა ჯვარია!

ეს ტირიფიც ძირდახრილი წყალს რომ შეერთებია,  
განა მართლა ტოტებია, დედაჩემის თმებია!

და მგონია, ამ ბილიკზე, სადაც ჰყვავის ძახველა,  
დედა ისევ გადმოდგება შვილის დასაძახებლად!

მ შ ვ ი ღ ო ბ ა შ ი

ერთმანეთის სიყვარულში  
ალტაცებით გვეძვრის მკერდი,  
სიჭაბუკემ სიტყბო გვასვა, —  
ასე ტკბილად დამიბერდი!

ჩვენც ვისწავლეთ სიყვარული  
ტკბილი, ჩემო სულისერთო,  
კარგათ უთქვამთ ჩვენთა ძველთა:  
— ფერი ფერს და მადლი ღმერთსო!

შეგზვდი მართლა ფერი-ფერზე,  
ტოლი იგრძნობს ტოლს ფიქრებს,  
ღიმი ტკბილი, კერა თბილი,  
ეგ არის და გორის ციხე!

მარგალიტი ქალ-ვაჟი გვეყავს,  
გული რატომ დაგვედარდოს,  
ფეხის ფრჩხილაც ნუ სტყენიათ,  
ჩიტებივით დაგვეზარდონ!

ჩვენ კომუნისტს მათთვის ვაგებთ,  
ვიცი თ მათი ყოფის ფასი,  
აფაშენეთ... დავაშშვენეთ...  
— ეს ერთი და სხვა ათასი!

ეგ ცხოვრება სიყმაწვილემ,  
გულუხვად და ხელეგაშლით,  
მოგვცა,  
თანაც დაგვილოცა:  
— მშვიდობაში!.. მშვიდობაში!



## საბრალო ტონიეტა

I

მოხუც კანტალუბს გვარიანად გადა-  
ეკრა, გზაზე სტენითა და ტაშის ცემით  
მიდიოდა; როდესაც მაყრიონმა ბორცვს  
მიადწია, კოლბასოს რომ ეძახდნენ, და  
ახალგვარდაწერილთა ეზოს წინ შე-  
ჩერდნენ, მოხუცმა უცბად დაძახა:

„მამ ასე, ჩემო შვილებო, წადიო;  
დაიძინეთ! ამ მინდორს პაპაჩემი ამუშა-  
ვებდა, მე მინდა, ჩემმა შვილიშვილებ-  
მაც დაამუშაონ!“

კანტალუბიმ თავის ქალიშვილს ერთი  
ტიქა ღვინო მოატანინა, სიძე-ქალი-  
შვილი გადაკონა და უკან გაბრუნდა.  
ზოგიერთი მოხუცი გაჰყვა მას. ახალ-  
გაზრდები კი ღვინოს სმასა და მუსიკო-  
სებთან ერთად სახლის გარშემო შემოვ-  
ლას მოითხოვდნენ. გოგონები ერთმა-  
ნეთს ხელს ჰკრავდნენ და ცნობისმოყ-  
ვარეობით სანთიობობში იცქირებოდნენ.  
ერთმა მათგანმა ყვავილი შეაგდო სა-  
წოლზე, მეორეც ასე მოიქცა. ბოლოს  
სულ დაწყვიტენ, რაც იქ ყვავილები იყო  
და ფანჯარაში შეყარეს. ნეფე ქალი-  
შვილებთან მივიდა და ჰკითხა, თუ რა-  
ტომ იცანოდნენ და რატომ ყვიროდნენ  
ასე. ქალიშვილებმა უპასუხეს: სრუ-  
ლიად არაფრისთვისო და გაწბილებული  
ნეფე ყმაწვილკაცებთან დაბრუნდა. ამის  
შემდეგ მათ სახლში ერთი გოგონა შევ-  
ზანეს, თანაც გესლიანად წაიქრლიკეს.  
ნეფემ გარკვევით გაიგონა, მონტემურ-  
ლოელმა კარლიონიმ ერთ-ერთ მათგანს  
რომ უთხრა:

„დაე გაგვიმასპინძლდეს ტონიეტა,  
როგორც შეუძლია მას ხომ ფული  
ბლომად ექნება, ისეთი საყვარელი,  
როგორიც ტანკრედია, სიღარიბეში არ  
დატოვებს.“

მათეოიმ წუთშივე ისეუბა, სურდა

კარლიონოსათვის ხელი ჩაეელო, მაგრამ  
გადაიფიქრა, რადგან ამ ამბავს ყველა  
გაიგებდა; და ამას გარდა, ღლეს ხომ  
მისი ქორწილი იყო? დაჯავრიანებულ-  
მა ფარდულს გვერდი აუარა და გზა  
განაგრძო. „სტუმრები წავლენ... მე და  
ტონიეტა მაშინ გავსწორდებით“, ფიქ-  
რობდა იგი და თან გულნატყენი მიზარ-  
ბაცებდა ქვევით, სანამ მინდორს არ  
მიადწია. სიბრაზისაგან ღონემიზღილი  
მიწაზე დაეშვა: „იქნებ ეს სულ კარლი-  
ნოს მოგონილი იყოს?“ — გაიფიქრა  
მან; მაგრამ შემდეგ სამართლედ მიიჩნია  
და ხელებში თავჩარგული აქვითინდა:  
„როცა ჯარში ვიყავი, იგი თურმე ტან-  
კრედის ჰყვარებოდა, მე კი წლების მან-  
ძილზე წერილებს ვუგზავნიდი!“

ბოლოს თავჩაღუებული და დამუშტუ-  
ლი ხელებით დაბრუნდა უკან. ღობე-  
მდე არც კი იყო მისული, რომ ზეით  
აიხედა, უკან დაიხია და ხელები მკერ-  
დზე დაიწყო. კედელთან, ღვთისმშობ-  
ლის ხატის წინ ტონიეტა დაჩოქილიყო,  
ზეთისხილის რტოებში ჩამალული მთვა-  
რე თავზე მკრთალ სხივებს აფრქვევ-  
და; ცა წყნარი იყო. იისფერი ვარსკვ-  
ლავებით მოქედილი სივრცე ისე გააა-  
ბულიყო, თითქოს ტონიეტას ვედრებას  
უსმენდაო. მათეომაც ჩაიმუხლა. როდესაც  
ტონიეტა წამოდგა, მათეო შეამჩნია  
და ისინი ერთმანეთის შესაგებებლად  
გაემართნენ.

„სტუმრები კარგა ხანია წავიდნენ, მე  
შენ გელოდებოდი.“

„ნუთუ შენ არ ფიქრობ იმაზე, ვინც  
ამ სტუმრებს შორის არ გეგულება?“ —  
შეკითხა მათეო და სახე ახლოს მიუტა-  
ნა, ტონიეტამ კი თავი მხარზე დაადო.

„განა შენ აქ არა ხარ, მათეო?“

მათეოს გააერტოლა, თვალები დახუჭა და ქალს წელზე ხელი მოხვია. ასე შემოუარეს სახლს. სადღაც, ძალიან შორეული ქუჩიდან, შესაძლოა კოტაინიას ვილიდან, ერთხელ კიდევ მოაღწია საღამურის ხმამ.

„როგორ მარტონი დაერჩით!“ — თქვა ტონიეტამ. „ნეტავ, სხვებიც თუ ყოფილან ოდესმე ასე?“

გაშმაგებულმა მათეომ ხელები გაშალა.

„ეს ასე უნდა ყოფილიყო!“ — თქვა მან. — „ეს ასე უნდა ყოფილიყო!“ — დაეთანხმა ქალი. მან არ იცოდა, რას ფიქრობდა მათეო. ხვალ, როცა იგი ტანკრედის პასუხს მოსთხოვდა, ყველაფერი უკვე დამთავრებული იქნებოდა.

„ჩვენ ხომ ბედნიერები ვართ?“ ჩაილაპარაკა ტონიეტამ.

„პო, ბედნიერები!“ — და ვაჟი უფრო ძლიერად მიეკრა მკერდზე ქალს.

„რა საამო სურნელებაა, ძვირფასო! ეს ჩვენი ოთახიდანაა! შეხედე ჩვენი საწოლი ყვავილებით არის მოფენილი.“

„ეს სულ გოგონების საქმეა!“ — წამოიძახა მათეომ, — „მათ მე დამცინეს.“

„როგორ თუ დაცინეს? მათ მხოლოდ ჩვენი სიამოვნება სურდათ. მაგრამ, ყოველ შემთხვევისათვის, ყვავილები გავიტანოთ, თორემ ავად გავხდებით.“

„უკეთესი არ იქნება რომ მოვკვდეთ?“

„რატომ? ჩვენ ხომ ბედნიერები ვართ?“

„ბედნიერება ხანმოკლეა, ჩემო ტონიეტა. ასე ბედნიერნი, როგორც ამალამ ვართ, არასოდეს აღარ ვიქნებით... შეგიძლია ჩემთან ერთად მოკვდე?“

ტონიეტამ თვალები მილულა და მკერდზე მიეყრდნო.

„შენთან ერთად სიკვდილიც შემიძლია, მათეო!“

მათეომ ღრმად ამოისუნთქა და ზეცას ახედა. მას ეჩვენებოდა, თითქოს იგი ცად ასულიყო, იმ კვიპაროსის მსგავსად, რომელიც კენწეროთი ვარსკვლავებს მიბჯენოდა.

ტონიეტა მკერდზე მიეყრდნობოდა მა-

თეოს. ასე შევიდნენ ისინი ოთახში. როდესაც უკან გამობრუნდნენ, მათეო ქალს მოათრევდა: ტონიეტა ყვიროდა: „შემიბრაღე! კეუიდან ხომ არ შემცდარხარა!“.

ღვთისმშობლის ხატის დანახვისას ტონიეტამ ძალა მოიკრიფა, მათეოს ხელიდან დაუსხლტა და ხატის წინ ხელბედაპრობილი დაემხო, თითქოს სვეტს შემოეკვდო. „ო, ღვთისმშობელო!“ — წამოიძახა მან — „ო, ღვთისმშობელო, შენც ხომ ქალი ხარ, ხომ იცი, რომ უდანაშაულო ვარ! შთააგონე მათეოს ჩემი უცოდველობა!“

მათეომ კვლავ ხელი ჩასტიდა ტონიეტას.

„მე მოვტყუედი!“ ამ სიტყვებზე მათეომ ყელზე წაიტანა ხელი. „შენ და მამაშენმა, თქვენ ორივემ მომატყუეთ... უკანვე წაგიყვანოს მან, მოშორდი!“

მათეო კვლავ მიათრევდა მას, ბორცვთან ტოწიეტა მავარ ფესვს ჩაებლაუჭა და მათეომ ველარ შეძლო მისი ადგილიდან დაძვრა.

„განა შენი ცოლი არა ვარ?“ გაიძახოდა ტონიეტა, „ცოლი, რომელსაც უყვარხარა?“

მათეომ მოგლოჯა ფესვი და ხელახლა წაათრია ტონიეტა.

თენღებოდა.

მათ ვერც კი შეამჩნიეს, რომ ხმაურზე მთელი სოფელი ფანჯრებს მოსწყდომოდა. თვალბედაში სისხლი ჩასდგომოდათ და ბრმებს დამსგავსებოდნენ.

მოხუცი კანტალუბი უკვე სახლის ზღურბლზე იდგა. მას ჯერ კარგადაც ვერ გაერჩია სიძის სიტყვები, რომ უკვე თავის ქალიშვილს უყვიროდა: „შენ მე სახელი შემირცხვინე! ახლა სადაც გინდა, იქ წაეთრე!“

როდესაც ტონიეტამ სახლში შესვლა მოინდომა, მოხუცი წინ გადაეღობა, უკან გამოაგლო ქალი.

„მე ხომ უდანაშაულო ვარ!“ — იძახდა ტონიეტა და პირჯვარს ისახავდა. „ო, ღვთისმშობელო, მე ხომ უდანაშაულო ვარ!“

„ამაზე შენს ქმარს მოელაპარაკე“ —

დაუყვია მამამ. ყმაწვილების ჯგუფში, რომელიც მათ შემოხვეოდა, ჩურჩულმა გადაირბინა. მოპირდაპირე მხარეზე მდგომმა ქალებმა გაიგონეს ეს და ერთმა მათგანმა ხმაილადა თქვა:

„გრაფი?... სწორია, კვირასაც ხომ მისი სახლიდან გამოვიდა ტონიეტა?“

„სტყუი!“ — იყვია ტონიეტამ და ყელში სწვდა მას. გოგომ თავიდან მოიცილა ტონიეტა. მეორემ ხელი ჰკრა; ტონიეტა ყვირილს ვანაგრძობდა: „სტყუით!“ და ამ სიტყვებით ხან ერთს მივარდებოდა, ხან მეორეს, ვიდრე ერთმა მათგანმა, პატარა ლორენცინამ, ხელი არ მოჰკიდა და წყნარად არ უთხრა:

„საბრალო ტონიეტა!“

ტონიეტა დაწყნარდა, მაგრამ კიდევ დიდხანს ოხრავდა ხელებში თავიარგული; იგი, წელში მოხრილი, ბორძივით მიდიოდა მამაკაცებსა და ბავშვებს შორის. უფროსები მას გზას უთმობდნენ, ბავშვები კი უსტვენდნენ... ყველა თვალს აყოლებდა ტონიეტას. მას კი უკვე ხელები ჩამოეშვა. შიშველ ფეხებსაც ისე აღარ მიათრევდა. დილის მზეში, როგორც მოგზაურს, თავზე კოფტა წამოეხურა და სოფლის ბოლოსაკენ მიიჩქაროდა.

„ის ალბათ აღარც დაბრუნდება“ — თქვა ვიღაცამ. ყმაწვილები თანაგრძნობის ნიშნად — ხელს ართმევდნენ მათთვის. იგი კი იმეორებდა:

„მე რა მენადვლება, შერცხენისათვის სამაგიერო ხომ მივუზღე; თავი რომ ვირჩინო ისევ მეწაღეობას დაეიწყებ“.

მაგრამ ამ სიტყვებზე მოხუცმა კანტალუკიმ შენიშნა:

„როგორ თუ მეწაღეობას? მე შენ ჩემი ეზო და ქალიშვილი მოგვცი, უკან არც ერთი მინდა და არც მეორე“.

ასე დაბრუნდა მათეო მარტოდმარტო კოლბასოში. ბორცვს იქით ჩამავალი მზე თვალეში ისე ანათებდა, რომ პირველად საკუთარი სახლიც კი ვერ დაინახა, შეშინდა კიდევ, თითქოს სახლი სადღაც გამქრალიყო. ბალახი შრიალეებდა. მან სუნთქვა შეიკავა: თითქოს შრიალიც კი არ ისმოდა. არა, არც ის

ისმოდა. სახლის ორივე კარი დაა დახვდა, თვალი სიცარიელეს მგრეტად. მათეოს ისეთი შეგრძნება ქონდა, ეფეთქეს ტანში დანა გაუტარესო!

იგი ფარდულს მიეყრდნო და ნელ-ნელა მიწაზე უღონოდ დაეშვა. შორეული ქუჩის პორიზონტზე, სილურჯეში მათეომ მოძრავი ლანდი შეამჩნია და თვალის ხამხამით აედევნა მას. შავ ლოდთან, ნერონის საფლავის ქვასთან, ლანდი შედგა, წაიბორძიკა და მიწაზე დაეშვა, ისე როგორც ამ ცოტა ხნის წინათ თვით მათეო ჩაიკეცა ფარდულთან. ლანდი მობრუნდა და ხელა დაუქნია. უცებ მათეო წამოხტა და მუშტი მოუღერა მას.

## II

ერთ დღეს სამიკიტნოში კალტოელი მეფორნე ჯოჯაკონე მეგობრებს უყვებოდა, რომ რომში, პიაცა მონტანარაზე ტონიეტა ნახა. ჯოჯაკონე მას კარგად იცნობდა, რადგანაც ოცი წელია ტონიეტას მამის ღვინო დაჰქონდა რომში. ტონიეტა ვიღაც კაცთან ერთად მიდიოდა. ეტყობოდა, ის კაცი გლეხი იყო, მგონი სტორკიოდან, დანამდვილებით კი ჯოჯაკონეს არ შეეძლო ამის თქმა. ამ შემთხვევის შემდეგ თითქმის ერთ თვეს გაველო მაგრამ რადგანაც მეფორნე შემდეგ სოფელში არ ყოფილა, მხოლოდ ახლა ჰყვებოდა ამ ამბავს.

როდესაც ეს მათეოს უთხრეს, მან უპასუხა, ტყუილიაო. რადგან კასპაროს ვაჟი ბიჯო არ მოეშვა, მათეომ შეუტია. გარშემო მყოფებმა გააშველეს ისინი. ცდროლობდნენ დაემშვიდებიანთ მათეო. აბა, რა გესაქმება ტონიეტასთანო; მათეო მთლად გაფითრებულიყო. ბოჩას თამაშს თავი ანება, აილო თავისი პიჯაკი და სახლისაკენ გასწია.

ამის შემდეგ, მეორე დილას მათეოსთან მისი მეგობარი მიქელ ლატუგა მივიდა. იგი თავისი ფორნით პირდაპირ რომიდან მოდიოდა. მიქელმა უთხრა მათეოს, რომ სერიოზული საქმე ჰქონდა. მათეომ თოხი მიწაზე დადო, ცხენზე მიკრული ტოპრაკიდან ბოთლი ამო-

ილო და მეგობარს გაუწოდა: მიქელმა ბოთლი პირთან მიიტანა და მათეოს მიმართა:

„შემიძლია დამშვიდებული სინდისით შევსვა შენი ღვინო, მათეო, რადგანაც, როცა რომში შენმა ცოლმა, ტონიეტამ, თავისთან მიმიწვია, მომავონდა ჩვენი მეგობრობა და თავიდან მოვიცილე იგი. მაგრამ შენ უნდა იცოდე, რომ ყველა ისე როდო იქცევა, როგორც მე, და რომ მონტემურლოელმა კარლინომ...“

„გაჩუმიდი! შეჰყვირა მათეომ და თან მუშტებით ყურებს იცობდა... „მე ერთი რამე უნდა გითხრა“ — განაგრძო მათეომ — „ახლა, როცა ტონიეტა ქუჩის ქალი ვახდა, ჩემთვის სულ ერთია, თუნდაც შენ წაგყვანა“.

მიქელი შეტბა და მათეოს ხელი წაავლო.

„მე მინდოდა შენთვის ყოველივე ეს დამემალა ძმობილო, რადგან მეცოდებოდი, მაგრამ, მართალი გითხრა, მეც ვერ გაუწვიე წინააღმდეგობა მას. უნდა ითქვას, რომ იგი ღამაში ქალია“.

მათეო გაწითლდა და გარშემო რაღაცს დაუწყო ძებნა.

„რა მოგდის?“ — ჰკითხა მიქელმა.

მათეოს ხელი მიწისაკენ წავლო, თავდაც შეეშინდა, რადგანაც დაინახა, რომ ხელი თოხისათვის სურდა წაეტანებია. მათეოს მოულოდნელად სიცილი აუტყდა.

„სასაცილო აზრი მომივიდა თავში: ტანკრედი რომ კვლავ შეხვდეს ტონიეტას? იგი ჩემს მოტყუებას ცდილობდა, მაგრამ თვითონ მოტყუვდა. ახლა მის ტონიეტას ყველა ინაწილებს“.

„ეს მართალია“, — თქვა მიქელმა — „შესაძლია ისინი უკვე შეხვდნენ ერთმანეთს, რადგანაც გრაფი რომში იმყოფებოდა. მე ვნახე, თუ როგორ სცლიდა ყველით სავსე ფორანს პიაცა მონტანარაზე. რგი დღეს ჩემზე აღრე წაივდა რომში. დიდი ხანია უნდა დაბრუნებულიყო, თუკი ჩვეულებრივად არ გამოიბრუნეა კოტანის ვილაში“.

მათეო წამოდგა და ქუჩისაკენ მიუთითა.

„აი, ისიც მოდეს“.

„ფორანის ცალი თვალი სანახევროდ თხრილშია ჩავარდნილი“, — შენიშნა მიქელმა. „ნამდვილად კისერს მოიტეხს“.

„ეს კი საწყენი იქნება რადგან მასთან მოლაპარაკებას ვაპირებ“ — თქვა მათეომ, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და გზას გაუდგა.

„ცხენი?“ — ჰკითხა მიქელმა.

„არსად არ გაიქცევა. შენც წამოდი“.

სამიკიტნოს ეზოში ტანკრედის ფორანი იდგა, ქენებისაგან დაღლილი ცხენი ჯერ კიდევ მძიმედ ქოშინობდა. თვითონ ტანკრედი უკვე ფართოდ მოკალათებულიყო სამიკიტნოში, ტალახიანი ფეხები წინ გაეშვირა. ხელში დანა ეჭირა, წინ ყველის ნაჭერი ეღო, ნახევარი ბოთლი ღვინოც დაედგა. სვამდა და თანაც სამიკიტნოს პატრონსა და ორ გლეხს უყვებოდა, თუ როგორ მოატყუა ქალაქის ჩარჩები. როდესაც მან კარებში მათეო დაინახა, დამცინავად გაიღიმა და ორი მსუქანი თითით უღვაში აიგრიხა. ჰუჭყინი, ქერა წვერიდან, რომელშიც ყველის ნამცეცები ჩარჩენილიყო, წითელი კანი მოუჩანდა.

„თქვენ რომიდან მოდიხართ?“ — სასწრაფოდ ჰკითხა მათეომ და წარბშეკრული, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მაგიდასთან მივიდა.

„უპირველეს ყოვლისა, ჩემ წინაშე ქული მოიხადე, მე ახნაური ვარ!“ მიუგო ტანკრედიმ. მან მსუქან ლოყებში ჩაკარგული თვალეები დაახამხამა და მონოკლი გაიკეთა. მათეომ თავიდან ქული მოიგლიჯა და იატაკზე დაახეთქა, კოპებშეკრულმა დახარა თავი და თქვა:

„თქვენო აღმატებულება, მე ეს არასოდეს აღარ დამავიწყდება“.

„მით უკეთესი შენთვის, მაშინ მე შემიძლია გადმოგეცე მოკითხვა, რომელსაც გიგზავნის შენი ცოლი“.

„თქვენ იგი ნახეთ?“

„ვნახე!“ — და ტანკრედიმ პირი გააღო, რომ გაეცინა, მაგრამ მხოლოდ დუმილით გადაავლო თვალი იქ მყოფთ, შემდეგ მუცელზე ქამარი მოუშვა და თითქოს ისროლაო:

„მეძინა კიდევაც მასთან!“

ყველანი დუმდნენ, რაღაცის კრი-  
ლი გაისმა. მათეო ერთხელ კიდევ  
დაიხარა და უთხრა:

„თქვენო აღმატებულებავ, თქვენ ისე  
მოქცეულხართ, როგორც მე ვისურვებ-  
დი; როდესაც მე ტონიეტა სახლიდან  
გავაგდე, ვფიქრობდი, თქვენთან გამო-  
მეგზავნა“.

„შენ კეთილი კაცი ხარ; მაგრამ ის  
ძვირად ფასობს აზნაურისათვის. მე ტო-  
ნიეტამ ათი პაოლა მთხოვა, მაგრამ  
მხოლოდ ოთხი მივეცი“.

„თქვენ აღრეც იცნობდით ტონიეტას,  
ხომ ასეა? ..განა ჩემზე აღრე არ იც-  
ნობდით მას...?“

„ვინ იცის?“

ტანკრედი ოდნავ მოიხარა და პირთან  
მიტანილი ჭიქით ღვინო გადაჰკრა. მა-  
თეომ თავი წინ წამოსწია, თვალები  
ჩაულრმავდა და ტანკრედის სახეში  
ჩააშტერდა. მისი ბაგეები ისე შეიარხა,  
თითქოს წყურვილი კლავდაო.

ტანკრედი ენას აწლავუნებდა.

„აიღე სკამი და ვიმუხაიფოთ შენი  
ცოლის შესახებ! მე უფრო მომწონს  
იგი, ვიდრე შენ, და როდესაც კვლავ  
ქალაქში ჩასვლა მომიხდება, ვფიქრობ,  
მისი მონა-მორჩილი გავხდები!“

მათეო დაჯდა, აიღო ჭიქა, რომელიც  
სამიკისტოსის პატრონმა დაუდგა, და სა-  
ნამ ტანკრედი ჰყვებოდა, ორჯერ ზედი-  
ზედ სულმოუთქმელად გამოსცალა.

„აი, ხომ ხედავ, როგორ მომწონს  
იგი“, — განაგრძო ტანკრედი. — „თუმ-  
ცა ისედაც საქმარისად მყავს მოსამსა-  
ხურე გოგონები და არ ვსაქირებ რი-  
მაელ ქალებს“.

მათეომ სმას თავი ანება.

„თქვენ უნდა აიყვანოთ ტონიეტა-  
ხელზე მოსამსახურედ, თქვენო აღმატე-  
ბულებავ“.

„რა საჭიროა? ქალაქში იგი უფრო ია-  
ფი დამიჯდება“.

მათეო გაშეშებული იჯდა.

„თქვენ უნდა აიყვანოთ ტონიეტა  
ხელზე მოსამსახურედ, თქვენო აღმატე-  
ბულებავ“.

ტანკრედიმ მუშტი დასცხო მაგიდას.

„თავი დაევანებოთ შენს ცოლს  
იცხოვროს მზიარულად, — მიუხედავად  
იმისა, რომ შენ გლეხი ხარ, მე მაინც  
მოგყვები სხვა ქალების შესახებ, რომ-  
ლებსაც მე ვიცნობდი...“

მათეო ლაპარაკში არ ერეოდა და სმას  
განაგრძობდა, უცბად მას მოეჩვენა, რომ  
თვითონ ჰყვებოდა თავის ისტორიას.  
ჰყვებოდა თავის ამბავს, მას რომ ჯარში  
ყოფნის დროს შეემთხვა; იჩემებდა ამ-  
ხანაგების გმირობას და თავს იქებდა.  
მან შეამჩნია, რომ მის ირგვლივ მყოფი  
სახეები ნისლში შთაინთქნენ, მის პირ-  
ისპირ, დარჩა მხოლოდ ტანკრედი, რომელიც  
მას თითქოს ხელს ართმევდა და  
თავის საუკეთესო მეგობარს უწოდებდა.  
მათეომ სიხარულით მოძალებული ცრე-  
მლები იგრძნო და მისი გული სულ უფ-  
როდაუფრო აღფრთოვანებით აძგერ-  
და. იგი უქებდა გრადს ტონიეტას და  
იკვებნიდა, რომ ქალის სილამაზეზე უფ-  
რო მალა საკუთარი პატივი დააყენა.  
შემდეგ მათეოს სურდა გაეგო, როგორი  
შესახედაობა ჰქონდა ტონიეტას დედა-  
ქალაქში, ანდა ატარებდა თუ არა იგი იმ  
მწვანე თავშალს, რომელიც მათეომ  
უსახსოვრა? სად ცხოვრობდა იგი?

„ვია დე მერლიზე“ — უპასუხა ტან-  
კრედიმ და ზუსტად აღწერა იქეთქენ მი-  
მავალი გზა, შეაქო მისი კარგი მანერე-  
ბი, მისი ოთახი და მაკარონი, რომლი-  
თაც ტონიეტა გაუმასპინძლდა.

„ვია დე მერლი“, — იმეორებდა მა-  
თეო ხანგამოშვებით...

„აღრე ტონიეტა კოლბასოში იყო,  
მხოლოდ ერთი დამით. არა გასურთ ნა-  
ხით ის სახლი?“

მაგრამ ტანკრედი სმას განაგრძობდა:

„წავიდეთ, თქვენო აღმატებულებავ!“

ბოლოს მათეოს გაახსენდა ის კასრი,  
რომელშიც ქორწილიდან შემორჩენილი  
ღვინო იდგა. ამან აიძულა ტანკრედი წა-  
მომდგარიყო. ისინი ბარბაციით გამო-  
ვიდნენ სამიკიტნოდან, ტანკრედი წელ-  
ში გაიმართა და მუცელთან შარვალი  
შეისწორა. ფორანზე ასელის დროს მა-



თეო დაეხმარა მას, შემდეგ კი ტანკრედ-  
იმ ისიც აათრია.

უღარდელად ერეკებოდნენ ცხენს და  
მამინაც კი ეცინებოდათ, როდესაც ფო-  
რანი თხრილის კიდებზე იყო დაკიდე-  
ბული.

სახლში მათეოს სურდა კვლავ ტონი-  
ეტას შესახებ ჩამოეგდო ლაპარაკი, მაგ-  
რამ ტანკრედიმ სკამი კედელს მიახებოდა  
და დაეყვირა, რომ მას არაფრის მოსმე-  
ნა არ უნდა, სანამ ღვინოს არ მოიტანს.  
მათეომ ღვინო მოიტანა და მაგიდაზე  
მუშტებდაყრდნობილი ტანკრედის გა-  
მომძღვლად ჩააშტერდა თვალებში

„ტონიეტას თქვენ უყვარდით?“ —  
ჰკითხა მათეომ.

„ვის? შენ ცოლს? რატომაც არა:  
ბოლოსდაბოლოს მეც ხომ კაცი ვარ და  
ოთხი პაოლი მივეცი მას.“

„ადრეც უყვარდით, ჩემამდე?“

„თვლიც არ მომიყვარეს“ — უპასუხა  
ტანკრედიმ.

„როგორ? არ გინახავთ?“

„შენ ისევ განაგრძობ ასეთ წვრილ-  
მანებზე ფიქრს. რადგანაც შენი ღვინო  
მე ძალიან მომწონს, გამოგიტყდები,  
რომ შენს ცოლს ვიცნობდი ისე, რო-  
გორც ყველა ქალიშვილს სოფელში...  
რას დაგიჰყვებოდა თვალები? მოგატყუეს?  
განა ხშირად არ ხდებდა ასე?“

მათეო რაღაცას ჩურჩულებდა, რად-  
გან მას ხმა წართმეოდა:

„რატომ ადრე არ მოთხარით ყოველი-  
ვე ეს?“

„შენ გაეიწყდებოდა, რომ აზნაურს ელა-  
პარაკები, რაში შენაღვლება ვილაც გლე-  
ხუბს სიყვარულის ამბავი.“

მას ყველაფერი ტყუილი ყოფილაო,  
სურდა ეთქვა მათეოს, მაგრამ, იმის მა-  
გიერ, ისე საშინლად დააკრავუნა კბი-  
ლები, რომ ტანკრედი სკამიდან წამოი-  
წია, მაგრამ იმავე წუთს დაეშვა, მათეომ  
კი შარვლის ჯიბიდან ხელები ამოიღო.

„სულ ერთია“ — თქვა მათეომ —  
„თუნდაც რომ გეთქვათ, საქმეს არაფე-  
რი არ ეშველებოდა, ის მაინც უკვე იქ  
იქნებოდა, ძირს — ვია ღე მერლიზე.“

მათეო ხელებს იმტვრევდა.

„საბრალო ტონიეტა! ნეტავ მამკელა-  
რიყო ან მეც არ გაეჩინილყავა!“

მათეო გარეთ, ლობესთან მთვლიდა  
გონს; მას მოეჩვენა, რომ მის მოპირდა-  
პირე მხარეს ღვთისმშობლის წინ, ტო-  
ნიეტა მუხლებზე დაცემულიყო. თით-  
ქოს მცხუნეარე მზის მაგიერად, მთვარე  
ანათებდა, ზეთის ხილის ტოტებში ატან-  
და მისი სხივები და თავზე ეფრქვეოდა  
ტონიეტას. მან გამოიხედა და ისინი  
ერთმანეთის შესახვედრად გაემართნენ,  
მათეომ ხელები გაშალა, მაგრამ დაბარ-  
ბაცდა და ბალახებში ჩაემხო.

როდესაც გონს მოვიდა, ბნელდა.  
თავი დამძიმებოდა და ტანში ძრუანტე-  
ლი უვლიდა. ფიქრობდა — რა მოხდაო?  
„ღმერთო ჩემო, რა მოხდა?“

მან ცხენს საკმელი მიუტანა და ჩაი-  
ლაპარაკა:

„ღმერთო დიდებულო, მწამს, რომ  
შენ ამას არ დაუშვებდი, მე რომ ასე  
შეეცედი ჩემი ქორწილის ღამეს. შენ ამას  
არ დაუშვებდი თუ კი ტონიეტა უდანა-  
შაულო იყო. იქნება ტანკრედის შიში  
ათქმევიანებდა ტყუილს?!“

უცბად მთლად მოეშვა.

„შენ ასე გასურდა! იგი უდანაშაულო  
იყო და იმ ღამეს ჩვენ ორივე ერთად უნ-  
და მომკვდარიყავით, რადგანაც ჩვენი  
ბედნიერება ერთობ დიდი იყო. იმიტომ  
ეყარა ჩვენს საწოლზე ყვავილები.“

მათეომ გასწია ოთახისაკენ ისე, თით-  
ქოს იქ ყვავილები გაუღებოდა. ნაცვ-  
ლად ყვავილებისა, საწოლზე ტანკრედი  
გაშლარათულიყო და ხვრინავდა. მათეო  
მივარდა მას და შეანჯღრია.

„წამოდქით! თქვენი ცხენი გაიქცა.“

„გაიქცეს“, — ჩაიბურტყუნა ტანკ-  
რედიმ და მეორე მხარეს გადაბრუნდა.  
მათეოს სუნთქვა უქირდა და ყურები  
დაიკო, რადგანაც რაღაც ველური ხმები  
მოესმა. ჩასისხლიანებული თვალებით  
ტანკრედის მკლავებში ტონიეტას ხე-  
დავდა. აი, გრაფის სხეულმა დაფარა  
ტონიეტა. მათეომ სწრაფად ჩაიყო შარ-  
ვლის ჯიბეში ხელი... სწრაფადვე ჩას-  
ცა... რა შეგება იგრძნო?! კიდეც და კიდეც  
ჩასცა...



## აღმიაწები და გარემომგებანი

9.

დაახლოებით 1907 წლიდან სოკოვანი იწყეს გამრავლება გამოცემლობებში. ხშირად იმართებოდა ახალი მუსიკის კონცერტები, ზედზედ გაიხსნა სამხატვრო გამოფენები, რომლებსაც აწეობდნენ სხვადასხვა ჯურის გაერთიანებები — „Мир искусства“, „Зелотое руно“, „Бубновый валет“, „Ослиный хвост“, „Голубая роза“. სიმოვის, საბუნოვის, სუდეიკინის, კრიშოვის, ლარონოვის, ვონზაროვის რუსულ გვარებთან ერთად გაიხსოდა ფრანგული გვარები ბონარისა და ვიუარისა. „ოქროს ვერძის“ გამოფენებზე, ფარდებით დამრდილულ დარბაზებში, სადაც შედამ მიწის ხუნი იდგა, — რადგან ისინი სათბურებით იყვნენ გაცემული საყვავილე ქოთნებით. — შუგულთით თვალი მოგვკრათ გამოფენაზე გამოგზავნილი მატისისა და როდენის ნამუშევრებისათვის. ახალგაზრდობა ამ მიმართულებებს ემხრობოდა.

ვიცნოთ თვით საზოგადოების შექმნაში. ცივი-  
ლიზებული ხალხებში კლასთა ბრძოლა წარმოად-  
გენს ამ შექმნის ერთ-ერთ ყველაზე უფრო  
შინაგულად ზამბარას, და თუ მას განვიხილავთ,  
აუ მხედველობაში მივიღებთ კლასთა ბრძოლას  
და შევისწავლით მის მრავალნაირ პერიპეტეიებს,  
მაშინ შევიძლება დამაკმაყოფილებლად იხსნ-  
ნათ რა წარმოადგენს ცივილიზებული საზოგა-  
დოების „სულიერ“ ისტორიას! ეს ისტორია

პლებანოვმა განიხარა, როგორც ცივილიზებული  
საზოგადოების კლასებისა და ამ კლასებს შო-  
რის ბრძოლის ისტორია. მეორე მხრივ, მან გა-  
მოიყვანა დასკვნა, რომ გემოვნების შესახებ  
მსჯელობა არ შეიძლება დაეშვას სოციო-  
ლოგი მომენტს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრე-  
ბის მთელი რიგი მომენტების გათვალისწინება  
საჭირო იმისათვის, რათა შევნიშოთ ისა და ლ-  
მაზის საერთო მანიერულად იქნას გადაწყვე-  
ტილი. სამწუხაროდ, პლებანოვი ამ შემთხვევა-  
ში მოკვდა იდეალისტური ესთეტიკის გაგონის  
ჭეშმ, რადენადაც მან კანტის ცნობილი დებუ-  
ლება ტემბისა და გემოვნების ძალის შესახებ  
ცალკეული პირის მიმართ მართებულად მიიხსია.  
ეს უფროდ იყო კანტის იდეალისტური გნოსეო-  
ლოგისადმი პლებანოვის მხრივ დათმობა, მაგ-  
რამ, მიუხედავად იმ ნაყლისა, არავითარი ეჭვი  
არ არის, რომ მარქსისტული ესთეტიკის თვალ-  
საზრისით პლებანოვმა საესეზობით სწორად გადა-  
წყვიტა მშენებლისა და ლამაზის მთელი რიგი  
არსებითი საკითხები, ყოველ შემთხვევაში, გი-  
ცილოტები უფრო სწორად. ვიდრე ა. ვ. ლუმა-  
ნარსკიმ, რომელმაც თავის წიგნში — „პოზიტი-  
ური ესთეტიკის საფუძვლები“, სრულად უღ-  
ბი, იდეალისტური თვალსაზრისი განავითარა.  
ხელოვნების, როგორც საზოგადოებრივი მოვ-  
ლენის, ყველაზე უფრო კლასიკურ ანალიზს  
წარმოადგენს პლებანოვის სახელგანთქმული

ნაშრომი — „ხელოვნება და საზოგადოებრივი  
ცხოვრება“, რომელიც მან 1912 წელს დაწერა და  
„სოფრემენიკში“ მოათავსა.

ვიდრე ამ წერილს შევეცნობოდეთ, შედგები  
არ იქნება მოვიგონოთ, რომ 1908 წელს გამო-  
ცემული კრებულის — „3а 20 лет“ მესამე გა-  
მოცემის წინასიტყვაობაში პლებანოვმა მეტად  
უხეში შეედგა დაუშვა, გააკრიტიკა რა გო-  
რკის სახელგანთქმული რომანი „დედა“. ამ რო-  
მანში მან გორკი დაინახა ლოგოკის და არა სა-  
ხელების ერთი მოლაპარაკე. ეს იყო პლებანოვის  
მენშევიკების კონსერტული გამოვლენა მის ლი-  
ტერატურულ და ესთეტიკურ ნაზრევში.

თითქოსდა სამაგიეროდ, პლებანოვმა იმავე  
წინასიტყვაობაში საესეზობით ნათლად მიუთითა,  
თუ რა არის კრიტიკოსის ამოცანა ან რა წარ-  
მოადგენს ამ მხრივ მის სამოქმედო ასპარეზს.  
პლებანოვმა აღნიშნა: „პეგელის სკოლის რღე-  
ლისტი კრიტიკოსები — ხოლო მათ შორის ჩვე-  
ნი გენიალური ბელისკეი თავისი განვითარების  
შესაბუთების ეპოქაში — ამბობდნენ, რომ ფილო-  
სოფური კრიტიკის ამოცანა მდგომარეობს იმა-  
ში, რომ იღეა, მხატვრის მიერ თავის ნაწარ-  
მოებში გამოხატული, გადათარგმნილ იქნას  
ხელოვნების ენიდან ფილოსოფიის ენაზე, სახე-  
ვის ენიდან ლოგოკის ენაზე. როგორც მატერია-  
ლისტური მსოფლმხედველობის მომხრე, მე ვი-  
ტყვი, რომ კრიტიკოსის პირველი ამოცანა მდგო-  
მარეობს იმაში, რათა მოცემული მხატვრული ნა-  
წარმოების იღეა ხელოვნების ენიდან გადათარგმ-  
ნილ იქნას სოციოლოგიის ენაზე, რათა მოინახოს  
ის, რაც შეიძლება წოდებულ იქნას მოცემული  
ლიტერატურული მოვლენის სოციოლოგიურ  
ექვივალენტად“<sup>1</sup>.

ეს იყო საესეზობით სწორი მითითება. მაგრამ ამ  
ძირითადი პრინციპის გამოყენებით პლებანოვმა  
თუ ერთის მხრივ საესეზობით სამართლმანად უსა-  
ვეუდრთა ლუნარსკის აენარაიუსის ფილოსო-  
ფიით გატაცება, მეორეს მხრივ უმართებულად  
გაკრიტიკა სოციოლისტური ლიტერატურის გე-  
ნიალური ფუძემდებელი მაქსიმ გორკი, რომლის  
დიდმა რომანმა „დედა“ წარუშლელი გავლენა  
მოახდინა მთელი მსოფლლოს პროგრესული ლი-  
ტერატურაზე.

ასეთი ხასიათის შეედგომები ნაკლებად იგრძ-  
ნობა პლებანოვის სახელგანთქმულ წერილში —  
„ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება“.  
ეს ნაშრომი უფრო მონოგრაფიაა, რომელიც შე-  
სავალმწივე გვეუწყებს, რომ მისი ავტორი  
კვლადკვალ მიუყვება იმ წერილებს, რომლებიც  
მან უფრო ადრე გამოაქვეყნა, კერძოდ, 1897  
წელს — ბ. გ. ბელისკის ლიტერატურული შე-  
ხედულებანი“, და იმავე წელს — ნ. გ. ჩერ-

<sup>1</sup> გ. ვ. პლებანოვი, თხზ., ტ. XIV, გვ. 118

<sup>1</sup> გ. ვ. პლებანოვი, „ხელოვნება და ლიტერა-  
ტურა“, გვ. 207 — 208

ნიშნების ესთეტიკური თეორია". ორივე ამ წერ-  
 რილში პლუხანოვა მისთვის დამახასიათებელი  
 თანმიმდევრულობით დალაგა როგორც ბელონის  
 ლიტერატურული შეხედულებები, ისე ჩერნი-  
 შევსკის ესთეტიკური თეორიის პრინციპები.  
 ორივე წერილიდან ჩანდა, რომ პლუხანოვი მხუ-  
 რვალედ იყავდა ბელონის მიმართ შემევიდ-  
 რიობის, ხოლო ჩერნიშევსკის ესთეტიკურ თეო-  
 რიას, უმნიშვნელო შენიშვნების მიუხედავად,  
 მთლიანად ლეუტლობდა და თავის თავს აშკარად  
 წარმოგვიდგენდა ამ ორი დიდი კრიტიკოსის  
 ტრადიციის გამგრძელებლად. ეს მოშენიტი ჩანს  
 მონოგრაფიაშიც „ხელოვნება და საზოგადოებ-  
 რივი ცხოვრება“, რომელიც ამ ძირითადი დე-  
 ხელების დაკვირვებით იწყება, რომ მდინარე იდუა-  
 ლისტური ესთეტიკა, როცა აყენებს გაკვეთილ  
 თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ერ-  
 თადერთი სწორი თვალსაზრისით ხელოვნებას  
 უფრო, როგორც ცხოვრებისადმი სამსახურს.  
 შერთალია, მისარგებმა გასული საუკუნის 60-იან  
 წლებში პირდაპირ კარიკატურამდე დაიყუ-  
 ნა თეორია „ხელოვნება ცხოვრებისათვის“, მაგ-  
 რამ პლუხანოვი შენიშნავს, რომ ჩერნიშევსკისა  
 და დობროლუბოვის, უფრო ადრე კი ბელონის  
 შრომებში განვითარებული დებულება—ხელო-  
 ნება უნდა ემსახურებოდეს ცხოვრებას, სავსე-  
 ნით გამართლებული და მეცნიერულია. რო-  
 გორც ჩერნიშევსკიმ თავის სამაგისტრო დი-  
 სერტაციაში — „ხელოვნების ესთეტიკური და  
 შიკიდებულებანი სინამდვილისადმი“ — დაამტ-  
 კიცა, ხელოვნება არა მარტო წარმოსახვას ცხოვ-  
 რებას, არა მარტო განმარტებს მას, არამედ,  
 წარმოადგენს ცხოვრების მოვლენებისადმი გან-  
 ჩენსაც. ამ თვალსაზრისით უფროებენ პოეზიას  
 როგორც თეორეტიკოსები, ისე პოეტები, კერ-  
 ძოდ „შერისძიებისა და მწუხარების“ მუხის  
 ისეთი წარმომადგენელი, როგორც ნეკრასოვა.  
 საყვებით ანალოგიურ თვალსაზრისს ავითარებდ-  
 ნენ ხელოვნებაზე ნეკრასოვთან ერთად ისეთი  
 დიდი ფერმწერლები, როგორიც არიან პეროვი  
 და კრამსკოი. თავიანთი ნაწარმოებებით მათად  
 განიჭინი გამოაქონდათ ცხოვრებაზე. საწინააღმ-  
 დგეო თვალსაზრისს, ფიქრობს პლუხანოვი, იცა-  
 და პუშკინი ნიკოლოზ პირველის ეპოქაში, რაც  
 ამ გენიალურმა პოეტმა გამოხატა ისეთ ცნობილ  
 ლექსებში, როგორცაა „ჩერნი“ და „პოეტი“.  
 რა იყო ამის მიზეზი? პლუხანოვი პირდაპირ  
 დაიყენა კითხვას, თუ რა საზოგადოებრივ პარო-  
 ზებში წარმოიშვა ხოლმე მიდრეკილება თეო-  
 რიისადმი „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ან  
 რა საზოგადოებრივი პირობები წარმოშობენ სა-  
 წინააღმდეგო შეხედულებას — „ხელოვნება  
 ცხოვრებისათვის“. ხომ იყო დრო, როცა პუშ-  
 კინი არ მისდევდა თეორიას „ხელოვნება-ხე-  
 ლოვნებისათვის“, მაგალითად, ალექსანდრე პო-  
 ლოის ეპოქაში? მაშინ იგი არ ფიქრობდა, რომ  
 „ხალხი“ კმაყოფილი უნდა იყოს მათარსებით,  
 ნაკარბობლებითა და ჯალათის ნაჯახით. პი-

რითიო, შენიშნავს პლუხანოვი, პუშკინი თავის  
 განთქმულ ლაშაში — „თავისუფლება“ — ზიზღით  
 ლაპარაკობდა იმ სინაღო სინამდვილეს — წინა-  
 აღმდეგ, რასაც თვითმპყრობელებმა: [რ] მატონ-  
 ყმობა განასახიერებდა. მაგრამ შემდეგ, ნიკო-  
 ლოზ პირველის ეპოქაში, პუშკინის ეს გაწყუ-  
 ბილება შეიცვალა 14 დეკემბრის კატასტრო-  
 ფისთან დაკავშირებით. ნიკოლოზ პირველმა გან-  
 დარბობა შეეს ბეკენდორფს მიანდო ახალგაზრ-  
 და პუშკინის პოლიტიკური შეუღობის გამო-  
 სწორება და ამ მიზნით-მისთვის თვალყურის  
 დევნება არსებითად ეს იყო ცდა პუშკინის  
 გენიალური ნიჭი ჩაეყენებინათ თვითმპყრობე-  
 ლობისა და ბატონყმობის სამსახურში. სწორედ  
 ამ მიზნით სწორად ბეკენდორფი 1827 წელს  
 ნიკოლოზ პირველს პუშკინის შესახებ: „პუშკინი  
 ჩემთან შეხვედრის შემდეგ აღტაცებით ლაპ-  
 რაკობდა ინგლისურ კლუბში თქვენი უდიდებუ-  
 ლესობის შესახებ, და აიძულა ის პირები, რომ-  
 ლებში მასთან ერთად სადილოდნენ, შეესვით  
 თქვენი უდიდებულებისადმი სადღეგრძელო. ის  
 მაინც საკმაოდ არამდაა, მაგრამ თუ მოვახერ-  
 ხებთ მისი კაღშია და მისი სიტყვების წარ-  
 მართვას, ეს სისარგებლო იქნება“.<sup>1</sup>

იქედან დაიწყო პუშკინის სულიერი წამება და  
 მისი ტრაგიკული აღსასრულიც. ამ სულიერმა  
 განწყობილებამ, კონფლიქტმა საზოგადოებასა  
 და პოეტს შორის, პუშკინი იძულებული გახ-  
 და დამდგარიყო იდეალისტური თეორიის —  
 „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ პოზიციებზე.

ამ ფაქტიდან პლუხანოვი გამოჰყავს დასკვნა,  
 რომ მიდრეკილება თეორიისადმი „ხელოვნება  
 ხელოვნებისათვის“ წარმოიშვა იქ, სადაც არ-  
 სებობს განხეთქილება მხატვრებსა და მათ არგ-  
 ვლივ არსებულ საზოგადოებრივ გარემოს შორის.  
 ანალოგიურ სურათს პლუხანოვი ხედავს საფრან-  
 გეთში პარანსელ თეოფილ გოტიეს სხებით, რომ-  
 ლმეცად თავისი თავი მიყუთენა იმ დამოხანებს,  
 რომლებიც უსიტყვოდ იცავენ თეორიის „ხე-  
 ლოვნება ხელოვნებისათვის“. გოტიემ ხომ ბიო-  
 გრაფიულ შენიშვნაში შარლ პოდლერის შესახებ  
 ქება-დიდებათ შემოსა „პორტიკი ყვაილის“ ა-  
 ტორი იმისათვის, რომ იგი იცავდა ხელოვნების  
 აბსოლუტურ ფერმონობას, ხოლო პოეზიას უფ-  
 რებდა, როგორც თავისივე თავის მსახურს, არ  
 უსახავდა რა მას სხვა მიზანს, გარდა იმისა, რომ  
 მეთხველის სულში გამოეყენა მშვენიერის  
 შეგარება ამ სიტყვის აბსოლუტური მნიშვნე-  
 ლობით. ამ ყაღმა, იდეალისტურმა შეხედულებ-  
 ლამ თეოფილ გოტიე აბსოლუტურ უარზობამდე  
 მიიყვანა, როცა ათქმევინა: „მე დიდი სიხარუ-  
 ლით უარს ვიტყვი ჩემი, როგორც ფრანგის  
 მოქალაქის უფლებებზე, რათა ვიხილო რაფა-  
 ელის ნამდვილი სურათი, ან შიშველი ლამაზი

<sup>1</sup> გ. ვ. პლუხანოვი, თბ., ტ. XIV, გვ. 124 —

ქალი". გოტიეს მოტანილი სიტყვების შემდეგ პლენაროი საესებით მართებულად შენიშნავს, რომ „ამის იქით წასვლა აღარ შეიძლება“.

საინტერესოა, რა საფუძველი ჰქონდა ყოველივე ამას? გოტიე ხომ გაბატონებულ ბერეუაზიულ წყობილებას არ ემუქრებოდა? პარიჟით, ის ხომ შერხდილი იყო მასთან, და როგორც პლენაროი შენიშნავს, მხოლოდ იმას მოითხოვდა, რომ „ბერეუაზიულ წყობილებას აღარ წაშლია“<sup>1</sup>. რა თქმა უნდა, ეს არ იყო დავილისა და მისი მეგობრების გალაშქრება ძველი წყობილების წინააღმდეგ, ეს იყო რომანტიკოსებისა და პარანაუსტების მხოლოდ ის შეგნება, რომ ისინი არავითარ საზოგადოებრივ ცვლილებას არ ისტრევენ მათ თანამედროვე საფრანგეთში და ამიტომ მათი განხეთქილება საზოგადოებასთან სრულიად უიმედოა. არც პეშინი მოელოდა ამჟინდელ რევოლუციას, შენიშნავს პლენაროი, არავითარ ცვლილებას. პეშინივე ხელი აიღო ნიკოლოზ პირველის ეპოქაში რაიმე ცვლილების მოლოდინზე. ამით იქნა განაპირობებული საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი პეშინის პესიმიზმი. გამომდინარე აქედან, პლენაროი ამტკიცებს: „მხატვრული შემოქმედებით ცოცხლად დაინტერესებულ ადამიანთა და მხატვართა მიდრეკილება თეორიისადმი ხელოვნება ხელოვნებისათვის წარმოიშვება მათ გარემომცველ საზოგადოებრივ ყოფასთან უიმედო განხეთქილების ნიშნად“<sup>2</sup>.

ამ მდგომარეობის სრულიად საწინააღმდეგო პირობებში ხდება თეორიის — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ გაბატონება, და პლენაროის გამოცხადება, რომ „ეგზოტრიფიკებული უტილიტარული თვალსაზრისი ხელოვნებაზე, ე. ი. მიდრეკილება მიეცეს მის ნაწარმოებებს ცხოვრების განაჩენის მნიშვნელობა და ყოველთვის მისი თანხმობის სასიხარულო მზადყოფნა მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ბრძოლებში, წარმოიშვება და მტკიცდება იქ, სადაც არის ურთიერთთანაგაძრვობა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილსა და ამ ადამიანებს შორის, რომლებიც ცოცხლად თუ ბევრად ქმედითად არიან დაინტერესებული მხატვრული შემოქმედებით“<sup>3</sup>. ასე რომ ამ იყოს, მაშინ და შეეცქნებოდა საზოგადოებრივი პირობების შეცვლასთან ერთად ხელოვანთა შეცვლილი დამოკიდებულება თვით ხელოვნებისადმი. ამას საუფუფესოდ მოწმობს მაგალითი შარლ ბოდლერისა, რომელმაც 1848 წლის თებერვლის რევოლუციის ქარიშხლის დროს დაიწყო რევოლუციური ეურნალის გამოცემა. მართალია, ამ ეურნალმა მალე შეწყვიტა არსებობა, მაგრამ 1852 წელს პიერ ლიუპონის

წიგნის წინასიტყვაობაში ბოდლერმა თეორიის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ხალხურად უწოდა, და განაცხადა: ხელოვნება „საზოგადოებრივ მიზნებს უნდა შესაბურველობდეს. მხოლოდ კონტრარევოლუციის გამარჯვებამ, შენიშნავს პლენაროი, დააბრუნა საბოლოოდ ბოდლერი და სხვა მხატვრები, რომლებიც მასთან სრულიად აბლოს იყვნენ, ბოდლერ თეორიისთან „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

ესეუ სელეურ კატაქლიზმებს განიცდიდა „პარანასის“ ერთ-ერთი მომავალი მწათობი ლეონტ დე-ლილი. შეიძლება ითქვას, ხელოვნების თეორიაში პლენაროი პირველად აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ ხელოვნების უტილიტარულ თვალსაზრისის ისტორიულად მისდევნება და იზიარებდნენ არა მარტო რევოლუციონერები, არამედ რეაქციონერებიც იყ. ამის მოწმობს, მაგალითად, ერთ დროს განათლების მინისტრის გრაფ რაზუმოვსკის დამოკიდებულება 1814 წელს გამოცემულ ნარეინის რომანისადმი — „რუსი ესტ ბლანო ანუ თავად გაბრიელ სიმონის-დე ჩისტიაკოვის თავგადასავალი“. ეს რომანი გრაფმა რაზუმოვსკიმ აკრძალა იმ მოტივით, რომ მასში დაინახა უარყოფითი მოვლენების ისეთი გაიცილება, რომელიც მკითხველს კი არ აძლევდა, პარიჟით, ამ უარყოფითობა-კენ უბიძგებდა. პლენაროი ამიტომ მოეცა რაზუმოვსკის სიტყვებით: „როგორც არ უნდა იყოს რომანების ლიტერატურული ღირსება, ისინი შეიძლება მხოლოდ მაშინ დაიბეჭდონ, როცა აქვთ კუშპარიტი ზეობრივი მიზანი“, და ირონიით შენიშნავდა: „როგორც ხედავთ, რაზუმოვსკი თავიდა, რომ ხელოვნება არ შეიძლება იყოს ისეთი თავის მიზანი“.

მაგრამ გამოჩაყლის მარტოოდენ გრაფი რაზუმოვსკი რადი წარმოადგენდა. ასეთივე „უტილიტარულ“ თვალსაზრისის ავითარებდნენ და იცავდნენ ენდარბთა შეფი ბენკენდორფი, რომელიც პეშინის „აქვიანებდა“, განათლების მინისტრი თავიდა პ. ა. შირინსკი-ნიმბაროვი, რომელმაც ახალგაზრდა ოსტროვსკის „მოთვინიერება“ დაავალა მოსკოვის სასწავლო ოქლის მზრუნველს პიესის გამო — „ჩვენინები ვართ — მოვიდებოთ“. ამ კატეგორიის ეუთვნვოდა თვით იმპერატორი ნიკოლოზ პირველი, რომელმაც მსხვერპლად შეიწირა ეურნალი „მოსკოვსკი ტელეგრაფი“ მისი რედაქტორის ნ. პალეევის პიესების მოწონებთ.

ასე რომ, „უტილიტარული“ თვალსაზრისი ხელოვნებაზე ისევე კარგად ეგუება კონსერვატულ განწყობილებას, როგორც რევოლუციურს. მასმინადამე, აქ მთავარი ის არის, თუ რაში მდგომარეობს ეს უტილიტარიზმი, რა საზოგადოებრივ წყობას ემსახურება, რა იღვევს აყენებს, ვინაიდან „არ შეიძლება არსებობდეს მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მოკლებული იყოს იდეურ შინაარსს“. და პლენაროის შეხანიშნავად ესმო-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 130

<sup>2</sup> იქვე, გვ. 131

<sup>3</sup> იქვე, გვ. 131

და, რომ „ის ნაწარმოებიც კი, რომელია ავტორები მხოლოდ ფორმის უფრობიდან და არ ზრუნავენ შინაარსზე, მაინც ასე თუ ისე გამოხატავენ ცნობილ იდეას“.<sup>1</sup>

სავსებით ნათელია, რომ მხატვრული ნაწარმოების ფორმისათვის განსაკუთრებული ზრუნვა შემოიპოვებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინდიფერენტობით, მაგრამ თუ არ არსებობს მხატვრული ნაწარმოები, რომელიც სავსებით მოკლებულია იდეურ შინაარსს, ამავე დროს, როდეს შეიძლება მხატვრულ ნაწარმოებში ყოველგვარი იდეა გამოიხატოს. საილუსტრაციოდ პლუხანოვმა მოიყვანა გიორგი რუსკინის მაგალითი: ქალიშვილს შეუძლია იმდროის დაკარგულ სიყვარულზე, მაგრამ ძენს არ შეუძლია იმდროის დაკარგულ ფულზე, იმიტომ, რომ ძენს სიყვარულს დაკარგულ ფულზე არა მარტო აზრი არ ექნებოდა, არამედ არცინი არც თანატოლნიც. საერთოდ, რაც უფრო მალაია მხატვრული ნაწარმოებით გამოხატული გრძნობა, იგი მით უფრო შესაბამისს თავის დანიშნულებას, ვინაიდან „ხელოვნება არის აღმოჩენა შორის ხელოვანი კავშირის ერთ-ერთი საშუალება“.<sup>2</sup>

მაგრამ ამ თვალსაზრისს უპირისპირდებიან ვ. წ. უტილიტარული თეორიის მოწინააღმდეგენი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ხელოვნებას მხოლოდ ფარმის სიმაღლე განაპირობებს, მასშია მისი მარადიული დანიშნულება და არა გრძნობის სიმაღლეში. პლუხანოვს საილუსტრაციოდ მოიყვანს დადი რუსი მწერლის ი. ს. ტურგენევის ნებულება იმის შესახებ, რომ ვერცა მილოხელა უფრო ეტყვიანება, ვიდრე 1789 წლის პრინციპები.

პლუხანოვმა სავსებით ნათელი ამ დებულების შიგლი მანკირება, ამავე დროს ვიშაქლავა რუსი სიმბოლიტიკების გათხრობისა და მერტყავის მისტიკურ შეხედულებათა ანტი-საზოგადოებრივი ხასიათი. სიმბოლიტიკისა და მისტიკის წინააღმდეგ პლუხანოვის ამ ბრძოლას უძღვრის მნიშვნელო ჰქონდა მარქსისტულ ესთეტიკის შემდგომი განვითარებისათვის.

მაგრამ, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, დიდ მიღწევებთან ერთად პლუხანოვს ესთეტიკაში შეეცდომებოდა ჰქონდა. ერთ-ერთი მათგანი მის მთავრე იქნა აღიარებული 1917 წელს გახვთ „ნაშე ედინსტოში“ დაბეჭდილი წერილით. პლუხანოვმა მონაწილე 1877 წელს, ნეკრასოვის დეკლარაციის დროს, რევოლუციურ-ნაროდნიკული საზოგადოების — „ხემლია ი ვოლია“ (რომლის წევრიც პლუხანოვი იყო) დავალებით წარმოთქმულ სიტყვაში დაშვებული შეცდომა. ამ სიტყვაში ახალგაზრდა პლუხანოვმა თავის თანამოაზრეებთან — 70-იანი წლების რევოლუციონერ-ნაროდნიკებთან — ერთად ნეკრ-

სოვი პუშკინზე მალა დააყენა. ეს მარალად იყო შეცდომა, განსაკუთრებით ის, რომ პუშკინი მხოლოდ ტერმინობრის ფეხებზე მომდევნალ პოეტად გამოაცხადო. ამ სტრუქტურულ ფეხებადა, — წერდა პლუხანოვი, — მოეწინაო, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს“.<sup>3</sup>

ეს მონაწილე უთუოდ სიმპტომურ მნიშვნელობას ინარჩუნებს, ვინაიდან მის დაყენებულ საკითხში სინათლე და გარკვეულობა შეაქვს. მაგრამ, სამწუხაროა, რომ ასეთივე მონაწილე პლუხანოვს არ გამოუტყვემს იმ შეცდომის გამო, რომელიც მან დაშუა 1885 წელს დაწერილ მკვლე წერილში — „ორიოდ სიტყვა მუშა-მკითხველებს“, თავის ამ ერთ-ერთ ყველაზე აღმინდელ ნაშრომში. წამოაყენა რა სავსებით სწორი შეხედულება, რომ ხელოვნება გამოხატავს გარკვეული კლასის ფსიქო-იდეოლოგიას, რომ ყოველ კლასს თავისი პოეზია აქვს, ხელოვნების კლასობრიობის ამ პრინციპმა პლუხანოვი არასწორად მიიყვანა იმ დებულებამდე, თითქოს ერთი კლასის შეიღს არ შეუძლია გაავოს მეორე კლასის პოეზია. რით შეიძლება ამის დამტკიცება? უმართებულად მოტანილ სხვა ფაქტებთან ერთად, პლუხანოვმა მიუთითა პუშკინის გენიალურ „ვეშენი თანვენიზე“, რაც უაღრესად უხეში შეცდომა იყო. პლუხანოვი სრულიად უმართებულად ფიქრობდა, თითქოს მუშა ვერ გაიგებს ამ რომანის შინაარსს. ამ შეცდომის პარალელურად, პლუხანოვი იცავდა სოციალისტური პოეზიის იდეებს, ნეკრასოვის, ტოშას გუდის, პინეს, მოროზოვისა და სხვა დემოკრატი პოეტების ლექსებს.

ჩვენ საშუალება არა გვაქვს შევეხოთ პლუხანოვის ესთეტიკისა და ლიტერატურული კრიტიკის სხვა მთელ რიგ საკითხებს. ეს უარესად ვრცელი მონოგრაფიის საკმეა, ვერ ვუხეზთ ისეთ ნაშრომებსაც, როგორცაა „ხელოვნება და ცხოვრება“, რომელიც პლუხანოვმა 1908 წელს დაწერა. „ხელოვნება ისტორიის მატერიალისტური ახსნის თვალსაზრისით“, „დობრიალიტოვი და ისტრუქცი“, „კ. მარქსი და ლ. ტოლსტი“, განსაკუთრებით 1904 წელს ბრიუსელში, ლიეხსა და პარიში ხელოვნების შესახებ პლუხანოვის მიერ წაკითხულ ორ ლექციას. მაგრამ, რაც თქვა, ვფიქრობთ, სავსებით საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება პლუხანოვს, რომლის ესთეტიკური მემკვიდრეობა ნაშფვილად განაწიწარმოადავენს მარქსიზმის მთელ საერთაშორისო ლიტერატურაში. იგი უფრო მალა დგას, ვიდრე ფრანც მერინგი ან პოლ ლაფარგი, როგორც ხელოვნების თეორეტიკოსები!

<sup>1</sup> ივე, გვ. 137

<sup>2</sup> ივე, გვ. 138

<sup>3</sup> გ. ვ. პლუხანოვი, „ხელოვნება და ლიტერატურა“, გვ. 644



### 3. ინგოროვებს წიგნის — „გიორგი გეგეჭორაძის“ გამო

1949 წელს აშხ. პ. ინგოროვამ გამოსცა მე-10 საუკუნის ქართული მწერლის გიორგი გეგეჭორაძის ნაწარმოებები „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა და მოუფესთა და მოწაფეთა მისთა“.

გამოცემის წინასიტყვაობაში აშხ. ინგოროვა აწერს მკითხველ საზოგადოებას: „მე-10 საუკუნის დიდი ქართველი მწერლის გიორგი გეგეჭორაძის თხზულება — გამოცემის დართვით — არ წინადაქვეყნდება: პირველ წინადაქვეყნებით აღდგენილ დედანს გიორგი გეგეჭორაძის თხზულებისას; მეორე წინადაქვეყნებით გამოკვლევის, სიდაც განხილული გვაქვს ამ ძეგლთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები“ (გიორგი გეგეჭორაძის ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, წინასიტყვაობა).

აშხ. პ. ინგოროვამ მკითხველ საზოგადოებას დაპირება პირნათლად შეესრულა და 1949 — 51 წლების „მნათობის“ რამდენიმე ნომერში დაბეჭდა თავის ნაშრომის მეორე ნაწილი — გამოცემა 1954 წელს აშხ. ინგოროვამ ეს თავისი გამოკვლევა, საგრძნობლად შეესებულა, ცალკე წინადაქვეყნებითა და სთავრით — გიორგი გეგეჭორაძის ქართული მწერალი მთავრად საუკუნისას; ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან“.

ამრიგად, დღეს ჩვენ წინაშეა ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლის მეცნიერული გამოცემა: I. „აღდგენილი დედანი“ (სხე უწოდებს მას აშხ. ინგოროვა) და II. გამოკვლევა; სიდაც განხილულია ამ ძეგლთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები.

შრომა, აშხ. ინგოროვას რომ ამ გამოკვლევაზე გაუწევა, ფრად სამატოა: 1013 გვერდის შემცველი მეცნიერულ ნაშრომს ბევრი ჩვენი მეცნიერი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თუ მოგვეცხ. აშხ. ინგოროვას მეცნიერული ნაყოფიერება ამ მხრით არაბეჭდვითია.

აშხ. ინგოროვას ეს გამოკვლევა ორი ნაწილისაგან შედგება.

პირველი (I — 544 გვ.) ისტორიის საკითხებს შეეხება. მეორე ნაწილი წმინდა ლიტერატურული ხასიათისა და განხილავს გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურულ შემკვიდრებას, გიორგი

გეგეჭორაძის ლიტერატურულ შემკვიდრებას პიროვნებად პოეზიაში და V — XI საუკუნეთა ძველ ქართულ პოეზიას.

გამოკვლევის ამ მეორე ნაწილს ჩვენ არ ვეხებით, მის შესახებ საამისო სპეციალისტები გამოთქვამენ თავიანთ აზრს, ჩვენს ინტერესს გამოკვლევის პირველი ნაწილი წარმოადგენს. ამ ნაწილს ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. აშხ. პავლე ინგოროვა გამოკვლევის წინასიტყვაობაში გვეუბნება: „წინამდებარე გამოკვლევაში, რომელსაც ვუძღვნით გიორგი გეგეჭორაძისა და მის თხზულებას, ჩვენ განვიხილავთ გიორგი გეგეჭორაძის ნაწარმოებს პირველ რიგში გიორგი ხანძთელის პირველ წიგნში, ჩვენ წარმოადგენთ განხილვას და ინტერპრეტაციას ძირითადი ხანძთელი ცნობებისას, რომელთაც შეიცავს გიორგი გეგეჭორაძის ძეგლი“ (გვ. 6).

აშხ. ინგოროვას გამოკვლევის ეს პირველი ნაწილი ექვსი თავისაგან შედგება:

I. თაბილი გიორგი გეგეჭორაძის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა, — ავტორის ვანობა — 29;

II. ეპოქა ასახული გიორგი გეგეჭორაძის ძეგლში — 35;

III. ქართლმცხეთის ფეოდალური სახელმწიფო („ქართველთა სამეფო“) და ცნობები მის შესახებ გიორგი გეგეჭორაძის ძეგლში — 114;

VI. დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო („გეგეჭორაძის სამეფო“) და ცნობები მის შესახებ გიორგი გეგეჭორაძის ძეგლში — 296;

V. მცხეთის (რუმო ქართლის) მხარეები და ცნობები მის შესახებ გიორგი გეგეჭორაძის ძეგლში — 400;

VI ისტორიული კვლევების დამახინჯება საქართველოს საზრციო მხარეების (მცხეთისა და სამხრეთ-ქართლის) ისტორიის საკითხებში — 544.

მაგრამ შემომოტანილი დამახინჯება მიახლოებითაა ეკვერ იძლევა ამ წიგნის შინაარსზე წარმოდგენას. აშხ. პ. ინგოროვა ოდნავად არ იფარება გიორგი გეგეჭორაძის თხზულებების მოცემული „ძირითადი ხანძთელი ცნობების“ — განხილვით და ინტერპრეტაციით. არამედ ძეგლში დაცულია ამა თუ იმ ცნობის გამო აშხ. ინგოროვა იძლევა დამოუკიდებელ მკვ

ნიერულ გამოკვლევას, რომელსაც ხშირ შემთხვევაში პირდაპირი კავშირი არც აქვს ძველის შეცნობიერებულ გახსნასთან, ძველში დატული ისტორიული ცნობების განმარტებასთან. წყაროს შეცნობიერებამომცემის უფლება აქვს, რა თქმა უნდა, გამოასაყენ ძველში დატული ცნობის გამოკვლევა-ძიება მეტი თუ ნაკლები სისრულით აწარმოოს, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ასეთი შრომა ძველის შეცნობიერებულ გახსნას ემსახურება.

შინე თვისდათავად კვლევის საეილდებულო ფარგლებს გადასვლა დიდი ცოდვა არაა და ამხ. პ. ინგოროყვას შრომა მის ამ ნაწილშია ფრიად საბატიოყაა, ოღონდ სიმძიმე იქ იმაშია, რომ, რაკი მკვლევარი საეილდებულო ფარგლებს გადასვლა და ძველში დატული საისტორიო ცნობათა საბაბით დამოუკიდებელი კვლევა გაშალა, მეცნიერული მოთხოვნილება ასეთი კვლევის მიმართ შესაბამისად იზრდება: მკვლევარს დასაშულო საეილდის სისრულათი განხილვა მოეთხოვება.

ამხ. ინგოროყვა არ უშინდება ამ სიძნელეს, სწორად ითვალისწინებს მის და ცდილობს სისრულით წარმოიდგინოს საეილდის შესწავლა შეიძლებელ საზოგადოებას და, შეიძლება აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აღწევს კიდევაც მკვლევარი მიზანს, თუმცა რაც შემთხვევაში ის ამას ვერ ახერხებს და შეიძლებელს რჩება ნაყლლობის უსაბოგონო შთაბეჭდილება. ამავე დროს, ასეთ უდიერ სიჭეხსთან შებმას სხვა საფრთხეც სდევს თან მკვლევარი სამოკლისათვის იძულებული ხდება საეილდის განხილვის მიღებული წესი არ დაიცვას: ტექსტებისა თუ ნაახრეთა აქვე მოტანისა და მათი სისრულით განხილვის ნაცლად მკვლევარი იძულებულია ამავეზე მითითებით დამოუკიდებლდეს, ხოლო იქ, სადაც საკვლევი საეილდის ამა თუ იმ დეტალზე საუბარი მეტისმეტად მწვევად იგრძნობა, ავტორი იძულებულია „სპეციალური ექსკურსები“ დაგვიპარდეს (გვ. გვ. 29, 43, 78, 99, 110, 192, 472...). ყველა ამის გამო, ბუნებრივია, მეორდება მეცნიერული ნაკვლევი დამაჯერებლობითი ძალა და შეიძლებულს რჩება ნაყლლობა — უსრულობის უსაბოგონო შთაბეჭდილება.

დიდი მნიშვნელობის საეილდები, მაგალითად, გუფარეთისა თუ კლარჯეთის შესახებ, მდებარე თუ ტრენდინოვი შეხედულებათა საფუძვლიანი კრიტიკა (კიბერტი, ჰაბშმანი, მარკვარტი, მარი, აღონცი, ტოყ... მინსკოვა), არსებულ აურაცხელ წყაროთა მოწყობება, — ყველაფერი ეს ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებს და გწყინს ოღონდ, რომ ეს დიდი სამუშაო ყოველთვის მაინც ვერა იმ სისრულათი ვაკეთებელი, მეცნიერული შედეგითილობით ყოველი მხიით გამოკვლეული, რამე შეიძლებულს ეჭვი არ რჩება.

მაგრამ უმაღლრობა იქნებოდა, რომ ასეთი გადახვევები რაღაც ცოდვად ჩაგვეთვალო მკვლევარისათვის, მით უფრო — დინამურად, — და ანგარიში არ გავგვეწიას მკვლევარის მდგომარეობისათვის, როცა მის წინაშე ამა თუ იმ ცნობის შესახებ, ძველში რომ არის დატული, არსებობს სამეცნიერო ლიტერატურა ხშირად მკდარი და, რაც კიდევ უარესია, ტრენდინოვი. ასეთ პირობებში ძნელია თავის შეკავება და ჩვენი მკვლევარიც, ბუნებრივია, ცდილობს საეილდის სისრულათი შესწავლის იმისდამოუხედავად, რომ აქ ჭაბუკურება არაერთი კითხვა, რომელსაც პირდაპირი კავშირა ძველში დატული საისტორიო ცნობასთან შეიძლება არ ჰქონდეს. აი ასეთად გვეჩვენება ჩვენ, მაგალითად, ამხ. ინგოროყვას გამოკვლევის მე-4 თავი.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის არ ჩანს ასეთი მომზადიშებელი გარემოება და ამხ. ინგოროყვას ნაკვლევი ზოგჯერ ისეთი საეილდებისა განხილული, რომელთა გვერდის აელა საქმეს თუ არ მოუხდებოდა, მაინცდამაინც არაფერის აენებდა, ასეთად გვეჩვენება ჩვენ ნაკვლევის მე-4 თავი.

მერწელეს ძველში დატული საამისო საისტორიო ცნობა არ იძლევა საბუთს იმ კვლევითისათვის, რომელსაც ამის გამო ჩვენმა ავტორმა გაშალა. ამხ. ინგოროყვა ცდება, როცა „აფხაზთა მეფის“ საეილდთან დაკავშირებით ის ცდილობს გააკვიროს შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროების ეთნიკური შემადგენლობა ურველსი დროიდან მე-8-9 საუკუნემდე. ცდება იმაში, რომ „აფხაზთა მეფეთი“ ქართული ზრულიტოყა მას სურს ეთნიკურ მიადაგზე ახსნას. მაგრამ ამ შეცდომას სხვა სიძნელე თან დაეყარა. საეილდის იმდენად რთული და ძნელად გადსაჭერილი აღმოჩნდა, ჩვენი დროის ისეთ ცოცხალ მოვლენებს დაუკავშირდა, ხოლო საეილდის შეცნაურული გადაჭრისათვის მასალა იმდენად არა საქმით აღმოჩნდა, რომ, თუმცა ამხ. ინგოროყვამ საეილდის საბოლოოდ გადაჭრის დიდი სურვილი გამოიჩინა, მაგრამ ეს საეილდის დღეს გადაჭრილად, რა თქმა უნდა, არ წაითვლება. უეჭველია, სჯობდა, რომ ამხ. პავლე ამ საეილდის განხილვას იქ არ ცდილიყო და ის სპეციალური, დამოუკიდებელი გამოკვლევის თაჩ ეკცია ეს/საეილდის — შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო მხარეთა ეთნიკური შემადგენლობა უძველესი დროიდან, ვიდრე საშუალო საუკუნეებამდე — დიდი და საბატიო ამოცანაა და ღირსია სპეციალური შესწავლისა და ეს ამოცანა უნდა გაიშუქოს ქართულმა ისტორიოგრაფიამ; და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი შეცნობიერება წერილობითი წყაროების კრიტიკული შესწავლით, არქეოლოგიურ სამუშაოთა გაშლით მისი იქამდე განვითარებით, რომ ტრენდინოვი არქეოლოგიაც კი გვეჭონდეს, ენობრივი

ისტორიულ-გეოგრაფიული, ფოლკლორული თუ ეთნოგრაფიული მონაცემების შედარებითი შესწავლით ამ ამოცანას მართებულად გააშუქებს. მაგრამ, თუ ამხ. ინგოროსებას აფხაზეთის მხარეთა ასეთი კვლევის ერთგვარი საბუთი ჰქონდა, რამდენადაც მერჩულეს თხზულებაში „აფხაზთა მეფე“ მოხსენებული მაინც არის, სრულიად ზედმეტად, ჭარბი ენერჯის ზარჯვად, გამოიყურება, მგალობლით, „ეკსკურსი სენათ-ლახეთის ისტორიის საკითხთა გამო“ (264 — 293) კანეთ-ლახეთი მერჩულეს თხზულებაში ხსენებულიც კი არ არის.

თავის ადგილზეა და დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს გამოკვლევის V თავი. „მისების (ხუმი ქართლის) მხარეები და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულეს ძეგლში“.

ჩვენ რომ სიტყვა ჩამოვაგდეთ ამხ. ინგოროსებას გამოკვლევის ამ მხარეზე და საყვედურის თუ ნახევრად საყვედურის კილოთი მივთითოთ მას რამდენადმე ნებისმიერად მერჩულე საკითხების კვლევის, ამის საბუთის ჩვენ გვაძლევს ის გარემოება, რომ ამხ. ინგოროსება თუ ი არიდა ძეგლში მოცემულ, ჩვენი შეხედულებით, უღირსად დიდი მნიშვნელობის ისტორიული ფაქტების განხილვას.

მართლაცა, ამხ. პავლემ გამოსცა ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ძეგლი. დადუმარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ძეგლში მოცემული ცნობები მხარის არა მარტო პოლტიკური, არამედ ეკონომიური, სოციალური თუ კულტურული ცხოვრების საყრდენი მათაა ამ ხანის საქართველოს ისტორიის მკვლევარულ შესასწავლად. ამხ. ინგოროსებას, რომელც ძეგლის გამოცემულს, „პირველ რიგში“ სწორედ ამ საისტორიო პირველ წყაროსთვის უნდა მიეკცა ყურადღება ამ მიმართულებებში აქ დამსული საკითხების გაშუქების კუთხით ამხ. პავლე აცხადებს, რომ ის „განხილავს გიორგი მერჩულეს ნაწარმოებს პირველ რიგში როგორც საისტორიო პირველ წყაროს“. „ჩვენ წარმოადგენით“, ამბობს ავტორი, „განხილვას და ინტერპრეტაციის ძირითად საისტორიო ცნობებსას, რომელთაც შეიკავს გიორგი მერჩულეს ძეგლი“ (მერჩულე).

საბოლოოდ, ავტორი მშუბარბებს გამოთქმას, რომ „გიორგი მერჩულეს თხზულება დღემდე სათანადო სისრულით შესწავლილი არაა“.

საბოლოოდ, ავტორი მიზნად ისახავს გახსნას ძეგლი, როგორც საისტორიო პირველწყარო, ე. ი. სისრულით გეიჩვენოს, თუ რას იძლევა ეს ნაწარმოები, როგორც ასახავს საქართველოს სინამდვილეს მე-8-10 საუკუნეთა მანძილზე“.

შენებრივად მკითხველი მოკლის, რომ ავტორი მეცნიერულად გახსნის ძეგლს, მეცნიერულ ახსნაგანმარტებას მოგვცემს ამ მოვლე-

ნებისას, რომენიც ასახულია ამ საისტორიო წყაროში, გაახავეს მოვლენებს სოციალურს, ეკონომურს, პოლიტიკურს, კულტურულს, ე. ი. წარმოვიდგენს შეცნებულს სტრატუსზე სინამდვილისას, რომელსაც იძლევა ძეგლი. ეს იქნება სწორედ „განხილვა და ინტერპრეტაცია ძირითადი საისტორიო ცნობებისა, რომელთაც შეიკავს გიორგი მერჩულეს ძეგლი“, რას შემდეგ საიორულ-საწვებარე აღარ დარჩენოდა, რომ „გიორგი მერჩულეს თხზულება დღემდე სათანადო სისრულით შესწავლილი არაა“.

სამწუხაროდ, მკითხველის იმედს ავტორი არ ამართლებს და ის ნებისმიერად მერჩულე საკითხების განხილვით ემყოფილდება.

გიორგი მერჩულეს თხზულების პირველი გამოცემული აკად. ნ. შარიც ამიხრებდა ამ თხვის გამოცემისათვის დეერთო ტოპოლარგეთის ისტორიი, მაგრამ გადაიფიქრა იმბოლო, რომ კონკრეტული გამშუქება იმ მთავარი საკითხისა, რომელსაც, მისი აზრით, მერჩულეს თხზულება წამოჭრის, მარს შეუძლებლად ეჩვენებოდა საამისო მასალის სიმცირისა და შეუშუშაველობის გამოცეს იყო, მარის აზრით, საკითხი ამ ტუბალკანიანთა (მეგრულ-ტუბანური) მხარის გასმზებრებისა და შემდეგ გაქართულებისა.

ავად. ნ. შარიის ასეთი განზრახვა კანონზომიერი იყო, რამდენადაც ძეგლი, გამოცემისას აზრით, საამისო ჩვენებებს იძლეოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ, ისტორიკოსებს, ძეგლის ასეთი ინტერპრეტაცია არ დავგვემყოფილებოდა, თუნდაც რომ მას, ნ. შარიის მოსაზრებებს, რადღობი საფუძველიც ჰქონოდა, და ეს იმიტომ, რომ ეს ძეგლი სხვა, გაკილებით უფრო მნიშვნელოვან, ჩვენებებს შეიკავს და ძეგლის გამოცემული შოვალ იყო, უზარფევენს ყოვლისა, ამითივის მიეკცია ყურადღება და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მას ის მნიშვნელოვანი საკითხებიც ეკვლია, რომელთა კავშირი ძეგლში მოცემულ ისტორიულ ვითარებასთან შედარებით ნაკლებია.

მაგრამ თუ ძეგლის ასეთი გამოცემა, რამდენადმე მაინც, ეპატობოდა მარს, პეტერბურგის ისტორიულ-ფილოლოგიური სკოლის მეთაურს, დღეს საბჭოურ მეცნიერებაში საისტორიო წყაროს ასეთი გამოცემა მეტისმეტად ნაკლებულად გამოიურება. ძეგლის გამოცემის, ძეგლის ისტორიულად გახსნის თვალზარისით ამხ. ინგოროსება იმავე პოზიციებზე რჩება, როგორცდაც მარი იდგა. ამხ. პავლე ეკამათება ნ. შარის ისტორიულ კონცეფციას მხარის გასმზებრა-გაქართულების შესახებ, საფუძველია ნად უარყოფს ამ ავტორის როგ რკინის შეზღუდულებებს. ეს ყველაფერი კარგია და საბოლოო საქმეა, მაგრამ ამხ. პავლე მართლაც უხელებულებს პირველმარისისოვან ისტორიულ ჩვენებებს, ძეგლში რომ არის მოცემული.

ფაქტება სოფლის მეურნეობისა (მევენახეობა-ღაბლარი ეენახი და მდღარა ბალოს



მესაქონლეობა—ცხვრისა და თხის ფარა, ზრახა და კარაული; მემინდერეობა—ბურის ყანა; შეგროვებითი მეურნეობის გაღანაშობები — მხალი, ფაქტები ხელსაწობიდან (ძელით თუ კიათი ხეროები, დიდ ისტატიშენებელნი), ფაქტები აღებ-შეპყვისა (ვაჭრობა), ფაქტები სოციალური ურთიერთობიდან (დიდაზსაჭრ-ფეოდალები, მღაბიორები; ყმები, ვერძოდ, ხელოსანი ყმები, მონები; ფეოდალის კარის უფალი, წინაშემდგომელი, კეთილი შაბურნი, ერისკან — ტაძრეული, ცხვ, ტაძარ-სასახლე, საქურქლე), ფაქტები მღაბიორთა ინდივიდუალური მეურნეობისა (წებრა და სხვა), ფაქტები მღაბიორთა ცონომიურ დიდერენციაციისა (მდიდარი და უბოვარნი), ფაქტები ფეოდალთა სამამულე ბრძოლიდან (აშოტის მოკვლა), ფაქტები უფლების სფეროდან (მამული, ღვდული, ვაყრის კლასიკური წესი, — ესა და სხვა შრავალი პარკულბარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტებით საყსეა ეს შესანიშნავი თხზულება. ის, შეიძლება ითქვას, შთავარი საყრდენი ძეგლია ქართული ფეოდალური ურთიერთობის აღიერეა პერიოდის მეცნიერულად შესწავლისათვის და, ბუნებრივია, თუ ისტორიკოსი გულწაყლული რჩება, როცა ამ ძეგლის გამოკვლევა იქ დაეუღა „ძირითადი საისტორიო ცნობების“ შესახებ ფრე ვრცელი შესჯელობისას (მსჯელობა ვაშლითა 544 ვერ-ღებ) ცალი სიტყვითაც კი არ ეგება ძეგლში არცკლად ამ პარკულბარისხოვან ცნობებს, რო-შელნიც მე-9-10 საუკუნეთა ქართული საზოგადოების ისტორიული ცხოვრების შეხებობდა. კიდევ მეტი, ამხ. ინგროყვა სრულიად უწყრა-დღებუი სტოვებს მოგონებს ამ ძეგლში რომ არის აგრე ხაზგასმით ასახული: ფეოდალური ურთიერთობის პატონობას ქართულ ყოფაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში, კულტურაში და ამ ფეოდალური ურთიერთობის სწრად აღმავლობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში. და იმის ნაცელად, რომ ამში ეძიოს ის „ახალი“, რომლის საფუძველზედაც ხდება ქვეყნის გაერთიანება, გაქართულება, გაქრისტიანება, იმის ნაცელად, რომ ამ ახლის შეგების ეს ახალი საფუძველი დანახოს, ჩვენი ავტორი აქ ძველის აღდგენის ხელყს, და მალ-ღონეს აღეხს ისეთი ფაქტების მტკიცებას, რომელთა მნიშვნელობა გაცილებით უფრო მცირეა ამ დიდი მოვლენის ასახსნულად. რო-შელნიც ადვილი ჰქონდა ამ დროს საქართველოში ასეთია ყველა ეს საკითხი ამა თუ იმ ტომების განხილბა-შარბომობისა. მადე ქართველობა-არქათველობისა (აფხაზები, კანკულხე-ნი და სხვა), მითი თავგადისავალისა და განსახლება-სახლერებისა და სხვა და სხვა.

ღანა აღბანეთის დიდი ნაწილი ან კავკასიონის მთაწიეთის სამხრეთი ძირბი ქართველების-მონათესავეობის საფუძველზე შემოვიდა ფეოდალური საქართველოს ხალხის შემადგენ-

ლობაში. მაშინ, რამ დღეშალი შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთის ქართველურ ტომებს ფეოდალური საქართველოს ხალხის შემადგენლობაში შემოსვლა? ჩანს, ეს მომენტს, ტომბარბი მონათესავეობა, არ ყოფილა გადამწყვეტი მნიშვნელობისა იმისათვის, რომ ქართული ფეოდალური ხალხი მიგველო. ტომები ტომთა წარმოშობის დროისთვის იყვნენ გადამწყვეტი მნიშვნელობისა (როცა, შესაძლებელია, სხეადსხვა გვარი, ახლობელი თუ შორეული, ერთიანდება სატომო ორგანიზაციებში). ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებით ახალი ურთიერთობა იწყება: ტომების დაშლისა და ფეოდალური ხალხის წარმოქმნის ხანი იწყება. ამას უნდა მიეცეოდნა შთავარი ყურადღება ეს უნდა დავანახა გამოიმცემლს „პირველ რაგში“. იი ამ ასპექტში უნდა ვახეზიბო ამხ. პველეს ის კლასიკური ფორმულაც ქართლის განმარტებისა, გიორგი შერჩულეს რამ აქეს თავის თხზულებაში მოცემული. გადპრით შეიძლება ითქვას, რომ ამ ფაქტის, — ტერმინი „ქართლის“, — ორგვარე შინაარსით წინაშეა და შერჩულეს ცდა ამ მოვლენის განმარტებისა, იი ამ ფაქტის მარქსისტულ-მეცნიერული ინტერპრეტაცია არის უშთავრესი საყენამო საკითხი მთელი ამ ძეგლის მეცნიერულ გახსნაში. ამას უნდა ცდილავო ძველის მეცნიერი გამოიმცემელი, თუკი ის ძველს განიხილავს „როგორც საისტორიო პირველწყაროს“.



ამხ. ინგროყვამ საქართველოს ისტორიის სხეადსხვა წყაროდან კარგად იყრი რამდენჯანბათა მეფეობა მე-9-10 საუკუნეებში ისტორიკ-ქართულ პოლიტიკას ახორციელებდნენ მის არ აქმაყოფილებდა ამ მოვლენის ამ ა. ქართულ ისტორიოგრაფიაში რომ იყო შეღებული. ჭიხვანბათა მეფეობის ქართული პოლიტიკა ამხანაგ ანგროყვას აფხსნადაც მოგვჩვენა, თუ აფხაზები ქართული ტომისანი არ იქნებოდნენ, და მანაც თავისი კვლევა ამ მიმართულებით გამოლა. ამხ. პველემ იმაში ეცდება, რომ ფიქრობს, თითქოს ქართული პოლიტიკის წინაშეა მხოლოდ იმის შექმლა, ვინც წარმოშობით ქართული ამხ, ინგროყვა არ ფიქრობს, როგორც მანს, რომ ყოველი პოლიტიკური მოღვაწე არის, უპირველეს ყოვლისა, თავისი ენაქს ასტორიული პროდუქტი. აქ, რა თქმა უნდა, წარმოშობის (ტომბარბობის) მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა გადამწყვეტი, ჩვერ რომ ამხ. პველეს ამ კონკრეტისას ვეუვეთ. ე. ი. ქართული პოლიტიკისათვის მეტბობლად მარტოდ ქართული წარმოშობის ტომები ვიფულოსხმით, — ფეოდალური საქართველოს წარმოქმნას, ქართული ფეოდალური ხალხის წარმოქმნას ვერ აფხსნიდით. ჭვერ იმეღებულე ვინგნობლით, მეგრულ-ქანები, მერგბი, დვალეები, სვანები და სხვა კავკასიონის შივილები ქართულ ხანაზე

მოსაუბრე ქართულ ტომებზე წარმოგვედგინა: ამათგანაც ხომ არმსჯელები მოვლავინი გამო- დიოდნენ ქართულ ფეოდალური კულტურისა თუ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დარგში, ვიდრე აფხაზებში (აშხ. ინგოროყვა არ ფიქრობს, რა თქმა უნდა, რომ მეგრულ-სვანები ქართულ მწვერბორობას იმიტომ ირჩევდნენ მერჩულთან შედარებით, რომ ქართული ენა ახლო მონათე- სავა მეგრულ-სვანურა ენებისა) ე. ი. უნდა და- გვეშუა, რომ იმთავითვე ყველანი ქართის ტო- მისანი იყვნენ და ამ საფუძველზე აგვენსა მათი პრაქტიკული მოღვაწეობა. მაგრამ ეს არც ფაქტიურად არის მართალი, და თვით ასეთი შეფიქრება არაისტორიულია. ყოველ ისტო- რიულ ეპოქის (ყოველ ფორმაციის) თავისი სო- ციალურ-ეკონომიური თუ კულტურული გამო- ვლინება ახასიათებს. ქართული ფეოდალიზმი, ავსპოდ, იმერის დიდი ეროვნული აღმავლო- ბის, მისი კულტურული ჰეგემონობის ნიშნის პიკს მიმდინარეობდა. ქართული ქრისტიანობა, ქართული დამწერლობა არა მარტო შედეგი უფო ანტიკური ხანის იმერის მალაღაწეით- რებულობისა, არამედ, ამავე დროს, ის იყო დიდი ძარბო და საწინდარი შემდგომი აღმავ- ლობისა, მისი კულტურული ჰეგემონობისა კავკასიის ფეოდალურ სამყაროში. და აი, იმე- რის ამ აღმავლობის, მისი კულტურული ჰეგე- მონობის შედეგად იყო, რომ არა ქართის მოღე- მის არა ერთი ტომის შვილები თავდადებით შე- დგებოდნენ ქართული კულტურისა თუ ქარ- თულ-სახელმწიფოებრივ სარბიულზე. ფეოდალ- შის ამ ჰეგემონობის შედეგი იყო, რომ იმაქით- და „... არაწარულად ეზიბა ქართულ ფეო- დალურ კულტურას აფხაზერი, მეგრული, სვა- ნული, ისტრია თუ ჰერული მალაღაწეობის საზოგადოება. ამაში მარჯაშობის აქტიურლო- ბის ამ ფეოდალური გვარის ტომობრივი წარ- ნაობობობის შედეგი კი არ იყო, არამედ მთ- სი კულტურული გაქართველებისა, ასეთებივე იყვნენ ყველა ეს ანაზაბე-გონგლობა სხვები, რომელთაც მალაღაწეობის, მხეციე — ემეგლი- ბრის სიღმინისძე-არქონისძეი და სხვა ათის. ... აფხაზერეთის მიერ ბიზანტიისათვის სა- ბოლოდ ზურგის შექცევა და მათი ქართული პოლიტიკის სარბიულზე გამოსვლა — ეს იყო მალაღაწეობის ბიზანტიის საბოლოო და- მარჯება მისი საზღვრებისორ კოლონიებით და ქართული ფეოდალიზმის გამარჯვება (ქართუ- ლი ერთი, ქართული ქრისტიანობით, ქართული მწვერბორობით, ქართული ანაზაბობით...), რა ენა უნდა, ეს პროცესი არც მე-8 საუკუნეში დაწყებული და არც მეათეში დამთავრებულა. მე-8 საუკუნის მიწურულს ამ პროცესში დიდი ტახტი აღინიშნება („აფხაზერი სამეფოს“ წარ- მადგენ ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში), ხო- ნო ამ დამნიშნველოვანი ტახლის შინაარსზე „... ანაზაბობის“ შემოსვლაზე ქართლის კულტურ- სიბიბობის“, № 12.

რულ სამყაროში) გიორგი მერჩულემ შეთქმითა მე-10 საუკუნის შუაზე.

აი ამ მიმართულებით უნდა ემსა. აშხ. ინგო- როყვას, „პირველ რიგში“, ამ „გაუგებობაში“ მოე- ლენის ახსნა და მხოლოდ ამის შემდეგ, მეორე რიგში, მართებული იქნებოდა აფხაზერი თუ სხვათა ეთნიკური ვინაობის საკითხის კვლევა.



ეკრძა ხასიათის შენაშენებიდან მოვიტან რამ- დენიმეც.

აშხ. ინგოროყვას დამსახურებაა, რომ მან არ- სებითი ხასიათის შესწორება შეიტანა ძველის ავტორის ვინაობის საკითხში. აშხ. პავლემ და- ადგინა, რომ ამ ძველის ავტორი გიორგი იყო არა უცნაურ-გაუგებარი „მერჩული“, როგორც მას ნ. მარმა უწოდა და შემდეგ ქართული მეც- ნიერება უკრიტიკოდ იმეორებდა, არამედ „მერ- ჩული“, ე. ი. სჯულის მეცნიერი, თეოლოგი მეცნიერი, სჯულის მოძღვარი. აშხ. ინგოროყ- ვამ, ამავე დროს, დაადგინა მერჩულითა (მერ- ჩულითა) ინსტიტუტის არსებობა იმ დროის სა- ქართველოში, რაც, უპიკველია, თავისთავად შე- ნაშენია ქართული მეცნიერებისა.

ახლა, როცა ჩვენ ვცაით, რომ ამ ძველის ავ- ტორი თეოლოგი, სჯულის-მოძღვარი იყო, ჩვენ დაეკრებით ვცაობლობთ იგრ ბრწყინვალედ დაწერილ მის საღვთისმეტყველო მსჯელობებს და მტკიცე შეცნიერულ წარმოდგენას შევიმუ- შავებთ ქართული ფეოდალური საზოგადოების მალაღ- კულტურულობის შესახებ: აქვე გავგონ- დებ: გიორგი მერჩულეს მიერ არცთუ ხალისთ მოწოდებულ ცნობა, რომ იმ დროის საქარ- თვლოში ბევრი ვინმე მერჩულითა და არა მარტო საეკლესიო პარაფანი, საერაშიც კი, ე. ი. რთული თეოლოგიური საკითხები აინტე- რესებდა ფართო-ფეოდალურ საზოგადოებას და ის ასეთ საკითხებზე მსჯელობდა.

მაგრამ აშხ. პავლეს ამ აღმოჩენას ჩვენთვის, ისტორიკოსათათვის, სხვა მნიშვნელობაც აქვს. სწორედ იმის გამო, რომ ძველის ავტორი სპე- ციალისტი თეოლოგი ყოფილა, ჩვენ ეჭვი გვმარ- თებს ამ მალაღაწეობებულ სპეციალისტის მიერ მოწოდებულ ცნობათა ხელს სანდობაში.

აშხ. ინგოროყვას კი ასეთი ეჭვი არ უწოდება და მერჩულეს ყოველ ცნობას სრული ნდობით ვეიდება. ჩვენ კი, მაგალითად, გვაქვს საბუთი ვთქვიტო, რომ გიორგი მერჩული მონასტერ- თა მწვერბლობის შესახებ ცნობებს. გაჩვეულად თეორიისდა თანახმად გაძარბულს გვაწვდის.

აშხ. ინგოროყვას საეკლესიო სწამს, მაგალითად, გიორგი მერჩულეს მიერ მოწოდებული ცნობა იმის შესახებ, რომ მე-8 საუკუნეში მეორე ნა- ხევარში ტოთლარჯეთის მხარეში ერთიანად

გავერცხებული იყო და კი არ ცდილობს ახსნას ის წინააღმდეგობა, თუ როგორ-ღა იყო, რომ ამ გავერცხებულ ქვეყანაში შემოიხიზნული ამოტ ბაგრატიონი ძლევამოსილი შექმნილი გახდა ახალი „ქართველთა სამეფოსა“ (ესეც მერჩულეს ცნობა).



სხვა კერძო საკითხთან საყურადღებოა „ქართველთა მეფის“ „აღღვენის“ (ასე უწოდებს მის ზეენი ავტორი) თარიღი. დღემდე ზეენს ისტორიოგრაფიაში გაზიარებული იყო ცნობა, რომ ეს მიხდა 888 წელს, როცა „დაბარნახე, ძე დავით კურაპალატისა, დისუენს ქართველთა მეფეარის მემბიანე, XI საუკუნის მწერალი სუმბატ დავითის ძე.

ამს. პავლე უარყოფს ჩვენს შეცნეიერებაში მიღებულ ამ თარიღს და გიორგი მერჩულეს დამოწმებით ამტკიცებს, რომ „ქართველთა მეფის“ ინსტიტუტი აღღვენი იქნა ამოტ ბაგრატიონის დროს მე-9 საუკუნის დამდეგს. გარდა გიორგი მერჩულეს თხზულებისა, ამს. ინგოროყვა იმოწმებს სხვა რიგის მსაღასაეც (კერძოდ, ეპიგრაფიკულ მსაღასს), სადაც ტერმინი „მეფე“ მიეპარება ამოტს თუ მის ჩამომავალთ და ეს — 888 წლამდე. იმისგან დამოუკიდებლად რომ ამს. ინგოროყვას მიერ გამოწმებული ეპიგრაფიკული ტექსტის მისამერი ვაშიდრვა არ გამოიყურება დამაჯერებლად, სხვა დანარჩენ მოწმობათა საფუძველზე ჩვენ ამს. პავლეს მოსაზრება მართებულად მიგვიჩნია, თუმცა არსებითი ზანაათის კორექტივით: ამს. ინგოროყვას დამსახურება ის არის, რომ მან ყურადღებუა მიაქცია ქართველთა შორის არსებულ მისწრაფებას, შეღობის ანუ დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის აღღვენიანაჲნ რომ იყო მიმართულა, რომ ეს მისწრაფება ქართველთა შორის არ გამქრალა თვით VII-VIII საუკუნეებში, და რომ ბაგრატიონთა სახლში ასეთი მისწრაფება შეესაზნევა ამოტის დამოდაწვე. ამასი ჩვენ შეგვიძლია დავეთანხმოთ ამს. ინგოროყვას, მაგრამ, ვიდრე ზეენს მკვლევარს არ აუხსნია, თუ რას ნიშნავს რომ გიორგი მერჩულეს ძეგლის მიხედვით „მეფის“ ტიტული მიეპარება არა მარტო ერთ პირს, არამედ „ხელმწიფის“ მსგავსად რამდენიმე პირს ერთსა და, იმავე დროს, ვიდრე ამს. ინგოროყვას არ გაუჩკვევია, თუ რით აუხსნავს, რომ სუმბატ დავითის ძე (რომელიც, თვით ამს. პავლეს დაკტირებით, იცნობდა მერჩულეს ინსპირას და იმათ სარგებლობდა), არც ერთ ბაგრატიონს არ უწოდებს ამ ტიტულით 888 წლის უფრო ადრე, ხოლო ამის შემდეგ არასოდეს არ ავიწყდება „ქართ-

ველთა მეფის“ ტიტული ერთ-ერთ ბაგრატიონს მიაკეთენოს, აი, ვიდრე ამს. ინგოროყვას ეს საკითხები საჭირო სისრულით დადამსჯერებლად არ გაუჩკვევია, ჩვენ ვიარჩევდით, თავი შეგვეკავებინა 888 წლის აქტის ამს. ინგოროყვასული შეფასების გაზიარებისაგან.

ახლა ბაგრატიონთა კურაპალატობის შესახებ. გიორგი მერჩულეს თხზულებაში (§5 24-27 და სხვ.), ისევე როგორც ამ დროის არა ერთ წყაროში დაცულია ცნობები იმის შესახებ, რომ ტაო-კლარჯეთში დამკვიდრებულ ბაგრატიონთა სახლს წევრები ატარებენენ ბიზანტიის კეისრის საყარისყავო ტიტულებს: კურაპალატი, მავსიტროსი, პატრიკი და ა. შ. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია შეზღუდლება, რომ ქართული ბაგრატიონთა ასეთი ტიტულები არ მოწმობს, რომ ამ ტიტულების მატარებელი ქართველი ზელმწიფენი ვასალები იყენენ ბიზანტიის კეისრისა. ასეთივე მოსაზრებას იცავს ამს. ინგოროყვა (58-60). არ ვგვიჩობთ, რომ ამ დებულების გაზიარება შეიძლებოდეს, თუ როგორ ურთიერათობა ივლულისმებოდა ქართულ კურაპალატსა და ბიზანტიის კეისარს შორის. ამის საყმარ მოწმობა თვითონ ამს. პავლეს მიაქვს (ცვ. 64-65). ბაგრატიონი კურაპალატი ფიცს აძლევს ბიზანტიის კეისარს, რომ ის კეისრის შტრების მტერი იქნება, ხოლო კეისრის შეგობაზა მგეობარი, რომ ის დამოზარზილებს კეისარს აღმოსავლეთის ქვეყნებს, ამის საშახლოდ კეისარი აძლევს თანმობას (და არა ფიცს I), რომ ის იბერიელებისად იცნობს აღმოსავლეთში იბერიელების მიერ დამყრობულ ქვეყნებს. ეს მოწმობა, ვფიქრობთ, საგზოა იმისთვისაც, რათა ვამტკიცოთ, რომ იმ დროის საერ. თაშროსო ურთიერათობის თვალსაზრისით ქართული კურაპალატი ტიტული ვასალია ანუ უმადნაფიცო ბიზანტიის კეისარისა.

უნდა გათვალისწინებული გვექონდეს, რომ საშუალო საუკუნეებში ვასალობის მრავალგვარი სახეობა არსებობდა (დადიანი, შავალითად, იბერიეთის მეფის ვასალი იყო იმ დროსაც კი, როცა ის თავისი პატრონის ქვეყანას ათხრებდა—და კურაპალატობა, რა თქმა უნდა, ვასალობის ერთერთი სახეობა იყო (მან შორზილი ყმის, ზანური ყმის, მაგრამ შინეც ყმის), სიუზერენსა და ვასალს შორის) პატრონსა და ყმის შორის რა თქმა უნდა, ბრძოლა წარმოებდა. ყმა პატრონს დაწერებას არ დაყოვნებდა როგორც კი საშახლო პირობები შეექმნებოდა, უარყოფდა ყმობას და საამისო ნიშნასაც (ტიტულს) თავიდან იცილებდა (მაგალითისათვის საყმარა გიორგი და დავით აღმაშენებელი). სიუზერენეც თავის შხრით იმის ცდილობდა, რომ ყმა არ წასელოდა და როცა ყმა კურაპალატობის პატრიის ტარების ხალისს არ იჩენდა, ბიზანტიის კეისარი ამ წყობას ძალად ახევედა თავს გაუჩრებულ ყმას



ჩვენ ისტორიკოსებს და, მათთან ერთად აშ. ინგოროყვას, იმის საილუსტრაციოდ, რომ ზაგრატიონთა კურაპალატობა ბიზანტიის კეისრის ვასალობას არ ნიშნავდა, მოაქვთ შემთხვევები, როცა ზაგრატიონი ხელმწიფენი აჯანყებიან კურაპალატის და მისი ხელიდან წასვლას იმუქრებიან კეისრის შემინებულა და ზაგრატიონთა სურვილი დატყვევითადია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს მავალით ამტკიცებს ზაგრატიონთა სახლის ვასალობას ბიზანტიის კეისრისადმი.

ამ საკითხთან კავშირში მეტად სინტერესოდ გამოიყურებოდა სემბატ დავითის ძას ჩვენება იმის შესახებ, რომ ქართლიდან ლტოლილ ამოტრეკი „წარემართა, რათა წარვიღეს სახერძოთად“ და ეს „სახერძნეთი“ სემბატის წარმოდგენით იყო შავშეთ-კლარჯეთი, სადაც განიშტკიცა ხელმწიფემა ამოტრეკი „ნებითა ბერძენთა შეფისათა“ (ქცა. 343). ასე რომ, სემბატის წარმოდგენით, შავშეთ-კლარჯეთი (ეს სადავო ტერიტორია არაბებსა და ბიზანტიელებს შორის) პოლიტიკურად „სახერძნეთა“ და აქ თავშეფარებული ამოტრეკი კურაპალატი, რა თქმა უნდა, კეისრის ვასალია.

ამს, ინგოროყვა სწორად აფასებს ზაგრატიონებს მთავრ კურაპალატობის ძეგნის მიზნს, სწორად აფასებს ის ბიზანტიის კარის პოლიტიკას ამ საკითხში (64-65), დასაინათო ოლონდ, რომ ჩვენი მკვლევარი კიდევ უფრო არ ჩაყვა საკითხის სიღრმეს და არ სცადა გაეთვალისწინებინა მკითხველისათვის მეთისა და კურაპალატის-ურთიერთობის საკითხი ზაგრატიონთა სახლში. საკითხის ასე დასმა, დარწმუნებული ვართ, სდრძისაჲ შექს მოპყენდა როგორც ერთს, ისე მეორე ინსტიტუტს და, რაც მთავარია, შექს მოპყენდა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის საკითხს, — საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხს.

ჩვენ სხვა შენიშვნებიც საქმოდ გვაქვს, როგორც, მაგალითად, საკითხის გამო ზაგრატიონთა ჩამომავლობის შესახებ, საკითხის გამო მამული-პოტიამის ინსტიტუტთა ურთიერთობის შესახებ, საკითხის გამო ამოტრეკი ზაგრატიონის მოღვეწეობის ხასიათის შესახებ კლარჯეთში და მისი მოკვლის ვითარების შესახებ, საკითხის გამო ამოტრეკი ზაგრატიონისა და გრიგოლ ხანძთელის კლარჯეთში მოღვეწეობის თარიღების ურთიერთობის შესახებ, საკითხის გამო მესხთა იზვირეთადმი და არა მგერულ ქანური შტოსადმი მიაუთენების შესახებ და სხვა დროისა და ადგილის დაზოგვის მიზნით ჩვენ ამ საკითხებს აქ ალარ შევუხებთ, და დასასრულ, დავამაყოფილდებთ ამს. ზველეს ერთი დამსახურების აღნიშვნით ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამს. ინგოროყვამ მართებულად შეასწორა ერთი მცდარი შეხედულება, აქამდე რომ იყო ვაზირებული ჩვენს მეცნიერებაში, თითქმის ზემს საუკუნის მიწურულს აფხაზთა მთავარმა ლეონ შეორემ დაიპყრო დასავლეთი საქართველო. ამს. ინგოროყვამ სწორად უჩვენა, რომ აფხაზეთის მთავარმა ეგრისი კი არ დაიპყრო, არამედ ეგრისიკა და აფხაზეთიც ერთად გაათავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისაგან. ეს სწორია, და ამს. ინგოროყვას დამსახურებაა ამ ფაქტის დადგენა. რაც შეეხება ამ ფაქტის აბსინსათვის გამართულ მსჯელობას (ლეონ აფხაზეთა მეფის ჩამომავლობის შესახებ და აფხაზეთის ეთნიკური ეინაობის შესახებ), ჩვენ ის დამაჯერებლად არ გვეჩვენება და, რაც მთავარია, შეცდომად მიგვიჩინა აღნიშნული მოკვლენის (აფხაზეთა სავფოს წარმოშობა) ასახსნელად ამს. ინგოროყვას მთავრ გამოყენებული მეთოდი (ამის შესახებ იხ. ზემოთ).



# აფხაზთა შინაომისა და განდგომის გოგონათი საკითხის შესახებ

(პ. ინგოროვეცის ნაშრომის „გეორგი მერჩულეს“ გამო)

პ. ინგოროვეცის ნაშრომის „გეორგი მერჩულეს“ ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ვინაობის ვარკვევა აფხაზეთის სამეფოს<sup>1</sup> ხასიათის ძიებასთან დაკავშირებით.

ავტორის დებულებათ: „აფხაზეთის სამეფო“, წარმოქმნილი მე-მ საუკუნეში, იყო საკუთრივ ქართველი ტომის — მესხთა — სამეფო. ეს ტომი და სხვა ქართველი ტომები სახლობდნენ როგორც თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისე შავი ზღვის ნაპირის ჩრდილოეთით ნიკოპოლიამდე (დღევანდელი ტრაპიზონის ჩრდილოეთით).

ამ ტერიტორიაზე არასოდეს უცხოვრიათ არა ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს, კერძოდ, ჩერქეზულ ტომებს (ამ ავტორი ვულისხმობს აფხაზურსა და ჩერქეზულ ენებზე მოლაპარაკე ტომებს); არ უცხოვრიათ არაფერ „აფხაზეთის სამეფოს“ წარმოშობამდე და ამ სამეფოს არსებობის პერიოდში, არამედ სულ გვიან ხანებამდე. კერძოდ, აფხაზეთის სამთავროს ძირითად მხარეში აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე ხალხი არა ჩანს მე-17 საუკუნის მეორე ნახევრამდე.

ხსენებულ დებულებას ავტორი აყენებს ისტორიული წყაროების თავისებური ინტერპრეტაციის საფუძველზე და მის დამტკიცებას ცდილობს ეთნიკურ და ტოპონიმურ სახელწოდებათა ისევე თავისებური ანალიზის გზით.

ეთნიკურ ტერმინს „აფხაზს“, „აბაზს“, „ბაზს“ („მოსოხ“) ტერმინის ფონეტიკურ სახესხვაობად და ამის კვალობაზე აფხაზეთში (კელასურიდან ჩრდილოეთით) მოსახლე აფხაზთა ტომს მიიჩნევს ქართულ ენაზე მეტყველ მესხთა ტომად. აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე ხალხი კი აღნიშნულ ტერიტორიაზე, მისი აზრით, ჩრდილოეთიდან გადმოდის მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ.

წ. მარჩ, ეთნიკურ ტერმინთა პრეისტორიით გატაცებული, მართლაც იხდენდა მესხ-მოსოხ-ისა და აფხაზ-აბაზს-აბაზს-აბაზ-ის შედარებას (სამეფობა-ბა-ბა). პ. ინგოროვეცა ამაზე არ მიუთითებს). რომ დავუშვათ კიდევ ამ სახელწოდებათა ერთიანი წარმოშობა, ეს არავითარ საფუძველს არ მისცემდა მკვლევარს, რომ ისტორიულ ხანაში ამ სახელებით განსხვავებული ტერმინებით გამოხა-

ტული სხვადასხვა ტომები ერთ და იმავე ტომად შეეჩინა.

პ. ინგოროვეცა არ სვამს კითხვას, როგორ მოხდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ქართველთა გარდა თითქმის არც ერთი სხვა ტომი არ სახლობდა, ერთსა და იმავე დროს ქართველები მესხთა ტომს მესხებდაც ეძახიან და აფხაზებდაც.

პ. ინგოროვეცს მტკიცებით, მის მოხატვებს აღსატურებს მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის თურქი მოგზაური ევლია ჩელები. პ. ინგოროვეცს ევლია ჩელების სიტყვები ასე მოჰყავს: „მთავარი ტომი აფხაზეთში არის ჩაჩ, რომელიც ლაპარაკობს იმავე მეგრულთა, რომელიც ხმარებაშია ფაშის იმერ მხარესო“. პ. ინგოროვეცს (1641 წ.) გუდაუთის რაიონის ტერიტორიაზე, მთელი აფხაზეთის სამთავროს ძირითად ნაწილში ჯერ კიდევ არავინ ლაპარაკობს აფხაზურ ენაზე(1).

ნამდვილად კი საქმის ვითარება სულ სხვაგვარია. ევლია ჩელების მოგზაურობის 11 ტომში, რომელიც გამოეყვლია 1896 — 1897 წ. სტამბოლში და რომელშიაც წარმოდგინდა თურქული ტექსტი სრული სახით, აბაზას (რესპ. აფხაზეთის) ვილაიეთის აღწერისას ევლია ჩელები პირველად ასახელებს ჩაჩების ტომს და შენიშნავს, რომ „ჩაჩები მეგრულადეც ლაპარაკობენ (ერთმანეთში), რადგანაც მდინარე ფაშის ვილა მხარე მთლიანად სამეგრელოაო“.

ევლია ჩელების ჩვენებით, სწორედ ჩაჩები (აფხაზთა ტომი) მეგრულადეც ლაპარაკობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ სხვა, თვითონ საკუთარი ენაც აქვთ (აფხაზური ენა).

ვისთვისაც აფხაზთა ენობრივი განკუთვნილობის საკითხი ასე სადავო იყო, მისთვის მართლაც საინტერესო უნდა ყოფილიყო ევლია ჩელების ცნობები. ევლია ჩელებია ის პირველი მოგზაური, რომელმაც ტომების აღწერასთან ერთად მოგვცა მათი ენის ნიმუშებიც. ევლია ჩელების თავის შრომის სწორედ იმ გვერდებზე, სადაც აფხაზების შესახებ აქვს ლაპარაკი, მოყვანილი აქვს აფხაზურ ენაზე რიცხვითი სახელები და ცალკეული ფრაზები. ევლია ჩელების ჩანაწერები აფხაზური მეტყველების ილუსტრაციის წარმოად-

განმარტების წესით. რედ.

<sup>1</sup> იხ. გვ. 102. ცნობა მოგვაწოდა ს. ჯაქიამ ჩისიფისაც მადლობას მოგახსენებთ.

გენს; ეს ჩანაწერები მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს, როგორც ამ ენის პირველი დოკუმენტურად დადასტურებული მასალა. აფხაზეთი ენის ამ ნიმუშებს საეციალისტები ბზიფური დიალექტის კეთილშობილად მიიჩნევენ<sup>1</sup>, სწორედ იმ დიალექტისა, რომელიც აფხაზეთის სამთავროს ძირითად ნაწილს მოიცავდა.

ამგვარად, ევლია ჩელების მასალა არათუ არ გამოადგება პ. ინგოროყეას თავისი დებულების საფუძვლად, ევლია ჩელების მასალა გამოითქვას პ. ინგოროყეას დებულებას.

მავე მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ევლია ჩელების თანამედროვე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც დეკო 18 წელი სამეგრელოში და დავეტოვა მისი ვრცელი აღწერილობა, სამეგრელოს ტერიტორიის დახასიათებისას წერს: „ყველაზე უკანასკნელი მდინარე არას-კოდორი, რომელიც უნდა იყოს (ძველთა) კორაქსი რადგან კოდორის საზღვრებშია (ძველთა სიტყვით) ერთი მხრით ფაზისი და მეორე მხრით—კორაქსი; როგორც ფაზისი ჰეოფს სამეგრელოს გუბიდან, ისე, კორაქსი ჰეოფს მას აფხაზეთისაგან, და როგორც კორაქსი-გალშია მეგრული იტყვება ქართულად. ისე კორაქსის გალშია იტყვება აფხაზეთურად. აქედან ცხადია, რომ — განაგრძობს არქ. ლამბერტი — მეგრელების კოდორი ძველებური კორაქსია, რადგან კოდორის ვადალფუტ ცხოვრობენ აფხაზები თავისი განსაკუთრებულ ენით“<sup>2</sup> (ზაზი ზენია, — ქ. ლ.).

ამ უკვე ევლია ჩელების თანამედროვის მიერ დატყვევება მითითებული, რომ აფხაზეთში თავისი (აფხაზეთი) ენა აქვს.

პ. ინგოროყეა, როგორც აღნიშნეთ, ზემოთ წართყვებულ დებულების დასამტკიცებლად მხოლოდ ტიპონიმის ანალიზს და ყველა გეოგრაფიკულსაბუნს ქართული წარმოშობისად მიიჩნევს.

მაგრამ ამა თუ იმ ტერმინის ანალიზის დროს ავტორი ანგარიშს არ უწყევს მის მთელ რივ სასიამოვნებს.

ისე მეგ., იმისათვის, რომ მედ. ბზიბი და მისთან დიაფემირებულ სოფლის სახელწოდებებს ბზიბი მათგანის ქართ. სიტყვის „ბზა“ — მზაგლობათ ფორმად (\*ბზები), პ. ინგოროყეა ანგარიშს არ უწყევს ამ ფაქტს, რომ აფხაზეთში მის ეწოდება ბზეფი (მზაფი) და არა ბზიბი. ავტორი არც იმ კიდევს სევას, თუ რატომ არაა ეს ქართული სიტყვა შემონახული ბზეპის სახით, როგორც ეს

მისი ეტიმოლოგიის მიხედვით იყო მოსალოდნელი. მაშინ, როცა ეს დაბოლოებანი გეოგრაფიული სახელები ქართულში ბლომად მოგვეპოება. შდრ. ბოსლები, კოშკები, ბაგები, ქვები და სხვ.<sup>3</sup> საყურადღებოა, რომ ვახუშტიც ამ სახელი ფ თანხმოვნით იცნობს: ზეფუ<sup>4</sup>. ზეფუ მეგრული გამოთქმის მიხედვითაა გადმოცემული და მომდინარეობს ბზეფ-დან.

ნამდვილად კი სახელწოდება ბზეფ უბიბური წარმოშობის სიტყვაა და შედგება ორი ნაწილისაგან: ბზე || ბზი უბიბურიად წყალს აღნიშნავს და სრული კანონზომიერა შედგენა შესატყვისია აღიერი „წყლის“ აღნიშვნელი ფსჰ სიტყვისა; მეორე ფ — ელემენტი<sup>5</sup> კი აფხაზეთ-ადილურ ენებში გავრცელებული ტიპონიმური სუფიქსია (იგ. ჯაგაბიშვილი, ს. ჯანაშია).

უბიბების ყოველ ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება სოჩა პ. ინგოროყეამ მარტივად დიუქეშობა უნდა სიტყვას. სოჯი და ადვილად გადაყვეტა მისი წარმოშობის საკითხი. ამ შემთხვევაში მან სათანადო ანგარიში არ გაუწია ამ სახელის უბიბურ გამოთქმას, სადაც იგი სიჩა-სახეს ატარებს. ასეთი თემის სახელწოდება უბიბებში დღესაც არსებობს. პ. ინგოროყეა, აკრტიყებს რა მეველვართა მოსაზრებას ამოსავლად სიჩა-სახეობის არსებობის შესახებ, წერს: „შიდა-სანიხეთში გვიან ჩამოსახლებულ უბიბთა ტომის მეტყველებია სახელწოდებას „სოჯი“ ცვლილება განუცდია, გადაკეთებული როგორც „სიჩა“. მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში უბიბები სახლობდნენ სოქის-წყლის ხეობის ზემო ნაწილში და მათი თემი „სიჩა“-ს სახელწოდებით ყოფილა ცნობილი, იმ დროს, რადგანაც, სოქის-წყლის ხეობის ქვემო ნაწილს შერჩენილი ჰქონდა ძველი სახელწოდება — სოჯი (უბიბების თემი, ევლია ჩელების, განსხვავებით საერთოდ სოქის თემიდან, აღნიშნული აქვს როგორც „სიჩა“). უფრო გვიან უბიბები ჩამოსახლდნენ სოქის ხეობის ქვემო ნაწილში, სახელწოდება „სიჩა“ მათ გადამოიტანეს ხეობის ქვემო ნაწილზედაც“<sup>6</sup>. არსიდან ჩანს რას ეყარება პ. ინგოროყეას დებულება უბიბების მე-17 საუკუნეში დღევანდელი სოქის შიდაშობილი ჩამოსახლების შესახებ. იმას ხომ არ, რომ ევლია ჩელების ეს სახელწოდება ორი ვარიანტით აქვს ჩაწერილი: „სიჩა“ და Sudja-lar? (მაგრამ არა სოჯი!)

წარმოვიდგინათ, რომ ითქმოლა „სოჯი“ და უბიბებში, როგორც ამას პ. ინგოროყეა ფიქრობს, ეს ქართული სიტყვა გადაიღეს „სიჩა“-დ. საკი-

<sup>1</sup> იხ. А. Н. Генко. О языке убухов. Известия АН СССР. 1929. გვ. 242.

<sup>2</sup> იხ. არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჰუონისი. მეორე გამოცემა, ლეენი ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი. 1938. გვ. 176.

<sup>3</sup> იხ. აკ. შანიძე, „ევ კილომ ძველი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში“. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 111, № 8, 1941, გვ. 763.

<sup>4</sup> ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლამარისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. 1941, გვ. 171.

<sup>5</sup> პ. ინგოროყეა. გეოგრაფიკული მარტული. გვ. 160.

თხავია, ქართ. „სოჭი“ სიტყვის ქ ბგერა რატომ ქ-დგე აღარ გადაიღეს უბიძგებმა ან ჩერქეზებმა, ან აფხაზებმა, რომელთა ენაშიაც უგამონაკლისად ჩ ბგერა ისმის ამ სახელწოდებაში და მაშინ, როდესაც ყველა ამ ენას ქართულზეთ აქვს ქ ბგერა?

ამგვარი საკითხების გაუთვალისწინებლობა შეუწყენარებელია. მიუხედავად ამისა, პ. ინგოროყვა უსავედრებებს საქმეში კარგად ჩახედულ მკვლევარებს: „სოჭის ზემოაღნიშნული ისტორია არა აქვს გათვალისწინებული ზოგიერთ მკვლევარს, რომლებიც ერთმანეთში ურვევებ პირველად ფორმას (სოჭი) და გვიანდელ ფორმას (სანაო)“<sup>1</sup>.

პ. ინგოროყვა თვლის, რომ ჩერქეზი ტომები ტუაფსეში დასახლდნენ მხოლოდ მე-17-18 საუკუნეში, რის შემდეგაც მოდის სახელწოდება ტუაფსე, ხოლო მანამდე ამ პუნქტს ერქვა ქართულ სახელები ლიაი, ლია და წურწუხი (წურწუხი), რომელთაც განმარტავს ლამის მნიშვნელობით<sup>2</sup>.

მის მიერ მოყვანილი წყაროების მიხედვით არა ჩანს, რომ უთუოდ აღნიშნულ ადგილს რქვეოდეს წურწუხი (წურწუხი). თანაც ძველ რუკებზე აღნიშნული *Zuruchli, Sugakho, Susako* — არ იძლევა ამის გარანტიას, რომ აქ უთუოდ წ ბგერა ამოვიკითხოთ: წურწუხი, წურწუხი (და რატომ არა ბერძნები, ჯერჯერობა, სუსაკო და ა. შ.). ასეთი წყიობტვა ნებისმიერია. ასე უნდა იქნეს იგი წყიობტული იმისტომ, რომ დაუკავშირდეს დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში არსებულ სიტყვას — წურწუხი — *члрчхотъ, тина, туха*.

რაც შეეხება ლია, ლია-ს, რომელსაც პ. ინგოროყვა ტუაფსედ აცხადებს, თვით ფეტორის ჩვენბთ ბიანკოს იტალიურ რუკაზე აღნიშნულია *porte de Laio*<sup>3</sup>.

პ. ინგოროყვა კი იმისათვის, რომ მგერ. ლია-ს მიუდგეს ბიანკოს იტალიურ რუკაზე აღნიშნული *Laio*, უერადლებას არ აქცევს ამ სიტყვის ბოლო ი ზნუვანს.

ნამდვილად კი აქ ჩვენ წინ არის სახელწოდება ზღვისპირა პუნქტისა *Лео*-დ წოდებული (აფხაზურ-ჩერქეზულად: ლოუ, ლოუ, ლო).

თვით ამ გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება დაკავშირებულია მთელ აფხაზეთ-ჩერქეზეთში გავრცელებულ ლუქლოუ — გვართან, რომელსაც ჩერქეზული ეტიმოლოგია მიუბოიება (იგი აღნიშნავს: „გარეულ ტახს“ და გამოიყენება სიძლიერის ეპითეტად).

აღნიშნული გვართან ნაწარმოები სოფლისა და თემის სახელები სისტემატურად გვხვდება აზოზეზში და ჩერქეზეზში. არის, მაგ., ფუბანლოუ — ქეთ — „უბანის ლოუ“ — სოფელი; ლოუ-ქეთ-პან — „პატარა ლოუ-სოფელი“ და სხვ. მრავალი.

მდ. აშე-ზე აშენებულ ნავთსადგურისათვის გვლი ჩელებს მოჰყავს სახელწოდება *Ash-e-gali* — მერე ნიწის პ. ინგოროყვა კითხულობს მგერულ „ალო (დელე)“ — სიტყვად<sup>4</sup>.

ჩელების მიერ ნაწერილი *Ash-e-gali* არის ჩერქეზული აშე-კალ(ა), რაც ნიშნავს „აშე-ციხე-ქალაქს“. კალა, ყალა თურქულიდან შეთვისებული ქალაქი, ციხე“ სიტყვაა (მდრ. „სუხუმ-კალა“).

აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ დიდწილ გეოგრაფიულ სახელებში გამოიყოფა თა სუფიქსი: გუდაუ-თა, მამბ-თა და სხვა მრავალი. პ. ინგოროყვას აზრით, ყველა თა სუფიქსის შემცველი გეოგრაფიული სახელი, რაც კი მოიპოვება მის მიერ მოხაზულ ტერიტორიაზე, ქართულია, რადგანაც თა რგანულია ქართული ენისათვის (იგი სახელთა ბრუნვის ნიშნია ქართულად)<sup>5</sup>.

მართლაც, ქართულში გვხვდება გეოგრაფიულ სახელებში თა სუფიქსი — ჩხიკეთა, მოწამეთა და სხვ., მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგი მრავლობითის ნათესაობითის გაგებას გაღმოსცემს. გეოგრაფიულ სახელებში კი ქართულისათვის ჩვეულებრივია ეთ სუფიქსი.

ქართული გეოგრაფიული სახელების-თა სუფიქსი (მოწამე-თა, ჩხიკეთა) და აფხაზურში არსებულ გეოგრაფიული სახელების საწარმოებელი თა სუფიქსი სრულიად განსხვავებული მნიშვნელობას არის<sup>6</sup> და მათ განსხვავებულ ეტიმოლოგიაყ აქვთ.

აფხაზურის თა სუფიქსი აღვლიმდებარობას გამოხატავს. ასე, მაგ., მდინ. ბზუფი-იდან იწარმოება თა სუფიქსით ბზუფ-თა ბზილის ხეობა (აღვლილ); მდინ. მქუშ — მქუშ-თა და ასე შემდეგ.

არა ერთგზის აღნიშნულია, რომ ასეთი აღვლის საწარმოებელი თა სუფიქსი მოვბოვება აფხაზურ ენას.

ამ დაბრკოლების მოხსნას პ. ინგოროყვა იმით ცდილობს, რომ აღსუსთ მეტყველებას ც. ი. აფხაზურ ენას, თა სუფიქსი ქართულიდან შეუთვისებიაო<sup>7</sup>. მეცნიერული საფუძველი ასეთ განცხადებას არა აქვს. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ქართულ გეოგრაფიულ სახელებში არსებულ თა სუფიქსი სრულიად განსხვავებული შინაარსისაა (სახელოს მრავლობის ფორმაზე მიუთითებს), აფხაზურისა კი ადგილის აღნიშვნეულია. კითხვა დგას, როგორღა შეითვისა აფსუსის მეტყველებამ ქართულისაგან თა სუფიქსი, როცა ასეთი სუფიქსი ადგილის გამოსახატავად

<sup>1</sup> იქვე, გვ. 165.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 180.  
<sup>3</sup> იხ. ვ. თოდუბია, „გეოგრაფიულ სახელთა თა სუფიქსისათვის ქართულში. ჩვენი მეცნიერება“, 1924, № 11 — 12 გვ. 7 — 10.  
<sup>4</sup> იხ. პ. ინგოროყვა „ვიორტი მერჩულე“, გვ. 180.

<sup>1</sup> იქვე.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 164.  
<sup>3</sup> იქვე.

თვით ქართულ გეოგრაფიულ სახელებს აწი-  
აქვთ?

გარდა ამისა, მთავარია სწორედ ის, რომ აფხ-  
ხაზურში ეს სუფიქსი მკვიდრი, ამჟამადაც ცო-  
ცხადია და მოქმედი სუფიქსია. „ადგილის“, „სა-  
ცაების“ მნიშვნელობით იგი ფართოდ გამოიყე-  
ნება სხვა შემთხვევებშიც. მაგ., აძახრა — „კერვა“  
აქედან აძახრა(ა)-თა — „სამკერვალო“, „საკერავი  
ადგილი“. აციარა — „ძილი“, აქედან: აციარა(ა)-  
თა — „საწილო ადგილი“, „ქვეშაგებელი“, აცი-  
არა-ჯდომა“, აქედან: აციარა(ა)-თა „საჯდომი  
(ადგილი)“ აუნჯ — „სახლი“, აუნა-თა „კარმიდა-  
მი“, „სახლის ადგილი“; აჯჯა — „მარლი“,  
აჯჯა-თა(ა)-რა — „სამარლი“ „მარილის საცა-  
ვი“ და სხვ. მრ.

თა ცალკეც არსებობს და გამოყენებულია უძ-  
ველეს აფხაზურ სიტყვებში „ფუძის“, „ოჯახის“  
მნიშვნელობით, მაგ., ასას დი-თა-უბ ნიშნავს  
„მას სტუმარი ჰყავს შინ, ოჯახში“; სი-  
რეცა ა-თა-ცა — „პატარალი“ შეიცავს იმავე  
ფუძის, „ოჯახის“ აღნიშვნელ თა-ს. ნიშნავს:  
„ოჯახის რძალი“ (მღრ. ჰანურა. ობორ-ჯა „ყო-  
ლი“, „სახლის რძალი“) და მრ. სხვ.

აღნიშნული თა ფართოდაა აფხაზურ ზმნე-  
ბში გამოყენებული „შოგ“-წინდებულის ფუნქ-  
ციითაც; მაგ., ათა-გალარა — „შოგ (საცემში)  
შეტანა, შელაგება“ და მრავალი სხვა.

ასეთი ფაქტების არსებობის პირობებში განი-  
შეიძლება იმის მტკიცება, რომ თა სუფიქსი აფ-  
ხაზურმა ენამ ქართულიდან შეითვისაო?

ეს აფხაზური თა სუფიქსი ერთგის წყლის აღ-  
ნიშვნელ ფს-ს (ფს. ამის შესახებ ქვემოთ) და  
კიდებთ რთულ -ფს(თა)-სუფიქსს (ზეობის მნი-  
შვნელობით). იგი ჩვეულებრივია გეოგრაფიულ  
სახელებში. ამდენად ამ წარმოების სახელწოდე-  
ბებზეც არ შეიძლება ქართულად მივიხილოთ.

შთქლ რაც შემთხვევაში აფხაზეთ-ჩერქეზეთის  
ტერიტორიაზე არსებული -ნა-ნა დაბოლოებანი  
სახელები 3. ინგოროვის მინჩელი აქვს ქართუ-  
ლად იმ საბუთით, რომ დაბოლოება -ნა გვგვლე-  
ბა ტომონიმიკაში ქართულშიც<sup>1</sup>. ასეთიდაა, მაგა-  
ლითადა, გამოცხადებული გეოგრაფიული სახელ-  
წოდებანი ნაანა, დღენა და სხვა მრ. სანამ  
არ დამტკიცებულა ნაანა, დღენა ფუძითა  
ქართულთა, მანამ ძნელია -ნა სუფიქსის მი-  
ზედებით ისინი ქართულად გამოვაცხადოთ.

არა ერთგვის აღნიშნულა, რომ აფხაზურს  
გეოგრაფიული სახელების საწარმოებლად მოე-  
პოვება -ნა ნ<sub>2</sub> 5 სუფიქსი. ასე აწარმოებს მა-  
გალითად, აფხაზი თვით აფხაზეთის სახელწოდე-  
ბაში — ფს-ნ<sub>2</sub> (ამ სახელის აფხაზურობაში,  
კვიჭრობო, ვჭვის შერტანა შეუძლებელია), აგერ-  
ნ<sub>2</sub> — „სამეგრელო“ (მღრ. აფს-უა, აფხაზი  
აგერ-უა — „მეგრელი“) და სხვა მრავალი.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამოწველილ  
ვთ უნდა იქნეს გამოკვეთილი ამა თუ იმ გეო-

გრაფიულ სახელში ნ(2) აფხაზური ადგილის გა-  
მომხატველი სუფიქსია, თუ ქართული მრავლო-  
ბითის აფიქსი. ამის ვარკვევის ცდაა კი 3. ინგო-  
როვის ნაწარმოში გერ ეზოლობოთ: აგს სხელდ-  
ბით უგულებელყოფს აფხაზური ენის მასალას  
ეტიმოლოგების დროს. კერძოდ, ლიხნი მას  
მრავლობითის ფორმად მიაჩნია. ლიხ-ფუძიდან ნი  
(sic!) ქართული მრავლობითის აღნიშვნელი  
ფორმატორი<sup>1</sup>. ნამდვილად კი 6 აქ აფხაზური  
გეოგრაფიული სახელების საწარმოებელი აფიქ-  
სია და არა მრავლობითობისა. ლიხ მართლაც  
უნდა უკავშირდებოდეს ქართულ ლიხ ფუძეს  
გეოგრაფიულ სახელებში, მაგრამ მას აფხაზური  
დაბოლოება აქვს. რომ ეს აფხაზური 5 სუფიქ-  
სია, იქიდან ჩანს, რომ იგი ავტოლად უნდა  
ფუძეს სათანადო აღამინათა წარმომავლობის სა-  
ხელია წარმოებისას (მღრ. ლუხაა — ლიხ(ნ)-  
ელები (რაც მოსალოდნელი არაა, როცა სუფიქ-  
სი მრავლობითისაა).

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია შემ-  
ჩნებულა, რომ ტომონიმიკაში, კერძოდ, მდინა-  
რეთა სახელწოდებაში დასავლეთ საქართველოს  
ტერიტორიაზე (აჭარა, გურია, სამეგრელო, აფხა-  
ზეთი) გვხვდება ფსა (ფს<sub>2</sub>) დაბოლოების მქონე  
სახელები (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანა-  
შია). ტომონიმიკურ სახელთა ეს ელემენტი სხე-  
ლებით სამართლიანად მიჩნეულია ადიღურ  
(ჩერქეზულ) სიტყვად, სადაც იგი წყალს აღ-  
ნიშნავს და აგრეთვე გამოიყენება როგორც  
რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი წყლის  
მნიშვნელობის გადმოსაცემად.

ს. ჯანაშიას ნაწევები იქვს, თუ რამდენად  
გავრცელებული წარმოება იგი ჩერქეზეთში  
მდინარეების სახელწოდებაში, როგორცია, მაგ.,  
Шелси, Макопсе, Куженс, Псекупс, Хотыпс,  
Челси, Безепс, Курджупс, Чекупс, Псебс,  
Кунипс, Азипс, Афипс, და სხვ.<sup>2</sup>

წყლის აღნიშვნელი ეგვე ელემენტი ს. ჯანა-  
შიას გამოვლენილი აქვს როგორც ამჟამად არსე-  
ბულ, ისე უძველეს ისტორიულ წყაროებში და-  
დასტურებულ სახელწოდებებში აფხაზეთ-აჭარა-  
გურიის ტერიტორიაზე: ლაშ-ფს<sub>2</sub> (აფხაზეთში  
ხეფს || ხუფს (აფხაზეთი), აფს (აფხაზეთი), ვუფს  
„გუშ-ფს; ანონიმი პიზნატეული გეოგრაფის  
ჩვენებით ლაგუმ-ფსა (თანამედროვე აფხაზეთში)  
და სხვ. ანტიკური მწერლობის ავამფის (ჭორო-  
ხი), სუფსა (გურიაში).

ამ აშკარად ჩერქეზულ (ადიღურში) სიტყვის  
დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი  
გავრცელება არ შეიძლებოდა უოფილიყო შემ-  
თხვევითი. მართლაც, ს. ჯანაშიამ იმავე დასა-  
ვლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურა

<sup>1</sup> იქვე, გვ. 151.

<sup>2</sup> ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღურთა) ელე-  
მენტები საქართველოს ტომონიმიკაში. სსრკ  
მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის მოამბე ტ. I,  
№ 8. 1940. გვ. 623 — 627.



სხვა ჩერქეზული წარმოშობის ელემენტებიც ტომონიკაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჩერქეზულზე ყუბა „ხევის“, „ღელის“, „ხეობის“ მნიშვნელობით, რომელიც ცალკე გაგზავნილი და შეტად გავრცელებული ზევის, ღელის, ხეობის გამოსახატავად გეოგრაფიულ სახელებში ჩერქეზეთში (აღიღწევი). ყუბარდოს ტერიტორიაზე ს. ჯანაშიას მოხაყვს შემდეგი სახელწოდებები: ზევი და ადგილი ჭაბაყუბა, ხევი დუ მანაყუბა, ზევი და მთა-ჭაბაყუბა, ზევი და ადგილი შაბალაყუბა, ხევი და მთა შაბაყუბა, ხევი არაბაყუბა, მდ. ვაბაყუბა, მდ. შაბაყუბა, მდ. მანაყუბა („დათვისხევი“) და მრავ. სხვ. იგი გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიულ სახელებში: აგიღაყუბა (მდინარე ხინო-დავას მთებთან), აყუბა (მდინარე ქობულეთთან), მალთაყუბა (მდინარე ფოთთან), ბერეყუბა (ღელის სახელწოდება გურიაში), იმავე აღნაგობის, შემდგომში ქართული სუფიქსებით გართულებულ, სახელებში ჯერეყუბა (გურიაში), ბობოყუბათი (ციხისძირთან) და სხვ.

აღნიშნულისა და რიგი სხვა ფაქტის საფუძველზე ს. ჯანაშიამ დაადგინა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზულ ტომთა ოდინდელი არსებობის ფაქტები; ასეთივე დებულება აქვს დამტკიცებული ივ. ჯავახიშვილის სპეციალურ შრომაში<sup>2</sup>. ეს დებულება ქართული და სხვა კავასიული ტომების უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობის მტკიცე მონაბოჯარს წარმოადგენს.

ბ. ინგოროყვის აზრით, სახელწოდებებში ლავრუსა, ნიკოფსისი ფსა (ფსა) ქართული წყლის აღმნიშვნელი სიტყვაა, რამდენადაც იგივე გვაქვს მდ. ფასისისა (ფაზისი) და urina-ს სახელწოდებაში; იგი ძველი ქართული სიტყვაა იქიდან ჩანს, რომ მას მრავალგვარი განმტობება მოეპოვება ქართულში და ასახელებს: „ფსა“ — „წყარო, წყალი“; ფსანი — „მრავალი ფსა“, ფსა-ტილა „თოვლანარვი“; ფოსო, „ფოსვი“ — „დაღრმობილი“, წყლავანი ადგილი. შეგარულად ფსი ა მიემართება ადიღებულ მდინარეს, აღნიშნავს წყლის დიდრობას, დიდწყლიანობას<sup>3</sup>.

ჯერ ერთი, ფასისის „წყლის“ აღმნიშვნელ ფსა-სთან მიმართების საკითხი იბრუნებოდა მეცნიერებაში, შვებრამ ვადაწყვეტილი არ არის.

იგი ფუთ-ფუჭისთანაც ამოღანებს კავშირს! ასეთი კავშირი აღნიშნულ სიტყვებისა რომ დადასტურდეს კიდევ, იგი არ გამოვლენა ჯავახიშვილ-ჯანაშიას ზემოაღნიშნული დებულების უარსაყოფად და ფს-ს ადღრმობის (ჩერქეზულობის) საწინააღმდეგოდ, რადგანაც საკითხი ეხება იმ ტერიტორიის, სადაც სწორედ მოსალოდნელია ჩერქეზული ელემენტების არსებობა. urina-ს სახელწოდებაში ფს-ს გამოვლენა არ შეიძლება სერიოზულ საბუთად გამოვლენა ქართულში წყლის აღმნიშვნელი ფს-ძირის არსებობის შესახებ.

ბ. ინგოროყვის მიერ მოყვანილი წყლის აღმნიშვნელი ფსა მგერულში ჩვენ არ ვიცით, ურველ შემთხვევაში, ბ. ინგოროყვა მის წყაროს არ უჩვენებს. ფოსო, ფოსვი კიდევ, რომელიც ბ. ინგოროყვის ასევე წყლის აღმნიშვნელ ფს-თან აქვს დაკავშირებული, საბას განმარტებით, არის მცირე „დაღრმობილი“ — არც მეტი არც ნაკლები ინტერპრეტაცია „წყლოვანი ადგილი“ თვით ბ. ინგოროყვის გუთუნის და სიტყვის ძირითად მნიშვნელობასთან მის არაფერი აქვს საერთო. იგი ფოსო-ს აღმნიშვნელია იმ გაგებით, რა გაგებითაც დღესაც ვიცნობთ ამ სიტყვას.

რაც შეეხება ფსა, ფსანი, იგი მართლაც წყლის ცნებას უკავშირდება და ამ კონტექსტში განიხილავს კიდევ მას ივ. ჯავახიშვილი<sup>2</sup>. შვებრამ ზემოთ საკითხი ეხება არა ფს-ს, არამედ — ფსა-ს, რაც ამჟამად ჩერქეზული სიტყვაა, ვარდა ამისა ფსა (ფსა) — ასეთი მნიშვნელობით გეოგრაფიული სახელების საწარმოებლად ქართულში არ იცის.

მიუხედავად ზემოთყვანილი ექვიპოტანელი მტკიცებისა, რომ ფს ადიღურ (ჩერქეზულ) ნიშნავს პოულობს ახსნას; ასეთი სიტყვა „წყლის“ მნიშვნელობით მხოლოდ ამ ენებს მოეპოვებათ, და, რომ იგი მხოლოდ ამ ენებშია, როგორც წესი, მდინარეთა სახელების საწარმოებლად გავრცელებული და დასავლეთ საქართველოს ტომონიკაში ამდენადვე მას ჩერქეზული ეტიმოლოგია აქვს, ბ. ინგოროყვა წერს: „ეს შეხედულება, რომელიც ასეთის კატეგორიულობით არის წარმოდგენილი, არ შეეფერება სინამდვილეს“<sup>3</sup>. ამასთან დაკავშირებით ბ. ინგოროყვა შენიშნავს: „საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება გამოტანა ასეთი უდიდესი მნიშვნელობის დასკვნებისა, რომლებიც ხალხის ცნობიერების ძირითად საყვანაში საკითხებს ეხება, — ასეთის საბუთიანობით, სულ რამდენიმე სიტყვის (არსებითად სამი სიტყვის) საეჭვო ეტიმოლოგიის (?!) კ. ლ.) საფუძველზე“<sup>3</sup>. ამას წერს ის ავტორი, რომელიც თვითონ არაერთხელ ანგა-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 626.

<sup>2</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი. Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и ближнего Востока древней эпохи Вестник древней истории, 1939. № 4 стр. 42 — 45.

<sup>3</sup> ბ. ინგოროყვა, გიორგი მერნულე, გვ. 185 — 185.

<sup>1</sup> იხ. ს. ჯანაშიას დასახელებული წერილი გვ. 626 — 627.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავასიისა და მხლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრაბლემები. 1950. გვ. 34 — 35.

<sup>3</sup> გვ. 184 — 185.

რომს არ უწევს ფაქტების ჩვენებას „ხალხების“ ისტორიის მართლაც ურთულესი და ძირითადი საკვანძო საკითხების გადაჭრისას“. ზემოთ სამი სიტყვის სავეკო გეომოლოგიის სახელით კი არ იყო, არამედ, როგორც მკითხველი შენიშნავდა, ზუსტად დადგენილ სიტუაციაში შენელობისა და ტოპონიმურ სახელთა წარმოების მთელი სასტეგისა.

3. ინგოროვის აზრით, „ჩერქეზულ ენაზე სიტყვა „ფიჲ“ აღნიშნავს წყალს, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოდინარეობს“<sup>1</sup>. „რომ ამჟვე ძირის სიტყვა ჩვენ გვხვდება აგრეთვე ჩერქეზულშიც ახსენება იმით, რომ — წერს პ. ინგოროსა — ჩერქეზული ერთგვარ (!) ქ. ლ.) ნათესაობაში იმყოფება ქართულიან (საერთო წარმოშობის სიტყვები არა ერთი და ორი მიიზივება ქართულსა და ჩერქეზულში), ანდა, შეესაძლოა იმათაც, რომ ეს სიტყვა ჩერქეზულში ნასესხებია ქართულიდან“<sup>2</sup>.

ქართული და ჩერქეზული მონათესავე ენებისა და მრავალი საერთო ძირი აქვთ, მაგრამ წყალსიტყვის ეს სახობა ფს (ფსა) საკუთრივ ჩერქეზულია. ამიტომ უდავლადია იმის თქმა, რომ ფს-გვხვდება აგრეთვე ჩერქეზულშიც“. როგორც სიტყვა, ისე მისი ტოპონიმიაში გამოყენება ჩერქეზული ენისათვის დამახასიათებელი წესითაა შემოიყვანა სიტყვებში წარმოდგენილი. რაც უნდა ქართულიდან ჩერქეზულში ამ სიტყვის ნასესხობობას, ვასაკვირია, როგორ შეიძლება ასეთი რამის დაშვება მაშინ, როდესაც ასეთი სიტყვა თვით ქართულში არცა ვაქვს.

მთელი რიგი გეოგრაფიული სახელები 3. ინგოროსაჲს ქართულად აქვს ჩაივლილი მხოლოდ იმის გამო, რომ სხვა ქართულ სახელებს მოჰყავსო მგა, მოქვი, ისეთივეა, როგორც თმოგვი, ჩაქვი და სხვა.

განა ეს საკმარისია მეცნიერული საბუთთანობისათვის? არ უნდა გაირკვეს მოქვიმ ქვ თუ გომოიყვანა, მო რაღა არის, ქართულად რას ნიშნავს? ან ჩაქვიმ ჩა რას ნიშნავს და სხვა?

განა მეცნიერულად შეიძლება მივიჩნიოთ ატორის ქვემოთყვანილი მსჯელობა, რომლითაც იგი ცდილობს ალაკო-ს (ააკუ) ქართულობის დამტკიცებას? „ქართული წყაროების ჩვენების თანხმად, — წერს პ. ინგოროსა, — ალაკო-ს-ყალი ეწოდებოდა მდინარეს გუდაუთის რაიონში. სახელწოდება მომდინარეობს სოფლის სახელიდან ალაკო (ამ სოფელს ამჟამად ეწოდება ააკი). შეადარეთ სახელწოდება ალაკო (ალაკი) და გეოგრაფიული სახელწოდებანი შიდა საქართველოში: ატაკი, დიკი, აზგაკი, აგრეთვე ბოცო (ბოცო-ხევი, ამჟამად ფოცხოვი)“<sup>3</sup>.

საქმეში ჩაბედული მკითხველისათვის, ფიქტობით, აქ კომენტარები ზედმეტია.

პ. ინგოროვის მიზნად დაუსახავს აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ყველა-საქელი ქართულად გამოაცხადოს და ამისთვის იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც ამა თუ იმ სახელის ქართული ეტიმოლოგიის დროს წამოიჭრება, უგაზულბულოვს აფხაზურ-უბიხურ-ჩერქეზულ ენათა მონაცემებს ამ სახელწოდებათა ახსნისას. ამდენადვე მის მიერ მოცემული ახსნი გეოგრაფიული სახელებისა მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს, ისევე როგორც ფაქტების უარყოფაზეა დამყარებული მისი მტყიცება, თითქმის აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზურ ენაზე მეტყველო ხალხს ჩნდება მხოლოდ მე-17 საუკ. მეორე ნახევრიდან.

კითხვა ისმის, როგორია საქმის ნამდვილი ვითარება? არავითარ ექვს არ იწევს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოიპოვება მრავალი გეოგრაფიული სახელი უდავოდ ქართული წარმოშობისა, ბევრი მათგანი საერთოდ ცნობილია. მგა, ცნობილია, რომ ცხუმს (ახლანდელი სოხუმი) ქართული წარმოშობისაა, მას მოჰყოლება კანონზომიერა მეგრულ-ქანური შიშინა შესატყვისი. ამჟვე დროს, მისი ქართულობის დამადასტურებელია ამ სახელწოდებაში ქართულისათვის ჩვეულებრივი ცხ კომპლექსის არსებობა, რაც აფხაზურისათვის დამახასიათებელი არ არის. როგორც ცნობილია, სოხუმის ამ ძველი ცხუმცხომ ფუძიდან არის ნაწარმოები ქართული გვაჩეხი-ელ და არ სუფიქსებით: ცხომ-ელი-ძე; ცხომ-არი-ი.

ალარაფერს გამოშობთ ისეთი სახელთა ქართულურ წარმოშობაზე, როგორცაი: დალიძა, ტყურუ, მუხური, წყურგილა, ჯიხახორა და სხვ.

ბევრი სახელი ურთიღლებას იქცევს მართლაც თავისი ქართული დაბალოებით: კვიტული, მერხეული და მისთანები.

ბევრი გეოგრაფიული სახელი, რომლებიც პ. ინგოროსს მოჰყავს და ზოგიც სხვა, აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიძლება ქართული აღმოჩნდეს და ეს სრულებითაც არ არის მოულოდნელი, რადგანაც აფხაზეთი საქართველოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველსა და აფხაზ ტომებს ერთად ხანგრძლივად უცხოვრიათ (მაგრამ ეს არავითარ უფლებას არ გვაძლევს დავასკვნოთ აფხაზეთისა და აფხაზური სახელწოდებების იქ არ არსებობს შესახებ).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აფხაზ ტომებს მკითხრი ურთიერთობა მჭირდება არა მხოლოდ კომპაქტურად დასახლებულ მეგრულ ტომთან, არამედ საკუთრივ ქართულ ენაზე მოლაპარაკებებთანაც. ამასთან დაკავშირებით ურთიღლებას იქცევს ის გარემოება, რომ რაც უფრო მივიწვივთ აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილო ნაწილისკენ, მით უფრო ნაკლებ შეიმჩნევა მეგრულის გავლენა და თავს იჩენს ქართულის გავ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 185.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> გვ. 180.

ღენა. ამ საკითხებთან დაკავშირებით არა ერთ-ვის გამოთქვამს მოსაზრება ს. ჯანიასი ამის შესახებ, რომ ბზფერ მტყვევლების ქართული ენის ისეთი ფაქტები ახასიათებს, რომლებიც უცხოა უფრო სამხრეთით მდებარე აბეუის მტყვევლებისათვის, რომელზედაც მეგრულის გავლენა ჭარბობს.

წყენი მზრეც უერთადღება გენდა მივაქცოთ ამ მიმართულებით ზოგ ფაქტს. აფხაზური ენის დიალექტებს ჭართველურ ენებიდან აქვს შეთვისებული, მაგალითად, „ხერხის“ სახელწოდება. აბეუერ დიალექტში, რომელიც უშუალოდ ეკვრის სამეგრელოს, იგი გამოითქმის „ახტარხა“-ის სახით. ამ სახეობას საფუძვლად უდევს ხერხის მრავალე ვარიანტი ხორხი — აფხ. ხტარხა (ი იძლევა ძა-ს), მაშინ როდესაც ბზფერ დიალექტში იგივე სიტყვა გამოითქმის ახა ა რ. ხა-ად. ამ სახეობას კი საფუძვლად უდევს ქართული სახეობა ხერხი. (ქართ. ე იძლევა ძ-ს).

„სომინდის“ სახელწოდებას აბეუერ დიალექტში გავრცელებულია „აფში“. ბზფერის დიალექტი კი სომინდისათვის იყენებს ქართულიდან შესულ სიტყვის აჯკურეა (აჯჭურეა). ქართული ჯღჭურა ნაწარმოებია ჯჭ — სიტყვიდან, რომელიც თავის მხრივ შეიძლება უკავშირდებოდეს ჯჭ-თა ტომის სახელს. ურა სუფიქსი ქართული წარმოშობისაა. იმერეთში ჯიჭურა ნიშნავს სომინდის მსგავს „უოცხის მცენარეს“. ქართულიდან იგი შესულა აფხაზურის ჩრდილოურ — ბზფერ — დიალექტში. ამას ნათელიყოფს ამ სიტყვის როგორც ქართ. — ურ სუფიქსი, ისე მისი დამოლოება — ეა. ჯერ კიდევ პ. ჭარბას აქვს გარკვეული, რომ აფხაზურში ეა დამოლოების შიქნე სიტყვები ნასესხებია (უშთაგრესად ქართულისაგან შდრ. აჭუბეა (კოპე), ავალეა (კალა), აბალრეა (აბალარ) — „ბელერა“, აფუაჭურეა „გორგოლა“ და მრ. სხვ. საფლესისმო ისაა, რომ აჯიჭურეა (ისე როგორც სხვა ეა დამოლოებებიან სიტყვები) ბზფერში შესულა ქართული სახელობითის ი სუფიქსითურთ.

ამავე თვალსაზრისითვე საყურადღებოა, რომ ბირიქითა აფხაზების აშხარელთა ტომში, რომელიც ამჟამად ჩრდილოეთ კავკასიაში მდ. იფრ-ჯუღის სანაპიროზე ცხოვრობს, აქედან ვადაიტანა გვართა ქართული ძე — ძა დამოლოება: ედუ-ფმა, კოვლა (კილაქ), აფტე, ეცმა. ამავე გვართა რუსულად გამოთქმისას ისინი ძა-ს ჩამაწორობენ და აფხაზურ ბა-ს ურთავენ: Кялба, Агба, Екба და სხვ.<sup>1</sup>

ენობილია, რომ აფხაზები, ისევე როგორც ძველ საქართველოში შემაველი სხვა ტომები, ქართული კულტურის გავლენას განიცდიდნენ, მერილობით ენა აფხაზეთის სამთავროს გარკვეული ეპოქიდან ქართული ჰქონდა. ამის გა-

მო, ცხადია, არა ერთი და ორი ხიტყვა უშუალო აფხაზურში, მაგრამ ზემოთყვანილი ფაქტები მარტო კულტურული გავლენის შედეგის საჩანაძე. ასეთი გავლენები აფხაზ და ურთაველურ ტომთა შვიდრო, უშუალო კონტაქტის შედეგი უნდა იყოს.

ტომთა გარკვეულ მოძრაობებს აღვლილი ჰქონდა, უნდა ვიფიქროთ, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ აფხაზეთშიც. ქართველ ტომებსაც თავისი ნაკველვი დიუნჩეგვით როგორც აფხაზურ ენაზე, ისე აფხაზეთის ტომონი-მიკაზე, მაგრამ ეს იმის როდი ნიშნავს, რომ აფხაზეთ ტომები აქ არ სახლობდნენ და ისინი ქართველ ტომებს ხვდებიან მხოლოდ მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მაშინ როცა, თითქმის ისინი დედამოდიან აქ ჩრდილოეთ კავკასიიდან.

არავითარი უტყუარი ისტორიული საბუთი ამ დებულებისათვის არ მოიპოვება. ენობრივი ფაქტები კი საწინააღმდეგავს ამტკიცებენ.

ჩრდილოეთ კავკასიაში ამჟამად სახლობს აფხაზური მოვლემის ორი ტომი (აბაზეთა): აშხარელები და ტაპანთელები. აშხარელებზე შედარებით გვიან XVIII — XIX საუკუნეების მანძილზე არიან გადასული აფხაზეთიდან (და ეს დასტურდება ამ ხანის მოგზაურთა ჩვენებებით), ტაპანთელები კი უფრო ძველი მკვიდრები ჩანან ჩრდილო კავკასიისა. როგორც ბოლომდელ სამეცნიერო ლიტერატურაშია გარკვეული, ტაპანთელები აფხაზეთიდან არიან გადასული ჩრდილოეთ კავკასიაში გაცილებით უფრო ადრე. უნდა. ა. გენჯის აზრით, არა უფვიანეს XIV საუკუნისა.

აშხარელების მსგავსად ტაპანთელებიც აფხაზეთიდან, კერძოდ იმ ტერიტორიიდან, სადაც ისინი ქართველ ტომებს ხვდებოდნენ, რომ არიან გადასული ჩრდილოეთ კავკასიაში, ნათელი ხდება ენობრივი მონაცემების საფუძველზე.

ტაპანთელებს აქედან წაუღიათ ქართულიდან საკმაოდ ძველად შეთვისებული სიტყვები, როგორცაა, მაგალითად: არ — „ჯარი“, შდრ. ძე. ქართული ე რ ი (ეს სიტყვა ქართულიდან შეთვისებული გვხვდება ყველა აფხაზურ კოლოშია გან — ქართ. ვანი (ესეც ყველა აფხაზურ კოლოშია შესული); ჩტა — ა + თისაგან [ქართ. „თივა“] ქართულში თივა-მ აფხაზურში ხმოვნის რედუქციის საფუძველზე მოგვცა ა + თია. თი ბვერა ტაპანთურში ვადაიტანა საერთოდ ყველა სიტყვაში ჩტ-დ, ამიტვად, ქართულში თივა-მ იქ ჩტ-სა საზე მიიღო).

ამ რიგის ფაქტები სხვაეც ბვერი დასტურდება. ეს ამკარას ხდის, რომ ტაპანთელებს ეს სიტყვები შეიძლებოდა ქართულიდან შეეთვისებინათ ქართული ენის უშუალო გავლენის შედეგად, მის უშუალო მუზობლად ყოფნის დროს აფხაზეთის ტერიტორიაზე. სხვა ახსნა გამოიჩინებულია, რადგანაც არც ერთ ჩრდილო კავკასიის ტომს, ტაპანთელების გვერდით მოსახლეს, ეს სიტყვები არ მოგპოვება. ამკარაა, ტაპანთელებში ისინი

<sup>1</sup> იხ. აფრონის: აშხარელი დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-ბაზურ დიალექტთა შორის. 1954 წ. გვ. 224.

აქედან წაიღეს. ეს უტყუარი ფაქტია ქართლის აფხაზურზე ძველი გავლენისა.

ასეთი ფაქტების არსებობის პირობებში ვანა შეიძლება იმის მტკიცება, რომ აფხაზი ტომები ქართველებთან ერთად მხოლოდ მე-17 საუკუნეში იწყებენ ცხოვრებას?

როგორც ენობრივმა ფაქტებმა დადასტურეს, აფხაზურ ენაზე შეტყვევლ ტომებს, პ. ინგოროყვის მტკიცების საწინააღმდეგოდ, ქართველ ტომებთან ჰქონია უძველესი მჭიდრო ურთიერთობა. ამ ურთიერთობის შედეგად შეიმჩნევა აფხაზურის უდავო გავლენა ქართველურ ენებზე არა მხოლოდ ლექსიკაში, არამედ მორფოლოგიის გარკვეულ უბნებშიც.

კერძოდ, ვარგა ხანია ყურადღებას იქცევს (პ. ვარააა, არნ. ჩიქობავა) მეგრულ-ქართლის ზნეში აფხაზური წარმოშობის წინდებულების არსებობა და მასთან დაკავშირებით სტატეური ზნეების ფუძის აფხაზურ უაღაზე ავება. ქართულში, როგორც წესი, მდგომარეობის გამოხატველი (სტატიკური) ზნეები წინდებულოვან ელემენტს არ დაირთავს; მაგ., არ შეიძლება წინდებულო ჰქონდეს „ზის“, „წევს“, „სძინავს“ და მსგავს ზნეებს. ქართული ამ შემთხვევაში იცავს სტატიკური ზნეების უძველეს ნორმას. მაგრამ მეგრულ-ქართლში იგივე სტატიკური ზნეები ამ მხრივ არსებითად განსხვავდება ქართლის სათანადო ზნეებისაგან: მეგრულ-ქართლ სტატიკური ზნეები წარმოდგენილია სხვადასხვა წინდებულოთ, მაგ., „ხე“, „ზის“, მაგრამ ალა-ხე — „გვერდი-ზის“, მი-თო-ზე — „შიგ-ზის“, ვი-მა-ხე „რანედმე ზის“, ა-შა-ზე — „შორის ზის“ და სხვ. ეს სისტემა მეგრულ-ქართლ სტატიკური ზნეებისა შედგენილია აფხაზურის გავლენით. სისტემის გარდა, აფხაზურია აქ თვით წინდებულოვანი მასალა, შდრ. აფხ. დ-ტიოუბ — „ზის“, მაგრამ დ-რ-გ-ლა-ტიოუბ — „შორის, შიგ ზის“ დ-თ-ტიოუბ — „რამეში შიგ ზის“ და სხვ. ამ რიგის ფაქტები ენაში უბრალო გავლენის შედეგი არ არის. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აფხაზურ სუსტრატთან მეგრულ-ქართლში. ეს ფაქტი შორეული წარსულის ფაქტია და აღნიშნულ ტომთა უძველეს მჭიდრო კონტაქტზე მიუთითებს.

ამის შემდეგ იმის განცხადება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზები მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდებიან, სრული გუუგებრობაა, უგულებელყოფა თანამედროვე მეც-

ნიერების უდავო საგულისხმო მიღწევების. (მხედველობაში გვაქვს ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშვიის და სხვათა დებულებები) და ექსპანსიონეზმა ფაქტიურ მონაცემებს.

ჩვენ აქ განვიხილოთ აფხაზურ ენაზე შეტყვევლი ხალხის დასახლების ზოგი საკითხი. ფაქტიურ ვითარებასა და დოკუმენტურად დადასტურებულ ცნობებს ეწინააღმდეგება პ. ინგოროყვის მტკიცება, თითქმის აფხაზურ ენაზე შეტყვევლი ხალხი საქართველოს ტერიტორიაზე მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში იყოს ჩამოსახლებული.

თავისი დებულების დასადასტურებლად პ. ინგოროყვის მიერ წარმოდგენილი ახსნა ტომონიმიკის მეტწილ შემთხვევაში მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს, მაკარ ლინგვისტიკურ ანალიზს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ბლომადა გვაქვს ქართული ეტიმოლოგიის მქონე უძველესი ტომონიმიკური სახელები (და ეს სახელები ბუნებრივად, მაგრამ აქვე მდიდრადვეა წარმოდგენილი აფხაზური (და საერთოდ აფხაზურ-უბიხურ-აიღურთ) უძველესი გეოგრაფიული სახელები.)

აფხაზეთის სამეფო თავისი შინაარსით იყო ქართული სამეფო. სხვა აზრი არ ჰქონია ამის შესახებ ამ საკითხის არც ერთ სერიოზულ მკვლევარს, ეს აუცილებლობით გამომდინარობს სათანადო ფაქტებიდან, მაგრამ ეს როდი გულისხმობს იმას, რომ ამ ქართულ სახელმწიფოებზე ერთეულში არ შედიოდნენ და არ მონაწილეობდნენ აფხაზები (აფხაზურ ენაზე შეტყვევლი ტომებიც), ისევე როგორც მეგრულ-ქანებში და სვანებში. პირიქით, ქართული კულტურის მაღალი დონის მაჩვენებელია აღნიშნულ ეპოქაში სწორედ ის ფაქტი, რომ აფხაზეთის შესვერებში ქართული კულტურის წარმომადგენლები არიან და ქართული ენის როგორც კულტურის მძლავრი იარაღის გამოყენებით მეტოქეობას უწყვეტ მანამდე დასავლეთ საქართველოში ამ აღნიშნულებით გამოყენებულ ბერძნულ ენას.

პ. ინგოროყვა უგულებელყოფს იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ქართველები და აფხაზები მონათესავე ხალხებია; რომ შთაი მონათესავე ენები შეიცავენ უძველეს საერთო წარმოშობის ენობრივ მასალას; უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ამ ხალხებს ერთიანი ისტორია ჰქონდათ, რაც დაკავშირებული იყო მათ უძველეს ერთ-ერთ წარმოშობასთან.



# ღირიკუძლი პოეზიის ზომბიერთი საკითხი

(თამარ ქილაძის „ლექსების“ წიგნთან დაკავშირებით)

იყო დრო, როდესაც ლირიკული ლექსის გა-  
მოწინააღმდეგებელი ლიტერატურულ პრესაში იშვი-  
ლიანად შექმნილი წარმოდგენილი. თვით ტერმინი  
„ინტიმური ლირიკა“ იმ წლებში ერთგვარ უხერ-  
ხულად და გაღიზიანების გრძნობას იწვევდა  
ზოგიერთში, თითქმის ლაპარაკი იყო საბჭოთა  
ლიტერატურისათვის რაღაც უკანონო და მავნე,  
ან, ყოველ შემთხვევაში, სახიფათო მოვლენის  
შესახებ.

ეს დრო, მიუხედავად მისი არცთუ ისე დიდი  
სიმშრისა, უკვე განვილი ეტაპად იქცა ჩვენ-  
თვის და ალბათ სამუდამოდ ჩამარბდა „ისტორი-  
ული წარსულს“.

ლირიკულ პოეზიას დღეს ნამდვილად ფართო  
ასპარეზი აქვს გაშლილი. „ლიტერატურული  
ვახუშტის“ და „მნათობის“ თითქმის ყოველ ნო-  
მერში შეხედვებით ინტიმურ თემაზე დაწერილ  
არა ერთ ნაწარმოებს.

ლირიკის ასეთი მოკარბება ბოლო წლებში იმ-  
დენად თვალსაჩინო გახდა, რომ მან უკვე ერთ-  
გვარი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ჩვენი  
ლიტერატორების, კერძოდ ახალგაზრდა კრიტი-  
კოსების ერთ ნაწილში.

რადგან ლირიკულ პოეზიის წინააღმდეგ პირ-  
დაპირ ბრძოლა დღეს დაბლოცებით ისევე არა სა-  
ზარბიელოა კრიტიკოსის რეპუტაციისათვის, რო-  
გორც თავის დროზე არაბუნსაყრელი იყო მისი  
დაცვა, ამიტომ ზოგიერთნი (სრულიად საფუ-  
ძელიანად) ამჯობინებენ, თავიანთი თავი ლირი-  
კის მეგობრებად გამოაცხადონ, საქმით კი კვლავ  
განაგრძობენ მის წინააღმდეგ ბრძოლას ისეთივე  
„ველი“ და დრომოჭმელი შეთხედებით.

უკანასკნელ ხანებში, მგალობლად, იყო ისეთი  
შემთხვევა, როდესაც თანამედროვე ქართული  
ლირიკული პოეზიის წინააღმდეგ მიტანილ იქნა  
ჯაფთარებული იერიში ეთიოპია „იდეურობის“  
დროში.

ეს თავისთავად არც არის გასაკვირი. საკითხი  
ჩვენი პოეზიის და, სავსებით, ლიტერატურის  
იდეურობის შესახებ დღესაც ერთობ მწვავედ  
დგას. თუ დაკვირვებით გადავხედავთ არა მარტო  
ქართულ, არამედ მივლი საბჭოთა ლიტერატუ-  
რის განვითარებას ამ ბოლო წლებში, ძნელი არ  
იქნება იმის შემჩნევა, რომ ამჟამად საკმაოდ მო-  
წინააღმდეგე ნიადაგი ახალი პრინციპული კამათისა-

თვის ჩვენი პოეზიის იდეური შინაარსის შესა-  
ხებ.

მართლაც, არ შეიძლება არ შევინაშნოთ, რომ  
ცალკეული ქართველი პოეტებისა და, განსაკუთ-  
რებით, ახალგაზრდების შემოქმედებაში ბოლო  
დროს ძალიან ყრულ ელერს მოკალაქობრივი  
მოტივები. ზოლო თუკი ვილაპარაკებთ პოეზიის  
იდეურობაზე, ამ სიტყვის ფართო გაგებით, გუ-  
ლისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ საქართვე-  
ლოს პოეტური ახალგაზრდობის უმრავლესობამ  
ჯერ კიდევ ვერ გაამართლა დიდი მოლოდინი  
ჩვენი მკითხველებისა, რომელთაც სამართლი-  
ანად სურათ დაინახონ მათ ნაწარმოებში ჩვენი სო-  
ციალური ფართო და ღრმა განზოგადება, ჩვენი  
თანამედროვე ადამიანის სულიერი ყოფის ამსა-  
ხველი ახალი პოეტური აზრები და იდეები. ამის  
ემთხვევა ისიც, რომ ახალგაზრდა პოეტთა მნი-  
შვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ  
უგრძენია ის დიდი პოეტური პასუხისმგებლობა  
თავისი მკითხველების მიმართ, რომელიც გან-  
საკუთრებით საჭიროა დღეს ჩვენი ხალხის კულ-  
ტურულ მოთხოვნებთან შესაბამისად ამაღლე-  
ბის პირობებში.

ჩვენს პარტიულ პრესაში სამართლიანად იყო  
აღნიშნული, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა ავტო-  
რი საჭიროდ არ თვლის პოეტურ ნაწარმოებზე  
სერიოზულ შემოხებას და ხელის აუკანაყლებლად  
სთავაზობს მკითხველს ყველაფერს, რაც კი მას  
კალმის ერთი მოსმით შეუქმნია.

ერთი შეხედვით, თუ ნაწარმოები სუსტი  
და ნაკლოვანია, მისი კრიტიკა სწორი და  
სამართლიანი უნდა იყოს. სამწუხაროდ, სინამ-  
დღელეში პირიქითაც ხდება. და ეს მაშინ როდეს-  
აც ლირიკული პოეზიის განხილვისას არ არის  
გათვალისწინებული მხატვრული ლიტერატურის  
ამ თავისებური თანარის სპეციფიკური ხასიათი,  
ის განსაკუთრებული სურათები, რომლებიც  
მას გააჩნია სხვა ლიტერატურულ თანართან  
განსხვავებით.

ასე, მავალითად, როდესაც ლაპარაკია ინტი-  
მურ ლირიკაზე (განსაკუთრებით ისეთ ლექსებზე,  
რომელთა მთავარი თემა სოციალური ან ბუნე-  
რის დაწერა) ზოგიერთი კრიტიკოსი სასიკვდილო  
ცოდვად უთვლის პოეტებს იმ გარემოებას, რომ  
მათს შემოქმედებაში არ ჩანან საბჭოთა ადამი-  
ანების სახეები ან კიდევ დახატული არ არის თა-

ნამედროვე სოფლის პეიზაჟი ტრაქტორებით, კომბაინებით და ა. შ.

ასეთმა კრიტიკამ ზოგიერთ გამოუცდელ ლირიკოსს პოეტის შეიძლება მართლა აფიჭრებისოს, რომ ამიერიდან მისი გამოსწორების ერთადერთი საშუალებაა მშენებლისა და კოლმურნების პორტრეტების, მათი შრომისა და წარმოების სურათების გულმოდგინე ხატვა.

ასეთი თეორიული კონსტრუქცია ჩვენი აზრით, უბრალო გაუგებრობის (ან შეიძლება ევოცობის) ნაყოფი უნდა იყოს. იმ კრიტიკოსთათვის, რომლებიც ლირიკულ პოეზიაში საბჭოთა ადამიანების სახეთა და ხასიათთა ასახვას მოითხოვენ, ზედმეტად არ იქნებოდა ზოგიერთი ელემენტარული კუშპირტების ცოდნა.

უჩიგო არ იქნებოდა, სახელდობრ იმის გათვალისწინება, რომ ლირიკულ პოეზიაში, საერთოდ, ადამიანის სახე და ხასიათი და, კერძოდ, თანამედროვე საბჭოთა ადამიანის ხასიათი იასახება უბირველეს ყოვლისა თვით ავტორის ან — თუ მიღებულ ტერმინოლოგიას მივმართავთ — ლირიკული გმირის პიროვნებაში.

ამაშეა, სხვათაშორის, ერთ-ერთი თავისებურება ჩვენი დროის უნიკიერესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ლირიკული ლექსებისა, სიდიდნაც ზემოხსენებულ კრიტიკოსებს ხშირად, ცოტა არ იყოს, უდავლოდ მოჰყავთ ციტატები.

ჩვენი ახალგაზრდა პოეტების ლირიკული ლექსების მთავარი სისუსტე იმით კი არ არის გამოწვეული, რომ მათში პეიზაჟი ყოველთვის არაა გაიცხლებული საბჭოთა ადამიანების სახეებით, როგორც ამაში ზოგიერთნი გვარწმუნებენ; ამ სისუსტის მიზეზი ცოტა უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ. უბედურება იმაშია, რომ ამ ლექსების ლირიკული გმირი იშვიათად გვეჩვენება იმ მაღალ და მდიდარი ხელოვანი სამყაროს გამომახტველად, რომელიც ჩვენი მოწინავე თანამედროვე ადამიანისათვის არის დამახასიათებელი.

ბოლოსაც ამა თუ იმ ლირიკული ნაწარმოების იდეურობის საკითხს ვარჩევთ, პირველ რიგში სწორედ ეს სახომი უნდა იქნეს გამოყენებული კრიტიკიმიად.

სხვაგვარად შეიძლება იდეურობის დიდი და რთული პრობლემა გადავამკოთ თემატიკის შედარებით მარტივ და ვიწრო საკითხად. ეჭვს გარეშეა, რომ ორივე ეს ცნება მკიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ მაინც პრინციპული ლიტერატურული კრიტიკის ინტერესები მოითხოვენ, როგორც იტყვიან, ყოველ საგანს თავისი სახელი ვუწოდოთ.

ზოგიერთი ახალგაზრდა კრიტიკოსის ლოგიკის კი იქამდე მივყავართ, თითქოს საერთოდ არ შეიძლებოდეს „იდეური“ ლექსის დაწერა სივარდლის თემაზე ან ბუნების შესახებ, თითქოს სა-

ტრფილო ლირიკაში საერთოდ შეუძლებელი იყოს „ჩვენი თანამედროვის სახის დახატვა“.

ჩვენ ლიტერატურათა წრეებში ხრლდის დროს ბევრი მწერალი სიტყვა ითქვამდა დასამბუტებელი კრიტიკის მისამართით. სხვა მაინც თვისებებთან ერთად ასეთ კრიტიკას ერთი საზიანო მხარეც გააჩნია; ზერელე და დაუსაბუთებელ მტკიცებას ხშირად შეუძლია სათანადო გუნებრობის გამოწვევა. ასე, მაგალითად, ერთი ახალგაზრდა კრიტიკოსი ამას წინათ წერდა, რომ ჩვენი პოეტების დიდი ნაკლია, რომ „მათი შთაგონების სიგნალ ხშირად იქცევიან შემთხვევითი, ფართო ინტერესოკლებული ამბები“.

ამ კრიტიკულმა დებულებამ ასეთი გავშიფრავი სახით, როგორითაც იგი შესატყვის ადგილას გვხვდება, არ შეიძლება უქმაყოფილების გარწობა არ გამოიწვიოს შეთხვევებში, რომელთაც უკერ კიდევ ვარგად ახსოვთ ზოგიერთი ფრიად არასასიამოვნო ფაქტი ჩვენი ლიტერატურის ახლო წარსულიდან. ზომ არავისათვის არ შეაუგენს საიდუმლოებას, რომ გარკვეული დროის განმავლობაში უკონფლიქტობისა და სხვა მცდარ თორიათა გავლენით ზოგიერთი ზედმეტად თავგამოღებული კრიტიკოსი სასტიკად უკრძალავდა ჩვენი პოეზიას საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრების ისეთი მხარეების გამოქვეყნებას, რომლებიც, მათი სიტყვით, „შემთხვევითი და არასაინტერესო“ იყო მკითხველებისათვის.

სამედროედ, ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ პოეტური თემატიკის ასეთ დეკრეტირებას არ შეეძლო მოვლენა, და ვერც მოახდინა, დადებითი გავლენა საბჭოთა და, კერძოდ, ქართული ლიტერატურის განვითარებაზე.

მწერლის პოეტური პირიზონტის ზელოვნურ შეზღუდვას არასდროს არავითარი სიტყვი არ მოუტანია მსოფლიოს არც ერთი ლიტერატურისათვის.

კუშპირტი იდეურობა ლიტერატურაში კი არ გამოიციბავს, არამედ გულისხმობს ჩვენი სინამდვილის ფართო და პერსპექტიულ ასახვას, კი არ კმაილავს, არამედ, პირიქით, კატეგორიულად მოითხოვს საბჭოთა ადამიანის ყოველმხრივ ჩვენებას მისი სულიერი განვითარების რთულ პროცესში. საერთოდ, ლიტერატურისადმი და ხელოვნებისადმი ვადაქარბებულმა მწერვეობამ ზოგიერთი, სქემატურად შიზაროვნე, თეორეტიკოსის მხრივ საგრძნობი ზიანი მიაყენა არა ერთი ჩვენი საკმაოდ ნიჭიერი და გამოჩენილი ხელოვნის შემოქმედებასაც კი.

თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგია, მისი ინტელექტუალური და ემოციური სამყარო ძალიან რთულია და მრავალმხრივი.

ამ მოსაზრებას ყოველი საბჭოთა ლიტერატორი და მხატვარი ვაიზიარებს. მაგრამ ჩვენი ხელოვნების ცოცხალ პრაქტიკაში ეს გარემოება ძალიან ხშირად იყო მივიწყებული.

საკვირველი არ უნდა იყოს ყოველივე ამის შემდეგ, რომ დღეს სამკოთა ლიტერატურაში უაქროდ, ლირიკულ პოეზიაში შემინევა ერთგვარი ვარდებულება, უფრო სწორად, მობრუნება აღამიანის შინაგანი, სულიერი სამყაროსაკენ, განსაკუთრებულად გაცხოველებული ინტერესი ე. წ. ინტიმური თემებისადმი, ამ სიტყვის ფართო გაგებით.

ეს არ არის ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადაჯარღნი, როგორც ეს შეიძლება ზოგიერთს მოეჩვენოს. ეს არის სრულად ბუნებრივი რეაქცია ყოველივე იმ სტემატიკური და შემზღულდავი ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობდნენ ჩვენი ლიტერატურის განვითარებაში.

ასევე შეიძლება აიხსნას ნაწილობრივ ქართული ახალგაზრდა პოეტების დღევანდელი გატაცება ლირიკული, ინტიმური პოეზიით. თავისთავად აქ არაფერი არ არის სახიფათო, ჩვენ გვგანია აქ უფრო ნაყოფიერი ბუნება მშვიდი და სერიოზული დეკლარაცია ამ პრაქტიკულ, უფრო მეტი ნიშნის გამოჩენა და უფრო ღრმა ანალიზის ცდა, ვიდრე ნაადრევად გაჩვენის ატეხა და თითქოს ქნევა.

რამდენიმე ხნის წინათ სახელგანთქა გამოსცა სპინი ახალგაზრდა პოეტის — ალექსანდრე ბეგაშვილის, შოთა ნიშინიანიძისა და თამაზ ჭილაძის ლექსების პირველი წიგნები. თვითუფრო მათგანი სერიოზული ყურადღების ღირსია და აღმათ სათანადო გამოხმაურებას გამოიწვევს ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში. ჩვენ გვინდა აქ შევჩერდეთ მხოლოდ თამაზ ჭილაძის ლექსებზე.

თამაზ ჭილაძის სახელს უკვე იცნობს ქართული მკითხველი. იგი იბეჭდებოდა „პირველი სხივის“ ფურცლებზე და ჩვენს პერიოდულ ლიტერატურულ პრესაში. გარდა ამისა, „მნათობში“ გამოქვეყნდა მისი წერილი — „ოთხი პოეტი“, რომელიც შეიძლება სამშაგალითად ჩიათილოს ჩვენი ახალგაზრდა პოეტებისათვის. ასეთი პროფესიული ლაბარაკი და აზრთა გაზიარება უფროდ საჭიროა ახალი ლიტერატურული თაობის წარმომადგენელთა შორის. იგი აუცილებელი ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფეროს შესაქმნელი და იმ ინდიფერენტული, ცოტა არ იყოს, ეგოცენტრული განწყობილების ვასაფანტაგად, რომელიც ბევრ ჩვენ დამწყებ ავტორს თითქოს თანდაუყოლილი აქვს.

ამ წერილის შესახებ ჩვენ შეიძლება სკვადროსად მოვიხილეს ლაბარაკი, ზოლო, რაც შეეხება თამაზ ჭილაძის ცალკე წიგნად გამოქვეყნებულ ლექსების კრებულს, უნდა ითქვას, რომ მათ კარგი ხელი ეწიათ. ამ კრებულში ისინი უფრო კარგ, უფრო დიდ და მთლიან შთაბეჭდილებას ტოვებენ, ვიდრე მანძი, როდესაც მათ ცალკეველ გამოდიოდნენ. აქ ისინი თითქოს ერთმანეთს აესებენ და ამის გამო მოკლებული არიან იმ ერთგვარ ფრაგმენტურობას, რომელიც ადრე შეიძლება გვემოდი თვალიში.

უპირველეს ყოვლისა, გვინდა შევნიშნათ, რომ ამ პირველი წიგნიდან, თ. ჭილაძე წარმოადგენდა როგორც წმინდა წყლის ღირსიონის — პოეტისა და სწორედ ასე, მხოლოდ მანათობში შეიძლება მისი გაგება და მისი შემოქმედების შესახებ ლაბარაკი.

ამ კრებულთან გაეცნობისას ჩვენ გავგახსენდა გიორგი ლონიძის ერთი უკანასკნელი საჯარო გამოცხადება. სამუხარბოდ, ამ გამოცხადების ტექსტი ხელთ არა გვაქვს, ამიტომ მხოლოდ დაახლოებით შეგვიძლია მისი ერთი ადგილის მოყვანი. თუ ლექსი ვერაფერში ვერ მოგზაობდა აღამიანს, — ამბობდა გ. ლონიძე, — ვერ გაიმხნევეს მის ჭირში, ვერ შთავიფინებს შრომაში, თუ იგი არ ვახსენებდა ახალგაზრდა კაცს, როდესაც ის შეეცარებოდა და თავისი სიყვარულის განდობა სურს, ასეთ ლექსს არავითარი ფასი არა აქვს.

როდესაც თ. ჭილაძის საუკეთესო ლექსებს კითხულობ, ზნობად გინდა თავი დანებო ვიწრო ლიტერატურულ ტერმინოლოგიას და სთქვა უბრალოდ: ეს არის ნამდვილად კარგი, სსინამოფერო, ლამაზი ლექსები, ლექსები რომლებიც ნათელ, ამოდლებულ განწყობილებას ბადებენ აღამიანში.

ზოგიერთი მთავანი მკითხველში ავტორისათვის ყველაზე უფრო სასურველ რეაქციასაც კი იწვევს. ასეთია, ჩვენი აზრით, ის შთაბეჭდილება, რომელიც ლექსის წაკითხვის შემდეგ მისი მშრალი და ფხიზლი ვარბევის სურვილს კი არ აღგიძრავს, არამედ ერთი უწყით მიიწი მოგანდომებს ამავე განწყობილებით ნაყარნახებ საპასუხო ლექსის დაწერას.

ვფიქრობთ, ყოველივე ეს იმით არის გამოწვეული, რომ თ. ჭილაძის ლექსები რადიუსს ეტუნებინან თანამედროვე აღამიანის არა მხოლოდ გემოვნებას, არამედ მის გულსაც, რაღაცნაირად ეტმობრუნებან მის გრძობებს და გინცლებს, მის განწყობილებას.

თ. ჭილაძის ლექსებში ყველაზე მთავარსა და მნიშვნელოვანს სწორედ ლირიკული განწყობილება წარმოადგენს. თითქმის ყველა ლექსში ავტორის მთავარი მიზანია, ერთი მხრივ, რაც შეიძლება ზუსტად, ყველა ნიუანსით გაღმოსცეს თავისი, პირადი განცდა, ზოლო, მეორე მხრივ (და ეს აღმათ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მისთვის) შესატყვისი განწყობილება შეუქმნას მკითხველს. აი ამისი მთავალით:

ფიქვებმა ქალკას უბე იფესეს  
წახვედი უბნოდ ნისლიან დარში  
● და თითქოს საღდაც უცხო საღგურზე  
ჩამოვედი და სულ მარტო დავრჩი...

სწორედ ეს ტენდენცია, ეს შეგნებულა მისწრაფება, — იმოქმედოს არა იმდენად მკითხველის ინტელექტზე, არამედ მის ემოციებზე, — წარმოადგენს იმ მთავარ ნიშანთვისებას, რომელიც ჩვენ ნებას გვძლევს ვილაბარაკით თამაზ ჭი-

ლადის შეადიოდ გამოყვანებულ ლირიკულ ნიჭზე.

მიუხედავად ამ დიდი გულსყურისა, საყუარის სულიერი სამყაროსადმი თ. ჭილაძის პოეზია პაიტი არ წარმოგვიდგება, როგორც იტყვიან, „აეტროსის პიროვნების ვიწრო ნაჭკუში გამოწყვედილი“, რადგანაც მას ახასიათებს ცხოველი ინტერესი ვარეშე მატერიალური სამყაროსადმიც, რაღაც სოციალური ვატაცეზა და სიყვარული ბუნების მიმართ.

თუ ერთი ცნობილი ლიტერატურული მოსაზრების თავისუფალ პერიფრაზირებას მივმართავთ, შეიძლება ითქვას, რომ ბუნება წარმოადგენს თ. ჭილაძის ლირიკის არა მხოლოდ ფონს, არამედ მისი პოეტური სახეების შთავაზარს ნაწილს.

ბუნების პოეტური აღქმა თ. ჭილაძის შემოქმედებაში — ეს არის რაღაც ტუბილი, უშთავრესად ხალისიანი განცდა. ბუნება მისთვის დამახლბულია თითქმის მხოლოდამხოლოდ სანდო, კეთილი და ნათელი ძალებით, ეს აგრძნობა თუნდაც შემდეგს სტრიქონებში:

დაწვევებით, მკერდზე ვეკრობით მიწას  
თბილია იგი, ფიჭქიცი გავეითბო  
თითქოს აქამდე აქ ვილაღ იწვა  
მერე წყავიდა და ჩვენ დავეითბო.

ბუნების კეთილ ძალთა სიმბოლოდ გვევლინება ლექსში — „ვავა“ ვავა-ფშაველს ზღაპრული ფიგურა, რომელმაც წყებაში დაბნეულ მგზავრებს „წამოაზნოა ჯიხვის ტყავები“.

მაშინაც კი, როდესაც თ. ჭილაძის ლექსში აგრძნობა ერთგვარი მოწყენა ან დარდი, იგი არ ვადაზრდება ბნელ უიმედობაში, კეშანში. ეს არის მაინც ნათელი განწყობა, ჯანმრთელი სულის დროებითა ჯავრი, რომელსაც თავის მიზეზად აქვს სრულიად ბუნებრივი კონკრეტული შთაბეჭდილება:

გემები წავლენ განთიადისას  
და გააღვიძებს ტალღებს საყვირი  
შეიშფუშნება ძილში ნაპირი  
გემები წავლენ განთიადისას...  
სუსხიან დილით, ნაცყისფერ დილით  
კვლავ ცარიელი დაგვხვდება პორტი  
ვილაცა შესწვდა წისვლისას ფოთოლს  
და მაგნილის ქანაიბს ტრატო.  
გემები წავლენ განთიადისას  
დაბრუნდებიან ვინ იცის როდის...

ამ სტრიქონების აეტროსი რომელიმე კრიტიკოსმა შეიძლება პესიმიზმი, ან რაიმე უფრო სახიფათო ცოცხა დასწამოს.

მაგრამ რა ოპტიმისტი უნდა იყოს აღმამიანი, რომ მან ამ ლექსში აღწერილი სურათის ხილვისას დახლოებით ასეთივე უნებლიე დარდა არ განიცადოს. განა ეს რაიმე უწინააღმდეგეა

ჩვენი აღმამიანის სულიერ სიმართლეს ან მის ხალისიან მსოფლშეგარანებას?

თ. ჭილაძის, როგორც პოეტის ცხატეშე სამყაროსადმი დამოკიდებულება „ტრანს“ თანმიმდებრი ნიშნით ხასიათდება. ბუნების სურათი მას თითქმის არასოდეს არ შემოაქვს ლექსში უშუალოდ (როგორც, მაგალითად, ეს დამახასიათებელია მ. შავგვარიაშის შემოქმედებისათვის), სანამ მას თავისი პოეტური შთაგონების საკმაოდ სქელ პრიზმში არ გაატარებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ახალგაზრდა პოეტი ერთგვარად აღამაზნებს, აპოეტურებს ბუნებას, და ეს არც არის ვასაკვიარი, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ბუნება მისთვის წარმოადგენს არა იმდენად ფონს, რამდენადც ერთგვარ საჭერწმ მასიას პოეტური სახის შესაქმნელად.

მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ მის ზოგიერთ ლექსში იგრძნობა ერთგვარი ხელოვნურობის ეფემერტი, ვარკვეული ძალდატანება მსალაზე. იგი თითქმის განგუბ აპატარაუებს, ხედმეტად რანდაეს და აშალაშინებს საგნებს, რომ ისინი თავის ლექსის ვიწრო კალამოტში ჩაატოის.

სხვათაშორის, თ. ჭილაძის ლექსების ვარგუნული ზომა, მათი სიმციერე თავისთავად არ შეიძლება მის მიზეზად ჩიოთვალოს. შესაძლებელია, მხატვრამ, — თუ მას პერსპექტივის, სიღრმის ვადმოკვების უნარი ვაანია, — პატარა ტილოზედაც კი ისე დაწეროს თავისი სურათი, რომ ჩვენ მასში დიდი შინაგანი სივრცე ვიგრძნობთ. ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ ეს პატარა სურათი თითქოს მთლიანად ფარავს ჩვენი მხედვლობის არეს და ჩვენ ვეღარ ვაშინვეთ მის ვიწრო ჩარჩოებს, ე. ი. მის პირობით მისშტაბებს.

სამწუხაროდ, თ. ჭილაძე ყველა თავის ლექსში ვერ აღწევს ასეთ ეფექტს და მის მინიატურულ ლექსებში, მიუხედავად მათი რეტორიკატული სიღრმისა, მაინც ხანდახან შეინიშნება ეს ვიწრო პირობითი ჩარჩოები. ამ მხრივ თ. ჭილაძისათვის დამახასიათებელია მისი ერთი ლექსი — „ჩინური ფინჯანი“:

ფინჯანი მოხატეს დალილიმა თითებმა:  
ბამბუკის ქალა და ცისფერი მდინარე,  
კეთიელი სახლები, მალაღ თოთები,  
ფერმეტალი დილა და ვაგონა მცინარე,  
შვევრვალი — მუღამ რომ სხივები ეყარა,  
შვევრვალი — შხრებით რომ ცისკარი ატარა...  
და როგორც ლამაზი, ზღაპრული ქვეყანა  
შენ ისე მარტე ფინჯანი პატარა.

ძნელია იმის თქმა შეგნებულად სწადიოდ ამას აეტროსი თუ არა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ ლექსში ნაწილობრივ მაინც გამომოდგენებულია მისი პოეტური კრედი: თამაზ ჭილაძის ლექსებიდანაც ჩვენ ხშირად წარმოგვიდგება ასეთივე ლამაზი, თავისებურად „ზღაპრული“ ქვეყანა, რომელმაც არ შეიძლება არ მოგხიბლოს, არ ავადღუნოს თავისი ნათელი და გამჭვირვალე ფერთი ცვალებით.



მეგრამ როგორც ამ ლექსში აღწერილი ჩინური მინიატურა, თ. ჭილაძის ლირიკული სამყაროც ჯერ კიდევ ძალზე ვიწროა და ნაწილობრივ — დეკორატიული.

შეიძლება ნაადრავი იყოს ახალგაზრდა პოეტისათვის ესოდენ დიდი პრეტენზიების წაყენება, შეიძლება მისთვის, მისი ლირიკული ნიჭისთვის საერთოდ მიუღებელია, არაბუნებრივია ფართო მასშტაბიანი პოეტური ფერწერა?

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება თ. ჭილაძის გულწრფელობაში, მის პოეტურ უშუალობაში. თითქმის ყოველი მისი ლექსი წარმოადგენს მისივე სულის, მისი პიროვნების ორგანულ ნაწილს, მეგრამ, სამწუხაროდ, ეს არის მხოლოდ ერთი, პატარა, მინიატურული ნაწილი, რომელიც თითქოს ხელოვნურად არის გამოყოფილი პოეტის შინაგანი სამყაროდან. ჩვენ ასე ვფიქრობთ, რადგანაც შეუძლებელია ჩვენი დროის ცოტად თუ ბევრად გონებაგახსნილი, განათლებული ადამიანი ცხოვრობდეს მხოლოდ მამოხლოვებულ უმკველად პოეტური, მეგრამ მაინც საგრძნობლად ვიწრო, შეზღუდულ ინტერესებით, რომელთა ანარეკლი ამ კრებულში იკრძნობა.

საბუნებრივად, ჩვენ პირადად ვიცნობთ ამ წიგნის ავტორს და ვიცით, რომ ეს ასე არ არის. მას რაით შეიძლება ახსნას მისი პოეტური პოინტიზმის ასეთი სივიწროვე? ჩვენი აზრით, ეს გამაოგნებელია იმ მკვლარი შეხედულებით პოეზიის და, კერძოდ, ლირიკის მიმართ, რომელიც პოლო დროს თავს იჩენს ბევრი ჩვენი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში.

ეს არის ერთგვარი თვითშეზღუდვის ტენდენცია, საკუთარი პიროვნებისადმი რაღაც გარკვეული უნდობლობის ტენდენცია.

ჭეშმარიტი პოეზია ვერ იტანს ცალმხრივობას, იგი ვერ კმაყოფილდება ნაწილობრივი, ძუნწად მოხშილი შენაწირით.

თუ პოეტს დარწმუნებელია თავისი პიროვნების პოეტურობაში, მან იგი მთლიანად უნდა მიიტანოს პოეზიის სამსჯავროზე, თავისი სულის არც ერთი ნაწილი არ უნდა დაიმუროს მისთვის.

ნუთუ შეეძლება ამ ხნის განმავლობაში, რაც ეს ლექსები იწერებოდა, პეტს არაფერს არ აუღლებია ავტორი, ნუთუ მეტი არაფერი არ დამჩნევია ლაღად მის სულსა და შეგნების?

შესაძლებელია ლექსში, ლირიკაში მიზანშეწონილი იყოს ადამიანის ვეცლა, ყოველდღიური განცდის, პირდაპირი გადმოცემა მეგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენ თ. ჭილაძის პოეზიაში მათ შორეულ ანარეკლსაც კი ვერ ვხედავთ.

ჩვენ ვცხოვრობთ უადრესად დაძაბულ, მღელვარე და წინააღმდეგობებით სავსე დროში. ეს არის ეპოქა, რომელიც არავითარ შეღავათს არ

პირდება ადამიანის სულს, ერთი წუთითაც კი არ აძლევს მას საშუალებას, რომ იგი სიმშვიდეს ან ინერტულობას მიეცეს. იგი, ღმირი იჭრება ადამიანის ფსიქოლოგიაში, შეუზღაბლებლად მსხვრევს ძველ, დრომოქმულ წარმოდგენებს და ყოველდღე რაღაც ახალი შემოაქვს მასში.

ჩვენ გვინდა ჩვენს ახალგაზრდა პოეტებს მოვავროთ მაგალითი თანამედროვე რუსული პოეზიის, განსაკუთრებით, მისი ახალი თაობის წარმომადგენლებისა, რომლებიც პოლო დროს დიდ შემოქმედებით გამბედაობას იჩენენ და ხშირად თავს უსწორებენ ჩვენი თანამედროვეობის ვეცლაზე უფრო მძიმე მოვლენებსა და საკითხებს, რომელთა გამოზნეულება წინათ „უებრზულად“ ითვლებოდა.

ჩვენ გვინდა იქ გავიხსენოთ ევგენი ევტუშენკოს ზოგიერთი უკანასკნელი ლექსი, რომლებშიც დიდი პირდაპირობით არის ლაპარაკი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის ამაღლებულ მთელ რიგ ამბებზე. ამ ახალგაზრდა პოეტმა, სხვათა მოკრეს, მოძებნა პოეტურად ძალიან ზუსტის სიტყვები თანამედროვე ადამიანის სულღიერ განწყობილების გადმოსაქცედა:

Но не забыть тревогу века.  
Себя в дороге торопа,  
Нам от раздумий не уехать.  
Как не уехать от себя.

აი, ეს საუკუნის მღელვარება, ეს „Тревога века“, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ იგრძნობა ჩვენი ახალი თაობის პოეტების შემოქმედებაში. ვიმედოვნებთ, რომ ამას ისე არ გავვიგებენ, თითქოს ჩვენ გვინდოდეს ევტუშენკოს პოეტური ფიგურის გაზოადება ან ეცდილობდეთ, წინთველ პოეტებს თავზე მოვახვიოთ მისი შემოქმედების მხატვრული თავისებურება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თ. ჭილაძეს თვისი ნიჭის სპეციფიკურობით თითქმის არაფერი არა აქვს საერთო ამ პოეტთან; მეგრამ ეს უფლებას არ აძლევს მას, ვეგრძლი აუზვიოს ჩვენი დროის ადამიანთა ფიქრებს და განცდებს და უპირველეს ყოვლისა, თავის საკუთარ ფიქრებს და განცდებს.

როდესაც მის ზოგიერთ ლექსს კითხულობთ, ასე გჩვენებათ, თითქოს, ახალგაზრდა პოეტს მოუგნია რაღაც მშვიდი და მყუდრო ნაესაუღარისათვის და იქ აპირებს დროებით თავის შეფარებას და დასვენებას.

ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ იგი მომავალში გამედულად გააყვანს თავის პოეზიის ცხოვრების უფრო დიდ, უფრო ფართო და ქარტილიან გზებზე.



# ნაკლებგავრცელებულის ტიპიურობის საკითხებისათვის

ტიპურობის საკითხი ერთ-ერთი მთავარი საკითხია ლიტერატურის თეორიაში. ამ საკითხთან დაკავშირებით შრავალი წერილი გამოქვეყნდა, მაგრამ მათ შორის რაოდენობრივად მცირეა ნაკლებგავრცელებულის ტიპიურობის საკითხთან დაკავშირებული სტატიები. ნაკლებგავრცელებულის ტიპიურობის საკითხი ერთობ აქტუალური საკითხია და სათანადო ყურადღების მიქცევას მოითხოვს.

ამით აიხსნება, რომ აღმზრდელია მუშაობა გულისხმობს არა მარტო მშრომელის აღზრდას, არამედ მოწინავე საბჭოთა კულტურული დანიშნის აღზრდას, კომუნისტის აღზრდას. მოწინავე საბჭოთა დანიშნის — კომუნისტის ცნება კი მხოლოდ შრომის სიყვარულისა და შრომის ცოდნას როდი გულისხმობს. კომუნისტის ცნებაში იგულისხმება აგრეთვე დანიშნის მოწინავე მეცნიერული მსოფლმხედველობით, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით, დანიშნის, აღზრდელი კომუნისტური შრომის პრინციპებზე, მაღალგანვითარებული მატერიალური გემოვნებით და საერთო სულიერი და ფიზიკური კულტურით.

შრომითი აღზრდა, მართალია, კომუნისტური აღზრდის ძირითადი პირობაა, მაგრამ იგი სრულდება არა მხოლოდ კომუნისტური აღზრდის ყველა ფორმისა და საშუალებას. იგი განიხილება როგორც კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი ფორმის — მატერიალური აღზრდის ერთ-ერთი პრინციპი, ე. ი. უნდა არსებობდეს მატერიალური აღზრდის სხვა პრინციპები და კომუნისტური აღზრდის სხვა ფორმები.

მატერიალური მოქმედების პრინციპებს, შორის საერთოდ, შეისწავლას სპეციალური ფილოსოფიური მეცნიერება — ეთიკა, ხოლო აღზრდის ფორმებსა და საშუალებებს შეისწავლას სპეციალური მეცნიერება — პედაგოგია.

აღვილა მისახედრია კავშირი და ურთიერთობა ამ ორ მეცნიერებას შორის. თუ ეთიკა შეისწავლის რა არის მორალი, როგორ წარმოიშვა და განვითარდა იგი, როგორი ნიშნებით ხასიათდება თანამედროვე პროგრესული მორალი და როგორ განვითარდება ის მომავალში, — პედაგოგია შეისწავლის იმას, თუ როგორ უნდა აღზრდით ახალგაზრდა თაობა და საერთოდ მოსახლეობა ამ მოწინავე, პროგრესული მორალის სულსკვეთებით აღზრდის როგორც სამუშაოებში არსებობს; როგორია მათი ეფექტურობა და როგორ ეიმოქმედით აღზრდის ამა თუ იმ კონკრეტული ამოცანის განხორციელებისათვის.

როცა ამ ორი მეცნიერების კავშირსა და ერთიანობაზე ვედაბრკობით, ისინი ერთმანეთში არ

1 შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ემსახურება პარტიის ზრუნვა ახალგაზრდობის ტექნიკური სწავლების გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით არსებობს ჩვენში შრომითი რეზერვების სისტემის ამაღლებული ფართო ქსელი. ამავე მიზნის ემსახურება პოლიტექნიკური სწავლება, რაც, სამუშაოდ, ჯერ კიდევ არ არის დაიწყებული XX-როგან სიმაღლესზე.

უნდა იფეროთ. უნდა გვახსოვდეს, რომ გვაქვს საკითხთა ორი რიგი: ერთია ეთიკური, მეორე კი — პედაგოგიური საკითხი.

პოპულარული ხასიათის ბროშურებასა და სტუმბებში ზოირად საკითხთა ეს ორი სხვადასხვა რიგი ერთმანეთთან არეულია. ეს არ უნდა იქნას გამართლებელი; ზოლი მათი ერთიერთიგანში განხილვა ზოგჯერ იუცოლებელია. აქ, როცა ვმსჯელობდით ეთიკურ საკითხზე, კერძოდ კომუნისტური მორალის ერთ-ერთ პრინციპზე — შრომისაღმა შეგნებულ დამოკლებულებზე, ზვენი გადავდით კომუნისტური აღზრდის საკითხზე საერთოდ, ანუ პედაგოგიურ საკითხზე. კომუნისტური აღზრდის ფორმების სისტემატიზაცია და მათი შინაარსის ანალიზი სწორედ პედაგოგიის საქმეა.

ზემოთ ჩვენი ვთქვით, რომ კომუნისტის ცნებაში იფელისხვევა მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღებულა, კომუნისტური მორალის, მალალი მხატვრული გემოვნებისა და საერთო კულტურის შქონე შრომული ადამიანი. აქედან შეგვიძლია მივედიოთოთ. თუ კომუნისტური აღზრდის რა ძირითადი ფორმებია უნდა ასხეობოდეს. ასეთ ფორმებად უნდა მივიხინოთ: გონებრივი აღზრდა, პოლიტეკნიკური განათლება, ზეგობრივი აღზრდა. მხატვრული ანუ ესთეტიკური აღზრდა, სპორტული აღზრდა და ორგანიზაციულ-პოლიტიკური წრითობა, როგორც გარკვეული ჩვეუბნისა და გამოცდლების შექენის, აღზრდის ფორმა. მწელი არაა იმის დანახვა, თუ რა როლს ასრულებს აღზრდის ამ ფორმებში გონებრივი აღზრდა, რომლის განხილვაზეც ეხლა გადავდივართ.

• • •

გონებრივი აღზრდა გელისხმობს განათლებას საერთოდ, მაგრამ მისი ასხეობითი შინაარსი მსოფლ მხედველობა რივი აღზრდაა. ამ მომენტის აღნიშვნა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შეგვიძლია ვილაპარაკოთ გონებრივი და მსოფლმხედველობრივი აღზრდის ერთიანობაზე.

ცნობილია, რომ მსოფლმხედველობა და გონება არ ემთხვევა ერთმანეთს, ანუ ისინი ერთი და იგივე არ არიან. მაშასადამე, არც მსოფლმხედველობრივი და გონებრივი აღზრდა არ უნდა იყოს ერთი და იგივე. მაგრამ თუ ვითვალისწინებთ ამ განსხვავებას და, მიუხედავად ამისა, შეინც მათ ერთიანობაზე ვლაპარაკობთ, მაშინ, ყოფილა რალა მოტეგი, არგუმენტი, მისახრება, რაც ამართლებს ამ ერთიანობას. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეს მისახრება, ეს არგუმენტი უნდა ითხნას, რათა შესაძლებელი გახდეს გონებრივი აღზრდის შინაარსის ანალიზი. მაშასადამე, აქ საკითხია მსოფლმხედველობისა და გონების განსხვავებისა და ერთიანობის ჩვენება.

მსოფლმხედველობა, როგორ ვიცით, არის სინამდვილის მოვლენებზე ადამიანის ზოგად შეხე-

დულებათა მწყობრი სისტემა. რაც უფრო სწორი, მეცნიერული შეხედულება აქვს ადამიანს სინამდვილის ამა თუ იმ მოვლენაზე, მით უფრო სწორი, მეცნიერული იქნება მისი მსოფლმხედველობა, ე. ი. მსოფლმხედველობა არის რალაც გარკვეული ცოდნის, უმნიშვნელოვანესი პრინციპული დებულებების ერთგვარი სისტემური ფლობა. სწორი არ იქნებოდა მსოფლმხედველობის დაცვანა ცოდნის მხოლოდ ერთგვარ რაოდენობრივ განსაზღვრამდე, აქ ცოდნის თვისებრივი მხარეც არის და ამ მომენტის აღნიშვნა იუცოლებელია; ე. ი. მსოფლმხედველობა საბოლოო ანგარიშით არის გარკვეული ცოდნა, გარკვეული რაოდენობრივად, ისე თვისებრივად.

მსოფლმხედველობა, როგორ ზოგად ცოდნათა გარკვეული სისტემა, არის გასაღები იმისა, თუ როგორ უნდა შეაფასოს ადამიანმა სინამდვილის მოვლენება. აქ არსებობდა ორი რამეც არ არის, არამედ თითო ამ შეფასებაშია სწორედ მსოფლმხედველობა. როგორი მსოფლმხედველობა აქვს ამა თუ იმ პიროვნებას, ამას გათვებით სწორედ იმის მიხედვით, თუ როგორ აფასებს იგი მოვლენებს ბუნების, საზოგადოებისა თუ აზროვნების სფეროდან.

თუ მსოფლმხედველობა არის ადამიანის ზოგადი შეხედულება მის გარემომცველ მოვლენებზე, ანუ სუბიექტის შეხედულება ობიექტზე, მაშინ, ერთი შეხედვით, მსოფლმხედველობა თითქოს იმდენი უნდა იყოს, რამდენი ადამიანიცაა. მსოფლმხედველობის სუბიექტურობა თითქოს ამათ უნდა მელაენდებოდეს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ყოველ სუბიექტს რომ თავისებურია, აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულება ჰქონდეს გარემომცველ სინამდვილეზე, მაშინ ადამიანები ერთმანეთს ან ვერ გააგებინებდნენ ვერაფერს, ან კიდევ ვერასოდეს ვერ შეთანხმდებოდნენ ვერაფერში და მიიღებდით „ენათა ბაბილონურ აღრევას“.

ასე არ ხდება სწორედ იმიტომ, რომ მსოფლმხედველობა არის ცოდნა, სუბიექტის შეხედულება ობიექტზე, ზოლი ეს ცოდნა, ეს სუბიექტური, ყოველთვის საგნით, ობიექტურით არის განსაზღვრული. და თუ განსაზღვრული, ანუ ობიექტური ყველა სუბიექტისათვის ერთი და იგივეა, მაშინ არ შეიძლება, რომ ეს ცოდნა, ეს შეხედულებები ერთმანეთს არ ჰგავდნენ.

შეცდომა იქნებოდა ლაპარაკი მათ აბსოლუტურ იგივეობაზე, რამდენადაც სუბიექტურის

1 შეხედულებათა ასეთი აბსოლუტური იგივეობის მოთხოვნა არის საფუძველი ყოველგვარი დოგმატიზმისა და ანაქრევის რეჟიმისა შეცნიერებაში, რასაც კიდევ ერთხელ და, შეიძლება ითქვას, მეტად საგრძობლად შეურყიო საფუძველი პარტიის XX ყრილობამ. საკითხია ეს ჯანსაღი ტენდენცია სწორად იქნეს განვითარებული.

შემდეგ თავის ელფერს აძლევს ყოველ ცოდნას, ყოველ შეხედულებას. მაგრამ ძირითადად შეხედულებათა იგივეობა გვაქვს, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაშია სუბიექტთა ერთი და იგივე კონკრეტული განსაზღვრებანი, როგორცაა ეპოქა, კლასობრივი მდგომარეობა, მოწოდებების ძირითადი დონე და სხვა.

მაშასადამე, მსოფლმხედველობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა შედარებითი საყოველთაობა. ამ შედარებითობას, როგორც ვთქვით, განაპირობებს ეპოქალური, კლასობრივი და გონებრივი განსაზღვრებანი. ეს ნიშნავს, რომ არ შეიძლება ვინმე, თითქმის აუცილებლად ერთი და იგივე შეხედულებები უნდა მქონდეთ გარემო სინამდვილეზე ა) სხვადასხვი ეპოქის ადამიანებს, ბ) ერთი და იმავე ეპოქის სხვადასხვა კლასის წარმომადგენლებს და გ) ერთი და იმავე კლასის გონებრივი და კულტურული განვითარების მხრივ სხვადასხვა დონეზე მდგომ ადამიანებს.

მსოფლმხედველობის ასეთი შედარებითი საყოველთაობა არის იმის საფუძველი, რომ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მის ისტორიაზე. მსოფლმხედველობას თავისი ისტორია აქვს პირველყოფილი ადამიანის სტიქიური და გულუბრყვილო შეხედულებიდან — თანამედროვე მეცნიერულ მსოფლმხედველობამდე, დიალექტიკურ მატერიალიზმამდე.

მთელი ამ ისტორიის მანძილზე ნათლად შეიჩნევა ორი ხაზი, ორი ძირითადი მიმართულება მსოფლმხედველობრივ განვითარებაში: მატერიალიზმი და იდეალიზმი. ასეთია მსოფლმხედველობის მეტად სქემატური დახასიათება.

თქვენ შეამჩნევდით, რომ მსოფლმხედველობის განმარტების დროს ჩვენ ვახსენეთ „გონებრივი განსაზღვრულობა“, „გონებრივი განვითარება“. რადგან ჩვენ მსჯელობა დაიწყოთ სწორედ მსოფლმხედველობასა და გონებას შორის განსხვავების ჩვენებისათვის, მკაცრი ლოგიკური აზროვნება თითქმის მოითხოვდა იმას, რომ არ გვეხზარა ეს ცნება — „გონება“ „მსოფლმხედველობის“ ასახსნელად. რატომ „დავარღვიეთ“ აქ ლოგიკა? ეს ნათელი გახდება სწორედ გონების ცნების ანალიზის შედეგად.

თუ მსოფლმხედველობა არის შეხედულებათა გარკვეული სისტემა, ანუ გაკვეთილი ცოდნა სინამდვილის მოვლენების შესახებ, იგივე არ შეიძლება ითქვას გონების შესახებ. გონება არის არა უშუალოდ ცოდნა სინამდვილის მოვლენების შესახებ, არამედ ადამიანის უნარი, უშაღესი და უნივერსალური უნარი — შეიმეცნოს სინამდვილის მოვლენები, აღმოაჩინოს მათი კანონები და ამის საფუძველზე შეიქმნას გარკვეული შეხედულებები მათზე, ანუ შეიმუშაოს გარკვეული მსოფლმხედველობა. ე. ი. გონება არის აზროვნების უნარი, მსოფლმხედველო-

ბის შემუშავების უნარი. ცხადია, განსხვავება უნდა იყოს რაიმე უნარსა და იმ უნივერსალურ-შეიძლებილ პროდუქტს შორის.

ყოველი უნარის განვითარება და სრულქმნა შეიძლება. ყოველგვარი უნარის განვითარებისა და სრულქმნის ერთ-ერთი უნივერსალური საშუალებაა თვით ამ უნარის გამოყენება. თუ, მაგალითად, სპორტსმენი თავის უნარს ავითარებს ფიზიკური ვარჯიშის გზით, მოაზროვნე ადამიანი თავისი აზროვნების უნარს უნდა ავითარებდეს გონებრივი „ვარჯიშის“, ანუ, უფრო ზუსტად, გონების პრაქტიკული გამოყენების — აზროვნების გზით.

აზროვნების პრაქესი არის გარკვეული ცოდნის შექმნის პროცესი, ობიექტური სინამდვილის შემეცნების პროცესი. გონება მით უფრო მეტად „გავარჯიშდება“, ე. ი. მით უფრო განვითარდება, სრულქმნა შეიძლება გახდება, რაც უფრო მეტად შევიმეცნებთ ობიექტურ სინამდვილეს, რაც უფრო მეტს ვისწავლით, მეტს ვიზაროვნებთ.

როგორც უტრვის სწავლა არ შეიძლება წყალში შეუსვლელად, ამბობდა პეაგლი, ისევე არ შეიძლება აზროვნების შესწავლა სინამდვილის შემეცნების პროცესის გარეშე. მატერული ნიჭის განვითარება და სრულქმნა შეიძლება მხატვრული შემოქმედების პროცესში და ა. შ. ეს ითქმის არა მარტო აზროვნებისა და შემოქმედების უნარზე, არამედ ყოველგვარ უნარზე საერთოდ.

მაშასადამე, გონების, ანუ გონებრივი უნარის განვითარება დამოკიდებული ყოფილა „ვარჯიშის“, ანუ სწავლების რაოდენობასა და ხარისხზე, რაც უფრო მეტს ისწავლი, ე. ი. რაც უფრო მეტს იაზროვნებ, მით უფრო განვითარებ აზროვნების უნარს, მით უფრო კარგად იაზროვნებ. რაც უფრო მეტ მოვლენებს შეისწავლი, მით უფრო ღრმად ჩაწვდები ამ მოვლენათა არსებას, მით უფრო გაიღრმავებ გონებას.

თეორიული აზროვნება ადამიანს არ ეძლევა მზამზარეულად, — ამბობს ენკლეს. — მის მზოლოდ მიღრეკილება აქვს თანდაყოლილი და ამის განვითარება და სრულქმნა არის საჭირო. ზოლო თეორიული აზროვნების უნარის განვითარების ერთადერთ გზად ენკელსი თვლიდა თეორიული აზროვნების ისტორიის, ანუ ფილოსოფიის ისტორიის შესწავლას.

მაშასადამე, გონებრივი უნარის სიძლიერე და ხარისხი დამოკიდებულია იმ ცოდნის რაოდენობაზე, რომელიც შექმნილი ან, უფრო ზუსტად, ათვისებული, გადამუშავებული აქვს გონებას. რაც უფრო მეტი იცი, მით უფრო კარგად აზროვნებ. ეს უბრალო ფორმულა სხვა არაფერია, თუ არა დიალექტიკის ცნობილი კანონის (ჩაოდენობის ვადასვლა თვისობრიობაში) გამოვლენა აზროვნების სფეროში.



აქ, რა თქმა უნდა, დაცულია დიალექტიკის ამ კანონის მეორე მომენტიც — თვისობრიობის გადასვლა რაოდენობაში, რაც უფრო განიერი ხარ და კარგად აბრავენებ, მით უფრო მეტი შევიძლია შეიმეცნო, შეისწავლო, მით უფრო მეტი შევიძლია გაიგო ამა თუ იმ მოვლენის შესწავლისას, ამა თუ იმ წიგნის წიკითხვისას და ა. შ.

სწორედ ამ კანონს აქვს არსებითი მნიშვნელობა ჩვენს მიერ დამსული საკითხის — მსოფლმხედველობასა და გონებას შორის დამოკიდებულების გარკვევისათვის. მარტივად: რაც უფრო განიერი ხარ, მით უფრო სწორი შეხედულებები გექნება სინამდვილის მოვლენებზე, მით უფრო სწორია, მეცნიერული მსოფლმხედველობა გექნება.

ეს ზოგადი დებულება უდავოდ სწორია. მაგრამ თუ დავივიწყებთ, რომ იგი მხოლოდ ზოგადია და არ შეიძლება მოიცავდეს უცლებლიყოველ კონკრეტულ შემთხვევას, მაშინ შეუძლოა მოგვიყვას. ერთ მაგალითს მოვიყვანო მხოლოდ-ცნობილია, რომ მატერიალიზმი კუმშარტიც მეცნიერული მსოფლმხედველობაა, ხოლო იდეალიზმი არ არის ასეთი. მაგრამ აქედან იმ დასკვნის გაკეთება, რომ ყოველი მატერიალისტი უფრო განიერია, ვიდრე ყოველი იდეალისტი, რა თქმა უნდა, მართებული არ არის. არ შეიძლება, მაგალითად, იმის მტკიცება, რომ ძველი ბერძენი მატერიალისტები უფრო განიერები იყვნენ, ვიდრე, ვაჭვათ, გერმანელი კლასიკური იდეალიზმის წარმომადგენლები. ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ მეცნიერული მსოფლმხედველობა ემთხვევა მეცნიერული აბრავენების უნარს არა ყოველგვარ პირობებში, არამედ მხოლოდ გარკვეულ პირობებში. აქაც იგივე განსაზღვრულობანი მოქმედებენ, როგორცაა ემპირიკური, სოციალურ-კლასობრივი და სხვა პირობები.

მაშასადამე, მხოლოდ ასეთი შენიშვნით აქვს ძალა და საყოველთაო მნიშვნელობა დებულებას: რაც უფრო განიერი ხარ, მით უფრო სწორია მსოფლმხედველობა გაქვს. თავისუფლად შეიძლება ამ დებულების შეზღუდვა: რაც უფრო სწორი მსოფლმხედველობა აქვს ადამიანს, მით უფრო განიერია იგი. ე. ი. გარკვეული აზრით გამართლებულია ზენს მიერ „მსოფლმხედველობრივი“ და „გონებრივი“ აღზრდის გაერთიანება.

მაგრამ ისმის საკითხი, თუ რომელია აქ პირველადი: მსოფლმხედველობრივი მომენტი თუ გონებრივი მომენტი? შეიძლება საკითხის ასეთი დაყენება ისეთივე ვაუტუბრობა იყოს, როგორცაა ის საკითხი, თუ რომელი განიდა ადრე: ქათამი თუ კვარცხი? მაშასადამე, ამ საკითხის ისევე ხსნის თეორიული აბრავენების განვითარების ისტორია, როგორც ქათამისა და კვარცხის აბრავენს ხსნის ცოცხალი ორგანიზმის განვითარების ისტორია.

სხვაგვარად უნდა დაისვის საკითხი: რა არის მსოფლმხედველობრივი აღზრდის მიზანი — ის, რომ ახალგაზრდას შეეძლოს გარკვეული მეცნიერული მსოფლმხედველობა, თუ ის, რომ ალგაზრდას იგი გონიერულად, ანუ გონება განვითარდეს, განიერი გაეხადოს, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „გავაძვიროთ“? რა თქმა უნდა, მიზანი „გავაძვირება“, გონების უნარის, აბრავენების უნარის განვითარებაა. მსოფლმხედველობის დაუფლება ამ შემთხვევაში საშუალებაა, გზაა გონების განვითარებისათვის!

თუ ასეა, რატომ არ გამოვაცხადებთ მსოფლმხედველობრივი აღზრდა გონებრივი აღზრდის ერთ-ერთ სახეობად, საშუალებად და რატომ გავყოფთაინათ ისინი? არსებითად იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ თქვა, გონებრივი აღზრდის ძირითადი მიზანია სწორედ მსოფლმხედველობრივი აღზრდა, ხოლო მსოფლმხედველობრივი აღზრდის ერთადერთი მიზანი გონებრივი აღზრდაა. ამ თეორიულ დებულებას თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რაც აგრეთვე ერთ-ერთი მოტივია მათი გავრთიანებისათვის. საქმე ისაა, რომ ხშირად შევხედებით ახალგაზრდას, რომელიც თავისი გონებრივი განვითარების უშთარესს და, შეიძლება, ერთადერთ საშუალებას ზედვას მსოფლმხედველობრივი ლიტერატურის კითხვაში და არა მოწინავე მეცნიერული მსოფლმხედველობის შესწავლაში.

მარტივად რომ ვიმსჯელოთ, როგორ შეიძლება გონიერი ეფუროთ იმ ახალგაზრდას, რომელიც შეიძლება ზეპირად ჰყვებოდეს ბალახის რომანებს, მაგრამ რომელმაც არაფერი არ იცის იმის შესახებ, თუ რატომ წერდა ბალახეი სწორედ ასეთ რომანებს და არა სხვაგვარს, რომელმაც არ იცის როგორ ვითარდება თვით ლიტერატურა, საზოგადოება, ცხოვრება საერთოდ. ყოველივე ამის კი არკვევს მსოფლმხედველობა.

სწორია ამ ეჭვობა იმის მოთხოვნა, რომ ახალგაზრდას თავი დაანებოს მხატვრული ლიტერატურის კითხვას და ხელი მოჰკიდოს მხოლოდ თეორიის შესწავლას. მხატვრული ლიტერატურა ისევე ესპირობება ჩვენს ახალგაზრდას, როგორც წყალი და ჰაერი. თვით მსოფლმხედველობრივი აღზრდისათვის მხატვრული ლიტერატურის კითხვას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ეს არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი გადამწყვეტი საშუალება.

უდავოა, რომ მხატვრული ლიტერატურა აფართოებს ადამიანის გონებრივ მოთხოვნას, ამ-

<sup>1</sup> ასეთივე საშუალებაა გონების განვითარებისათვის არა მარტო მსოფლმხედველობრივი აღზრდა, არამედ ზნობრივი და მხატვრული აღზრდაც, რადგან ამ შემთხვევაში ახალგაზრდის სულიერი უნარი ვითარდება და ძნელი არაა დანახვა, რომ ყოველგვარი სულიერი უნარის განვითარება მხოლოდ ზელს შეუწყობს აბრავენების უნარის განვითარებას. გონებრივი აღზრდა.

დიდრებს მის ცხოვრების გამოცდილებით და ვოველივე ამით ზღვს უწყობს ადამიანის აზროვნების უნარის განვითარებას. მაგრამ აზროვნების უნარის განვითარების შროლოდ ეს გზა შეტად გრძელი და რთულია. მნიშვნელოვანად შეიძლება ამ გზის „შემოკლება“ და შემსუბუქება, თუ ცხოვრების კანონზომიერებას გავეცნობით არა მარტო მხატვრული ლიტერატურის კითხვით, არამედ მეცნიერულად შევისწავლოთ ცხოვრების კანონებს, მთელი სინამდვილის განვითარების კანონებს.

მხატვრული ლიტერატურა, რა თქმა უნდა, ასახავს ცხოვრების დიალექტიკას და მის ჩვენს შეგნებაშიც ერთგვარად შემოაქვს დიალექტიკური აზროვნების ელემენტები. მაგრამ ზომ უახრობა იქნებოდა უარი გვეთქვა ცხოვრების დიალექტიკის შესწავლის ისეთ საშუალებაზე, როგორც მნიშვნელოვანად დაანჭარბდა ჩვენი გონების განვითარების, დიალექტიკურების პროცესს? ეს საშუალებაა სწორედ ცხოვრებისა და აზროვნების კანონების შესწავლა ანუ მეცნიერული დიალექტიკური მეთოდის დაუფლება. აზროვნების უნარის სიღრმე და სიძლიერე არსებითად სწორედ იმით განისაზღვრება, თუ რამდენად დიალექტიკურია ეს აზროვნება, რამდენად ფლობს იგი დიალექტიკურ მეთოდს.

მაშასადამე, ყველგან უნდა დაიქვემდებაროს განვრცოვ ალზრდის, როგორც მიზანს. მსოფლმხედველობის დაუფლება გადაწყვეტილი საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად, ხოლო მხატვრული ლიტერატურის კითხვა მნიშვნელოვანი წყაროა თვით მსოფლმხედველობის გამოუმუშავებისათვის. ე. ი. მსოფლმხედველობრივ და გონებრივ ალზრდის გაერთიანების პრაქტიკული დაინშნულება ის არის, რომ ზახი ვაგსვას მსოფლმხედველობის დაუფლების გადაწყვეტილი მნიშვნელობის ადამიანის გონებრივი განვითარების საქმეში.

ზემთა უკვე ვთქვით, რომ ადამიანს თავისი სუბიექტური განსაზღვრულობის გამო თავისებური შეხედულება აქვს სინამდვილის მოვლენებზე. მაგრამ ისიც ვთქვით, რომ, მიუხედავად შეხედულებათა ასეთი ინდივიდუალური განსხვავებულობისა, ყოველ ეპოქაში, ყოველ საზოგადოებაში არსებობს საერთო, მსგავსი შეხედულებები.

ადამიანთა ერთი ნაწილის შეხედულებები ემსგავსებიან ერთმანეთს, ზოგისა კი — არა, ზომ აჯობებდა, რომ, მაგალითად, ჩემი შეხედულებები სინამდვილის მოვლენებზე ემსგავსებოდეს ჩემზე უფრო ჰკვიანი, უფრო მომზადებული ამაზაგის შეხედულებებს, ანუ უფრო სწორ, უფრო კეშმარტივ შეხედულებებს? ხოლო უფრო კეშმარტივია ის შეხედულება, რომელიც ობიექტური სინამდვილის სწორ სურათს წარმოადგენს. კეშმარტივია ობიექტურის ასახვა, ე. ი. სასწრაფოა ისეთი შეხედულებები გვერდის სინამდვილის მოვლენებზე, ანუ ისეთი მსოფლმხედ-

ველობა გვერდის, რომელიც სწორად ასახავს ობიექტური სინამდვილის კანონებს. დეი შეწყსადამე, კეშმარტივია მსოფლმხედველობა, რომელიც მსოფლმხედველობა არის სწორედ მარქსიზმ-ლენინიზმი. მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება ადამიანის გონებრივი ალზრდის უზინშენელოვანესი საშუალებაა.

მაშასადამე, იმისათვის, რომ გვეჩვენებია, თუ რაში მღგომარეობს მსოფლმხედველობრივი ალზრდა, ჩვენ დავახსიათეთ მსოფლმხედველობრივი ალზრდის მიზანი და შინაარსი. ახლა უნდა დავახსიათათ გონებრივი ალზრდის საშუალებები, ანუ უნდა მივეთითოთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება განავითაროთ აზროვნების უნარი.

მსოფლმხედველობრივი ალზრდის მიზანია ადამიანის გონებრივი ალზრდა, მეცნიერული აზროვნების უნარის გამოუმუშავება. ეს უკანასკნელი მიიღწევა იმის მიხედვით, თუ რამდენად ეუფლება ადამიანი ცხოვრების კანონზომიერებას, ობიექტური და სუბიექტური სინამდვილის კანონზომიერებას. რა თქმა უნდა, არ არსებობს ერთი რომელიმე მეცნიერება, რომელიც მთლიანად ამისწრაფავდა ცხოვრების კანონზომიერებას და რომლის შესწავლა „გააკვიინებდა“ ადამიანს. ცხოვრების კანონზომიერებათა ღრმად შესწავლისა და აზროვნების უნარის განვითარებისათვის საჭიროა სულ ცოტა ორი რიგის მეცნიერებათა შესწავლა: პირველი რიგი — ეს არის მეცნიერებანი, რომლებიც ბუნებისა და საზოგადოების კანონებს შეისწავლიან, ხოლო მეცნიერებათა მეორე რიგი — რომლებიც აზროვნებას, შემეცნებას შეისწავლიან. მეცნიერებათა პირველი რიგიდან უნდა მივითითოთ სულ ცოტა ორ დარგზე მიანც: ერთი — რომელიმე კონკრეტული მეცნიერება, ცოდნის რომელიმე კონკრეტული დარგი, რაც შეიძლება ადამიანმა სპეციალზად აირჩიოს, და მეორე — ისეთი მეცნიერება, რომელიც ყველა სპეცილობის ადამიანისათვის აუცილებელია. ეს არის ჩვენი საზოგადოების, ჩვენი პარტიისა და ზალხის მეცნიერული მსოფლმხედველობა — მარქსიზმ-ლენინიზმი, ან მისი თეორიული საფუძველი — დიალექტიკური მატერიალიზმი.

დიალექტიკური მატერიალიზმი, თავის მხრივ, მეორე რიგის მეცნიერებაშიც შედის, რამდენადაც იგი არა მარტო ობიექტური სინამდვილის განვითარების კანონზომიერებას გვასწავლის, არამედ, ამავე დროს, ამ ობიექტურის სწავლების გზით გვასწავლის თვით მეცნიერული აზროვნების კანონებს, წესებს, ფორმებს. მოძღვრება დიალექტიკის კანონებზე, კატეგორიებზე, ნიშნებზე სწორედ ამას გვასწავლის, თუ როგორ ვიზაროვნათ. მაგრამ რამდენადაც დიალექტიკა არ ამოწურავს აზროვნების სფეროს მთლიანად, ამიტომ მისი შესწავლა საკმარისი არ არის გონებრივი უნარის განვითარებისათვის.

დიალექტიკის გარდა საქირაა აგრეთვე ლოგიკისა და ფსიქოლოგიის შესწავლა, ვ. ი. ყველა იმ მეცნიერების შესწავლა, რომლებიც შემეცნების პროცესს, აზროვნებას შეისწავლიან. მართალია, აზროვნება ხორციელდება უიშისოდაც, ვიციით თუ არა ჩვენ გნოსეოლოგიური, ლოგიკური და ფსიქოლოგიური კანონები,<sup>1</sup> მაგრამ მათი ცოდნა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აზროვნების უნარის განვითარებას.

საქირა არა იმის დეტალური ანალიზი, თუ რატომ უწყობენ ხელს აზროვნების უნარის განვითარებას რომელიმე სპეციალური მეცნიერება, დიალექტიკა, ლოგიკა და ფსიქოლოგია. სპეციალური მეცნიერება სააზროვნო მასალა და, შესაბამავე, განვების „გეარაჟიშების“ შესაძლებლობას იძლევა. დიალექტიკა მეცნიერული აზროვნების მეთოდით გვიაჩარლებს. ლოგიკა აზროვნების „აპარატს“ ამხვილებს, ხოლო ფსიქოლოგის შევეყვართ აზროვნებისა და საერთოდ ადამიანის სულიერი მოვლენების ლაბორატორიაში. მართკ იმის გათვალისწინება რად ღირს; რომ ფსიქოლოგიის საშუალებით შევისწავლით იმას, თუ როგორ განვითარდით დაკვირვების, ყურადღების, მეხსიერების, წარმოსახვის და, ბოლოს, თვით აზრების გამოშვებების, ანუ აზროვნების უნარი. იმის ცოდნა, თუ როგორ „შნადდება“ აზრი, აუცილებელი პირობაა ამ „დამზადების“ საქმის გაუმჯობესებისათვის.

აზროვნებაზე მოძღვრების, ანუ გნოსეოლოგიის დამუშავებისათვის ლენინი, როგორც ცნობილია, საქირად თვლიდა ყველა იმ მეცნიერების შესწავლას, რომელსაც კი რაიმე ურთიერობა აქვს აზროვნებასთან, როგორც კვლევის საგანთან. ლენინი ასახელებდა ენის ისტორიას, გრძნობათა ორგანოების ისტორიას, ცნობიერების ისტორიას საერთოდ.

ყოველივე ეს საქირაა მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის, ხოლო აზროვნების უნარის აღზრდისა და განვითარებისათვის საქირაა სულ ერთა იმ მეცნიერებათა შესწავლა მიინც, რომლებიც ზემოთ დავასახელეთ: ცოდნის რომელიმე კონკრეტული დარგი,<sup>2</sup> დიალექტიკა, ლოგიკა და ფსიქოლოგია.

<sup>1</sup> მეველი სწორად ამბობდა ლოგიკის შესახებ: იგი ისევე ვერ გვასწავლის აზროვნებას, როგორც ფიზიოლოგია ვერ გვასწავლის საქმლის მონელებასო. მაგრამ ფიზიოლოგიის ცოდნა ერთადერთი საშუალებაა საქმლის მომწელებელი ორგანოების დაავადების განსაკურნებლად. ასევეა მეცნიერებანი აზროვნების შესახებ. მართალია, ისინი გვიცხვენ ვერ განკურნავენ, მაგრამ ნორმალურად მოაზროვნე ადამიანის მიერ დამწეებულ შედეგობას გამოამკვლავებენ, შედეგობის მიზეზებს ახსნიან და „დაკვაზღვევენ“ მსგავსი შედეგობის განმეორებისაგან.

<sup>2</sup> გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ცოდნის რომელიმე კონკრეტული დარგი თვით

ყოველივე ამით მიინც არ ამოიწურება აზროვნების უნარის განვითარების საშუალებები. კიდევ ერთი აუცილებელი საშუალება; როგორც ითქვას, არის მხატვრული „ლიტერატურის“ მხატვრული ლიტერატურა მეტად ნელი ტემპით და არაკნობიერად, მაგრამ მიინც გვასწავლის ორივე რიგის კანონზომიერებებს, როგორც ობიექტურს (ემათერესად საზოგადოებრივი განვითარების კანონებს), ისე სუბიექტურს: დიალექტიკას, ლოგიკას, ფსიქოლოგიას. წარმოუდგენელი ნამდვილი მალამხატვრული შემოქმედება საზოგადოებრივი განვითარების კანონების, დიალექტიკის, ლოგიკისა და ფსიქოლოგიის ცოდნის გარეშე, და შერჩეული თავისი მხატვრული პროდუქციით მიითხველს ამ ცოდნასაც ვადისცემს, რა თქმა უნდა, არა კანონებისა და ფორმულების სახით, არამედ, ემათერესად, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სტრიქონებს შუა“, ხოლო ზოგჯერ უშუალოდ ამ თემაზე მსჯელობითაც.

ამიტომ არის მეტად მნიშვნელოვანი და საქირო წიგნის კითხვის პრობლემა. ქრონოლოგიურად მხატვრული წიგნის კითხვა არა უკანასკნელი, არამედ პირველია აზროვნების უნარის განვითარების საშუალებებს შორის. ბავშვის, რა თქმა უნდა, იმათათვე არ ვასწავლით დიალექტიკას, ლოგიკას და ფსიქოლოგიას, მაგრამ აუცილებლად ვაყარებთ მხატვრული ობიექტურის კითხვას. რაც უფრო ძლიერი იქნება ბავშვი მხატვრული ლიტერატურის სიყვარული, მათ უფრო ფაქიზი და სალი იქნება მისა გონება, მდიდარი იქნება მისი ფანტაზია, წარმოსახვის უნარი. ამის საფუძველზე კი ვითარდება შემოქმედების უნარიც. ასეთი ნაკითხი ბავშვის მსოფლმხედველობრივი აღზრდა გაცილებით ადვილია, რადგან ბევრ-რამიმს მსოფლმხედველობრივს იგი ადრევე ითვისებს მხატვრული ლიტერატურით.

გამოდინარე აქედან, აღზრდელობითი ორგანიზაციების ამოცანაა გააუმჯობესონ წიგნის პრობლემატის საქმე. არაფერი ისე ნათლად არ მეტყველებს ერისა და ქვეყნის კულტურული განვითარების დონეზე, კულტურისადმი სწრაფვის პოტენციზე, როგორც წიგნის პრობლემატის მდგომარეობა. ამით აიხსნება, რომ პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს. აღზრდელობითი ორგანიზაციები მაქსიმალურად უნდა იყენებდნენ წიგნის პრობლემატის ჩვენს ქვეყანაში არსებულ მეტად ხელსაყრელ პირობებს.

გონებრივი აღზრდის ეს საშუალებანი თავის მხრივ განამარტებენ წარმატების ახალგაზრდობის ათეისტური აღზრდის საქმეში. იქ სადაც კარგად არის დაყენებული მსოფლმხედველობრივი აღზრდა, სადაც მაღალ დონეზეა

ეს მეცნიერებები იყოს: დიალექტიკა, ლოგიკა და ფსიქოლოგია. მაგრამ ამ მეცნიერებათა სპეციალისტებზე არ არის აქ ლაპარაკი.

წიგნის პროპაგანდა, იქ თითქმის არა აქვს ადგილი რელიგიური ცრურწმენებისა და სიყალბის რატუნების შესრულების ფაქტებს. სწორედ გონებრივი აღზრდა ათეისტური მუშაობის ძირითადი ფორმა და არა ადმინისტრირება, რასაც ზოგჯერ უბეში ფორმაც კი აქვს და რის გამო იგი სრულიად საქინაღმდეგოდ შედეგს იძლევა.

ადმინისტრირება და აძლევა საერთოდ არცერთ საქმეში არ შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო საშუალებად და მით უმეტეს აღმზრდელობით საქმიანობაში. ადმინისტრირება ათეისტურ მუშაობაში იწვევს არა გონების განათებას და, მაშასადამე, სულიერ დამშვიდებას, არამედ გაღიზიანებას, სულიერ აღშფოთებას და გონების კიდევ უფრო დაზნელებას. ამიტომ ითვლება ამ საქმეში ადმინისტრირება საბჭოთა ადამიანის კონსტიტუციური უფლების შელახვად. აქედან გასაგებია, რომ პარტია ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს მოსახლეობაში ათეისტური პროპაგანდის რაც შეიძლება სწორი წარმართვის საქმეს.

მაშასადამე, რადგან გონებრივი აღზრდის ცნებაში ათეისტური აღზრდაც შედის, ამიტომ მსოფლმხედველობის დაუფლება, მკაცრი ლოგიკის გამოუმუშავება, ფსიქოლოგიის სწავლა და მხატვრული ლიტერატურის სისტემატური კითხვა ცოდნის რომელიმე კონკრეტული დარგის დაუფლებასთან ერთად, — ყველა ეს საშუალება ერთობლივად და ცალ-ცალკეც ათეისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ახალგაზრდობის გონებრივი აღზრდის ძირეული გაუმჯობესებისაგან შემობრუნებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პარტიის XXII სესიონობამ, რომელმაც დაგმო ბერძენების კულტურა როგორც უცხო და მარქსიზმისადმი შინაგანად შეუთავსებელი მოვლენა, და შექმნა აუცილებელი წინაპირობები თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნებისა და მოქმედების გზაზე ყოველგვარი დაბრკოლების მოსაპოხისათვის.

ძნელი არაა ვუჩვენოთ ახალგაზრდობას, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია საზოგადოებისათვის პიროვნების კულტს, მაგრამ გაცილებით უფრო ძნელია აღმოიფხვრას ყველა ეს შედეგი, რაც კულტის პირობებში გამოიწვია. მხედველობაში გვაქვს, უწინარეს ყოვლისა, დოგმატიზმისა და მედავითნობის სენი, რაც ბორკავდა მეცნიერული შემოქმედებითი აზრის განვითარებას. ჩვენ ყოველთვის ვლაპარაკობთ დოგმატიზმის საშიშროებაზე, მის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დოგმატიზმი ხშირად მაინც ხელუხლებლად რჩება ძალაში სწორედ იმიტომ, რომ არ ხდებოდა უკანასკნელი ტენდენციების განვითარება, გაღრმავება და განზოგადება. ერთი ძველი დოგმა იცვლებოდა სხვა ახალი დოგმით. დოგმატიზმი ჩვეს თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში ეს კუდი შემკვიდრებოდა, რომლის აღმოფხვრა მოითხოვს ზანგრძლევას და სისტემატურ აღმზრდელობის მუშაობას. პარტია ქმნის ხელსაყრელ პირობებს ამ მუშაობის სწორად, მოფიტვებულად წარმართვისათვის და ჩვენი ვალა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს პირობები.

# ლიტერატურული ვეფხვი

საქართველოს  
საბჭოთაო  
კულტურის  
მინისტროს  
გამომცემლობა

აკაკი შანიძე



## ვეფხვის-ტყაოსნის ენის საკითხები

### III. ორი უხასწორიგვარი ადგილი

მიუხედავად იმისა, რომ უკვე საკმაოდ დიდი მუშაობაა შესრულებული ვეფხვის-ტყაოსნის ტექსტის დასადგენად, პოემაში ჯერ კიდევ არის

ადგილები, რომლებიც ექვს იწვევენ და შესწორებას მოითხოვენ. ამ წერილში მინდა შევჩერდეთ ორ მათგანზე:

#### 1. დამმართოს, თუ და-ვე-მართოს?

პოემის შესავალში მე-9 სტროფის მეოთხე ტაქტად იკითხება:

ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს, ლაღმან  
და ლაჰამან, ნები.

მოყვანილ ტაქტში გათიშულია სიტყვები, რომლებიც აზრობლივ ერთ ფრაზეოლოგიურ ერთეულს წარმოადგენენ: დამმართოს... ნები. თუ გადავსვამთ მთელი წინადადების სიტყვებს ისე, რომ ეს ორი სიტყვა ერთად მოხვდეს, გვექნება:

ჩემმან ხელ-მქმნელმან, ლაღმან და  
ლაჰამან, დამმართოს ნები.

„დამმართოს ნები“, ანუ „ნები დამმართოს“ შინაარსობლივ იგივეა, რაც „დამართოს ნება“, ანუ „ნება დამართოს“. მაგრამ რა ფორმებია „დამმართოს“ და „ნები“? დავიწყეთ უკანასკნელი დანი:

„ნები“ სახელობითი ბრუნვის ფორმაა „ნებ“ სიტყვისა (ნებ-ი), რომელიც შეკვეცილი სახეა ნება-სი: „ნება“ გაგებულა ისე, თითქო ის იყოს კინობითის ფორმა და „აღდგენილია“ ვითომც მისი გამოსავალი ფორმა: ნებ-ი, ეს „ნები“ პოემაში სხვაგანაც არის დადასტურებული: 697-ე სტროფი ისე იწვევა:

მუნ სართ, მსგავსი ვარდისა, ვნახე,  
მისკირდა, ში, ნები,

სადაც ში განმეორება „მისკირდა“ ზმნის ზმნისწინისა: მისკირდა, ში, ნები. თუ ამ „ში“-ს ილარ გავიმეორებთ, გვექნება: მისკირდა ნები, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: ნები გაუკირდა, ე. ი. ნება არ ეყო, ნებისყოფა მოეშალა. მთელი ტაქტი, მაშასადამე, ასეთი შინაარსისა იქნება: იქ (სახით) ვარდის ფერი და (ტანად) საროსებრი (ყავი) ვნახე, რომელსაც ნების-ყოფა მოსდუნებოდაო.

ნები ორსავე კონსტრუქციაში („დამმართოს ნები“, „მისკირდა ნები“) ერთი და იგივე ოდენობაა, რომელიც წარმოადგენს სახელობით ბრუნვაში დასმულ სახელს: ნებ-ი. იგი მიღებულია სიტყვის ბოლოციდური ას-შეკვეცის შედეგად (ნება—ნებ) და ამის წყალობით ხმოვანი გათავებული ფუძე (ნება) გადაყვანილია თანხმოვანზე გათავებულებში (ნები-ი).

ამგვარივე მოვლენა სხვა მაგალითებდაც არის დადასტურებული იმავე ძეგლში: აქ ერთიმეორის გვერდით გვხვდება ნობა და ნობი. მართლაც, ერთი მხრით ვვაქვს ნობა:

დილასა შევჯე, ვუბრძანე: ჰკარით ბუცსა  
და ნობახა (421, 1),

ჩემთვის ბუცსა და ტაბალასა ცუდად, გლახ,  
იციეს, ნობახა (1152, 1),

მეორე მხრით კი — ნობი:

მეფე მინდორს ეკაზმოდა, მოეშადა  
დაბდა-ნობი (720, 4).  
იკრეს ნობხა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა  
ტარციალი (1414, 4).

<sup>1</sup> პირველი წერილი (I. არა მგამა) დაიბეჭდა საქ. სსრ ბეცნ. აკად. მოამბეში, ტომი 17, № 2, 1956; მეორე წერილი (II. პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემასთვის) — წიგნში: „ვეფხვის-ტყაოსნის სამფობიო, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლივით“ 1956, გვ. 014—037. ეს მეორე წერილი ოდნავი შემოკლებით დაიბეჭდა „მშობობში“ 1956, № 7.

ამ ორი ფორმისაგან, ცხადია, პირველია **ნობი**: არაბ.-სპან. **ნობა**, ანუ **ნობა** — ერთგვარი მუსიკალური გასართობი (დაბადებითა და ნობით), რომელსაც დრო-გამოშვებით აწყობდნენ მეფის ან ვინმე დიდებულის კარზე. **ნობა** ქართულად გავებულია, თითქო ის იყოს კინოზინთის ფორმა და აქედან უკუნაწარმოებია „გამოსავალი“ ფორმა: **ნობ-ი**.

მამასადამე, სწორედ ისე, როგორც **ნობა-მ ნობ-ი** მოგვცა, **ნება-საგან ნებ-ი** უწარმოებიათ. ამეამად არ შემიძლია ვთქვა, მართო ვეფხისტყაოსნისთვის არის დამახასიათებელი ასეთი ფორმა, თუ იგი სხვა ძეგლებშიც გვხვდება. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ეს „ნები“ სხვა, ვიდრე ის „ნები“, რომელიც ხელისგულს აღნიშნავს. მამასადამე, „დამმართოს ნები“ (ანუ, უფრო სწორად, დამართოს ნება) კი არ ნიშნავს „ტაში დაუკრას“ (ხელისგული ხელისგულს დასცეს), „მოუწონოს“, როგორც ამას ზოგიერთნი ფიქრობენ<sup>1</sup>, არამედ დამართოს ნება მისცეს ნება. ეს კი „მინებს“ (გინებს) „უნებს“) ზმნის საწყისია. შტრ. რუს. ПОЗВОЛИТЬ, რომელიც მიღებულია ПО-ИЗ-ВОЛИ-ИТЬ ფორმისაგან და გერმ. Be-will-igung. ქართულში საზოგადოდ ჩვეულებრივია გამოთქმა „ნება დართო“, რომელიც ვეფხისტყაოსანშიც გვხვდება:

ქალსა ყმაჲან მოუხსინა, დამართო ჩილდა,  
დართო ნება (263,1).

თუ, მამასადამე **ნები** იგივეა, რაც **ნება**, რაღა **დამმართოს** ამ გამოთქმიდან: **დამმართოს ნები?** ეკვი არ არის, რომ „დამმართოს ნები“ მნიშვნელობით იგივეა, რაც „დამართოს ნება“, მაგრამ საიდან გარჩა ასეთი ფორმა (**დამმართოს**)? აქვს **დამართება** (ან **დამართვა**) ზმნის იგივე მნიშვნელობა, რაც **დართება**, თუ მა მარცხლის ჩართვისთან გვაქვს საქმე? „დამმართოს“ ფორმა ქართულში, რა თქმა უნდა, არის და იხმარება (და-მ-მართოს, და-გ-მართოს, და-პ-მართოს, და-გე-მართოს), მაგრამ იგი სხვა კონსტრუქციებში იხმარება: „უღლი საქმე არ დაგმართოს“, „რაივე ხენი არ დამმართოს“ და მისთ. პოემის პროლოგის მოყვანილ ადგილას კი ასეთი ზმნი სრულიად უაღვყოლა. მაშ, როგორია საქმის ნამდვილი ეითარება? საქმე ის გახლავს, რომ „დამმართოს“ შერყენილი ფორმა, წარმოშობილი პირვანდელ ფორმის ვერ-გავების ნიადაგზე.

თავდაპირველად აღნიშნულ სტროფში უნდა ყოფილიყო და უფოოდ იყო კოდუც **დართვა** ზმნის ტემსიანი (გაკვეთილი) ფორმა, რომელ-

შიც გავყეთის ადგილას ვე ნაწილაკი უნდა ყოფილიყო ჩართული. პოემაში ხშირია **ჩმნის** გამოყენების მოვლენები; ვერძოდ, ვე ნაწილაკი **ჩმნის** ჩართული, ასეთია რვა შემთხვევა: გა-ვე-გ-მ-მართვა 587,3; და-ვე-ბ-რ-უნდეს 740,3; და-ვე-ა-გ-ს-ნა 771,3; გა-ვე-ბ-და 1345,4; გა-ვე-ა-ლო 1354,4; შე-ვე-ი-ქ-მ-ს 1376,4; გა-ვე-ა-ლო 1587,3; და-ვე-ა-და 1662,3; და-ვე-ა-ლო 1663,3. ავიღოთ ამთგან გა-ვე-ა-ლო. ეს ნიშნავს გა-ა-ლო-ვე, ისევე გააძლო. აი ეს ვე ნაწილაკი უნდა ყოფილიყო ჩართული **დართვა** ზმნის ფორმაში: და-ვე-მართოს. ამეამად დედისათ გამოყენებულ ტემსიან (გაკვეთილი) ფორმებს, ე. ი. ისეთ ფორმებს, სადა ვე ზმნის წინა ნაწილი (ე. წ. ზმნიწვინი) და ზმნის მთავარი ნაწილი გავყეთილია და მათ შორის რაიმე სატყვა ან ნაწილაკია ჩართული (მერასმე-კვეეს, გა-ც-ა-სწილდები), ძველად კი მთელი ფორმა ან ერთად იწერებოდა (გავეაძლო, შე-ვინვილოდეს), ან ორად გაყოფით (გავე აძლო შევინ ვილოდეს, შერასმე კვეეს), ან ყიდვე სულ ცალ-ცალკე (ეს უფრო ძველის-ძველად: შე რასმე კვეეს, ჩვენს მთავალითში ტემსიანი ზმნა ალბათ ერთად იყო დაწერილი: დავემართ-ხ, რაც გადამწერლებისთვის გაუგებარი ყოფილა და ცვილან გააზრებას. გაუგებრობა შეეძლო გამოიყვია ვ ასოს, რომელიც შეიძლებოდა აღეკვეთ პირველი პირის ნიშნად. ვე ნაწილაკი რამ მთლიანად ამოღოთ და დამართოს გავყეთებნათ, ერთი მარცვლი დააკლებოდა და ლექსი დაიკოლებდა. მაშ რა უნდა ექნათ? გამოსავალი ასეთი მოუხნახათ: ვე ამოღოთ და სამაგიეროდ მარცვლი მა ჩუმატებიათ: და-ვე-მართოს — და-მ(მართოს). ამგვარად, ნაცვლად წესიერი ფორმა-სა (და-ვე-მართოს ნები) მივიღეთ სრულიად უწყესური („დამმართოს ნები“).

რომ თავდაპირველად დავემართოს იყო, და არა **დამმართოს**, ამბე ამჟარად მიუთითებს მისი კვალი, შემთხვევით გადარჩენილი ერთ ხელნაწერში: 1671 წელს გადამწერილ ხელნაწერში (H 757), რომელიც ამას წინათ გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა (ი. ბარამიძის რედაქციით), აღნიშნული ტიპი ასე იკითხება:

ჩემან ხელ-ქმნელმან დავემართო დაღმან და  
ლაშაზმა ნები.

გამომცემელსა და რედაქტორს საჭიროდ მიუჩნევიათ, ტექსტში დაებუტდათ აქამომდე საუოველოად მიღებული **დამმართოს**, ხოლო ხელნაწერის დავემართო სწოლოში ჩამოტყნათ. დავემართო პირველი პირის ფორმა, იგი სრულიად

<sup>1</sup> მგ., იუსტ. აბულაძე: ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, 1937 წლის გამოცემის ბოლოს, გვ. 370. იგივეა განმეორებული პოემის 1951 წლის გამოცემის ლექსიკონში.

<sup>1</sup> ვეფხისტყაოსანი ჩინართი და დანართი ტექსტებით. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაერთო ს. ყუბანეიშვილმა (რედაქტორი ილ. ბარამიძე). 1956 წ.



მეზი ჰქონდა (ფელტის, ფელტოდა, ფელტოღის), მეორისა ფელა და არც ჰქონდა იქ თავისი მონაცელე ზმნა. ამიტომ უწვევტლის ფორმას უსრული ასპექტის გავებაჲ ჰქონდა და სრულისაც: ფელტოდა-ს ერთი მნიშვნელობა იყო: „მობრბოდა“; მეორე კი — „გაიქცა“. შემდეგ და შემდეგ უწვევტლის ფორმამ მეორე მნიშვნელობა დაკარგა და მარტო პირველისა შეინარჩუნა: ფელტოდა — მობრბოდა. როგორღა უნდა გამოეხატათ მისი მეორე მნიშვნელობა, ე. ი. ფელტოდა — გაიქცა? ენამ ამ შემთხვევაში აღწერილობით ფორმას მიჰმართა: აიღო ზმნის საწყისი (სიფელტოდა) და დაურთო მეშველ ზმნად ქუმევა: სიფელტოდაა იქუმია (იქენი ენით დაასლოებით: „გაქცევა იხმარა“); მაგალითად, იოანემო, ნათქვამია გ. მთაწმიდლის ერთს თხზულებაში (XI ს.) „გარულად ყოველიაგან სიფელტოდაა იქუმია“,<sup>1</sup> ე. ი. არაფის გააგებინა, ისე გაიქცაო. ამ რთულ ზმნას პირველი სერიის მწკრივებიც ჰქონდა: სიფელტოდასა იქუმევს, სიფელტოდასა იქუმევდა და სხვა, მაგრამ რუსთვლის დროს უკვე არც ასეთი გამოთქმა ყოფილა მოწონებაში. ყოველ შემთხვევაში, როცა მას დასკირება ასეთი რამ, მას სიფელტოღის ნაცვლად ოტა უხმარია: ოტაა იქუმია — „გაიქცა“, ოტასა იქუმევს — „გარბის“, ოტასა იქუმევდა — „გარბოდა“, „გამობრბოდა“.

აქ აღსანიშნავია, რომ ქუმევა ზმნას უმარცვლო უ აქვს ფუძეში. მას მ მოსდევს უშუალოდ და აღვილად იყარგება. იქუმევს, იქუმევდა, იქუმია.

ასეთი გამარტივებით წვევტლის ფორმა შესაძლებელი იქნება: ოტაა იქმია — ე. ი. „გაიქცა“, ხოლო აწმყოს: ოტასა იქმევს („გარბის“) და უწვევტლისა—ოტასა იქმევდა („გარბოდა“). მრავლობით რიცხვში გადაყვანით იგივე ზმნა მოვეცემს: ოტასა იქმევდეს („გარბოდნენ“ ან „გამობრბოდნენ“). აი სწორედ ეს გამოთქმა გვაქვს პოემის მოყვანილ ადგილას, ოღონდ შებრუნებული რიგით: იქმევდეს ოტასა. ამეამად ძნელია იმასი დადგენა, თუ როგორ ეწერა იმ ხელნაწილში, საიდანაც შერყვნა დაიწყო, იქმევდეს თუ იხმევდეს, მაგრამ ცხადი კია, რომ ფორმა ვერ გავუვიათ და ცდოლან გაგაზრებინათ სანის ზამატებით: ისქმევდეს ან ისხმევდეს (ქ და ხ აღარ განსხვავდებოდა, აღბათ, გადაწვერლის გამოთქმაში). ამან სულ დააბნელა ტექსტის შინაარსი და პოემის კომენტატორთა აზროვნება მცდარი გზით წარმართა. ამას გარდა, მე იმასაც ვფიქრობ, რომ მოყვანილ ტაქში მიხთვის სიტყვაც შესასწორებელია ოდნავ: მგონია არ შეეცდო, თუ ვიტყვი, რომ თავდაპირველად აქ იყო არა მიხთვის, არამედ მიხკე.

შესწორებათა შემდეგ აღნიშნული ტაქები ასეთ სახეს მიიღებს:

გამოეგებნეს ლაშქარნი, იხმევდეს მისკე ოტასა,

ე. ი. გამოეგებნენ ჯარები, გამოობრბოდნენ მისკენ. (გამობრბოდნენ, და არა გარბოდნენ, რადგანაც პირველ ზმნას სააქეთო ორიენტაცია აქვს გამოეგებნეს). ძველი ორთოგრაფიით იქნებოდა, რა თქმა უნდა, იქუმევდეს მისკე ოტასა.

<sup>1</sup> „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრება“-ში.



ბენო შოროშიანი



## მხატვარი ღვთისმეტყველებად

(მისი ესტამპების გამოფენის გამო სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში)

ქართულ სახეობა ხელოვნებაში დღევანდელი მწიფეობა რთულია, რადგან თვალსაჩინო გრაფიკოსი, გამოფენილი მრავალი სახეობა წიგნისა და სადაზგო გრაფიკის — ესტამპის საუკეთესო ოსტატი. იგი ეყრდნობის საბჭოთა მხატვრების იმ უფროს თაობას, რომელიც სამხატვრო ასპარეზზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ წლებში გამოვიდა და დღემდე განაგრძობს ნაყოფიერ შემოქმედებას.

ამ თაობას შეეძლო რთულ და ძნელ პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა. მაშინ, ე. ი. ოცდაათიან წლებში ჯერ კიდევ ნათლად არ იყო გაკვეთილი სოციალისტური რეალიზმის გზა, რომლითაც დღეს მიემართება საბჭოთა მხატვრობა. ბურჟუაზიული ხელოვნებიდან შემორჩენილი მრავალი „იშემები“ კიდევ მოქმედებდნენ ახალგაზრდა მხატვრების შემოქმედებაზე. ხელოვნებაში მრავალგვარი ანტიხალხური მიმართულებანი სწრაფად მრავლდებოდნენ და ასევე სწრაფად ჰქრებოდნენ; რადგან მათ არ ჰქონდათ შტკიცე კავშირი ახალ ცხოვრებასთან, რეალურ სამყაროსთან.

დ. ქუთათელაძემ თუმცა დროულად შეიგნო სოციალისტური ეპოქის რეალისტურად გამოსახვის საჭიროება, მაგრამ გარდატეხა მისში უცხად მაინც არ მომზადდა. იგი თანდათან თავისუფლდება სხვადასხვა არაჯანსაღი გავლენებიდან და სწორ შემოქმედებით გზაზე დგება.

ქუთათელაძის შემოქმედება ორი დიდი ნაწილისაგან შედგება: პირველ შეადგენს მისი სადაზგო გრაფიკა — ესტამპების სახით (ოფორტი, აერლითოგრაფია, მონოტიპია, ლინოგრაფიურა, ოფორტი აკვატინტი, ქსილოგრაფია და ოფორტი შპრალი ნემსით); მეორე ნაწილი წიგნის გრაფიკას წარმოადგენს ორნამენტებისა და ილუსტრაციების სახით.

ქუთათელაძემ თავის ცხოვრებისა და შემოქმედების ახალგაზრდული წლები ქ. ლენინგრადში გაატარა, იქ აითვისა გამოჩენილი გრაფიკოსი მხატვრების: შილინგოვსკის, კრუგლიცოვის, კანაშვილის, მიტროხინის, ლებედევა-ოსტრაუშოვის და სხვათა ოსტატობა, როგორც წიგნის, ისე დაზგური გრაფიკის დარგში. მათთან ერთად ხელი შეუწყო და საგრძნობლად ამაღლა საბჭოთა ესტამპის ხელოვნება. საქართველოში საბოლოოდ დაამკვიდრების შემდეგ შტკიცე სა-

ხელოვნების საკითხები

ხელოვნების საკითხები

ხელოვნების საკითხები

დ. ქუთათელაძე დაიბადა ქ. ფოთში 1901 წელს. პირველ-დაწყებითი სწავლა ჯერ ფოთში მიაღწია, შემდეგ ქ. ხონის გიმნაზიაში. სასწავლებლის დამთავრებისთანავე იგი მიემგზავრება ქ. თბილისში, შედის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტზე ეს ის დროა, როდესაც საქართველოში მყარდება საბჭოთა ხელისუფლება და იწყება ეროვნული კულტურის აღორძინება. თბილისში იხსნება სახელმწიფო გამომცემლობა, სამხატვრო აკადემია, სახელმწიფო ევრება ქართულ კინო. შემოქმედების და გამოსვლის იწყებს მრავალი ქერნალი და გავრცედა.

სწავლისთან ერთად დ. ქუთათელაძე განაგრძობს მხატვრულ მუშაობას. იგი ზღვება თანამშრომელი იმდროინდელი მრავალი მხატვრული და სატორული ქერნალ-გავრცეებისა („მომავალი“, „ალამა“, „ქრისტიანული“, „ნაჩვი“, „დროშა“, „თეატრი და ცხოვრება“). აქტიურად მონაწილეობს „სახელგამის“, „ტექნიკა და შრომის“, „ფედერაციის“ და სხვა გამომცემლობების მუშაობაში. აფორმებს წიგნებს და ასურათებს სახელმწიფო კულტურისთვის. ამ პერიოდის მის ნამუშევრებს ეტყობა ნიჭი და შინაგანი კონტურა, თუმცა ეს პირველი ვარჯიშობანი მხატვრობაში არ ირთინ მოკლებული მიმდინებლობას.

გულბრკველობას და იმ დროს ფეხმოცილებულ შემოარტყენობას\*.

1924 წელს იგი მიემგზავრება ლენინგრადში და შედის სამხატვრო აკადემიაში. სტუდენტობის პერიოდში მონაწილეობს ლენინგრადის ეურნალ „კრასნაია პონორამაში“ და „რეჟეში“. იქ აქვეყნებს სურათებს ახალი საქართველოს ცხოვრებადანი.

1929 წელს იგი ამთავრებს სამხატვრო აკადემიის ფრიალზე წიგნის გრაფიკის სპეციალობაზე. დიპლომს იცავს ევ. ნინოშვილის „ჯანყი გურიში“ და საყმაწვილო ეურნალის „ოქტომბრლის“ გვიორზეზეზე და დასურათებზე. სამხატვრო აკადემიის დამთავრებასთანავე ბრუნდება საქართველოში და იწყებს მასწავლებლობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

ახალგაზრდა მხატვრას პირველ ხანებში მექანიკურად გადმოაქვს რუსული გრაფიკული ხელოვნობის ტრადიციები, შემდეგ კი მეტი პასუხისმგებლობით ჰქილავს ხელს ქართული გრაფიკული ხელოვნების შემკვიდრების შესწავლას და ქართული წიგნის გაფორმებაში თანადროული სიხალე და თავისებურება შეაქვს. იგი ასრულებს ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლობის კ. კალაძის „უხარდიონს“, პ. ჩხიკვაძის „ნაბიჯებს“, ი. ლისაშვილის „მოთხრობებს“ და სხვა. ეს ილუსტრაციები გვიჩვენებენ, რომ ნიკიტრი მხატვარი რეალისტურ გზაზე დგება და განსაკუთრებული გულმოდგინებით გეხატავს ლტერატურულ ნაწარმოებში შექმნილ სახეებსა და აწერილ მოვლენებს. ამ ილუსტრაციებში ყურადღებას იქცევს თავისებური კომპოზიცია. მასალის ცოდნა, ნაციონალური კოლორიტი და ინდივიდუალური შეტყველება.

წიგნების დასურათებასთან ერთად მას არანაკლებ იზიდავს საღაზგო გრაფიკა. ირყევი, რომ მხატვრის უფრო მეტი მიდრეკილება გრაფიკულ ხელოვნებასკენ აქვს.

ვინაიდან საღაზგო გრაფიკა ჩამორჩენილი იყო ჩვენში, თითქმის არც არსებობდა, მხატვრისათვის სპირობი გახდა უფრო ფართო პრაქტიკული გამოცდილების მიღება ვიდრე მას ჰქონდა. ამ მიზნით ისევ მიემგზავრება ლენინგრადში გრაფიკული ოსტატობის გასაღრმავებლად.

დიდი ოქტომბრის შემდეგ საბჭოთა კავშირში საღაზგო გრაფიკის განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას მიექცია. მასების ომზრის და კულტურული დონის ამაღლების საქმეში ესტამპის ხელოვნებამ საბატიო ადგილი დაიკარა. ეს იმიტომ მოხდა, რომ საღაზგო გრაფიკის — ესტამპის თავისი ორიგინალური სახე და მოქმედების თავი აქვს. მის უპირატესს თავისებურებას შეადგენს ის, რომ გრაფიკურის შექმნის დროს, მხატვარი არის სურათის შემქმნელი და ანაბეჭდის შემსრულებელიც.

მხატვარი ჰქმნის კომპოზიციას, აწვადებს საბეჭდი ფორმის დაფებს და თვით იღებს ანაბეჭდს. მას საშუალება ეძლევა მომხმარებელს

მიწოდოს ისეთი სურათი, რომელიც არ გარეობს რაიმე ფოტომექანიკურ პროცესებს. მის მხარეზელი ლებულობს მხატვრის ჩამდგენლ ორიგინალურ შემოქმედებას. ამავე დროს დაგრავრებულ საბეჭდ ფორმიდან მხატვრის თავისუფლად შეუძლია მრავალი ანაბეჭდის ამოღება, რაც ესტამპის ხელოვნებას ყველაზე დემოკრატიულად ჰდის. მომხმარებელი ლებულობს სურათს უფრო იაფად და ნახატის ძირითადი თვისების დაუმახინჯებლად. ამრიგად, ის გარემოება, რომ ესტამპის დამზადების დროს ერთ პირევენებაშია მოქცეული შემოქმედი მხატვარიც და მწარმოებელიც, დადებითად მოქმედებს მხატვრულ ნაწარმოებზე; იგი, მხატვრულ დონის სიხის დაუკარგავად მიდის მომხმარებლამდე.

უდავოა ესტამპის დიდი მნიშვნელობა მხატვრული კულტურის დანერგვის საქმეში. მგარამ არ უნდა დაევიწყოთ, რომ საბჭოთა დაზგური გრაფიკა, რომელიც უფრო ადვილად აღწევს კლუბებამდე და მოძრავე გამოფენებამდე, ვიდრე დაზგური ფერწერა, — მამინ არის ძლიერი და მნიშვნელოვანი, როდესაც მხატვარი საღუქქელიანდ ეუფლება ახალ, რევოლუციონურ მსოფლმხედველობიდან მომდინარე სოციალისტურ რეალიზმის სტილს. საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული ცხოველყოფელობა დაზგურმა გრაფიკამ მამინ მიიღო, როდესაც რეალური სამყაროს მრავალფეროვანების გამოვლინება იქცა გრაფიკული ხელოვნების, ყერძოდ ესტამპის, მთავარ მიზნად, დაზგური გრაფიკა დაუბალოდა დაზგურ ფერწერას. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით ლენინგრადის გრაფიკის მხატვრებს, რომელთა შორის იზრდებოდა და ოსტატდებოდა დ. ქუთათელაძე.

ამ მხატვართა წრეში მუშაობამ და იმ განსაკუთრებულმა ყურადღებამ, რომელსაც ლენინგრადელი გრაფიკოსი მხატვრები იხენდნენ ესტამპისადმი, დიდი გავლენა მოახდინა ქუთათელაძის შემოქმედებაზე. პირველ ყოვლისა, ის საბოლოოდ თავისუფლდება საქმეტურ და სტილიზატორულ გავლენებიდან.

მის ასეთ მიდრეკილებას დიდად უწყობს ხელს ლენინგრადის მხატვრების მიერ შექმნილი ექსპერიმენტალური გრაფიკული სახელოსნო, საიდანაც იმ დროს მრავლად გამოდიოდა მაღალმხატვრული ფერადი ოფორტები.

„დიდი იყო ამ ექსპერიმენტალური სახელოსნოს აღზრდელობითი მნიშვნელობა“ ამბობს ერთ-ერთი რუსი მკვლევარი. „აქ ცოცხალ შემოქმედებით ურთიერთობაში მუშაობდნენ გამოჩენილი ოსტატები და დამწყები ახალგაზრდები, აქ მიმდინარეობდა ექსპერიმენტალური მუშაობა ფერზე, რომლის შედეგები მუისვე მკვიდრდება პოლიგრაფიაში. აქ გაცხოველებულ და ნამდვილ შემოქმედებით ატმოსფეროში ვითარდებოდა მხატვრული ძიების მრავალფეროვანება და ტექნიკური ამოცანების გადწყვეტა“.

საერთო მუშაობამ ახალი მიზნები დაუსახა საბჭოთა დაზვერვა გრაფიკას. უპირატესობა მი-  
 ჰქვამდა გრაფიკულ და გრაფიკურულ სუ-  
 ლათს. ფერწერის ელემენტების შეტანამ გრა-  
 ფიკაში დიდი ინტერესი დაბადა ფერადი ესტამ-  
 პისადმი.

დ. ქუთათელაძისათვის დაზვერვა გრაფიკა  
 მთავარ შემოქმედებით სფეროდ იქცა. იგი თ-  
 ვისებს შეაფიქსირა და გრაფიკურის ყველა სახეს,  
 ჰქმნის უპირავე ქსილოგრაფიებს და ავტოლითო-  
 გრაფიებს, უკეთეს შედეგს აღწევს ლითოგრა-  
 ფიაში და ფერად ოფორტში. მისი შემოქმედე-  
 ბის მთავარი თემა არის საქართველო და თბი-  
 ლისი. ერთრის და ვალურსება თბილისის ზე-  
 დებსა და კუთხეებს. ამაღლებულზე სიყვარულ-  
 ლით გაღმავლებს ახალ თბილისს, მის არქი-  
 ტექტურას, ფართო პროსპექტებს, სანაპიროებსა  
 და პარკებს.

მის მრავალ ავტოლითოგრაფიებისა და  
 ოფორტების ფურცლებში ასახულია საქართვე-  
 ლის ახალი სახე ინდუსტრიული ქალაქებით,  
 პესებით, ციტრუსოვანი პლანტაციებითა და ფაბ-  
 რიკა-ქარხნებით. ყოველივე ეს სამშობლოს ახა-  
 ლ ცხოვრების ცოდნითა და თბილი გრძნობე-  
 ბით არის შესრულებული (თბილისი, „პარა-  
 თაშვილის აღმართი“, „ჩელიუსკენელების ხი-  
 დი“, „თბილისის საერთო ზედი“ „რუსთავი“,  
 „რიონჭესი“, „უიათურა“, „ტყვარჩელი“, „ჩაქვი“,  
 „ჩაის კრფა“). საქართველოს ბუნებისა და ცხოვ-  
 რების ამსახვე სურათებით მონაწილეობს გე-  
 ლონდონსა და პეკინში საბჭოთა მხატვრების გა-  
 მოფენებზე. ამავე სურათებს ფენს ლენინგრადის  
 მხატვრების ფრიად საბასუნისშეგებლო და მნი-  
 შვნელოვან პირველ გამოფენაზე 1935 წელს და  
 იმ მრავალ მომრავ გამოფენებზე, რომელთაც  
 თანამგზავდელი მხატვრები სისტემატურად მარ-  
 თავენდენ საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ქალ-  
 ქებში და რესპუბლიკებში.

1935 წლიდან დ. ქუთათელაძე გადადის რთულ  
 კომპოზიციებზე. თემატურად მას უფრო სამო-  
 ქალაქო თემების პერიოდი იზიდავს. ახლად შექ-  
 მნილ დიდი ზომის ავტოლითოგრაფიებში და  
 ოფორტებში მერ მხატვრულ დახვეწილობას ამ-  
 ჟღავნებს და რეალისტური განზოგადოების  
 უნარს იჩენს. მისი დიდი ზომის ფერადი ოფორ-  
 ტები ისტორიულ-რევოლუციონურ თემებზე,  
 როგორც მავალითად „ორჯონიკიძე და კიროვი  
 ზრდილოეთ კავკასიაში“, „სტალინი, გოროში-  
 ლოვი და პარბოშენკო ცარიცინის ფრონტზე“,  
 „სტალინი, ორჯონიკიძე და გოროშილოვი სა-  
 ლონ-გაგონში“, „ლენინი და ორჯონიკიძე რაზ-  
 ლოვი“ მრავალ მხრივ არიან საინტერესო. იმ  
 დროს ზელოვნების ბევრი შეკლებული იმ აზრის  
 იყო, თითქმის ოფორტი მოკლებული უფილი-  
 ყოს დიდი ზომის შესრულების, ყოველნაირი  
 თემის გამოვლინების და რეალისტური ფერა-  
 დოვნების შესაძლებლობას. დ. ქუთათელაძემ  
 პრაქტიკულად დაამტკიცა ასეთი აზრის უსა-

ფუძვლობა. მან თავისი პრაქტიკით განაბოილა  
 ის აზრი, თითქმის ოფორტით არ შეიძლება  
 ფერწერითი ამოცანების გადაწყვეტა. „დ. ქუ-  
 თათელაძემ ვაფიქროვებ“ საბჭოთა სურათის  
 ზარჩოები იმდენად, რომ შესაძლებელი გახდა  
 მასში დიდი სურათის თემების, დიდი იდეური  
 შინაარსის მოთავსება“<sup>1</sup>.

როდესაც ქუთათელაძე იყენებს თავის გრა-  
 ვიურებში ფერად ტონებს, იგი მათი საშუალებ-  
 ბით ეძლეობს გადმოსცეს ობიექტურ ცდებზე  
 დაკრძნობილი ფერების განზოგადოებული სახე.  
 ამავე დროს ის თანამიმდევრულად იცავს გრა-  
 ვიკურული ფერადობის კანონზომიერებას, ფერ-  
 თა შესაბამის და ტონების სინთეტური საკო-  
 ნიზის კანონს.

ვინც საფუძვლადანად გაეცნობა ქუთათელაძის  
 ესტამპებს, მის მრავალ ავტოლითოგრაფებსა და  
 ოფორტებს, მისთვის ნათელი გახდება იმ ნამუ-  
 შევართა მნიშვნელობა ქართული სადაზვო გრა-  
 ფიკის განვითარების საქმეში.

მხატვარი გულთ გაწიციდის აღებულ თემას.  
 შემოქმედებითი სიძლიერით გადაზოგვეს სურა-  
 თის დედაზრს, მის მიზნობრივ დანიშნულებას.  
 მის ნამუშევარში თითქმის ყოველი შტრიხი გა-  
 აზრებულია და შესაფერ როს ასრულებს  
 მილიან კომპოზიციაში. თავის ისტორიულ-რე-  
 ვოლუციურ ოფორტებში იგი ჰქმნის ფსიქოლო-  
 გიურად ღრმა და ისტორიულად მართალ, რევი-  
 ლუციონურ აღმთერნით საყვრ რომანტიულ სა-  
 ხეებს. მის პეიზაჟებში იგრძნობა სითბო და მზი-  
 ურთა ქვეყნის თავისებურება.

როდესაც დ. ქუთათელაძის შემოქმედების  
 მხატვრულ და ტექნიკურ ღირსებაზე ვლაპარა-  
 კობთ, არ შეიძლება არ გაიხსენოთ გრაფიკული  
 და მონუმენტური ზელოვნების უდიდესი ისტა-  
 ტის ე. ლანსერეს სიტყვები, რომელიც მან თქვა  
 ქუთათელაძის გრაფიკურული ნამუშევრების შე-  
 სახებ 1943 წელს თბილისში ყოფნის დროს:

„მხატვარ დ. ქუთათელაძის ნამუშევრები,  
 მხატვრული ესტამპის მშვენიერ ნიმუშებს წარ-  
 მოადგენენ. რამდენადაც მე შემიძლია განვსა-  
 ჯო, მხატვარი სასებთ დაუფლებელია ოფორ-  
 ტისა და ლითოგრაფიის ტექნიკას... ყველაზე  
 მეტი ყურადღების ღირსნი არიან მისი დიდი  
 ზომის მრავალფეროვანი ოფორტები, მათ შე-  
 იძლება ვუწოდოთ მონუმენტური არა მარტო  
 მათი სიდიდის, არამედ მოფიქრებისა და კომ-  
 პოზიციის მხრივაც“.

ამ ფერად მნიშვნელოვან და სამართლიან შე-  
 ფასებას მხოლოდ ის შეგვიძლია დავემატოთ,  
 რომ მხატვარმა დ. ქუთათელაძემ პერსონალურ  
 გამოფენაზე წარმოდგენილი ოფორტებით და  
 ავტოლითოგრაფიებით ახალი ფურცელი გადა-  
 შალა ქართული სახეითი ზელოვნების ისტო-  
 რიასში.

<sup>1</sup> ს. ნადარეიშვილი „საბჭოთა ოფორტის ის-  
 ტორია“ გზ. „ლიტ. და ხელ.“ № 48, 1946 წ.



პირველი ნომერი



## გამოუქვეყნებელი წერილი\*

(„მამათა და შვილთა“ ზრდილის გამოხმარება).

ჩვენი სურვილი ეს არის მხოლოდ, რომ თვალი გადავავლოთ ამ უკანასკნელ ორ სტატიასა და რედაქტორის შენიშვნებსა — შესახებ ჭავჭავაძის სტატიაებისა, როგორც მკითხველთა ნახვებზე, პირველ სტატიასთან დაკავშირებით და სპეციალურად მოწინააღმდეგეთა ჭავჭავაძის საკადრისათვის უპასუხებდა. ის საში სტატია მაინც არ აკმაყოფილებს და კიდევ დაუწერეს, ზოგმა რო კრიტიკაში ვერ გამოდგინო, ზოგმა — პოეტურად ნიჭი არა აქვსო და ზოგმა უნის უყოფიანობა დასწამეს უ. ჭავჭავაძისა. ერთის სიტყვით ამ უთავბოლო და არეული დარეულ თხზულებებში ჩვენ მწერალთა ორ საგანზე აქვთ ლაპარაკი: ჭავჭავაძის კრიტიკაზე და იმის ლექსებზე.

კლდეს არწივები არიანო, არსენის უთხარ, ნულარ მელის. შევლევ ხიფათმა დიტიანო, იქ, სადაც უტყვი მთები არი, არც ჭერავმა დედამ დაიტვირო, არც სატრფო მოსთქვამს თმებიანი. ქარო, აშარო, ფრთა გაშლივო, არწივებს უთხარ კაცის ენით: კლდის ძირას კვდება ბიჭი შევლევო, მარტო კლდე ტირის ყანგისფერი...

სარციენზოო წიგნში არც თუ ისე უხვად არის წარმოდგენილი ფრონტზე ყოფნის დროს დაწერილი ნაწარმოებები, მაგრამ ეს წარმოებება სრულყოფილად არ გვიშლის ნათლად წარმოგადგინოთ ის, რაც სამამულო ომის პერიოდში იტლებდა და ასულდგმულბდა ახალგაზრდა პოეტსა და მეომარს — მირზა გელოვანს. ამ პერიოდის ნაწერებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ლექსები: „მთაწმინდიდან სმოლენსკაჲდ“, „მეგობარ პოეტს“ და „ჩემს მიწურ ქობში“. მეგობრისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და სამშობლოს მტრისადმი სიძულელიის ძლიერი განცდილი არის აღბეჭდილი პოეტის სიტყვებში:

მე დედაშენს არ ვაუშობო შესაწუხარს, ვერცევი მხოლოდ, ომში გული არა კვდება, ვერცევი, რომ შენ წაიქეცი, როგორც მუხა, როგორც ფშაველ მონადირეს ეკადრება. გული დარჩა, და როდესაც ხელნართული დნებობის გაღმა ჩადავ ომის მქუხარება მე ვიგრძენი საგულეში შენი გული და მტრის ბლინდაეს შეგვეკეთე ყუშბარები...

ბრისხანე ბრძოლების მონაწილე პოეტი თავისი ლექსებით ამხნევებდა ფრონტულ მეგობრებს, იმევე დროს ის სამართლიანად მოითხოვდა, რომ პოეტის სიტყვა ტყვიასავით მჭრელი ყოფილიყო თავის ერთ ლექსში ის მიმართავდა მეგობარ პოეტს:

... და ვისაც ყოფნის მტკიცე იმედი არ შორდებოდა ძალონე მიხდილს.

ვინც იწვა თოვლში სიკვდილს გვერდით და მტრის საფარში გზავნიდა სიკვდილს, ვინც მომავლდავ მის განშორდა ქარში, სახეს უსისხლოს და ვანაოცებს, ვინც იარაღთან მოვიდა ბავშვი, და ახლა შენზე ითვლის ნაოქებს, — მის შეუძლია ბავშვობის ზიარს გისაყუდუროს, გაგვიცხოს შორით, თუ სიტყვა შენი არა ჰგავს ტყვიას, ამ სასტყე ომში ჩემგან გასროლილს...

სამამულო ომის ფრონტზე მირზა გელოვანმა რიგითი ჯარისკაცობიდან კაპიტნის წოდებას მიაღწია. სამწუხაროდ ეს კაპიტნობა მას არ დასცალდა ჩვენი პოეზიის ფრონტზე... აქ ზედმეტი არ იქნება თუ რამდენიმე სტრაქონს გაიხსენებთ ერთ შესანიშნავ ლექსიდან „სამშობლო ჩვენია“, რომელიც ეკუთვნის მირზა გელოვანის თაობის წარმომადგენელს — ნიკეერ პოეტს ალექსანდრე საჯაიას:

დაეცი, შენი ცა დაგნათის... ნამიცი ხომ იარებს გისველებს; სისხლიან მაჯაზე საათი ჩურჩულებს, ჩურჩულებს ისევე. გაანა ჩვენი გაქცივა გეჩვევია, — გაეიარღვევო, გავშლით და გავიტანო: კაპიტან, სიციცხლე ჩვენია, ჩვენია სამშობლო, კაპიტანს..

ვინ იცის, იქნებ ეს ლექსი წაიკითხულიც ჰქონდა მირზა გელოვანს და სიციცხლის უკანასკნელ წუთებში ვამაჰხნევებელ ბგერებულ ჩაესმოდა ყურში: „ჩვენია სამშობლო, კაპიტან“.

მირზა გელოვანის ლექსების კრებული ქართული შეთხველისათვის ძვირფას საჩუქარს წარმოადგენს, რადგან მასში ახალგაზრდა საბჭოთა პოეტისა და მეომრის უწმინდესი გრძნობებია ჩაქსოვილი.

შალვა აბისულაშვილი

## ანეტ ვიდალის წიგნი ანრი ბარბუსზე

ანეტ ვიდალის წიგნი ანრი ბარბუსზე ასე მკვიან: „ანრი ბარბუსი, შვედობის ჯარისკაცი“. ეს წიგნი ჯერ საფრანგეთში გამოვიდა, შემდეგ კერძოდ ითარგმნა, გამომცემლობამ „ხალხი და მსოფლიო“ ის პერლინიში გამოსცა 1955 წელს. ჩვენ ეს გერმანული თარგმანი გვაქვს ხელთ.

ანეტ ვიდალი ანრი ბარბუსის მდივანი იყო. 1920 წელს ის მასთან შემთხვევით მივიდა. ამის შემდეგ ანეტ ვიდალი 15 წლის მანძილზე ემსახურება ანრი ბარბუსს. ვიდალი მამინ არ იცოდა, რომ დიდ შწერალს მხოლოდ 1935 წ. პერ-ლაშეზის სასაფლაოზე გამოეთხოვებოდა, სადაც დიდი ფრანგი მოქალაქე მშობლიურ მიწას მიაბარეს.

ანრი ბარბუსი საფრანგეთის დიდი ლიტერატურის ტიპური წარმომადგენელია. განთქმულ ფრანგ მწერლებს მუდამ ახასიათებდათ გამძი-



რბული ინტერესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებაში. წარმოუდგენელია ვოლტერი მისი პოლიტიკური საკუთარი გაერე, სტენდონი ამავე ხასიათის ირონიით, ზოლი დრეიფისის საქმესთან დაუკავშირებლად, რომენ როლანი, ანატოლ ფრანსი რეაქციის; ობსკურანტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გარეშე. ეს ფრანგული ლიტერატურის მაგისტრალური ხანა. მხოლოდ ლიტერატურული პიკეები შეუყოფნენ ხოლმე თავს „საილოს ძელის კოშკში“. ეს მხოლოდ მოსახიფტებლად, ნამდვილად კი იმ კოშკში ისინი ხშირად ბინძურ პასკვილებს თხზავდნენ მოწინავე იდეების, გრანობების, აზრობის წინააღმდეგ.

ანრი ბარბიუსი ლიტერატურის, პროგრესული იდეების და საქმის რაინდი-ჯარისკაცი იყო. წიგნის ქვესათაურში ანეტ ვიდალმა სწორად გადმოსცა ამ აღმაშენის ცხოვრების კვინტესენცია. ა. ვიდალი წიგნის 374 გვერდზე წარმოვედგინა ბარბიუსის ცხოვრების მატთანეს ბავშვობიდან უკანასკნელ წუთებამდე.

ანრი ბარბიუსი ლიტერატურის, თეატრალური კრიტიკოსის, ლიტერატურული ევრნალის რედაქტორის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. მისი დედა ინგლისელი იყო — ანი ბენსონი. ლიტერატურის სიყვარულს ა. ბარბიუსი ბავშვობაში ეზიარა. მოკლავებრივი მოვლადობის გრამონ-ბის მას სიკვამლეში აღძრა. ის ორმოცი წლის მოწიფებელი ადამიანი იყო მოხალისედ რომ წავიდა პირველი მსოფლიო, იმპერიალისტური ომის ბრძოლის ველზე. ბარბიუსი მამის დარწმუნებულ იყო, რომ საფრანგეთს იცავდა. მის თავისი ქვეყნის სიყვარულს წრფელი გრანობა კარნახობდა, ჯარისკაცის მანარა მოეხურა და სანგარში გაეტარებინა მძიმე ოთხი წელი. იქ ისახებოდა მის შემეცნებაში ომის საშინელი სურათები, რომლებიც ა. ბარბიუსმა ასეთი სიძლიერით წარმოვედგინა თავის ცნობილ ნაწარმოებში „ცეხლი“. ვ. ი. ლენინი წერდა: „მასებში რევოლუციური შეგნების ზრდის ყველგან შემჩნეული, მასობრივი მოვლენის ერთ-ერთი განსაკუთრებით თვალსაჩინო დადსტურებად შეიძლება ჩაითვალოს ანრი ბარბიუსის რომანები „Le feu“ (ცეხლი), და „Clarté“ (სიცხადე)“. პირველი უკვე გადათარგმნილია ყველა ენაზე და გავრცელებულია საფრანგეთში 230.000 ეგზემპლარის რაოდენობით. სურულიად უშეკავი იდეებითა და ციკარწმენით ზოლად დამეჩაივებული ობივატელისა და მასაში მომუშავე ადამიანის გადაქცევა რევოლუციონერად სწორედ ომის ზეგავლენით ნაჩვენებია არასვეულებრივი სიძლიერით, ნიჭიერად და მართლად“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 603 — 604). ვლადიმირ ილიას-ძე ამას წერდა 1919 წელს და ლენინის ამ მაღალმა შეფასებამუ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ანრი ბარბიუსს, მსოფლიო შერლის სახელი მოეხვეჭა.

ანეტ ვიდალი კარგად მოვეითხრობს იმ დიდ ლეწლზე, რომელიც ა. ბარბიუსმა მოწინავე კაცობრობას დასდო. ფაქტიურად ის პირველი დიდი ფრანგი ინტელიგენტი იყო, რომელმაც ხმა აღიმაღლა პირველი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

ანრი ბარბიუსი მთავითვე აქტიურად ებრძოდა ომის გამაღებლებს, თავგამოდებით იცავდა დემოკრატიის და პროგრესის საქმეს. ანეტ ვიდალი კარგად შენიშნავს, რომ ანრი ბარბიუსმა მსოლინის და პიტერის გამოჩენისთანავე შენიშნა, თუ რაოდენ დიდ საფრთხეს უქაღდა ფაშისტ ურჯულთა შიგნობა კაცობრობის წინსვლას. ანრი ბარბიუსი ჩვენს ქვეყნის, ვ. ი. ლენინის, მისი თანამებრძოლებისა და მოწავეების მოსიყვარულე მეგობარი იყო და თავის ცნობილ ნაწარმოებებში აღნიშნა მათი ლეწლი. ა. ბარბიუსმა შთავონებული სტრიქონები უძღვდა ვ. ი. ლენინს. ჩვენ პირველ რაგში მხედველობაში გვაქვს ა. ბარბიუსის ცრეელი წინასიტყვობა, რომელიც მან წარუძღვარა ლენინის წერილებს შიშობებისადმი. ეს წერილები პარიზს გამოვიდა 1936 წელს, ბარბიუსის გარდაცვალების შემდეგ. ამ ნარკვევში ბარბიუსს ვ. ი. ლენინი მრავალშრიტ ჰყავს დახასიათებულა, როგორც პროფესიონალი რევოლუციონერი, პოლიტიკოსი, თეორეტიკოსი, ფილოსოფოსი. ეს ნარკვევი თავისთავად ა. ბარბიუსის დიდ ერუდიტაზე, მარქსიზმის, ლენინიზმის დრმა ცოდნაზე მეტეველებს. ა. ბარბიუსის ნარკვევი წელს გამოქვეყნა ქურნალმა „ინოსტრანაია ლიტერატურა“ № 4. ანრი ბარბიუსის ნარკვევში ერთი ასეთი ჰეკამაზილური დაკვირვებაა: „განთქმული აღმანებების პირადი წერილები, როგორც წესი, თუ შეიძლება ასე თქვას, სიტა არ იყოს, ამკირებენ მათ სიღადესს. ზოგს სიამოვნებს უტყობროს, თუ როგორ პატარავლებიან დაღიწ ჩვეულებრივ ადამიანთა მოცელობამდე ქაღალდის იმ პატარა ფურცლებზე, სადაც აღბეჭდილია საიათის თუ წამის განწყობილებანი. პირად წერილებს როცა კითხლობთ, შეგობლიათ აღმანიწათ დიდი ადამიანის „მკორ“ მხარეები, რაც, სხვათა შორის, თავისთავად ნაყლებად საინტერესოსა და ჰეკის სასწავლად როდი ხლიან მათ კითხვას... მაგრამ ლენინის წერილები სხვაგვარია“.

ანეტ ვიდალი დაწერილებით მოვეითხრობს ა. ბარბიუსის საბჭოთა კავშირში მრავალჯონ მოგზარობის შესახებ. წიგნის ერთი თავი სპეციალურად მიძღვნილია ა. ბარბიუსის წიგნისადმი „აი რა უყვეს საქართველოს!“ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის მტრებმა ნიანგის ბავის ცრემლი დაღვარეს საქართველოს ზედისათვის. ჩვენი ხალხს მოსისბლე მტრები, პირველ რაგში, საშობლობს მიწა-წყლიდან გაძეებული მენშევიკები უშეკრად ლანძღავდნენ ჩვენ ხალხს, ჩვენს ხელისუფლებას. ა. ბარბიუსმა გადაწყვიტა აქ ჩამოსულყო, საყუთოთ თვალით ენახა ფაქ-

ტური ეთარება და საჭირო პასუხს გვეცა ყოველი ჯერის ცილისწამებულებსათვის. დაღა 1927 წელი. ცნობა მოვიდა, ჩამდენიმე დღის შემდეგ არი ბარბიუსი თბილისში ჩამოვარდა. ვლადიკავკასიში (ახლა ორჯონიკიძე) განთქმულ შერკლისა და საფრანგეთის ღრსეული მოქალაქის შესახებერად თბილისიდან სამი ავტომანქანით გავეშტაბერეთ. წავედიო სილვა თორია, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, არჩილ მიქაძე, მისი მეუღლე—კინომეშაქი რაისა შიქაძე და კიდევ სხვა ამხანაგები. ვლადიკავკასის აეროდრომზე მოვიყარეთ თუი საქართველოს დღევანდელ, ჩრდილოეთ ოსეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. შეადგენ ჩვენ-ბოდა, თვითმფრინავი რომ აეროდრომზე დაეშვა. ტრაპზე გამოვიდა ძალზე შალაღი, არკეთ ისე მოხეტო, ცოტოდნად წელში მოხრილო მოღმარო კაცო. უკან მოჰყვებოდა მდივანი სიუზანი დიუშა. მიუეზღვდიო. შევნიშნე შესანიშნავი, დახევე-წილო, რადინარბული სილამაზის სახე. ნაღვ-ღაანი თვალები აზრის დაუცბრომელ მუშაობა-ზე თუწებოდნენ. ჩქარი ნაბიჯით ჩვენკენ გამო-ეშურა, მოგვალაშა, ზელო რომ გამოთქოდა, არ შემეძლო არ შენიშნა გამოცხეთილო გრძელი ლამაზი თითები, თითქოს ვაკოცებოდა ტიციანის „ქვისარის დინარში“ გამოსახული ქრისტეს თო-თები.

ამხანაგებმა ჩრდილოეთ ოსეთიდან სოხოვეს, ჩამდენიმე დღე აქ დარჩენილიყო ბარბიუსმა შალაშმა გადაიხადა, დიდალო საქმე შაქსს, დრო კი განსაზღვრელია, შაპატეთ მოეცდლო-ბაო. სასტუმროში ნახეარო საათი დაჰყო, ცო-ტა დაიხედა. საშხედრო გზით საქართველო-საკენ გამოვიქო. ბარბიუსს თარჯიმანი თან არ ჩამოჰყოლოდა ისე რომ, ეს მოეალობა მისი საქართველოში ყოინისას მე დავეყავა. დარ-ი-აღში ბინდი ჩამოწვა. ბარბიუსი, დიუშა განკე-ფრებული შესკეროდნენ ბუნების ამ საყერ-ველ ქმნილებას. თვალს ხან საღ კლდეებს შეა-ღვდენენ, ხან კი თერგს გადახედდენენ. ბარბი-უსმა მითხრა: რა საკეროდლებია, რა ამდღე-ღეული მედიდურება, შეიძლება ვანა ადამიანმა სრულყოფილად გამოხატოს სტიქიონის ეს გე-ნიალურა ქმნილება? მე გვიად შეთარგმნა, „თერ-გი ბინს, თერგი დრიალებს, კლდენი ბანს ეუბ-ნებანი“. ფსინაერს რომ ჩამოვედით, უკვე და-ღამდა. გადაწყდა დამე იქ გავეყოთ. ვამაართა ვახშამი. სტუმარს ცოცხალი კალხანით, აქვე ცეცხლზე შაჭურზე გაკეთებულ შუქვადებით, კეცსა და კეცს შუა წიწილებით, კახური ღვინით გავემსპინებდით. პაოლო და ტიციანმა სა-ღვრებელოები განთქმული ფრანი მოკეტბას დღესებით შეამკეს. ვახშამის შემდეგ გზატყვი-ლზე გავისურინეთ. ბარბიუსი შესკეროდა მოვა-რისა და ვარსკვლავების შუქით განათებულ კავ-კასიონის მთებს. დაღლილობამ თითქოს სულ-ითიანად გადაუარა. მზარბზე პლელი წამოსხმა, წყნარად მიბარებდა, ხმას არ იღებდა, ვკითხე,

ხომ არ დაღალეთ, ეგებ ჩამოვდეთ. აქ დღე-ში სჯობსო, მითხრა, სიტყვეთ; შეგვრებით! ნუ შევერცხებოდით ამ გრანდიოზულ იდუმალ სანა-ხაობას, რომლის მავგარი ბერის მნახველს არსად მიზიდავსო. თრიოდე წლის შემდეგ, უკვე საფრან-გეთში შესანიშნავ ვილა „ეიერეს“ მირამარში, რიგირაზე, ა. ბარბიუსი მირის ტორის ეუბ-ნებოდა, განუტყარავ სენი შვირს (ა. ბარბიუს-ტრებერელოზით იყო დაავადებული), აღბათ შა-ლუ მოეკვდები, მოეციოდები საქაოს, ჩვენს ფრანგულ მიწას მიმბარეთ, შემოიბაღურ დღავს თუ გამიკეთებთ, გამოკეთებთ ის დარიალის სა-ლო კლდის ქვისაგან. ბარბიუსი წამოდა, შომი-ალობოდა, მითხრა, გადაეით ქართველ, ლა-შაშ, გმირ ხალხს ჩემი დაესრულებული აღ-ფრთოვანება, პატერისცემა და სიყვარული.

მეორე დღეს დილაადრიან დედაქალაქისაკენ წამოვედით. ჩამოსვლისთანავე ბარბიუსი მუშა-ობას შეუდგა. ინახულა რესპუბლიკის ზღმძღე-ნელები, გააცნო მათ მოგზაურობის ამოცანი, მუშაობის გეგმა. ანეტ ვიდალი აღწერს ბარბიუ-სის ამ მოგზაურობას. ა. ბარბიუსმა დაეკერე-ბით, შეისწავლა ჩვენი ქვეყანა, ვეწოა შრავალ ეთიებს, კახეთს, სამხრეთ საქართველოს, ვარ-ძიამი იყო. შან ინახულა სოფელი, საშარშობი, აღმინისტრაციული დაწესებულებანი, კულტურის კერები, ესაუბრა ასობით ადამიანს, დაწერო-ღე-ბით სწავლობდა ჩვენს ისტორიას, კულტურას, ლიტერატურას. არა შარტო მის წარსულს, აია-შეღ, პირველ რიგში, მის აწმყოს. გროვდებოდა შთაბეჭდილებანი, რვეული რვეულზე იფსე-ბოდა. მთელი დღის დაუცბრომელი მუშაობის შემდეგ ბარბიუსი სასტუმროში დამით ამოწმებ-და ცნობებს, გვხოვდა, სახელებს, გვიერებს, გვიგრაფილო ბუნტეტბის მართლწერა შეგვე-მოწმებინა. გვიანციოდებდა ამ ავადმყოფი ადა-მიანის დაუცბრომელი ენერგია. ბარბიუსი დღეში 16—18 საათს მუშაობდა. შამინ ახალგაზრდა კაბუეი ძლოვს ეუძღებდი ხანში შესული აფიან-ის მუშაობის ტემპს. ალოვდებოდა საქართვე-ლოდან გამგზარების დრო სასოშსპეტოს მა-შინდელ თამჯდომარესთან შალვა ელიავსთან მოეწყო პატარა გამოსამშვიდებელი დარბაზობა. იქ იყენენ ცენტრალური კომიტეტის ცხიანი, მიხა კახიანი, ფლიად შაპარაძე, მიხა ცხაკიაი, სილვა თორია, არჩილ მიქაძე. ა. ბარბიუსი მოუთხრობდა მათ შთაბეჭდილებებს. ა. ბარბიუსი შსჯელობდა საქმის, ფაქტების ცოდნით. დი-დი მწერალი, მოაზროვნე, საზოგადო მოღვეწე მშენიერად ერკვეოდა საბჭოთა საქართველოს მაშინდელ შრავალ საკირობოტო საკითხში. ყვე-ლა განციოდებულ დარჩა, როგორ მოახერხა ამ ადამიანმა ამდენი მასალის მოგროვება, მისი გაზარება, საჭირო დასკვნების გამოტანა. შ. ელიავი, მ. კახიანი, ფ. შაპარაძე, მ. ცხაკიაი მთე-ლი საღამოს შანალოდ უახსუბებდენ მას შრე-ველ კითხვებზე, ანუსტებდენ ცნობებს, მოუთხ-რობდენ მას ჩვენი ქვეყნის მიღწევებზე, სიძრე-

ლებზე, ახალ ამოცანებზე. იქ ის უსმენდა ფორფიტზე ჩაწერილ ქართულ მუსიკას. მახსოვს, განსაკუთრებით აღაფრთოვანა „დაისის“ უვერტურამ, „საქართველო რომ არ შეხილა, მას ამ უვერტურითაც შევიცნობდიო“ თქვა ბარბიუსმა. ამ საღამოს შ. ელიაშვილის ბინაზე, ვერანდაზე ის მრავალჯერ გადიდეს ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ერთად. არ ვიცი, გადაარჩა ეს ფოტოსურათები თუ არა. იღბით ყველა დაიღუპა შემდგომი ხანის ტრაგიკულ დღეებში.

ა. ბარბიუსს ჩვენ მოსკოვში გავყვეით. იქ სასტუმრო „მეტროპოლი“ და დასასვენებელ სახლში „არხანგელსკო“ საათობით ვიწახიბოდა თავის ცნობილ წიგნს საქართველოს შესახებ. დასვენებისას „არხანგელსკოში“ კადრაკს თამაშობდა მიხეილ ივანეს-ძე კალინინთან, რომელიც იქ ჩამოდიოდა მის სანახავად, ბეგრს ესაუბრებოდა კლარა ცეტკინს. კლარა ცეტკინი მოთხორობდა მას ლენინის აზრებს ხელოვნებაზე, კულტურაზე, კომუნისტური აღზრდის საკითხებზე. წიგნის კარნახის დროს ჩვენც იქ ვიყავით და ჩვენი ამოცანა იყო, ყური გვემდღო, რომ ავტორს რაიმე ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა არ გაჰპაროდა, ქართული გვარები, სახელები, გეოგრაფიული პუნქტები სწორად ყო-

ფილიყო ტრანსკრიბირებული ფრანგულად. მაშინვე მოვახსენე ჩვენი ქვეყნის სხვაგვარად შეგობარს და მოამადგეს, რომ მე იქ ვაქისწერებოდა ლი არა შეიძლება რა. ა. ბარბიუსმა წიგნზე შემოთბა განავრძობ საფრანგეთში ზემოხსენებულ ელამი „ვიეიერ“.

თბილისში ყოფნისას ა. ბარბიუსს გადავეცი თელი საბოჟას მიერ ფრანგულით ქართულად თარგმნილი „ცეცხლი“. ვალიში, ვაუხარდა. პატარა გულთბილი წარწერით დამიბრუნა. ამ წიგნში, მითხრა ბარბიუსმა, ცეცხლიც არის, სისხლიც, ტანჯეაც და გამოფხიზლება. მე ის ვუძღვენი გრიტოზე და 114-ე ფერდობზე ჩემს გვერდით დახოცილი ამხანაგების სტოგნისო. თუ ეს წიგნიც სთარგმნეთ და გამოეთეთ და ისიც ამ ორიოდ წლის წინათ (წიგნი გამოვიდა 1923 წელს), ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველ ხალხში დიდი ყოფილა არა მარტო მშობლიური ლიტერატურისა და საშინაო საკითხებისადმი, არამედ მსოფლიო ლიტერატურისა და ინტერნაციონალურ პრობლემებისადმი ინტერესი.

არ იქნებოდა ცუდი, ქართველ მკითხველს ანეტ ვიღღას წიგნი მშობლიურ ენაზე ენახა.

ვლ. მაყაშვილიანი

## ბიოგრაფიული ნარკვევი სერგო ორჯონიძეზე

გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიძე იყო ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე. ვ. ი. ლენინმა იგი შეაფასა „უღრესად ერთგულ და უაღრესად საქმიან რევოლუციონერად“.

სერგო ორჯონიძეიმ, როგორც პროფესიონალი რევოლუციონერი, დიდი და ძნელი გზა განვლო. იგი გაბედული და პრინციპული, დიდი ვაჟანებისა და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოვებული მუშაკი იყო, ლენინური იდეებისათვის თავდადებული და დედამისი მებრძოლი. 34 წელაწადი მოღვაწეობდა სერგო ორჯონიძე ბოლშევიკური პარტიის რიგებში და ყოველთვის პირნათლად ასრულებდა პარტიისა და მთავრობის დავალებას.

სერგო ორჯონიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საინტერესოდ მოგვითხრობს ს. ჩხატარაშვილის ბიოგრაფიული ნარკვევი.

სერგო ორჯონიძე დაიბადა 1886 წლის 28 ოქტომბერს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფ. ლორეშაში. შვიდი წლის სერგო

შეიყვანეს ლორეშის სიეკლესიო — სამრევლო სკოლაში. შემდეგ მან სწავლა განავრძობა ხაზარის რკინიგზის სასწავლებელში. 1898 წელს სერგომ დაამთავრა ხარაგოულის ორკლასიანი სასწავლებელი. 1900 წელს ნათესაებებმა ის თბილისში ჩამოიყვანეს და 1901 წელს შიამარტეს საფერშლო სკოლაში. აქ მოსწავლეთა შორის ძლიერი იყო რევოლუციური განწყობილება, რასაც ხელს უწყობდა ამ დროს თბილისის პროლეტარიატის მძლავრი რევოლუციური გამოსვლები.

საფერშლო სკოლაში არსებობდა მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიული წრე, რომელშიც სერგო მონაწილეობდა 1901 წლიდან. 1903 წლიდან იგი ხდებდა ამ წრის ხელმძღვანელი და თბილისის მოსწავლეთა ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული წრის წევრი. ამავე წელს სერგო შედის რსმ პარტიაში, გადაჭრით დგება ლენინურ-ისკრულ ბოზიოთზე და მისი შეზღუდვურევი თანმიმდევრითი იბრძვის ლენინური იდეების განხორციელებისათვის.

ავტორი მოგვითხრობს სერგო ორჯონიძის პრაქტიკულ-რევოლუციურ საქმიანობაზე. სერგო მონაწილეობდა 1903 წლის 27 აპრილი

\* ს. ჩხატარაშვილი. გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიძე. სახელგამი. 1956.

თბილისის კომიტეტის მიერ მოწოდებულ სამი-  
ველიასო დემონსტრაციაში. ამავე დროს იგი  
ყო თბილისის გაფიცულ მუშაკთა სოლიდ-  
რობის ნიშნად 1903 წლის ზაფხულში მოწო-  
ბილ მისწავლეთა გამოცვლის ერთ-ერთი ხელ-  
მძღვენელი და ორგანიზატორი.

სერგო ორჯონიძე ერთ-ერთი აქტიური  
მონაწილეა იმ განადიდებელი მიტინგისა, რომე-  
ლიც ჩაატარა თბილისის პროლეტარიატმა 1905  
წლის 13 თებერვალს მეფის ხელისუფლების  
პროვოკაციული ცდების წინააღმდეგ — მოეწყო  
თბილისში სომეხ-თათართა ელტეა. 1905 წლის  
ფენისში სერგომ დაამთავრა საფერწლო სკოლა  
და გაემგზავრა თავის სოფელში, სადაც, ნოე  
ბუაჩიძესთან ერთად გლეხებს შორის რევო-  
ლუციური მუშაობას ეწევა. იმავე წლის სექ-  
ტემბერში სერგო გადადის გუდაუთში, სადაც  
ქქმნის ხელმძღვანელ პარტიულ ჯგუფს, რომ-  
ლის დამმარბებითაც მახლობელ სოფლებში  
ქმნიდა სოციალ-დემოკრატიულ წრეებს, ამზა-  
ლებდა გუდაუთელ მშრომლებს შეიარაღებულ  
გამოსვლასათვის.

სერგო აწყობდა საზღვარგარეთიდან მიღებუ-  
ლი იარაღის გადმოტვირთვას და წითელ რაზ-  
მელების შეიარაღებას. 1905 წლის 24 დეკემბერს  
საზღვარგარეთიდან მიღებული იარაღის გად-  
მოტვირთვის დროს იგი დააპატიმრეს სოფ. ზომ-  
ბორში. 1906 წლის 26 მაისს სერგო თავდუბით  
გაათავისუფლეს და თბილისში ორი თვის ყოფ-  
ნის შემდეგ, პოლიციის მხრივ გაძლიერებული  
დევნის გამო, 1906 წლის აგვისტოში გაემგზავ-  
რა საზღვარგარეთ-გერმანიისში, სადაც დაუახ-  
ლოდა ბოლშევიკ-ემიგრანტებს. ოთხი თვის  
შემდეგ ბრუნდება ამიერკავკასიაში. 1907 წლის  
მარტში პარტიული ორგანიზაცია მას სამუ-  
შაოდ გზავნის ბაქოში, აქ ბრძოლას აწარმოებს  
სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტების და მენ-  
შევიკების წინააღმდეგ. სერგოს ხელმძღვანე-  
ლობით პალახანის პარტიული ორგანიზაცია  
ბოლშევიკთა მტკიცე დისაფრთხილ გახდა. ბაქოს  
ქანდაკებრია შეუწევლად აღდგენბდა თვალ-  
ყურს სერგოს მოღვაწეობას. 1907 წლის 4 ნო-  
ემბერს იგი დააპატიმრეს. 1909 წლის თებერ-  
ვალში ვაგზავენს ციმბირში ენისეთს ვუბერ-  
ნის პინჩუვის თემის სოფ. პოტუკუთში, საი-  
დანაც იმავე წლის სექტემბერში გამოიქცა,  
დაბრუნდა ბაქოში და კვლავ ენერგიულად  
შეუდგა რევოლუციურ მუშაობას.

ავტორი მოგვითხრობს სერგო ორჯონიძის  
რევოლუციურ მოღვაწეობაზე ირანში. რევოლუ-  
ცია ირანში რუსეთის პირველი რევოლუციის  
გავლენით დაიწყო. 1907 წლის ნოემბერში  
ბაქოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ სერგო  
ვაგზაენა ირანელ რევოლუციონერების დსახ-  
მარებლად გილიანის პროვინციაში, რომელიც  
მასთან რევოლუციური მოძრაობის კერას წარ-  
მოადგენდა. სერგომ ჩასვლისთანავე გააჩაღა  
რევოლუციური მუშაობა. მისი ხელმძღვანე-

ლობით რეშტა და ენზელი შეიქმნა ე. წ. ინ-  
ტერნაციონალური კლუბები, სადაც ტარდებო-  
და რევოლუციური ღონისძიებანი.

1910 წლის ნოემბერში სერგო დაბრუნდა  
ბაქოში, საიდანაც იმავე წლის დეკემბერში  
გაემგზავრა ლენინთან პარიზში. სერგო იყო  
ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, რომელთა საშუა-  
ლებით ამ პერიოდში ვ. ი. ლენინს კავშირი  
ქმნიდა რუსეთის რევოლუციურ მასებთან.  
ლენინმა სერგო ორჯონიძეს დაავალა მეტად  
სამსუხუბისმგებლო საქმე — საერთომარტიული  
კონფერენციის მოწვევის მომზადება. ბელადის  
ეს დავალება სერგომ შესანიშნავად შეისრულა.  
პრალის კონფერენციამ მოისმინა ორჯონიძის  
მოსხენება კონფერენციის მოწვევი რუსეთის  
ორგანიზაციული კომისიის შემოაბის შესახებ  
და მალაღი შეფასება მისცა კომისიის მუშაო-  
ბას. კონფერენციამ აირჩია ცენტრალური კომი-  
ტეტი და რუსეთში რევოლუციური მუშაობის  
ხელმძღვანელობისათვის პარტიული ცენტრი.  
ამ ორივე ორგანოს შემადგენლობაში შეყვანი-  
ლი იყო სერგო ორჯონიძეც. მაგრამ მეფის  
ობრანამ შიგნით ორჯონიძის კვლას და 1912  
წლის აპრილში იგი დააპატიმრეს. გადასახლე-  
ბიდან სერგო თებერვლის რევოლუციის შემ-  
დეგ დაბრუნდა და მთელი ძალით შეუდგა  
რევოლუციურ საქმიანობას.

ხვეწი პარტიის VI ყრილობაზე ორჯონიძე  
მოსხენება გააკეთა ლენინის სასამართლოში  
გამოცხადების საკითხზე. როგორც ცნობილია,  
ბურჟუაზიამ ლენინს ცილი დასწამა ჯამუშო-  
ბაში და უნდოდათ გაესამართლებინათ. ზოგი-  
ერთი, მაგალითად, რიკუნი, კამენევი და სხვები  
მოათხოვდნენ, რომ ლენინი გამოცხადებულყო  
სასამართლოში. ხოლო ორჯონიძე და  
სტალინი სასამართლოში გამოცხადების წინააღ-  
მდეგი იყვნენ. ამით მათ იხსნეს რევოლუციის  
დღია ბელად კონტრარეულიცის მიერ ფე-  
ხიკური განადგურებისაგან.

სამოქალაქო ომის წლებში, როდესაც ახალ  
გზარდა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობას  
საფრთხე ემუქრებოდა, სერგო ორჯონიძემ  
თავი გამოიჩინა როგორც წითელი არმიის შექმ-  
ნისა და განმტკიცების ნიჭიერმა ორგანიზატორ-  
მა, საბჭოთა სახელმწიფოს გამომჩენელმა მშე-  
ნებელმა. პარტია მას გზავნის ბრძოლის უდი-  
დეს სამსუხუბისმგებლო უბნებზე. 1918 წლის 2  
იანვარს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და  
სახელმწიფოს დადგენილებით ს. ორჯონიძე  
დაინიშნა უკრაინის რაიონის დროებით სიგან-  
ვებო კომისრად და მიეცა მეტად ფართო  
რწმუნებები ბურთია და სხვა პროდუქციით  
იმ რაიონების მომარაგებისათვის, რომლებიც  
ველაზე მწვავედ განიცდიდნენ სურსათის ნაკ-  
ლებობას. ორჯონიძის დიუღალაყო მუშაობის  
შედეგად მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი წარ-  
მატებები. დამწეული პეტროგრადისკენ დაიძრა  
ბურთით დატვირთული ეშელონები. სამოქალაქო

ომის სუსხიან წლებში სიდაც კი გაგზავნა პარტიამ სერგო ყველგან პირნათლად შესრულა მინდობილი საქმე.

1921 წლის თებერვალში საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მუშები და გლეხები აჯანყდნენ მენშევიკების წინააღმდეგ. შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომლის მოწვევით საქართველოს კომრობლთა დასახმარებლად მოვიდა წითელი არმია ს. ორჯონიძის და ს. კირიკის მეთაურობით. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დამთავრდა ამიერკავკასიის განთავისუფლება და სერგო ორჯონიძემ, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია საქართველოსა, სომხეთსა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, საბუთად დატოვებულ იქნა ამიერკავკასიაში. იგი ჯერ რეპ (ბ) კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელი, ხოლო შემდეგ პარტიის ამიერკავკასიის სახმარეო კომიტეტის მდივანი იყო. საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ორჯონიძის ხელმძღვანელობით ლენინის მითითებითა საფუძვლზე უდიდეს აღშავლობას მიაღწიეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ბურჟუაზიული ნაციონალისტების და ხალხის ყველა ჯერის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, საკალიზმის მშენებლობაში.

საბუთნობა წიგნში მოთხრობილია სერგო ორჯონიძის საკემრო მასშტაბის პოსტებზე მოღვაწეობის შესახებ. 1926 წლის 3 ნოემბერს საკემრო კ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გავრ-

თიანებულმა პლენუმმა სერგო ორჯონიძემ აირჩია ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ, ხოლო 5 ნოემბერს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა ის დანიშნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარად, საბკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. ამიერიდან ორჯონიძის მოღვაწეობაში დაიწყო კიდევ უფრო დიდი და ფართო სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის პერიოდი.

1932 წლის იანვარში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაციის შემდეგ სერგო ორჯონიძემ ინიშნა სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარად. პარტიის მითითებითა ცხოვრებაში განუხრკლად გატარებამ შესაძლებელი გააბო მძიმე ინდუსტრიის დარგში უდადეს წარმატებითა მოპოვება, რაც მჭიდროდა დაკავშირებული სერგოს სახელთან. ამიტომ შეარქვა ხალხმა სერგოს — მძიმე ინდუსტრიის არმიის სარდალად.

სერგო ორჯონიძის ნაადრევი გარდაცვალება (1937 წლის 18 თებერვალი) დიდი დანაკლისი იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისათვის. მის სახელს სათუთად ინახვენ და ყოველთვის სიყვარულით იხსენიებენ საბჭოთა აღმანიებაში.

ს. ჩხარტიშვილის ნარკვევი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გამოჩენილი ბოლშევიკი ხელმძღვანელი — სერგო ორჯონიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ი. შვიპირიშვილი

## ახალი ნაშრომი ზოგადი ფონეტიკის დარგში

როგორც ცნობილია, გამოჩენილი საბჭოთა ენათმეცნიერის აკადემიკოს გ. ახვლედიანის კალამს ეკუთვნის ფუძემდებელი გამოკვლევები ქართულ-კავკასიური ენების ფონეტიკისა და ზოგადი ფონეტიკის დარგებში. თავისი ნაშრომებითა და სხვადასხვა საუნივერსიტეტო კურსის კითხვით გ. ახვლედიანმა — აკადემიკოს ა. შანიძესთან ერთად — საფუძველი ჩაუყარა თბილისის საენათმეცნიერო სკოლას, რომლის შედეგები ფართოდ ცნობილია როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. ჩვენს ლიტერატურულ შეცნიერების განვითარებას დოდად შეუწყო ხელი ჩვენს უნივერსიტეტში

გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა (ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის შრომები. I). 1936.

გ. ახვლედიანის მიერ ისეთი საგნების შემოღებამ და კითხვამ, როგორცია ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრაზატია, ენათმეცნიერების პროპედევტიკა, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა, რუსული დიალექტოლოგია, სანსკრიტი და სხვა, მან სათავე დაუდო ქართული ენის ფონეტიკური სისტემის ექსპერიმენტულ შესწავლას. პროფესორ ახვლედიანის ნაშრომებში მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრული იქნა ქართული ენის ფონეტიკური სინაქსის ბუნება და თვისება, მისი სპეციფიკა და გამოკვლევების შედეგად უკმაღმეულ იქნა არა ერთი და ორი ტრადიციული შეხედულება, დამკვიდრებული სამეცნიერო ლიტერატურაში უმოაერესად უცხოელ მკვლევართაგან. გ. ახვლედიანის ღვაწლი მარტოოდენ ჩვენი სისტემის ენების კვლევათ არ განისაზღვრება. მან გაღწევიტა ზოგადი ფონეტიკის რამდენიმე

ძირითადი მნიშვნელობის საკითხი და ამითაც თბილისის საენათმეცნიერო სკოლას საერთაშორისო ფონეტიკურ ლიტერატურაში თავისი წვლილი აქვს შეტანილი. ავტორის ფუნდამენტალური წიგნი — „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ მასალის სიზიხითა და საკითხების ორიგინალური გადამწვევით ერთი საუკეთესო-ათავანია სამკოთა ფონეტიკურ ლიტერატურაში.

ავტ. გ. ახვლედიანის ახალ ნაშრომში — „ზოგადი ფონეტიკის შესავალი“ ნათლად და სისტემატური წესით დალაგებულია ზოგადი ფონეტიკის ძირითადი საკითხები როგორც მსოფლიოს ენათა, ისე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ქართველური ენების მოთაყენებასა და აღნიშნულზე გ. ახვლედიანი პირველი ავტორია, რომელმაც ზოგადი ფონეტიკის პრობლემატიკაში ფართოდ შეიტანა ჩვენი ენას მონაცემები და გვირდში ახოუყენა ისინი, კერძოდ, ინდოევროპულ ენების მგაღათებს, როგორც საილტერაკული მასალა. ქართული ენის ფაქტების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ახალი გაშუქება მიეცეს ზოგადი ფონეტიკის ზოგიერთ საკითხს.

სარეცენზით წიგნში წამოყენებულია და ჩვენი ფიქრით, სათანადოდ გადამჭრილი ენათმეცნიერების ისეთი ახალი და მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა აზრის ენობრივი გარსის საკითხი. აზრის ენობრივი გარსის რაობის ახვლედიანისეული გაგება ემყარება მარქსიზმის კლასიკოსების აზრებს ამ საკითხზე და მატერიალისტი ფიზიოლოგების (სენეროვისა და პავლოვის) მოძღვრებას უმალესი რევრული სისტემის მოქმედების შესახებ.

რა არის აზრის ენობრივი გარსი? — იგულისხმება ენობრივი გარსის მატერიალურობა. ყოველ ბგერას, ბგერადობას, აქვს თავისი სპეციფიკური წყარო ამა თუ იმ დრეკორ სხეულის მოძრაობის სახით. სამეტყველო ბგერას საფუძვლად უდევს საწარმოთქმო ორგანოების მოძრაობა, რომელსაც შეიგრძნობს თვით მოლაპარაკე კუნთებრივი შეგრძნებით. სმენითი და კუნთებრივი შეგრძნებები დაკავშირებულია ერთმანეთთან ასაკით-კითხად, როდესაც ამტკიცება, რომ არ არსებობს აზრი უსიტყვოდ, ადამიანი ფიქრობს და აზროვნებს მხოლოდ სიტყვებითო, ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოთქმო ორგანოების მოქმედებას (არტიკულაციას) და მის შეგრძნებას ადგენს აქვს მსმინაე კა, როდესაც ადამიანი აზრის ელაპარაკება, როცა იგი „თავისთვის ლაპარაკობს“, ფიქრობს რამეზე. ამრიგად, შინაგანი წარმოთქმა, უბგერო არტიკულაცია და მისი შეგრძნება შეადგენს მატყველების აუცილებელ შინაგანს მატერიალურ გარსს. ენობრივი გარსი მატერიალურია, პირველ ყოვლისა, ფიზიოლოგიურად — არტიკულაციის აუცილებლობის გამო მატერიალურია იგი აქუს-

ტიურადაც — ბგერადობის საწარმოების შემთხვევაში.

გ. ახვლედიანისათვის ამოსავალი მარქსისა და ენგელსის შეზღვევი გამოხატულებები არსებობს და მატყველების მატერიალური საფუძვლების შესახებ: „...ბუნდავით, რომ ადამიანს „ენობრივებაც“ აქვს. მაგრამ ეს ენობრივება მას მითავითვე როდღე აქვს „წმინდა“. ენობრივების სახით, სულს მითავითვე ტერითად აწვეს წყველა, რომ იგი „დაძმობებული“ უნდა იყოს მატერით, რომელიც აქ მერის მოძრაი ფუნების, ბგერების, მოუღედ, ენის სახით გომოდის. ენა ისევე ძველია, როგორც ენობრივება; ენა არის პრაქტიკული, აგრეთვე სხვა ადამიანებისათვის არსებული, მაშასადამე, თვით ჩემთვისაც მხოლოდ ამიტომ არსებული ნამდვილი ენობრივება და, მსგავსად ენობრივებისა, ენა წარმოიშეება მხოლოდ სხვა ადამიანებთან კავშირუთიკუთობის მოთხოვნილებებით, თუ ცალკედა „საწარმოებიდან“ (ე. მარქსი და ფ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგია“, გვ. 30-31). გ. ახვლედიანი ამ გამოჩინავში ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ „ენობრივება“, „სული“, დატვირთულია ენით, ენობრივი მატერიალი, რომელიც გველინება სიმეტყველო ბგერადობის სახით. ძალიან საყურადღებოა აქ დებულება ენობრივი ურთიერთობის პრაქტიკის მნიშვნელობის შესახებ: არსებობს ჩემთვისაც მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს სხვისთვისაც. გ. ახვლედიანი ფიქრობს, რომ აქ შემსწენელია წარმოთქმის მნიშვნელობა: წარმოთქმენლად არ არსებობს სიტყვა თვით მოლაპარაკისათვის. ვარდა ამისა, „მსმენელია მსაჯული იმისა, ვარგისია თუ არა ურთიერთგაგებნიე-ლისათვის ესა თუ ის ენობრივი გარსი, ე. ი. ვასაგებია თუ არა მსმენელისათვის მოლაპარაკის მერ თქმული“. ავტორი დაასკვნის: „უმართებულოდ უნდა წითფელის არა ერთბელ გამოთქმული აზრი, თითქმის მარქსიზმის კლასიკოსებთან არაფერი იყოს ნათქვამი ფონეტიკის საგანზე. მართალია, ტერმინი „ფონეტიკა“ არ ვხვდება მათთან, მაგრამ სრულიად გარკვეულდაა მათითებული ენობრივი გარსზე ესეი შეადგენს... ფონეტიკის საგანს“ (გვ. 9).

კუნთებრივი ანუ კუნთსაზიური შეგრძნების მნიშვნელობაზე მტყველებაში ჯერ კიდევ უდრდა ფიზიოლოგმა ი. სენეროვმა გაამაზილა აღიარება. ამ მიმართულებით შემდეგ საკითხი გააღრმავა პავლოვმა. მისი მოძღვრებით, ფიზიოლოგიურ საფუძველზეა წარმოქმნილი მეტყველებისა და აზროვნების განუერული კავშირი. გ. ახვლედიანი საყვებით სწორად დაასკვნის, რომ ენობრივი გარსის საკითხი უმნიშვნელოვანესი საკითხია არა მხოლოდ ფონეტიკისა, არამედ საერთოდ ზოგადი ენათმეცნიერებისა, რადგან იგი ეხება არა მხოლოდ სამეტყველო ბგერათა არტიკულაციურ-აქუსტურ მზარეს, რაც შეადგენს საკუთრივ ურთ-

ტივის საგანს, ირამდე უხემა მეტყველებას შილიანად, როგორც აზროვნებასთან განუერვლად დაეკავშირებულ მოვლენას (გვ. 10).

ახალი საკითხებიდან აქ უნდა შევჩერდეთ ისეთი მნიშვნელოვანი ფონეტიკური მოვლენის შესახებ, რომელიც გ. ახელუდიანმა გამოიკვლია სპეციალურ ნაშრომში ჯერ კიდევ წინა წლებში. ავტორმა დაიდგინა ქართული წარმოთქმის მეტრიკის მეტად საყურადღებო ტენდენცია. იგი მდგომარეობს თანმივანთა კომპლექსის წარმოთქმის დროს ერთგვარობისაგან მიღრეკილებასში. ამ თეორიის საფუძველზე იხსნება ქართული წარმოთქმის არა ერთი და ორი თავისებურება. გ. ახელუდიანის დაკვირვებით, თანმივანთა წარმოთქმისას ერთგვარობისაგან მისწრაფებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კომპლექსის პირველი კომპონენტი წინა არტიკულაციითა წარმოებული და მეორე კი უფრო უკანა არტიკულაციით. ასეთ კომპლექსებს ავტორი დეკუსიურ კომპლექსებს უწოდებს. შებერებულ თანმივანეობის კომპლექსს აქცესიური ეწოდება. თანმივანთა დეკუსიურ-აქცესიური კომპლექსების დადგენა ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა რიგი ფონეტიკური საკითხების ასახსნელად. მას მნიშვნელობა აქვს სხვა ენებისთვისაც.

ფართო ადგილი ეთმობა წიგნში მახვილის საკითხს. დასაბამებელია მახვილის სახეები და მათი გამოკვლევა სხვადასხვა ენაში. ვრცლად ახასიათებს ავტორი ქართული ენის აქცენტუაციას. უნდა ითქვას, რომ ქართულში მახვილის რომელობისა თუ ადგილმდებარეობის შესახებ მკვლევართა შორის ერთსულეობა არ სუფევს. სხვა ავტორებს რომ თავი დაეხანათ, დასახასიათებელია, რომ — აბათ საკითხის სართლის გამო — მახვილის საკითხს ვერადი იყარა ნიკო მარმა რუსულად გამოქვეყნებულ ძველი ქართული ენის გრამატიკაში (ლენინგრადი, 1925 წ.). ფრანგულად გამოქვეყნებულ ქართული ენის გრამატიკაში კი (პარიზი, 1931 წ.) ნ. მარი ცდილობს დამტკიცოს, რომ ქართულ ენას ახასიათებს ტონურის მახვილი. ი. ზელმერმა ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგად გამოთქვა აზრი, რომ ქართულ სალიტერატურო ენას არა აქვს მყოფილ გამოხატული ანუ დინამიური და არც მუსიკალური (ი. ი. ტონური) მახვილი; ზელმერ-ფოგტი ფიქრობენ, რომინანტი მიანტ ტონურობის ელემენტებია ქართულში.

არც ერთი ეს თვალსაზრისი არ დადასტურა

მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ.

პროფ. გ. ახელუდიანის დაკვირვებით, ქართულ სალიტერატურო ენაში დღეს სუსტი დინამიური სიტყვათმახვილია. დინამიური სიტყვების მასში ჩანს ტონურობის ელემენტები. ეს სიტყვათმახვილი ძლიერ სუსტია, უფრო სუსტი, ვიდრე ფრანგულში. ე. ი. ქართულ მეტყველებაში სიტყვათმახვილი არ გამოიყოფა ისეთი სიმძლიერით, როგორც ფრანგულში და, მით უმეტეს, როგორც რუსულში. აქ ხაზი მიიღია გავსევა იმ გარემოებას, რომ უკანასკნელმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა სავსებით დადასტურეს გ. ახელუდიანის შეხედულება, გამოთქმული ჯერ კიდევ ადრინდელ ნაშრომებში.

მახვილის ადგილმდებარეობის საკითხი ძირითადად სწორად აქვს გადაწყვეტილი ნიკო მარს; გასაზიარებელია მეორე მახვილის (თანმხვილის) არსებობაც ოთხ და შერ მარულთან სიტყვაში. მაგრამ გ. ახელუდიანმა წინათ არ გაიზიარა ნ. მარის დებულება, რომ მრავალმარულთან სიტყვაში მახვილი შესაძლებელია მეორე მარულზე ბოლოდან. ამავდროულად ახელუდიანი სარეცენზიო წიგნშიც (გვ. 134). ეს დებულება დადასტურებულია ამ ბოლო დროს ექსპერიმენტულად (იხ. ს. ელენტიის ექსპერიმენტული გამოკვლევა: „ქართული ენის ფონეტიკა“, 1956).

სარეცენზიო წიგნში განხილულია ზოგადი ფონეტიკის საკვანძო საკითხები: ფონეტიკის საგანი და მეთოდები, საწარმოთქმო ორგანოები, მათი მოქმედება და ფონემის ფიზიკური თვისებები, სამეტყველო ბგერათა კლასიფიკაცია, ბგერათმეურთეობა, მარცხალი, ბგერათორგანოება, სამეტყველო ბგერა და წერა, ბგერათმეურთეობა და ფონეტიკური კანონზომიერება და სხვა.

ზოგადი ფონეტიკის საკითხებისადმი ორიგინალური მიდგომითა და სილუსტრაციით მასხლის მრავალფეროვნებით აკადემიკოს გ. ახელუდიანის „ზოგადი ფონეტიკის შესავალი“ საბჭოთა ფონეტიკური მეცნიერების წინსვლის კარგი მაჩვენებელია. აქვე აღქმნით, რომ წიგნი დაწერილია სადა ენით, სპეციალური პრობლემები ვალმოკლებულია მყოფოდ, მაქსიმალური სიმარტივით, რაც საწინდარია იმისა, რომ ნაშრომი ადვილად მისაწვდომი იქნება ფართო მკითხველისათვის, ვისაც კი აინტერესებს ფონეტიკის ზოგადი საკითხები.

გ. მ. თაძინაძე

წიგნი რუსი და ქართული ხალხების მემორიზაცია

მ. შვებელიძის შრომის თემა: ქართული ხალხის მონაწილეობა რუსეთ-თურქეთის 1877-

1878 წლების ომში. ავტორი იყენებს მდიდარ საარქივო დოკუმენტებს, პირველწყაროებს და არსებულ ისტორიულ ლიტერატურას.

III. Мегрелидзе. Грузия в русско-турецкой войне 1877—78 г.г. Батуми. 1955.

როგორც ცნობილია, ყირიმის ომში ვერ გადჭრა ეგრეთწოდებული „აღმოსავლეთის საკით-

ბი", რომლითაც დინტერესებულ იყვნენ, ერთი მხრით, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და ავსტრო-უნგრეთი, მეორე მხრით — მეფის რუსეთი. მართალია, პარიზის ტრაქტატმა შეკვეთა მეფის რუსეთის უფლებები, მაგრამ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან რუსეთს ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნა დამამცირებელი საზავო პარიზების ვადისინჯვისათვის.

რუსეთ-თურქეთის ომის განაღებას ხელს უწყობდა ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი. ასე, მაგალითად, ინგლისი აფინანსებდა თურქეთის გამართებულ მეურნეობას. იმპერიალისტური ინგლისის მმართველმა წრეებმა თურქეთთან ერთად შეადგინეს ამიერკავკასიის ხალხთა დაპყრობისა და დამონების გეგმა. ამ გეგმაში გათვალისწინებული იყო რუსეთთან ომი, სიადე ამიერკავკასიის ფრონტი იჭრებოდა ვანაკუთრებულ ადგილს. მოკავშირეებს სურდათ ამიერკავკასია მოეწყვიტათ რუსეთისაგან. ბიკონსფიდის გეგმა ითვალისწინებდა ზალიფატის შექმნას ამიერკავკასიაში. ამ გეგმის განხორციელებით ანგლისი ცდილობდა გაბატონებულიყო მცირე ერებზე.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში საფრანგეთსაც თავისი კოლონიური მიზნები ამოძრავებდა. ინგლისი და საფრანგეთი უმთავრესად დივერსიებზე აყრდნობდნენ ამეღებს, ისინი აგრეთვე ცდილობდნენ დაურდნობოდნენ ქართველ და სომეხ ნაციონალისტებს საბრძოლო ლობუნებით „დამოუკიდებლობა“. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამ ლობუნებით რუსეთის წინააღმდეგ ამზებდრებდნენ ცარიზმის მიერ ჩატრულ ხალხებს (გვ. 29).

ინგლისსა და საფრანგეთს არც ამერიკა ნაშორია. ამერიკამ დაიწყო თავისი ჯაშუშების შემოგზავნა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. იგი თურქეთს დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა. ამიერკავკასიის ხალხები განსაკუდრის ემს, როგორც მოსალოდნელი იყო, გვერდში ამოუდგნენ დიდ რუს ზალსს.

როგორც ცნობილია, 1875 — 1876 წლებში თურქეთის ტრანიის წინააღმდეგ აჯანყდა ზალკანეთის სლავი მოსახლეობა, რომელიც შიმში, მაგრამ შამაქურ, ბრძოლას აწარმოებდა. თურქეთი ზალკანეთის სლავი ზალხისა და ქართველთა საერთო მტრია იყო, მათ ორივეს ერთნაირად ემტყრებოდა თურქეთის აგრესიული ასიმილაციურელი პოლიტიკა. დიდ რუს ზალხთან ერთად ქართველი მშრომელი მოსახლეობა ერთსულოვნად გამოეხმურა სლავ მეზობლებს.

ნაშრომში კარგადაა გამოკვლავებული თურქეთის ხელისუფალთა მზაკრული ბუნება, ნიჟენებია, რომ ზოგიერთი ავანტიურისტის მოსუილეთი უწყობოდა ყაიღური თავდასხმები გურიის სოფლებზე ამ ყაიღური რეიღების მიზანი იყო გურულესა და აჭარულეს შორის მტრობის ჩამოღება, მაგრამ რუსმა მზედრობამ, ქართული მილიციის დახმარებით, ჩამალა თურქეთის

ცდა: აჭარის მშრომელი მოსახლეობა გამოყოფილებით ელოდა რუს-ქართველთა გაერთიანებულბელი ელარის შემოსვლას (გვ. 56).

ცალკეული საომარი ოპერაციების მიმობილდინ საყურადღებოა, რომ თურქებმა 1877 წლის 29 აპრილს გუდაუთის ახლს გადმოსტეს დესანტი, ხოლო 2 მაისს დაიკავეს სუზუმი და ცეცხლს მისცეს კურდუთის მრავალი ძვირფასი ძეგლი, მათ შორის, ბიჟინტის ცნობილი ტაძარ, გადაწვეს აფხაზეთის მდიდარი ბაღები, ვენახები, ტყეები, სახლები, ბარბაროსულად გაწყვიტეს მსხვილფეხა პირტყვი (გვ. 78 — 80).

შემოღგამიზე კავკასიის ფრონტის მთელ ხაზზე რუსეთი შეტევაზე გადავიდა. მტრის ძლიერი ციხეები — არდაგანი და ყარსი დაეცა, ანატოლიის არმია ძირითადად უკვე განადგურებული იყო. ზლოკადაში მოქცეა არზრუმი. მტრის ჯარებმისაგან ბათუმის და აჭარის განთავისუფლების მიზნით, 1878 წლის 18 იანვრს ერთი მტრით ართვინიდან, ზოლო მეორე მტრით ციხისძირიდან ერთდროულად გაიშალა შეტევა, რომელიც, სამწუხაროდ, მარცხით დამთავრდა.

რუსეთის საერთო წარმატებებმა ზალკანეთში მტერი აიძულა ზაგი ეთხოვა, რის შედეგადაც 19 თებერვლს (ძე. სტილით) სან-სტეფანოში სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. ომი დასრულდა.

ინგლისმა სან-სტეფანოს ხელშეკრულების განდსინჯვა მოითხოვა, რასაც სხვა კაბიტალისტური სახელმწიფოებაც მიეზბრნენ. რუსეთი იძულებული გახდა დამომზახე წესილო. საქმეში ჩაერთა ბისმაქი, რომელიც მეომარ სახელმწიფოთა „მომრიგებლის“ როლში გამოვიდა. საზავო კონგრესი ბერლინიში შედგა. მძაფრი დიპლომატიური კიდილისა და ინგლის-გერმანია, საფრანგეთ-თურქეთის მრავალნაირი ბრიკების მთხედავად, სამხრეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი, ბათუმთან ერთად, რუსეთს გადაეცა და, ამგვარად, დედნამშობლოს შემოუერთდა.

მართალია, ნაშრომში ეს საკითხები ძირითადად სწორადაა გადაჭრილი, მაგრამ, ჩვენი აზრით, ნაშრომს აქვს ნაკლოვანებებიც.

ავტორი ნაშრომის მე-10 გვერდზე წერს, რომ მეფის რუსეთის ზალკანეთის ნახევარკუნძულისა და ამიერკავკასიის ხალხების მიმართ ამოძრავებდა პოლიტიკური გაგუნენისათვის ბრძოლის ინტერესები. ავტორს ავიწყდება, რომ ამიერკავკასიაში და ზალკანეთის ნახევარკუნძულზე მოწინააღმდეგე მზაკრული და, მათ შორის, რუსეთი იმპრიოდნენ არა მარტო პოლიტიკური ვაუნენის გაძლიერებისათვის, არამედ ეკონომიური ბატონობისთვისაც.

ავტორი წერს: „Следует учесть также, что христиане Азиатской Турции — армяне и грузины, подобно европейским славянам, смотрели на войну, как на освобождение их от турецкого ига“ (გვ. 11). ავტორს უნდა



შევახსენით, რომ ძალით გამაჰმადიანებულ ქართველებსაც (აჭარლებს, ლაზებს) ასევე მხსნელად შიანდათ ომში ჩუსტების გამოაჯგუბა.

აგტორის აზრით, 1877 — 1878 წ. წ. ომში „План действий противников является аналогичным плану периода 1853—1856 гг., составленному командованием союзных войск“ (გვ. 28). მაგრამ 1871 წელს ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყენა უკვე დამთავრებული იყო, რაც უმნიშვნელოვანეს ახალ ფაქტორს წარმოადგენდა სამხედრო მოქმედების ახლო გეგმების შესაღვენად. აგტორი ამას რამდენიმედ კიდევაც გრძნობს. ის წერს: „По сравнению с войной 1853 — 1856 гг. изменения произошли в составе армии и ее вооружении“ (გვ. 57). როგორც ცნობილია, ასეთი დიდ ცვლილებების პირობებში სამხედრო მოქმედების ძველ გეგმა ძალაში ვერ დარჩებოდა.

აგტორი ორიოდე სიტყვით აღნიშნავს თურქეთის წინააღმდეგ იმ შეზღვევებ ქართველთა ომიზიციტრობაზე, მაგრამ ეს აღნიშვნა ცოტა-საჭირო იყო სათანადო მასალების ჩვენება იმ საყოველთაო აჯანყების შესახებ, რომელიც აჭარის მოსახლეობამ მოუწყო უცხო დამპყრობლებს 1875 — 1875 წლებში.

არ არის სწორი, თითქოს კავკასიის ომებში მილიციის რაოდენობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში შემცირდა და მის სტრუქტურაში ცვლილება მოხდა. ასევე ვერ დავეთანხმებით აგტორის იმაში, თითქოს „милиционные войска, с усилением России на Кавказе, постепенно теряли свое значение“ (გვ. 45). უნდა აღინიშნოს, რომ მილიციის რაოდენობა მყარი არასოდეს არ ყოფილა და ხანდახან დიდდებოდა საქარობის-და მიხედვით, უმთავრესად თურქეთთან ომის გამოცხადებამთან დაკავშირებით. 1877 — 1878 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომში ქართველების მონაწილეობა ვიცობლებით ძლიერ იყო, და ეს ბუნებრივად არის. ქართველი ხალხი XIX საუკუნის მეორე ნახევარში იზრძოდა ეროვნული მილიციის ადღენისათვის, რამაც თავისი გამოხატულება პოვა დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო მილიციის რაოდენობრივ და თვისობრივ ზრდაში. ქუთაისის გუბერიატორის მიერ უმადლესი მთავრობის სახელზე შედგენილ 1877 წლის საანგარიშო მოხსენებაში ხაზგასმით ნახევენია, რომ მარტო დასავლეთ საქართველოს შედარებით მცირერიცხოვანი მოსახლეობიდან თურქების წინააღმდეგ მოხალისეებად მილიციაში ჩაწერილია და იარაღით ხელში გამოსულა 11 ათასი მამაკაცი. (სტია, დ. 19, საქმე 94, ფურც. 1 — 4).

საერთოდ, წიგნი სწორადაა შეფასებული ქართული სახალხო მილიციის როლი, მაგრამ აქაც უნდა შეინიშნოს, რომ აგტორი იფარგლება მხო-

ლოდ გურული მილიციის მონაწილეობის დახასიათებით და მხოლოდ განზილულია ქართველთა ბრძოლა ციხისძირ — ბათუმის მამაძალეობით.

53-ე გვერდზე ჩამოთვლილია სამხრეთკავკასიის მხოლოდ ჩამოთვლილი თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ „Наиболее сильные восстания... 1680, 1685, 1690, 1697, 1744, 1816 г.г. Этими восстаниями руководили легендарные герои этого края, сыны грузинского народа — Селим Химшинашвили, Сулейман Нибадзе, Ахмед Кикнадзе, Илья Меладзе и другие“. (გვ. 53). არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ აგტორის მიერ დასახელებული სულთ ხიმშიაშვილი 1815 წელს ხახაბრის ციხესთან ბრძოლის დროს მოკლეს, ასე რომ, იგი 1816 წლის აჯანყების მეთაურა ვერ გახდებოდა.

წიგნი გაპარულია ზოგიერთი ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა. მაგ., 77-ე გვერდზე აფხაზეთის სამთავროს რუსეთის „მფარველობის ქვეშ შესვლისა და თურქ დამპყრობთაგან განთავისუფლების“ თარიღად დასახელებულია 1809 წელი, უნდა იყოს 1810 წელი. აგტორის განცხადებით, თურქებმა აფხაზი მოსახლეობის უმრავლესობას მიაღებინეს მამკვიდინური სარწმუნოება (გვ. 77), მაგრამ ცნობილია, რომ აფხაზ ხალხის უმრავლესობამ თავისი გვირგვინი ბრძოლის შედეგად შეინარჩუნა ქრისტიანული სარწმუნოება.

ნაშრომის 56-ე გვერდზე აგტორის აზრს, რომ როგორც XIX საუკუნეში წარმოებულ იყო ომის დროს ისე, 1877 — 1878 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომის დროსაც საომარი ოპერაციებმა ჩატარდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ამიერკავკასიაში, დახუსტება სჭირდება. საქმე ისაა, რომ 1853 წელს ომი, მართალია, ბალკანეთში დაიწყო, მაგრამ ის ჩატარდა უმთავრესად ყირიმში და კავკასიაში. აგტორის გადმოცემით, ქუთაისში შეკრებილ შერეულ კომისიაში, რომელიც შედგა ახლად შექმნილ მხარის რუსეთისათვის გადასაცემად, რუსეთიდან მონაწილეობდნენ: სვიატოპოლკმირსკი (კომისიის თავმჯდომარე), თავ. ტრუბეცკოი, დ. გურიელი, ხოლო თურქეთიდან ალი-ბეი, სულეიმან-ბეი და ნური-ფაშა (გვ. 114). სინამდვილეში კომისიის წევრად რუსეთის მხრიდან იყო არა დავით გურიელი, არამედ გრიგოლ გურიელი და აგრეთვე ბათუმში ჩუსტეთის ყოფილი ვიცე-კონსული ჯიუღლინი, ხოლო თურქეთის წარმომადგენლად კომისიაში იყო ნეიდჰაიმი.

აქ დასახელებული ზოგიერთი ნაცლის მიუხედავად, შ. მეგრელიძის მონოგრაფია სასარგებლო ნაშრომია. სასურველია იგი გამოიცეს ქართულ ენაზედაც.

ვლ. სიხიანაძე



# ახალი წიგნები

საბიბლიოთეკო გამომცემლობა



- ლადო ასათიანი** — რჩეული ლექსები და პოემები. რედ. კ. ბობოხიძე, გვ. 202, ფასი 6 ჯან  
**ჯონ მილტონი** — დიკარგული საშოთხე, დაბრუნებული საშოთხე. რედ. გ. ვანჩილაძე, თარგმანი  
ინგლისურიდან ვაზტანგ ჭელიძისა. გვ. 340, ფასი 20 მან.
- მ. ჯვარიშვილი** — არსენა მარაბდელი. რუსულ ენაზე. რედ. გ. ხუციშვილი, თარგმანი მ. კორნე-  
ევისა, გვ. 420, ფასი 9 მან.
- მურმან ლებანიძე** — ლექსები. რედ. ი. ბოშტარია, გვ. 60, ფასი 2 მან. 50 კაპ.
- პოლიტსკოლეგის მსმენელთა დასახმარებლად** — სახელმძღვანელო. გვ. 464, ფასი 6 მან. 25 კაპ.
- საწყლოსნო-სამოტორო ხორტი** — შეჯიბრების წესები. თარგმანი დ. ვაბუნიასი, რედ. ბ. ღარ-  
საძე, გვ. 54, ფასი 70 კაპ.
- ბ. ცვაკრელი, გ. შალამბერძე** — ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკური  
მომსახურების ორგანიზაცია. რედ. დ. ციციშვილი, გვ. 50, ფასი 65 კაპ.
- მ. მ. გუგუშვილი** — სათბონი კულტურების თესვისა და მწკრივთაშორის დამუშავების მექანიზა-  
ცია. რედ. დ. ციციშვილი, გვ. 64, ფასი 85 კაპ.
- ნ. ჯანაშვილი** — ახალი აღმშენებლის გზაზე. რედ. შ. კაპანაძე, გვ. 58, ფასი 65 კაპ.
- შალვა ტოკუა, ივანე ზარისხარისვილი** — მღვთველი მეცხოველეები, რედ. კ. ჩიხლაძე, გვ. 64,  
ფასი 90 კაპ.
- თ. ყენია** — ქოთია. რედ. ბ. ფარცვენი, გვ. 88, ფასი 80 კაპ.
- ა. თ. ლავოვი** — ტრანსკრეფის, ქსოვილებისა და ფეხსაცმელის მოვლა, თარგმანი კ. შ. ჩიხლაძისა,  
რედ. თ. ჩიხლაძე, გვ. 44, ფასი 60 კაპ.

## საბ. პოლიტიკური და მემორიული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება

- დ. ლორთქიფანიძე** — დიდი ქართული პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. რედ. ვ. ქაჯიაი. გვ. 40,  
ფასი 1 მან.
- გ. ხავთაია** — პაინრიხ პაინე, რედ. გ. ხელუდიაი, გვ. 48, ფასი 1 მან.
- ბ. ლუდუშაური** — არსებობს თუ არა დიდილის მიდამოებში ჩამქალი ველყანი. რედ. ი. კაპარაძე.  
გვ. 28, ფასი 1 მან.
- ა. ჩუბინიძე** — მეცნაზობის საბჭოთა მუდრნეობების რენტაბელობა და მისი გადიდების გზები.  
რედ. ნ. იაშვილი. გვ. 32, ფასი 1 მან.
- გ. ინწორველი** — საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზა სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტუ-  
რულ-აღმზრდელობითი მუშაობა. რედ. ზ. რატიანი, გვ. 40, ფასი 1 მან.
- ვ. ჩაგუნვა** — იზოტი და მისი მნიშვნელობა სახალხო მუდრნეობაში. რედ. ვ. კაპაძე. გვ. 32,  
ფასი 1 მან.
- ი. ნაჭეები** — სახალხო დემოკრატია პრალეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი ფორმა. რედ.  
კ. კალანდაძე. გვ. 44, ფასი 1 მან.
- ი. ბალანჩივაძე** — სოფლის მედრნეობის სოციალისტური განვითარება ევროპის სახალხო დემო-  
კრატის ტყეყნებში. რედ. ი. ჯანი. გვ. 38, ფასი 1 მან.

## გ ა ს წ ო რ ე ბ ა

„მთაბის“ № 11-ში, გვ. 56, მე-5 სტრ. ზემოდან სწერია: „მოთგორიან ველზე“. უნდა იყოს:  
„მოთგორიან ველზე“. გვ. 57, მე-11 სტრ. ქვემოდან სწერია: „გადადგებული იყენენ“. უნდა იყოს:  
„გადადგებული იყენენ“. გვ. 60, მე-12 სტრ. ქვემოდან სწერია: „მოტოვებული ბედლები“. უნდა  
იყოს: „მოტოვებული ბედლარები“. გვ. 61, მე-6 სტრ. ზემოდან სწერია: „იწყოდა საქართველო“. უნდა იყოს:  
„იწყოდა საქართველო“.